



სოციალურ მეცნიერებათა სერია

# ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის  
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

სალექციო კურსი  
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი  
2006

## სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბავრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 872 - 3 - 1

# შინაარსი

<b>შესავალი</b> .....	<b>6</b>
<b>თემა I. სახელმწიფოებრიობის საფუძვლები</b> .....	<b>7</b>
ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია .....	7
დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება .....	8
წარსულის გახსენება — გზა მომავლისკენ .....	10
9 აპრილი .....	11
<b>თემა II. დამოუკიდებლობის 15 წელი: მიღწევები და შეცდომები</b> .....	<b>12</b>
ლიტვამ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც საქართველოსაც უნდოდა .....	12
შეცდომები დამოუკიდებლობის გზაზე.....	14
დამოუკიდებლობის 15 წელი: რას მივაღწიეთ .....	15
რევოლუციის 16 გამარჯვება .....	16
ხელისუფლების მიღწევები და ჩაფარდები.....	17
მარტ ლაარანი: საქართველოს ბედი უახლოესი ერთნახევარი წლის განმავლობაში გადაწყდება .....	18
<b>თავი III. ეროვნული უსაფრთხოება</b> .....	<b>19</b>
ბარლამენტმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება მოითხოვა .....	19
ეროვნული უსაფრთხოება დიდი საფრთხის წინაშე .....	21
სტრატეგიული ბარტნიორობიდან პრაგმატულ თანამშრომლობამდე.....	22
საფრთხეები განსაზღვრულია — ისინი ჩრდილოეთიდან გვემუქრება .....	23
სამხედრო სტრატეგია საფრთხეების წინააღმდეგ.....	24
<b>თავი IV. ვარდების რევოლუცია და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები</b> .....	<b>26</b>
2003 — სამხრეთ კავკასიის საარჩევნო წელი.....	26
პოსტსაბჭოური არჩევნების ფენომენი .....	27
ვარდების რევოლუცია საქართველოში.....	28
ვარდების რევოლუციის სამი განსწავლული ხედავა.....	29
ხავერდოვანი რევოლუციები და გეოპოლიტიკა .....	30
რატომ გახდა ვარდების რევოლუცია შესაძლებელი საქართველოში.....	31
ხავერდოვანი რევოლუციის სომხეთში არ შედგა.....	32
ვარდების რევოლუცია და საქართველოს სუამელი ბარტნიორები.....	33
<b>თავი V. თავისუფლებისაკენ სწრაფვას გლობალური დემოკრატიული რევოლუციისაკენ მივყავართ</b> .....	<b>34</b>
პრეზიდენტ ბუშის მარშრუტის ლოგიკა .....	34
საქართველოს დემოკრატიული მისია .....	36
დიდი ცვლილებების ხანა .....	36
რატომ არ ჩამოვიდნენ თბილისში სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები.....	39
ახალი იაღლტის იდეა .....	40
მეტი დემოკრატიის სურვილი .....	42
საქართველო და გლობალური დემოკრატიის პერსპექტივები.....	43
<b>თავი VI. ეროვნული თანხმობისაკენ მიმავალი გზა</b> .....	<b>45</b>
ჯერ კიდევ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია .....	45
ეროვნული შერიგების რთული გზა .....	46
ვინ იტყვის სიმართლეს გადატრიალების შესახებ.....	47
თანხმობის ძიება წარსულის შესახებ.....	49
გზა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ.....	50
ეროვნული კონსენსუსის სურვილი.....	52

<b>თავი VII. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება .....</b>	<b>53</b>
„გარდების რევოლუცია“ კონსტიტუციაში .....	53
სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი მოდელი .....	54
ვენეციის კომისია საქართველოს კონსტიტუციის სრულყოფას ურჩევს .....	55
პოლიტიკოსები და ინსტიტუტები .....	56
სახელისუფლო ბალანსი ქართულ სინამდვილეში .....	58
ქართული პოლიტიკა ჟვანიას სიკვდილის შემდეგ უფრო ხისტი გახდა .....	59
რას მოიტანს პრემიერ-მინისტრის პარლამენტის წევრობა .....	60
<b>თავი VIII. პოსტრეგოლუციური განვითარების საკითხები .....</b>	<b>62</b>
გარდების ხელისუფლებისაგან რევოლუციის დამთავრებას ითხოვენ .....	62
როგორ იმართება საქართველო .....	63
გარდების რევოლუცია ეკონომიკური პრობლემების წინაშე .....	64
საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა სჭირდება .....	66
კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა — დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა .....	67
სახელმწიფოს მშენებლობა მოხელეებისადმი ცივილიზებულ დამოკიდებულებას მოითხოვს .....	68
<b>თავი IX. საქართველო და საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტები .....</b>	<b>70</b>
ევროსაბჭო დემოკრატიული განვითარების გზისკენ მიგვიითიებს .....	70
ევროპის საბჭო მეტ დემოკრატას მოითხოვს .....	71
დემოკრატიული სტანდარტი და ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში .....	73
სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში: ამერიკული შეფასება და ქართული რეაქცია .....	75
საქართველო ამერიკელებისთვის დემოკრატიის სიმბოლოდ რჩება .....	77
გაუმჯობესდა თუ არა დემოკრატიის ხარისხი საქართველოში .....	78
საქართველო განწირულია დემოკრატიისათვის .....	80
დემოკრატია სამხრეთ კავკასიაში .....	81
<b>თავი X. პრეზიდენტის ინსტიტუტი .....</b>	<b>83</b>
პრეზიდენტის ინსტიტუტი და ახალი საქართველო .....	83
მხსნელი ლიდერის მოლოდინი .....	84
პრეზიდენტი და მისი გარემოცვა .....	85
გვჭირდება თუ არა პრეზიდენტის ინსტიტუტი? .....	86
<b>თავი XI. პარლამენტი .....</b>	<b>87</b>
პარლამენტის ერთი წელი .....	87
პარლამენტის ახალი პერსპექტივები .....	889
საპარლამენტო რეკორდი — 453 კანონი ერთ წელიწადში .....	91
საკანონმდებლო მუშაობის მიღწევები და ხარვეზები .....	91
ორპალატიანი პარლამენტის კონტურები .....	92
50 მაჟორიტარისგან შემდგარი სენატი .....	92
მაჟორიტარები კარგად მუშაობას ვერ ახერხებენ .....	95
რას შეცვლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები .....	95
<b>თავი XII. პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები .....</b>	<b>97</b>
2005 წელი: ახალი პარტიები და სამოქალაქო ორგანიზაციები .....	97
მემარჯვენეობა მემარცხენე ლოზუნგების ქვეყანაში .....	97
კონკურენცია ევროპის სახალხო პარტიაში შესასვლელად .....	98
საქართველოს მწვანეთა ევროპული აღიარება .....	99
არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი იზრდება .....	99
ხალხმე ზურაბიშვილის „ქართული გზა“ .....	99
ანტიფლობალური იდეოლოგიის ძიება .....	101

<b>თავი XIII საქართველო ახალი საარჩევნო ციკლის წინ.....</b>	<b>102</b>
ბოსტრეგოლუციური არჩევნების თავისებურებანი .....	102
რეგოლუციური ეიფორიის შექმნა.....	105
ვის ხელშია არჩევნების ბედი.....	105
შუალედური არჩევნების შედეგები.....	107
რეიტინგული ბრძოლები .....	109
საქართველოში პოლიტიკოსებისა და პარტიების დეფიციტია.....	110
2006 წლის მაისი: საზოგადოების საარჩევნო განწყობა .....	112
<b>თავი XIV. ხელისუფლება და ოპოზიცია.....</b>	<b>114</b>
ხელისუფლება და ოპოზიცია: ურთიერთობის კონფრონტაციული მოდელი .....	114
ხელისუფლების რეიტინგი შემცირდა, მაგრამ ოპოზიცია კონკურენციას მაინც ვერ უწევს.....	116
ოპოზიცია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.....	117
ოპოზიციის შემორანდუმი .....	119
სად მიგვიყვანს დაპირისპირების ესკალაცია .....	121
დიალოგის მოთხოვნა დაპირისპირების გზით .....	122
<b>თავი XV. მედია და საზოგადოებრივი აზრი.....</b>	<b>124</b>
თავისუფალი მედია — დემოკრატიის უმთავრესი მონაბოგარი, რომელსაც დაცვა სჭირდება .....	124
სახალხო დამცველი ქართული მედიის პრობლემების შესახებ .....	125
<b>თავი XVI. ადგილობრივი თვითმმართველობა .....</b>	<b>126</b>
საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ აქტუალურია.....	126
„ფედერალიზაციის“ ანუ საქართველოს კონტროლისა და დანაწევრების გეგმა.....	127
როდის იქნება სრულფასოვანი თვითმმართველობა .....	128
გზა ეფექტური თვითმმართველობისაკენ.....	130
პირდაპირი არჩევნები — ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა .....	131
თვითმმართველობის მოლოდინი .....	132
თბილისის მერის არჩევა — ოპოზიციის ტრადიციული სამიზნე .....	134
ვინ აირჩევს თბილისის მერს .....	135
<b>THE GEORGIAN POLITICS: GOVERNMENT AND POLITICAL PROCESSE.....</b>	<b>135</b>

## შესავალი

ინტენსიური სამაგისტრო სემინარის მიზანია მის მონაწილეებს საშუალება მისცეს სწავლის დროს მიღებული თეორიული ცოდნა და კვლევის მეთოდები გამოიყენონ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის დროს. ეს კარგი შესაძლებლობაა როგორც თეორიული ცოდნის გასადრმაველად, ისე კვლევის უნარ-ჩვევების დასაუფლებლად.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი საინტერესო, ამავე დროს უაღრესად რთული საქმეა, რადგანაც მოვლენები სწრაფად ვითარდება, სავსეა მოულოდნელობებით და ის, რაც დღეს საკამათოა, ხვალ შეიძლება უკვე გადაწყვეტილი იყოს და ისტორიის კუთვნილება გახდეს.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზისას აუცილებელია წარსულის გათვალისწინება. ეს გვეხმარება დავინახოთ მოვლენათა განვითარების ტენდენციები და დღევანდელი პრობლემატიკის ისტორიული ფესვები, მემკვიდრეობითობა, ანდა, პირიქით, მკვეთრი გარდატეხა პოლიტიკურ პროცესებში; შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ წარსულისა და თანამედროვე მიდგომები ერთი და იგივე, ან მსგავსი საკითხების გადაწყვეტის დროს.

სემინარის ფარგლებში, ქართული პოლიტიკის ანალიზისას, ყურადღება მახვილდება დღის წესრიგში მდგარ აქტუალურ პრობლემებზე. ცხადია, მათი ნაწილი დროთა განმავლობაში ძველდება და წინა რიგში სულ სხვა საკითხები, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელიც გამოდის. ამავე დროს, ქართული პოლიტიკის შესწავლის დროს შეიძლება გამოიყოს „მუდმივი“ პრობლემატიკა, რომელთა გადაწყვეტაც მოკლე დროში შეუძლებელია.

სემინარულ მუშაობას საფუძვლად უდევს:

- შესაბამის თემაზე გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალების გაცნობა;
- მასმედიის კონტენტ-ანალიზი;
- საექსპერტო გამოკითხვები.

ყოველი თემის შესასწავლად გამოყოფილია უმთავრესი კითხვები, რაზეც დღეს ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს და კვლავაც განსჯისა და აზრთა ჭიდილის საგანია. განსხვავებული მოსაზრებების გაცნობა, მათი შედარება და საკუთარი პოზიციის განსაზღვრა, ამისათვის ფაქტობრივი მასალის მოძიება ის გზაა, რაც ყოველი საკითხის შესწავლის დროს უნდა გავიაროთ. ამასთან, დიდია ალბათობა იმისა, რომ სემინარის მონაწილეთა დასკვნები და პრობლემათა ხედვა არ იქნება ერთნაირი. კამათი კი კარგი შესაძლებლობაა საკუთარი პოზიციის დაცვის, განსხვავებული აზრის მოსმენის და საერთო დასკვნის გამოტანის კულტურის დასამკვიდრებლად.

# თემა I. სახელმწიფოებრიობის საფუძვლები

## ○ ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია

ზურაბ ჟვანიას ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერიდან ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ ფრაზად დარჩა სტრასბურგში, ევროსაბჭოში საქართველოს მიღების დროს წარმოთქმული სიტყვები: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ამ სიტყვებს დღეს დიდი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია და გამოხატავს ქვეყნის არჩევანს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. დღევანდელი პოლიტიკური განაცხადის მიღმა კი დგას საქართველოს ევროპულობის ისტორიული და კულტურული საფუძვლების პრობლემა.

საქართველოს ევროპულობაში, ცხადია, არ იგულისხმება ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიას, სადაც საქართველო მდებარეობს, ევროპას აკუთვნებენ. საქართველოს ევროპულობაში იგულისხმება ამ ქვეყნის მოსახლეობის მიერ ევროპული ფასეულობების გაზიარება და ამ ფასეულობებზე ორიენტირება. ამ საკითხის თუნდაც ზედაპირული განხილვა ღრმად წაგვიყვანს ისტორიაში, სადაც შეგვიძლია ვნახოთ, რომ საქართველოს დასავლეთ ევროპისგან დამოუკიდებლად ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა ძველ საბერძნეთთან, ქვეყანასთან, საიდანაც შორეულ სათავეს იღებს თავად ევროპული ფასეულობები.

საქართველოს ევროპულობაზე საუბრისას შეიძლება გავიხსენოთ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ. XV საუკუნიდან მტრულ გარემოცვაში მარტოდ დარჩენილი საქართველოსთვის მსოფლიო, შეიძლება ითქვას, ორ ნაწილად იყოფოდა: „საქრისტიანოდ“, რომლის განაპირა ნაწილად თავს განიხილავდა და გარემომცველ მუსლიმურ სამყაროდ, რომლის შემოტევისგანაც თავისი თვითმყოფადობის დაცვას ცდილობდა. ქრისტიანული ევროპა საქართველოსთვის წარმოდგებოდა შესაძლო მოკავშირისა და დამხმარის სახით, მაგრამ გარდა ამისა, ევროპა იყო უკვე იმ ცოდნის მატარებელი, რომლის ნაკლებობაც საქართველოში უკვე იგრძნობოდა. ამ ორივე მიზეზის გამო რომის პაპის მიერ გამოგზავნილი მისიონერები, როგორც წესი, დიდი პატივით სარგებლობდნენ საქართველოში.

ამავე დროს, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში XVIII საუკუნის შუახანებიდან შესამჩნევია მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხა. მანამდე ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარების და მანკიერებების დაძლევა ესახებოდათ როგორც ძველი, მტრების და ძნელბედობის შედეგად შელახული წყობილების და სოციალური ურთიერთობების აღდგენა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სულ უფრო ძლიერდება რეფორმების განხორციელების სურვილი, რომლის შედეგადაც საქართველოში უნდა გადმოეტანათ ევროპული სახელმწიფო წყობის, სამხედრო საქმის და განათლების მიღწევები. ამ პერიოდიდან ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში მკვიდრდება თავად სიტყვა „პოლიტიკა“, „პარტია“, „მასონი“ და მრავალი სხვა, ვრცელდება იმდროინდელი ევროპის პოლიტიკური იდეები, განათლებულ წრეებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ვოლტერის აზრები.<sup>1</sup> იმ დროს დაწერილი პოლიტიკური ტრაქტატი — ალექსანდრე ამილახვარის „ბრძენის აღმოსავლეთისა“ რომ წავიკითხოთ, მკაფიოდ იგრძნობა ევროპული პოლიტიკური იდეების — რუსოს, მონტესკიეს გავლენა. იქვე გამოიკვეთა კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი — განსხვავებულ კულტურულ-ისტორიულ პირობებში იმ დროისათვის მოწინავე ევროპული იდეების გადმონერგვა აპრიორულად, დადებითი შედეგის მომტანი არაა. მაგალითად, ამილახვარი მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას, მაგრამ ქართულ ნიადაგზე ამ იდეით არა მესამე წოდებას, არამედ მეფის წინააღმდეგ მებრძოლ მსხვილ ფეოდალებს შეიძლება ესარგებლათ.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო ქვეყნისათვის, მაგრამ ამავე დროს, მართალია დამახინჯებული ფორმით, მაგრამ კიდევ უფრო დაჩქარდა ქართული საზოგადოების ევროპეიზაცია. 1832 წელს, რუსეთისაგან განთავისუფლების მიზნით მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებს საქართველო უკვე ესახებოდათ კონსტიტუციური მონარქიად ან რესპუბლიკად, რომელიც მოწყობილი იქნებოდა იმდროინდელი დასავლური

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილ დავითს თავის ოთახში ეკიდა ვოლტერის სურათი, რითაც მამის შემფოთება გამოიწვია (იხ: პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფ.: ფედერაცია, 1936, გვ.70-71).

ნიმუშების შესაბამისად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პოლიტიკური აზროვნება უკვე მთლიანად ტრიალებს ევროპული იდეებისა და მოძღვრებების ფარგლებში. ამასთან საქართველოში, რუსეთის მსგავსად, დომინირებული ხდება სოციალისტური იდეოლოგია და სოციალისტური პარტიები. 1918-1921 წლებში კი, როდესაც საქართველომ თავი დააღწია რუსულ მმართველობას, ჩვენი ქვეყანა პირველი აღმოჩნდა მსოფლიოში, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ. უკვე მაშინ მკაფიოდ გამოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის საპირისპიროდ, საქართველოს ევროპული არჩევანი, არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ. თუმცა, დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს იტულებითი გასაბჭოების შედეგად.

რუსეთს და მისი წყალობით, საქართველოსაც ძალზედ ძვირი დაუჯდა ევროპულ ნიადაგზე წარმოშობილი რადიკალური იდეოლოგიის გაბატონება. საქართველომ შვიდი ათეული წლის მანძილზე ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იცხოვრა. ევროპა საქართველოსთვის იყო თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლოდ, რომლისკენაც სწრაფვა ბუნებრივი გახდა პოსტკომუნისტური განვითარების პერიოდში.

დღეს ევროპელობა საქართველოს მაღალ სტანდარტებს უყენებს ადამიანის უფლებების დაცვის, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრების, კონსტიტუციური მოწყობის, ხელისუფლების შტოების დაბალანსების, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის და სხვა მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც, მთლიანობაში, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმთავრესი ამოცანების გადაწყვეტას ნიშნავს.

## ○ დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება

2006 წლის 21 თებერვალს შესრულდა 85-ე წლისთავი საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებიდან, რაც დემოკრატიულ აღმშენებლობაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის უმნიშვნელო თარიღი არ არის. თუმცა, კონსტიტუციური ტრადიციისადმი პატივისცემის დამკვიდრებაც დემოკრატიული აღმშენებლობის შემადგენელ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას თვალსაჩინო ადგილი უკავია არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. 1921 წლის კონსტიტუციაში განსახიერებულია ის იდეები და მისწრაფებანი, რომელთა დამკვიდრებასაც ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეები. ამ დოკუმენტმა, რომელსაც ქვეყნის ძირითადი კანონის სახით, ფაქტობრივად, არ უმუშავია, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრისა და, მასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, უდავოდ იქნა მიჩნეული პრინციპი, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო.

1918-1921 წლებში საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატია მოვიდა. ამიტომ საქართველოს იმდროინდელი ლიდერები თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, ეპოვათ „მესამე გზა“ — როგორც თვითონ ამბობდნენ, დასავლეთის „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შეზღუდულობასა“ და საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ ექსპერიმენტს შორის. მათ ამ განწყობას სავსებით იზიარებდა იმდროინდელი ევროპის სოციალ-დემოკრატიაც.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ემიჯნებოდნენ ბოლშევიზმის თეორიასა და პრაქტიკას, ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნდათ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება საქართველოში. სოციალიზმისაკენ წინსვლა მათთვის მხოლოდ დემოკრატიის საფუძველზე იყო მისაღები, საქართველოს კონკრეტულ პირობებში უმთავრეს ამოცანად დემოკრატიული საზოგადოების შექმნა იყო მიჩნეული. ხელისუფლების სათავეში კი სოციალ-დემოკრატიის ყოფნის გამო, სახელმწიფოს შესაძლებლის მაქსიმუმი უნდა გაეკეთებინა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. სოციალ-დემოკრატიის მიერ დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავება კი განაპირობებდა იმის აუცილებლობას, რომ ის უნდა ყოფილიყო ყველაზე დემოკრატიული და, ამ მხრივ, სანიმუშო.

იმდროინდელი წამყვანი პოლიტიკური ძალებისთვის დამოუკიდებლობა და დემოკრატია განუყოფელი იყო. კონსტიტუციის ფუძემდებელთა მიერ, რიგ შემთხვევებში, სოციალისტური არგუ-



მენტაციის გამოყენების მიუხედავად, რაც განაპირობებდა თავისებურ პოლიტიკურ რომანტიზმსა და მესიანიზმს, 1921 წლის კონსტიტუცია ამკვიდრებდა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას.

ძირითადი პრინციპი, რომლის განხორციელებასაც ცდილობდნენ 1921 წლის კონსტიტუციაში, ხალხის სუვერენიტეტის რეალური უზრუნველყოფა იყო. კონსტიტუციის საერთო დემოკრატიული სულისკვეთებიდან გამომდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პარლამენტს. მისი დემოკრატიულობის უზრუნველყოფის მიზნით, კონსტიტუციურად მკვიდრდებოდა: ეგრეთ წოდებული, „შეზღუდული პარლამენტარიზმი“ — გათვალისწინებული იყო საკანონმდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის სისტემის ფართო გამოყენებით; პარლამენტის სრულხელისუფლებიანობა — იგი მხოლოდ „ხალხის ნებით იყო შეზღუდული და გარდა საკანონმდებლოსი, „აღმასრულებელი ორგანოს ნიშანსაც“ ატარებდა; ფუნქციონირების ოპტიმალური ვადა — ასეთად სამი წელი იყო მიჩნეული. მიაჩნდათ, რომ უფრო ხანგრძლივი ვადით არჩეული პარლამენტი „ხალხს მოსწყდებოდა“. უფრო ხშირი არჩევნები კი გამოიწვევდა აბსენტიზმს, ინდიფერენტიზმს და დიდ ხარჯებს სახელმწიფოსთვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობაში 1921 წლის კონსტიტუცია ყველაზე ნაკლებად მიჰყვებოდა „დასავლეთ ევროპულ პრაქტიკასა და თეორიას“ და, უპირატესად, საქართველოს იმდროინდელ გამოცდილებას ეყრდნობოდა. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება — რესპუბლიკის მთავრობა — კოლეგიას წარმოადგენდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. მთავრობას სათავეში ედგა თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი იყო და მას პარლამენტი ერთი წლის ვადით ირჩევდა. ამასთან ერთი და იმავე პირის ზედიზედ არჩევა მხოლოდ ორჯერ იყო დასაშვები. ეს შეზღუდვა, ისევე, როგორც პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფა, იმდროინდელი სოციალისტების უმრავლესობის აზრით, აუცილებელი იყო მაქსიმალური დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად.

1921 წლის კონსტიტუციის ფუნქციონირებისთვის უდავო იყო, რომ დემოკრატიზმი მართვა-გამგეობაში მოითხოვდა დეცენტრალიზაციას, მაგრამ მიაჩნდათ, რომ საქართველოს იმდროინდელ პირობებში ეს პარტიკულარიზმის საფრთხეს წარმოშობდა. კონსტიტუციით, საქართველოში ყალიბდებოდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც სხვა პარტიებთან ერთად, მხარი დაუჭირეს ქართველმა ფედერალისტებმაც. ამავე დროს, უნიტარიზმის პრინციპს უთავსდებოდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა და ავტონომიური მმართველობის დაშვება ზოგიერთი განაპირა კუთხისთვის. ავტონომიურ მმართველობას ხელი უნდა შეეწყო სახელმწიფოს „გამთელებისა და განმტკიცებისთვის“.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი პირველია, რომელშიც დაფიქსირებულია „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“, აღნიშნულ თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონსტიტუციის ავტორები. მათი აზრით, ეს იყო „სოციალიზმის მომავალი სამეფოსკენ“ გადებული ხიდი. მათ მიაჩნდათ, რომ ამ თავის მეშვეობით, დემოკრატიულ კონსტიტუციას „სოციალისტური ელფერი“ ეძლეოდა. განვლილ პერიოდში, გარკვეულწილად შეიცვალა თანაფარდობა სოციალისტურსა და სოციალურს შორის. ბევრი რამ, რასაც სოციალისტურად თვლიდნენ 1921 წლის კონსტიტუციის ფუნქციონირების, დღეს ადამიანის განუყოფელ უფლებებად მიიჩნევა და ზოგადი სახით დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. დღეს მათზე უარს ვერ იტყვის ვერც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო.

1921 წლის კონსტიტუციის ფუნქციონირების ეწრაფვოდნენ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებინათ ეროვნული საკითხის სანიმუშო, უაღრესად დემოკრატიული გადაწყვეტა. ეროვნულ უმცირესობებს ენიჭებოდათ ისეთი უფლებები, „რომლის მაგვარი არც ერთ კონსტიტუციაში არ მოიპოვება“. ამავე დროს, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა უნდა მომხდარიყო ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში და მისი ინტერესების პრიორიტეტიდან გამომდინარე. ეროვნული უმცირესობების უფლებები მოიაზრებოდა იმ ფარგლებში, „სადაც არ ილახება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესები“.

ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც გადაწყვიტა 1921 წლის კონსტიტუციამ, დღესაც აქტუალურია და წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას, გარდა ტრადიციისადმი პატივისცემისა, გარკვეული დახმარების გაწევაც შეუძლია.

## ○ წარსულის გახსენება — გზა მომავლისკენ

26 მაისი თანამედროვე საქართველოსთვის დამოუკიდებლობის სიმბოლოა და ამ სახით 26 მაისმა უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში.

1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა იმავე წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე. კითხვა, რაზედაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა, შემდეგნაირად ჟღერდა: „გინდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.<sup>2</sup> ამ დღეს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც სულ ორნახევარი წელი იარსება, მაგრამ მიუხედავად ამგვარი ხანმოკლე არსებობისა, მან უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე საქართველოს ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა წყობილება წარმოუდგენელი იყო არა მარტო აწმყოს, არამედ წარსულის რეგლამენტირების გარეშეც. საბჭოთა პერიოდში დაწერილი საქართველოს ისტორია სავსე იყო იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული სქემებით და მრავალრიცხოვანი „თეთრი ლაქებით“. ტაბუ ედო ყველაფერს, რაც წარსულის საბჭოურ სქემებში არ თავსდებოდა. წარსულის სურათი, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, დროდადრო ცვლილებებს განიცდიდა. ამასთან, ქრონოლოგიურად რაც უფრო ახლოს იყო თანამედროვეობასთან წარსულის პერიოდი, მით უფრო მეტი იყო „თეთრი ლაქები“ და აკრძალული თემები.

ამ მხრივ, საქართველოს ისტორიიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად „არ გაუმართლა“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდს. იმდროინდელი არა მარტო საარქივო დოკუმენტები, არამედ წიგნები ჟურნალ-გაზეთები მთლიანად სპეცსაცავებში გადაიტანეს, სადაც მოხვედრა მკვლევარს მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ შეეძლო და მკაცრად კონტროლდებოდა, თუ რას კითხულობდა და რას ამოიწერდა წაკითხულიდან. საბჭოთა საქართველოს ისტორიის წიგნებიდან აღნიშნული პერიოდი წარმოჩენილი იყო მხოლოდ როგორც „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მშრომელთა ბრძოლის“ ხანა და ოფიციალურ სახეიმო თარიღად მიჩნეული იყო 25 თებერვალი — 1921 წელს თბილისში წითელი არმიის შემოსვლის დღე.

გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ არა მარტო აწმყოზე გაავრცელა მეტ-ნაკლები სიტყვის თავისუფლება, არამედ წარსულიდანაც გახდა შესაძლებელი „თეთრი ლაქების“ ამოშლაც. თავად ეს ტერმინიც — „წარსულის თეთრი ლაქები“ სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა. საქართველოსთვის „წარსულის გახსნა“ ყველაზე მძლავრად სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს შეეხო. შეიძლება ითქვას, რომ 1988-1989 წლებში მოხდა ამ პერიოდის ისტორიის სრული გადაფასება, უფრო სწორედ კი გახსენება. ჟურნალ-გაზეთები სავსე იყო იმ პერიოდის შესახებ პუბლიკაციებით, ხელმისაწვდომი გახდა და ხელახლა ქვეყნდებოდა ემიგრაციაში დაწერილი ნაშრომებიც. შედეგად, ქართული საზოგადოებისათვის დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოდგებოდა როგორც აღდგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. წარსულის გახსენებამ შექმნა თანხმობა მომავლის თაობაზე. აღარავისთვის არ იყო სადავო, მაგალითად, თუ რა დროსა, გერბი და ჰიმნი უნდა ჰქონოდა პოსტსაბჭოურ საქართველოს. სწორედ ამ გარემოებამაც განაპირობა 1991 წლის რეფერენდუმზე დასმული კითხვის ზემოთ აღნიშნული ფორმულირებაც.

წარსულის „გახსენებამ“ შექმნა არა მარტო თანხმობა მომავლის თაობაზე, არამედ იმდროინდელ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მისცა დამოუკიდებლობის აღდგენის კონკრეტული პროგრამაც: საქართველოს რუსეთის წინაშე უნდა დაეყენებინა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის საკითხი. საბჭოთა რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულებით სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და საზღვრები, 1921 წლის თებერვალში კი ომის გამოუცხადებლად დაესხა საქართველოს და ეს „მშრომელთა აჯანყებად“ წარმოადგინა. თებერვალ-მარტის ომის შედეგად მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, როდესაც მოსკოვის მიერ შექმნილი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

<sup>2</sup> 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90,3%-მა. კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა 3.266.265 ადამიანმა, ანუ რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3%-მა. წინააღმდეგი იყო 17400 მოქალაქე, რაც რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53%, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48% შეადგენდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის აღნიშნული კონცეფციიდან არაფერი გამოვიდა, რადგანაც „დიალოგი წარსულის შესახებ“ რუსეთთან ვერ შედგა. რუსეთის მხარე არათუ მაშინ, არამედ დღესაც უარს ამბობს წარსულის გადაფასებაზე და საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის აღიარებაზე. წარსულში აგრესიის არაღიარება კი, როგორც წესი, ნიშანია იმისა, რომ არ გათავისუფლებულან აგრესიული ზრახვებისაგან აწმყოშიც.

## ○ 9 აპრილი

თვალი რომ გადავავლოთ საქართველოს უახლეს ისტორიას და მოვლენათა იმ ჯაჭვს გავეყვით, რომელმაც დღევანდელი მდგომარეობა მოგვიყვანა, 1989 წლის 9 აპრილს მივადგებით. მოვლენათა შემდგომი მსვლელობისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ აღმოჩნდნენ რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლესთან შეკრებილი მშვიდობიანი მომიტინგეები საბჭოთა არმიის დამსჯელი რაზმების წინაშე. სწორედ მომიტინგეების უმოწყალო დარბევამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოვლენათა შემდგომი მსვლელობა.

დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა, თუ ვინ გასცა კონკრეტულად ბრძანება მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის შესახებ; მომიტინგეებისა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი აცხადებდა, რომ „საქმის კურსში არ იყო“, იგივეს ამბობდა იმდროინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდგომში კი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. 9 აპრილის ტრაგედიის თემა დიდხანს ტრიალებდა შევარდნაძის წინაშე. ერთი პერიოდი ჯუმბერ პატიაშვილისგანაც მოელოდნენ, რომ იტყოდა სრულ სიმართლეს 9 აპრილის შესახებ და შევარდნაძეს დაადებდა ხელს. საბოლოო ჯამში, მომხდარზე პასუხისმგებლობა საქართველოს კომპარტიის იმდროინდელ პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს იგორ როდიონოვს დაეკისრათ.

რაც შეეხება, პასუხისმგებლობას ზოგადად, 9 აპრილის ტრაგედიაში დამნაშავე ქართველებისათვის რუსეთის იმპერია იყო, რომელიც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის სახით იყო წარმოდგენილი. „ვინც 1989 წლის იმ ჟამიან ღამეს, რუსეთის იმპერიის კაციაშია სპეცრაზმელებთან შეტაკებისას დაიღუპა, ჩვენმა ერმა გმირებად შერაცხა“, — წერდა 9 აპრილის მე-17 წლისთავის წინ ერთ-ერთი ქართული გაზეთი.<sup>3</sup> თუმცა, იმავე დღეს გამოსული მეორე გაზეთი აღნიშნავდა, რომ მართალია ნიჩბებით შეიარაღებული მედესანტეები რუსები იყვნენ, მაგრამ არმია „არარუსული — საბჭოთა იყო“ და მას „რუსეთთან, რუს ხალხთან საერთო არაფერი ქონდა“.<sup>4</sup>

„საბჭოთა კავშირისგან ჩაგრული რუსეთის“ თეზისი საქართველოში დიდად დამაჯერებლად არ გამოიყურება, მით უმეტეს, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში საბჭოთა თუ პრესაბჭოთა რუსეთისაგან დიდად არ განსხვავდება. რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეჩერება საქართველოსთვის დღესაც უმთავრეს ამოცანად რჩება.

ძნელი სათქმელია რის მიღწევას ცდილობდა კრემლი, როდესაც თბილისში მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის გადაწყვეტილება მიიღო. ალბათ, ამას უნდა მოჰყოლოდა ქართველების დაშინება და „ქართველების სამაგალითო დასჯით“ სხვების შეშინებაც. შედეგი საპირისპირო იყო და მომხდარმა კიდევ უფრო დააჩქარა ის პროცესები, რის შეჩერებასაც, სავარაუდოდ, კრემლი ცდილობდა. 9 აპრილს დაღუპულები ეროვნულ გმირებად იქნენ შერაცხული. თუმცა, ადამიანები 9 აპრილს მოწამვლის შედეგად შემდეგაც იღუპებოდნენ. „9 აპრილის“ ფონდის წარმომადგენელთა ინფორმაციით, აპრილის მოვლენების დროს მოწამვლის შედეგად 57 ადამიანი გარდაიცვალა.<sup>5</sup>

9 აპრილის სისხლიანმა ანგარიშსწორებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა და განაპირობა მოვლენათა განვითარება საქართველოში. მომხდარმა ტრაგედიამ მთლიანად გააკოტრა კომუნისტური რეჟიმი, რომელსაც არსებობის გაგრძელება აღარ შეეძლო. კომუნისტური პარტიის რიგებიდან დემონსტრაციულად და მასიურად გამოდიოდნენ რიგითი ადამიანები. მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის და პირველ რიგში მისი რადიკალური ფრთის ავტორიტეტი. 9

<sup>3</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 8.IV.2006

<sup>4</sup> „სვობოდნაია გრუზია“, 8.IV.2006

<sup>5</sup> „ალია“, 8-10.IV.2006

აპრილის შემდეგ „ზომიერი პოლიტიკა“ საქართველოში შეუძლებელი გახდა.

საქართველო აღმოჩნდა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა მრავალპარტიული, თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალმა საქართველომ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. შედეგად, 9 აპრილის ტრაგედიის მეორე წლისთავზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. იმავე წელს, 1991 წლის მაისში, ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა პირველ თავისუფალ საპრეზიდენტო არჩევნებში. საქართველო ხდებოდა იმ ქვეყნის ნიმუში, რომელიც კომუნისტურ რეჟიმს და იმპერიულ ბატონობას თავს აღწევდა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გზით. თუმცა, როგორც ჩანს, ამავე პერიოდში მზადდებოდა საქართველოს „დასჯის“ სცენარიც, რაც განხორციელდა სეპარატისტული მოძრაობების წახალისების, თავად ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დაპირისპირების გაღვივებით და ზვიად გამსახურდიას შეიარაღებული დამხობის გზით.

1989 წლის 9 აპრილს მოსკოვმა უარი თქვა დიალოგზე წასულიყო ქართულ საზოგადოებასთან, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდა. მოსკოვმა უარი თქვა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებაზე და ამ პოლიტიკას აგრძელებს დღემდე. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არჩეული „კონფრონტაციული მოდელი“ დღემდე ძალაშია. ამ პოლიტიკამ მძიმე ზიანი მიაყენა საქართველოს, მაგრამ მას შედეგად არ მოჰყოლია რუსეთის გავლენის აღდგენა საქართველოზე. პირიქით, საქართველო სულ უფრო მეტად ცდილობს რუსეთისგან დისტანცირებას.

## **თემა II. დამოუკიდებლობის 15 წელი: მიღწევები და შეცდომები**

15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 9 აპრილს მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია. განვლილი დრო სავსებით საკმარისია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად, მიღწევების შესაჯამებლად და სამომავლო პერსპექტივების განსასაზღვრელად, ისევე როგორც დაშვებული შეცდომების გამოსავლენად. საქართველო დიდი ხნის მანძილზე იყო ნეგატიური მაგალითი იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთოს ქვეყანამ, რომელსაც დამოუკიდებლობა და დემოკრატია უნდა. მიღწევებისა და არსებული პრობლემების გააზრებისას, ცხადია, გასათვალისწინებელია ის „სასტარტო პოზიციები“ და ობიექტური პირობები, რაშიც მოუხდა ქვეყანას ამ ხნის მანძილზე ცხოვრება. რაც მოხდა, ცხადია, იმაში ვედარაფერს შევცვლით, მაგრამ წარსულის შეცდომებისა და ხელიდან გაშვებული შანსების გათვალისწინებას, შეუძლია დღევანდელი და სამომავლო გზის გავლის გაადვილება.

### **○ ლიტვამ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც საქართველოსაც უნდოდა**

სანამ განვლილი 15-წლიანი გზის შეფასებას დავიწყებდეთ, ცოტა ხნით ახლო წარსულში დავბრუნდეთ და იმავე თემას „შედარებითი პოლიტიკის“ კუთხით შევხედოთ. ვარდების რევოლუციის წინ, 2003 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ლიტვის პრეზიდენტი როლანდას პაკსასი. მან სიამაყით აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის 12 წლის განმავლობაში ლიტვამ შეძლო უმთავრესი საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევა — გახდა ევროკავშირისა და ნატოს წევრი, ახლა კი შეუძლია ამ ორგანიზაციებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე იზრუნოს. ლიტვის პრეზიდენტის განცხადებით „საქართველოს შეუძლია ჩვენ მიერ განვლილი გზა შეამოკლოს, ჩვენი შეცდომები გაითვალისწინოს და უფრო იოლად გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციებში“.<sup>6</sup>

<sup>6</sup> „დილის გაზეთი“, 12.IX.2003

პასკასის მიერ გულწრფელად ნათქვამი სიტყვები, ცოტა არ იყოს, ირონიულად ჟღერდა. „გზის შემოკლება“ და „სხვისი შეცდომების გათვალისწინება“ ისეთი რამაა, რაც საქართველოს ხელისუფალთ, როგორც წესი, ნაკლებად ეხერხებათ. ეს ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობასაც კარგად ეტყობოდა. წარმატებული პოსტსაბჭოთა ქვეყნის ლიდერის ამ სიტყვებს ისმენდა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე, რომლის მმართველობის ბოლო პერიოდშიც საქართველოს მისი არაკეთილმოსურნეები სულ უფრო ხშირად „არშემდგარ სახელმწიფოს“ უწოდებდნენ.

ბალტიელი სტუმრის აღნიშნულმა სიტყვებმა კიდევ ერთხელ უბიძგა ადგილობრივ მედიას შეეფასებინა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილი გზა და ის ლიტვის ანალოგიური პერიოდის შედეგებისთვის შეედარებინა.

ლიტვა და საქართველო ტერიტორიული სიდიდითა და მოსახლეობით დაახლოებით ერთნაირი ქვეყნებია. ორივე ქვეყანა საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იყო. მათ პირველებმა გამოაცხადეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პასკასის აღნიშნული ვიზიტის დროს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დაახლოებით 12 წელი იყო გასული. ლიტვას, როგორც ვნახეთ, მიღწეული ჰქონდა ის, რასაც დამოუკიდებლობის აღდგენის დროს მიზნად ისახავდა, საქართველოს კი გადაუჭრელი პრობლემების გამო, არაკეთილმოსურნეები „არშემდგარ სახელმწიფოდ“ სახავდნენ. განსხვავება ორი ქვეყნის მიერ განვლილ გზაში თვალშისაცემი იყო. რა არის ამის მიზეზი?

მაშინ ქართულ მედიაში პროსახელისუფლო და ოპოზიციურ ძალებს შორის ცხარე დისკუსია გაიშალა იმის თაობაზე, იყო თუ არა ლიტვისა და საქართველოს სასტატო პოზიციები ერთნაირი და რამ განაპირობა ორი ქვეყნის განსხვავებული განვითარება — შიდა თუ გარე ფაქტორებმა. ხელისუფლების მხარდამჭერი ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს გაცილებით უფრო რთულ საშინაო და საგარეო პირობებში უხდებოდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ლიტვასა და ბალტიის სხვა სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დასავლეთმა მაშინვე „კალთა გადააფარა“ და რუსეთს მათ წინააღმდეგ მოქმედებების შესაძლებლობები შეუზღუდა. სამხრეთ კავკასიაში კი XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთს ყველაფრის გაკეთება შეეძლო. შედეგად მივიღეთ ეთნიკური კონფლიქტები, სეპარატისტული რეჟიმები და სახელმწიფო გადატრიალებები საქართველოსა და აზერბაიჯანში. პრინციპში, პრეზიდენტი მაშინვე შეიცვალა სომხეთშიც, როდესაც ტერ-პეტროსიანი მოსკოვისათვის მიუღებელი გახდა.

ცხადია, ყველაფერს მართო გარეშე ფაქტორს ვერ დავაბრალებთ. რუსეთმა კარგად გამოიყენა ის შეცდომები, რაც საქართველოში ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა დაუშვეს. უცხოური აგენტებით გაძევილ პოლიტიკურ სპექტრს მთლიანობაში ძალზედ დაბალი პასუხისმგებლობის გრძობა ჰქონდა და ადვილად წავიდა ვითარების სამოქალაქო ომამდე გამწვავების მიმართულელებით.

თავის როლს ასრულებდა ორი ქვეყნის — ლიტვისა და საქართველოს — მოსახლეობის განსხვავებული პოლიტიკური კულტურაც. როგორც პასკასმა აღნიშნა „საკუთარი სახელმწიფოს რწმენა“ ლიტვაში ძლიერი იყო. „შესაძლოა, ჩვენთვის ეს უფრო იოლი იყო იმის გამო, რომ უფროსი თაობის ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ ახსოვს ლიტვის დამოუკიდებლობა 1918-1940 წლებში“, — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა. საქართველოს დამოუკიდებლობა სულ ორნახევარი წელი ჰქონდა, 1918-1921 წლებში. მას შემდეგ საბჭოთა რეპრესიებმა რამდენიმე თაობის მანძილზე ერის საუკეთესო შვილები შეიწირა.

შედეგად, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, „ეროვნული ხელისუფლება“, როგორც თავს უწოდებდა ზვიად გამსახურდიას მთავრობა, ადვილად წალეკა კომუნისტურმა ნომენკლატურამ. სწორედ ამ ფენას ჰქონდა მტკიცე კავშირები, ქონება და სახელისუფლო გამოცდილება. მას აღმოაჩნდა საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ლიდერიც — ელუარდ შევარდნაძის სახით. მაგრამ ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურას მხოლოდ კორუფციასზე დამყარებული კლანური სახელმწიფოს შექმნა შეეძლო. საბოლოო ჯამში, დემოკრატია და რეფორმები მისთვის მხოლოდ დეკორაცია იყო. სწორედ ესაა საქართველოს პრობლემების თავი და თავი.

დასანანია, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიის პირველ ათწლეულში საქართველომ ხელიდან გაუშვა შანსი გაცილებით უკეთეს ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო. შეიძლება ვინმემ თქვას — წარუმატებლობის სათავე თავად ხალხია და არა ხელისუფლება, ეს ხელისუფლება ხომ ხალხის არჩეულიაო. მაგრამ თავად ხელისუფლების აღიარების თანახმად, საქართველოში არჩენები ყოველთვის

უღვთოდ ყალბდებოდა ხოლმე. პრინციპში, ამაზე დასავლეთელი მეგობრებიც თვალს ხუჭავდნენ, „უკეთესი მომავლის“ იმედით. მაგრამ საქმე ამით უკეთესობისკენ ნამდვილად არ შეცვლილა. 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბებას კი ვარდების რევოლუცია მოჰყვა, რამაც ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები გახსნა ქვეყნის წინაშე. ვარდების რევოლუციის შემდეგ უკვე ორ წელიწადზე მეტია გასული და ახლა, დამოუკიდებლობის 15 წლის გადასახედიდან, უკვე ვარდების რევოლუციის და მის შემდეგ განვლილი გზის შეფასებაც ხდება.

## ○ შეცდომები დამოუკიდებლობის გზაზე

განვლილი 15-წლიანი გზის შეფასების თაობაზე ცხარე პოლიტიკური დებატები უკვე გაიხსნა. ასოციაციამ „კანონი ხალხისათვის“, რომლის თავმჯდომარეა ზაქარია ქუცნაშვილი, ექსპერტთა გამოკითხვის გზით სცადა განესაზღვრა, თუ რა შეცდომები იქნა დაშვებული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. თავდაპირველად შეცდომათა სია 26-პუნქტიანი იყო. საბოლოოდ, ეს რიცხვი 13-მდე შეამცირეს. ეს ის შეცდომებია, რომლებზედაც ორგანიზაციის მიერ შერჩეული ექსპერტთა აზრი არ გაყოფილა და ყველამ მიიჩნია ძირითად შეცდომებად.

შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ დამოუკიდებლობის 15-წლიანი გზის შემდეგ სჯობს წარმატებებზე იყოს საუბარი. შეცდომებზე ყურადღების გამახვილება ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ განვლილი პერიოდი მეტად რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის. მეორე მხრივ, ოპოზიცია აუცილებლად შეეცდება, პირველ რიგში, შეცდომებზე ისაუბროს, ვიდრე მიღწევებზე.

პატარა ქვეყნისთვის შეცდომა პოლიტიკაში დაუშვებელი „ფუფუნებაა“, რაც შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. ასე იყო 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. „მაშინ საქართველომ დამოუკიდებლობა იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის მიერ დაშვებული შეცდომების გამო დაკარგა“, — ასეთია დღეს საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი. ამიტომ საზოგადოებაში არსებობს შიში პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების წინაშე. „ჩვენ არ გვინდა, მომავალშიც ვიაროთ შეცდომების გზით და საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავაც ხანმოკლე აღმოჩნდეს“, — ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ შეცდომების ნუსხა საზოგადოებას 2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების დღეს წარუდგინეს. „დამოუკიდებლობა და მისი თანმდევი კონსტიტუცია აღარასოდეს უნდა გახდეს აღსადგენი და ხელახლა ასამოქმედებელი. საქართველოს მშენებლობის პროცესი სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის იმდენად მყარ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რომ ხალხის თავისუფლება და კეთილდღეობა გარანტირებულად დაცული გახდეს“, — აღნიშნეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა.<sup>8</sup>

უმთავრესი უბედურება, რითაც იწყება დამოუკიდებლობის პერიოდში დაშვებული შეცდომების ნუსხა, ექსპერტთა აზრით, 1991-1992 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და 1992-93 წლების სამოქალაქო ომია. ქართველ ექსპერტთა აზრით, დამოუკიდებლობის პირველ წლებში გადატრიალმა ამ ტრაგიკულმა ფურცლებმა შექმნეს მოვლენათა ჯაჭვი, რომელთა უარყოფითი შედეგების დაძლევა ქვეყანას დღემდე ვერ მოუხერხებია.<sup>9</sup>

რადგანაც საქმე ისტორიულ გზას ეხება, მოსალოდნელი იყო, რომ დასახელდებოდა გარკვეული თარიღები და ამა თუ იმ დროს გადადგმული არასწორი ნაბიჯები. კომისიის წევრების მიერ ასეთი შეცდომები დასახელებული იყო. მაგალითად, დაგომისის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე

<sup>7</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 22.II.2006

<sup>8</sup> „ახალი თაობა“, 22.II.2006

<sup>9</sup> ამერიკის ქეთაქის შტატის ლუისვილის უნივერსიტეტის მიტჩ მეკონელის ცენტრის სპეციალისტებმა ამერიკელ ისტორიკოსებს შორის გამოკითხვა ჩაატარეს. გამოკითხვა მიზნად ისახავდა აშშ-ის პრეზიდენტების მიერ სხვადასხვა დროს დაშვებული უხეში შეცდომების გამოკვლევას. გამოკითხვის შედეგები ათი ყველაზე ტრაგიკული შეცდომის რეიტინგის სახით გამოქვეყნდა. ეს ღონისძიება აშშ-ის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის დაბადების დღეს მიეძღვნა. ცენტრის სპეციალისტების აზრით, პრეზიდენტების შეცდომების შესწავლით შთამომავლები, ალბათ, უფრო მეტს ისწავლიან, ვიდრე მხოლოდ მათი სასიქადალო საქმეებით ტკობით. გამოკითხვის შედეგად ყველა დროის ყველაზე ტრაგიკულ შეცდომად ისტორიკოსებმა პრეზიდენტ ჯეიმს ბიუკენენის მიერ სამოქალაქო ომის თავიდან აცილების უუნარობა აღიარეს. ისტორიკოსების თქმით, ბიუკენენი არასაკმარისად მტკიცედ აღუდგა წინ სამოქალაქო ომის დაწყების წინ სამხრეთ შტატების კავშირიდან გასვლის მცდელობას („ახალი თაობა“, 22.II.2006).

სამაჩაბლოში რუსი სამშვიდობოები შემოვიდნენ და რასაც მოჰყვა სოჭის ხელშეკრულება და რუსი სამშვიდობოების ენგურზე ჩაყენება, 1994 წლის 1 მარტს საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება და ა.შ.<sup>10</sup>

თუმცა, საბოლოო ჯამში, დასახელებული შეცდომათა ნუსხა „არაისტორიულ“ ხასიათს ატარებს და უფრო პრობლემათა ჩამონათვალია, რომელთა გადაუჭრელობაც დღევანდელ პირობებში ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ეს ჩამონათვალი, ზემოთ დასახელებულთან ერთად, „უმთავრესი შეცდომების“ სახელწოდებით, შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი:

- 1991-1992 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და 1992-93 წლების სამოქალაქო ომი;
- კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში;
- ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა;
- რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემოყვანა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში;
- დემოკრატიის და თვითმმართველობის განუვითარებლობა;
- სახელმწიფოს მისიის და ქვეყნის ეროვნული ინტერესების განუსაზღვრელობა;
- სამოქალაქო თანხმობის მიუღწევლობა;
- ადამიანური რესურსების არასწორი გამოყენება;
- სოციალური და ჯანდაცვის საიმედო და უსაფრთხო ბაზების შეუქმნელობა;
- დემოგრაფიული პოლიტიკის არარსებობა;
- კანონის უზენაესობის, სამართლიანობის და თანასწორუფლებიანობის პრინციპების უგულებელყოფა;
- ხელისუფლების შტოებს შორის გაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმების მოშლა (2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებები);
- სტრატეგიული ობიექტების გასხვისება.<sup>11</sup>

ზემოთ დასახელებული შეცდომების თუ გადასაწყვეტი ამოცანების უდიდესი ნაწილი ვარდების რევოლუციამდე იღებს სათავეს და ახალი ხელისუფლება მოწოდებულია გარკვეული ღონისძიებები გაატაროს დასახელებული მიმართულებებით. თუმცა, დღევანდელი ხელისუფლება „უმთავრესი შეცდომების“ წარმოდგენილ ნუსხას არ დაეთანხმება და რიგ შეცდომებს, მაგალითად „სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას“ იმ ნაბიჯად მიიჩნევს, რაც ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის უზრუნველყოფს.

## ○ დამოუკიდებლობის 15 წელი: რას მიგაღწიეთ

ასოციაცია „კანონი ხალხისათვის“ შერჩეულმა ექსპერტებმა შეცდომებთან ერთად, მიღწევების სიაც შეადგინა. განვლილი პერიოდის მთავარ მიღწევებად დასახელდა:

- სიკვდილით დასჯის გაუქმება;
- ტრანსკავკასიური პროექტები — აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ისტორიული ფუნქციის საქართველოსთვის დაბრუნება;
- საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- თავისუფალი მედიის შექმნა;
- დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გადადგმული ნაბიჯები;
- საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის გადადგმული ნაბიჯები;
- რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევა;
- ნატოში გასაწევრიანებლად გადადგმული ნაბიჯები;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტორიტარული რეჟიმის შეცვლა.<sup>12</sup>

<sup>10</sup> „რეზონანსი“, 22.II.2006

<sup>11</sup> „რეზონანსი“, 15.III.2006

ასოციაციის მიერ შეკრებილი ექსპერტების აზრი ვარდების რევოლუციის შესახებ ორად გაიყო. ზოგი მას მიღწევად თვლიდა, ზოგიც პირიქით — შეცდომად. იყო მოსაზრებაც, რომ ვარდების რევოლუციის შეფასების საკითხი სამომავლოდ გადაიდოს. მაგალითად, „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელის გიორგი ხუციშვილის აზრით, ვარდების რევოლუციის შესაფასებლად გარკვეული დროის გასვლაა საჭირო. ამას არ ეთანხმება გიორგი გაჩეჩილაძე. მისი თქმით, „ვარდების რევოლუცია არ მოეწონათ მხოლოდ სეპარატისტულ რეჟიმებს, დანარჩენი მსოფლიო კი აღტაცებას გამოხატავს. ამ დროს საქართველოში გამოჩნდა ინტელექტუალური ძალა, რომელსაც ამ მოვლენის მიღწევად ჩათვლა არ სურს და შესაფასებლად დროს ითხოვს. ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის დამხობით უკმაყოფილოა“.<sup>13</sup>

ვარდების რევოლუციის მიღწევად შეფასების მოწინააღმდეგენი მიუთითებენ, რომ ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომად იქნა მიჩნეული, ამიტომ ექსპერტთა იგივე ჯგუფმა ვარდების რევოლუცია მიღწევად არ უნდა ჩათვალოს. ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, არ შეიძლება ხელისუფლებაში ვინმეს მოსვლა საქართველოს მთავარ მიღწევად ჩაითვალოს და რაც მთავარია, ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის ფაქტის ქვეყნის მიღწევად მიჩნევა იქნება წაქეზება სხვა პოლიტიკური ძალებისა, რომლებმაც შესაძლოა, ასე მოინდომონ მთავრობის შეცვლა და პარლამენტში მოსვლა.<sup>14</sup>

## ○ რევოლუციის 16 გამარჯვება

ვარდების რევოლუციის მეორე წლისთავის წინა დღეებში თბილისის მოქალაქეებს უფასოდ ურიგდებოდათ პატარა ბუკლეტი სათაურით „საქართველოს 16 გამარჯვება, რომელიც ვარდების რევოლუციამ მოგვითანა“. წარმატებების ჩამონათვალი ოპოზიციამ მაშინვე სადავოდ გახადა და „სახელისუფლო პიარს“ მწარე კრიტიკით უპასუხა.

ბუკლეტი „ანონიმური“ იყო, რადგანაც მასზე არ იყო მითითებული დამკვეთისა და შემსრულებლის ვინაობა. არადა, კანონით სარეკლამო სააგენტაციო მასალაზე ეს ყველაფერი მითითებული უნდა იყოს. „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში უარყვეს ამ ბუკლეტთან რაიმე კავშირი, თუმცა, შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაადასტურეს, რომ ეს ბუკლეტი „ხელისუფლების ხელიდან“ იყო გამოსული.<sup>15</sup>

დღევანდელ ხელისუფლებას სიმბოლოები უყვარს და ზოგიერთი იმაზეც დაფიქრდა, თუ რატომაა ჩამოთვლილი მაინცდამაინც 16 გამარჯვება და არა ერთით მეტი ან ერთით ნაკლები. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოპოვებული „საქართველოს გამარჯვებების“ ნუსხა კი შემდეგნაირად გამოიყურება: 1. აჭარის დაბრუნება; 2. გაზრდილი ბიუჯეტი, პენსიები, ხელფასები; 3. უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება; 4. გზები და ინფრასტრუქტურა; 5. უკეთესი პირობები გლეხებისათვის; 6. საერთაშორისო ავტორიტეტი; 7. გაუმჯობესებული ბიზნესგარემო; 8. პოლიციის რეფორმა; 9. განათლების დიდი რეფორმა; 10. აღმშენებლობა; 11. უფრო ბედნიერი ბავშვები; 12. ბორჯომი, საჩუქარი ბავშვებს; 13. პატრიოტთა ბანაკები; 14. ძლიერი ჯარი; 15. ახალი სკოლები; 16. იაფი საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

გამარჯვებების აღნიშნულმა ჩამონათვალმა კიდევ უფრო გაამწვავა დავა ვარდების რევოლუციის შედეგების შესახებ. რევოლუციით აღძრულმა ეიფორიამ უკვე გაიარა და ადამიანები კონკრეტულ შედეგებს ელიან. ასეთ ფონზე მიღწევების თაობაზე საუბარი ბევრისთვის გამაღიზიანებელია სწორედ ამის გამოყენებას შეეცადა ოპოზიცია. ჩამოთვლილ მიღწევებში კი მართლაც ბევრი რამ საკამათოა. მაგალითად, „გაუმჯობესებული ბიზნესგარემო“. ამ მიმართულებით რომ ბევრი რამაა გასაკეთებელი, ამას თავად ხელისუფლებაც აღიარებს; არც გლეხობა გრძნობს თავს უკეთესად და არც გაზრდილი ბიუჯეტის სიკეთე დასტყობია დიდად ხელფასებსა და პენსიებს. ქვეყანაში მძიმე სოციალური ვითარებაა და მხოლოდ მისი უკეთესობისაკენ შეცვლა იქნება ყველაზე მთავარად არგუმენტი ვარდების რევოლუციის სასარგებლოდ.

<sup>12</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 15.III.2006

<sup>13</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 15.III.2006

<sup>14</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 15.III.2006

<sup>15</sup> „ალია“, 19-21.XI.2005



ხელისუფლების 16 გამარჯვების დაწვრილებით კრიტიკასთან ერთად, ოპოზიციურმა გაზეთმა „არგუმენტი“ გამოაქვეყნა ვარდების რევოლუციის მიერ მოტანილი 16 დამარცხების სია: 1. უფრო გაჭირვებული მოსახლეობა; 2. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივების გაუარესება; 3. პრესის თავისუფლების შეზღუდვა; 4. საქართველოს მეცნიერული პოტენციალის მოსპობა; 5. მართლმადიდებლობასთან ბრძოლა; 6. სახელმწიფო რეკეტი; 7. ურთიერთობების გაუარესება აზერბაიჯანთან, რუსეთთან და სომხეთთან; 8. კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება; 9. ახალი კლანების ჩამოყალიბება; 10. სასამართლო ხელისუფლების მიკერძოებულობა; 11. ბიზნესგარემოს გაუარესება; 12. ეროვნული იდენტურობის დისკრედიტაცია; 13. ფასების გაზრდა; 14. საქართველოს ამერიკანიზაცია; 15. ინტელექტუალური კაპიტალის გადინების ზრდა; 16. ახალი ეთნოკონფლიქტების პერსპექტივის ზრდა.<sup>16</sup>

რაც შეეხება სახელისუფლო-სარეკლამო ბროშურის ხარისხს, მას საკმაოდ დაბალი შეფასება მიეცა ექსპერტთა მხრიდან. „ფვიქრობ, ნაცმოძრაობას მეტი რესურსი აქვს და შეეძლო უფრო ხარისხიანი პიარის გაკეთება“, — აღნიშნა პიარკომპანია „ნიკოლო-ემ“-ის დირექტორმა გიორგი დალაქიშვილმა.<sup>17</sup> მისივე შეფასებით, თავად ბროშურა მასაზეა გათვლილი და არის ტიპიური „იმედის პიარტექნოლოგია“ — „არსებობს ელექტორატის ნაწილი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილოა ხელისუფლების, იმედი მაინც შერჩა... როცა ადამიანს გამუდმებით ეუბნები, რომ მის გარშემო ბევრი კარგი რამ კეთდება, ის იწყებს ფიქრს: მართალია, ჯერ ეს კარგი მე არ მეხება, მაგრამ მომავალში მეც ყველაფერი კარგად მექნება“.<sup>18</sup> თუმცა, ისიც ცხადია, რომ თუკი დროთა განმავლობაში ეს იმედები არ გამართლდა, მსგავსი რეკლამა მხოლოდ უარყოფით შედეგს მოიტანს.

## ○ ხელისუფლების მიღწევები და ჩაგარდნები

როგორც ვნახეთ, ვარდების რევოლუციის ორი წლის შემდეგ ხელისუფლების მიღწევებისა და წარუმატებლობების თემა აქტუალური თავად ხელისუფლებამ გახადა. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ ბუკლეტს ხელისუფლების 16 გამარჯვების შესახებ ოპოზიციური პარტიების მხრიდან მოჰყვა ამ გამარჯვებათა გაქარწყლების მცდელობები და ხელისუფლების წარუმატებლობათა გრძელი ნუსხების შედგენა. საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია „გორბიმ“ გადაწყვიტა თავად მოქალაქეების აზრი გამოეკვლია ამ საკითხზე. ათას რესპოდენტს მთელი საქართველოს მასშტაბით (კონფლიქტური რეგიონების გარდა) სთხოვეს დაესახელებინათ ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელისუფლების 3 ყველაზე წარმატებული და წარუმატებელი ნაბიჯი.<sup>19</sup>

გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოქალაქეები მთავრობის მიერ გადადგმულ 15 ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად მიიჩნევენ შემდეგს: 1. გზების დაგება; 2. პატრული და პოლიციის რეფორმა; 3. პენსიების ზრდა და დროულად გაცემა; 4. უფასო სასწრაფო დახმარება; 5. ელექტროენერჯის მიწოდების გაუმჯობესება; 6. განათლების რეფორმა; 7. აჭარის შენარჩუნება-დაბრუნება; 8. ჯარის გაძლიერება და რეფორმები; 9. ქალაქის კეთილმოწყობა, ფასადების გალამაზება; 10. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; 11. საგარეო პოლიტიკა; 12. უფასო სასაბილოების გახსნა; 13. ხელფასების გაზრდა; 14. რუსეთის ჯარის გაყვანა; 15. ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობის ბუკლეტში მთავრობის მიერ გატარებულ წარმატებულ ნაბიჯებს შორის არ იყო დასახელებული უფასო სასაბილოები, რუსეთის ჯარების გაყვანა, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა, ქალაქების კეთილმოწყობა და ფასადების გალამაზება.

რაც შეეხება მთავრობის წარუმატებელ ნაბიჯებს, გამოკითხულთა აზრის გათვალისწინებით, ეს სია შემდეგნაირად გამოიყურება: 1. სამუშაო ადგილების მწვავე სიმცირე; 2. ტერიტორიული მთლიანობის მოუგვარებლობა; 3. ფასების ზრდა; 4. სამსახურებიდან ხალხის შემცირება; 5. მცირე ხელფასები და პენსიები; 6. განათლების რეფორმა; 7. სოციალური პოლიტიკა; 8. საწარმოების პრივატიზაცია; 9. მართვის სექტორში არაკვალიფიცირებული კადრების არსებობა; 10. სოფლის

<sup>16</sup> „არგუმენტი“, 17-23.XI.2005

<sup>17</sup> „ალია“, 19-21.XI.2005

<sup>18</sup> „ალია“, 19-21.XI.2005

<sup>19</sup> „რეზონანსი“, 21.XII.2005

მეურნეობისადმი უყურადღებობა; 11. რაიონებისადმი უყურადღებობა; 12. კორუფციასთან წარუმატებელი ბრძოლა; 14. დაპირებების შეუსრულებლობა; 15. რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა.

როგორც ვხედავთ, მთავრობისადმი პრეტენზიების ნუსხაც სერიოზულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ნაბიჯი, როგორცაა განათლების რეფორმა ან კორუფციასთან ბრძოლა შედის როგორც წარმატებულ, ისე წარუმატებელ ნაბიჯთა სიაში.<sup>20</sup>

## ○ მარტ ლაარი: საქართველოს ბედი უახლოესი ერთნახევარი წლის განმავლობაში გადაწყდება

ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარტ ლაარი, რომლის დამსახურებადაც ითვლება ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 2006 წლის მაისში ერთი წლით დაინიშნა პრეზიდენტ სააკაშვილის სპეციალურ მრჩეველად დაინიშნა. მას ევალება ეკონომიკური რეფორმების კოორდინაცია და კონსულტირება გარდამავალ პერიოდში. რადიო „თავისუფლები-სათვის“ 9 ივნისს მიცემულ ინტერვიუში ლაარმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის გადამწყვეტი მომენტი დგება: ან ახლანდელი ზეწოლა რუსეთის მხრიდან ქვეყანას მიიყვანს სრულ ეკონომიკურ კოლაფსამდე, ან ქვეყანა გახდება პოსტსაბჭოური წარმატებული განვითარების კიდევ ერთი მაგალითი.<sup>21</sup>

ლაარის თქმით, რაც უფრო მეტად ეცნობა საქართველოში არსებულ ვითარებას, მით უფრო უძლიერდება გრძნობა, რომ აქ არსებული ვითარება ძალზედ გავს ესტონეთში 1993-1994 წლებში არსებულ ვითარებას. ეკონომიკა — კრახის ზღვარზეა, წარმოების არსებული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთის ბაზრებისათვის დაბალხარისხოვანი ენერგოტევადი საქონლის წარმოებას, უმოკლეს ვადაში უნდა შეიცვალოს ახალი მიდგომით, რომელიც ორიენტირებული იქნება დასავლური ბაზრებისათვის შედარებით მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოებით. ესტონეთის მსგავსად, ასევე არის ძლიერი ზეწოლა რუსეთის მხრიდან, რომელიც ცდილობს ჩაშალოს საქართველოს დასავლეთისკენ შემობრუნება.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, შეუძლია თუ არა საქართველოს ესტონეთის შედარებითი წარმატების გამეორება, ლაარი აღნიშნავს, გარკვეული აზრით საქართველოს შანსები დიდია. ამის იმედს აძლევს საქართველოს სახელმწიფო სამსახურში მოსული ახალგაზრდობა, რომლებიც, ისევე როგორც ეს ესტონეთში იყო, მზად არიან იმოქმედონ მიღებული კურსის შესაბამისად.

მაგრამ საქართველო კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე ესტონეთი იყო 1993-1994 წლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკარგულია 15 წელი, რასაც მოჰყვა გარემოებათა უაღრესად რთული დამთხვევა, რაც ესტონეთში ასეთი უკიდურესი ფორმით არ ყოფილა. საქართველოს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ნგრევის ხარისხი გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ეს თავის დროზე ესტონეთში იყო.

გარდა ამისა, მარტ ლაარის აზრით, საქართველოს მდგომარეობას ესტონეთთან შედარებით ისიც ართულებს, რომ რუსეთი გაცილებით უფრო ძლიერი გახდა. რუსეთის შესაძლებლობები განახორციელოს თავისი გეგმები დღეს შეუდარებლად უფრო დიდია, ვიდრე ეს იყო ესტონეთის მიმართ 1993-1995 წლებში. ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან შეხამებული, უაღრესად რთულ სიტუაციას ქმნის.

საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზები უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოსთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულია. ერთნი ამტკიცებენ, რომ საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება, სხვები კი, პირიქით, ამბობენ, რომ ყველაფერი ცუდად იქნება. როგორც

<sup>20</sup> მე-60 წარუმატებელი შორის: წარუმატებელ-არასტაბილური ქვეყნების ნუსხა ჟურნალმა „ფორენ პოლისი“ და „ფორ პისმა“ შეადგინეს. გამოკვლევაში 148 ქვეყანა შეაფასეს. ამ ნუსხაში საქართველოს მე-60 ადგილი უჭირავს. მსოფლიოში ყველაზე არასტაბილურ ქვეყანად სუდანი დასახელდა. მეორე და მესამე ადგილები კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და კოტ-დივუარმა გაინაწილეს. მე-4 ადგილზე ერაყია, ნუსხის ათეულს კი ავღანეთი ასრულებს. რუსეთი რეიტინგით 43-ე ადგილზეა, ბელორუსი კი 50-ეზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე „წარუმატებელი“ 22-ე ადგილზე გასული უზბეკეთი აღმოჩნდა. მოლდოვა კი ამ ნუსხაში 57-ე ადგილზეა („რეზონანსი“, 3.V.2006)

<sup>21</sup> <http://www.svobodanews.ru/Article/2006/06/09/20060609150016830.html>

ლაარი აღნიშნავს, ამ უკიდურეს თვალსაზრისებს შორის „რაც უშუალოდ“ ძიება არასწორი იქნებოდა. მართალი ერთ-ერთი მხარეა, მაგრამ რომელი, ამ მხრივ ბევრი რამ თავად საქართველოზეა დამოკიდებული. გარკვეული აზრით კი ყველაფერი შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს გამართლებაზეც.

ლაარის შეფასებით, „საქართველოს ეკონომიკა იწყებს დადებითი სიგნალების გამოცემას და მიმდინარე რეფორმებს ნაყოფი გამოაქვთ, მაგრამ რაიმეს ზუსტად თქმა შეუძლებელია დაახლოებით მომავალი ერთნახევარი წლის მანძილზე.“

გარდა ამისა, ლაარის თქმით, იმისათვის, რომ ცვლილებების სტაბილიზება მოხდეს, საქართველომ უნდა გაატაროს ძალზედ მკაფიო და ძალზედ მტკიცე რეფორმები საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად. „ქვეყანას ესაჭიროება უცხოური კაპიტალდაბანდებები და თანაც დიდი მოცულობით. ამ გარემოებების გაუთვალისწინებლად ყველაფერი შეიძლება ცუდად დასრულდეს“.<sup>22</sup>

უცხოური ინვესტიციების საჭიროების თაობაზე ლაარის სიტყვების კომენტარებისას, ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი ირონიულად შენიშნავს: „ეტყობა, პრეზიდენტის მრჩეველს დაუმაღეს, უცხოელი ინვესტორი ბევრი რომ მოგვაწყდა და ყველა უკანმოუხედავად რომ გავაქციეთ. რატომ? — ეგ მიზეზი ხელისუფლებაში უფრო კარგად იციან და ჯერ იმათ ჰკითხოს“.<sup>23</sup>

ლაარი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „უახლოესი ორი წლის განმავლობაში საქართველოს დასჭირდება ევროპისა და მთელი დასავლეთის სამყაროს არაორაზროვანი მხარდაჭერა და არა მარტო სიტყვიერად, არამედ ძალზედ თვალსაჩინოდ, საქმით“. ლაარი იმასაც შენიშნავს, რომ ეს მხარდაჭერა არ გულისხმობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. „ეს იქნებოდა უტოპიური მიზანი“ და ლაარის აზრით, „მოცემულ ეტაპზე არცთუ სასარგებლო საქართველოსთვის“. ლაარი აღნიშნავს, რომ ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლება დადგა უფრო რეალისტურ პოზიციაზე და სავსებით ესმის, რომ „საქართველოს ევროკავშირში წევრობა არ შეიძლება იყოს მისი უახლოესი მიზანი“. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო აჩერებს ევროპასთან ინტეგრაციას, ერთობლივი პროგრამების რეალიზებას ან ევროკავშირის კანონების მიღებას ეს უფრო ზოგადი მიზანი არავითარ შემთხვევაში არ უქმდება, მაგრამ „ამასთან საქართველო ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ ევროკავშირის წევრობისკენ ლტოლვა ამ სიტუაციაში საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა“.<sup>24</sup>

არსებული კრიტიკული ვითარების შექმნაში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დამნაშავე არ არის, მაგრამ პასუხისმგებელია ამ ვითარებიდან გამოსავლის პოვნაზე და სწორედ ამაზე მიუთითებს მისი ესტონელი მრჩეველი.

### თავი III. ეროვნული უსაფრთხოება

#### ○ პარლამენტმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება მოითხოვა

2004 წლის სექტემბერში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება და საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა მოითხოვა. პარლამენტარებმა სპეციალური განცხადებით მიმართეს პრეზიდენტთან არსებულ უშიშროების საბჭოს. კანონმდებელთა აზრით, ამ დოკუმენტის არქონა შექმნილ ვითარებაში უკვე ყოვლად მიუღებელი იყო და აფერხებდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების თაობაზე საქართველოში ლაპარაკი 1994 წლიდან მიმდინარეობს. ამ საქმეში ქვეყანას უცხოელი სპეციალისტებიც ეხმარებოდნენ და რამდენიმე კონფერენციაც ჩატარდა. შემუშავდა რამდენიმე პროექტიც. თუმცა საქმე ამის იქით არ წასულა. შემუშავებულ დოკუმენტთანაა რომელიმეს ოფიციალური პროექტის სახე არ მისცემია და

<sup>22</sup> „ალია“, 13-14.VI.2006

<sup>23</sup> „ალია“, 13-14.VI.2006

<sup>24</sup> „რეზონანსი“, 13.VI.2006; <http://www.svobodanews.ru/Article/2006/06/09/20060609150016830.html>

განსახილველად არ გამოქვეყნებულა.

პრინციპში, ეს გასაგებიცაა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქვეყანა საბოლოოდ ჩამოყალიბებული თავის საგარეო პრიორიტეტებში არ ყოფილა. შევარდნაძისათვის დამახასიათებელი დასავლეთსა და რუსეთს შორის „დაბალანსების პოლიტიკა“ ფაქტობრივად გამორიცხავდა ქვეყნის მიერ დასავლური ორიენტაციის მკაფიოდ და ცალსახად დაფიქსირებას.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის თებერვალში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების საკითხი დააყენა მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა. გენშტაბი მაშინ სამხედრო დოქტრინის შემუშავებას ცდილობდა და ამას ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი კონცეფციის არარსებობის გამო ვერ იწყებდა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საბაზისო დოკუმენტს წარმოადგენს, რის საფუძველზეც სამხედრო დოქტრინა, ე.წ. „თეთრი წიგნი“ და „სტრატეგიული რეფორმის გადახედვა“ უნდა მომზადდეს.<sup>25</sup>

იმავე წლის შემოდგომაზე კი პარლამენტარებმა სწორედ გელა ბეჟუაშვილისგან მოითხოვეს უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება, რომელმაც თავდაცვის მინისტრის პოსტიდან უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე გადაინაცვლა. პარლამენტში მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა, ახალი ტიპის საფრთხეების წარმოშობამ, აგრეთვე საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების მტკიცე გადაწყვეტილებამ, ქვეყანა საკუთარი ხალხის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული ფასეულობების ეფექტური დაცვის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დააყენა.<sup>26</sup>

გარდა ამისა, მეზობელ ქვეყნებში, პირველ რიგში კი, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ნათელი გახადა, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. საქართველოს პარლამენტი აღნიშნავდა, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბება ამასთანავე საქართველოსა და ნატოს შორის არსებული ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გადაუდებელი ვალდებულებაც იყო.

„ჩვენ ასევე ვთვლით, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსებობა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად“, — ნათქვამია პარლამენტის მიერ უშიშროების საბჭოსათვის მიმართვის ტექსტში.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოსთვის სამაგალითო შეიძლება ყოფილიყო ბალტიის რესპუბლიკების გამოცდილება. მათ მიერ შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები ყველანაირ საშიშროებას ითვალისწინებენ. მაგალითად, ქვეყნის ანექსიისა და ოკუპაციის შემთხვევაში საჭირო სამოქმედო გეგმაც კი არის განსაზღვრული. „ქართული მხარე სწორედ ამ პრინციპით მოქმედებას აპირებს და ჩვენი კონცეფციაც ასე დაწვრილებით იქნება გაწერილი. სხვაგვარად მოქმედებისა და ნახევრადგამომცხვარი დოკუმენტის შემუშავების უფლება არც გვაქვს“, — აღნიშნავდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა.<sup>27</sup>

პარლამენტში, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების მოთხოვნასთან ერთად, ისიც ესმოდათ, რომ სიჩქარე ამ საქმეში შეიძლება სერიოზული შეცდომების მიზეზი აღმოჩნდეს, ამიტომ ხაზს უსვამენ, რომ უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება „გონივრულ ვადებში“ უნდა მოხდეს. ამდენად, იმის თქმისაგან, თუ კონკრეტულად რა ვადებში მოხდებოდა ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის შემუშავება, ყველა თავს იკავებდა. შემუშავების შემდეგ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია განსახილველად წარედგინება ქვეყნის პრეზიდენტს და პარლამენტს.

<sup>25</sup> „ხვალინდელი დღე“, 1.X.2004

<sup>26</sup> „ახალი თაობა“, 3.X.2004

<sup>27</sup> „ხვალინდელი დღე“, 1.X.2004

## ○ ეროვნული უსაფრთხოება დიდი საფრთხის წინაშე

2005 წლის 13 მაისს საპარლამენტო კომიტეტებში დაიწყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა. აღნიშნული დოკუმენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერაა შემუშავებული. ექსპერტებისა და დეპუტატების ნაწილის წინასწარი შეფასებით, დოკუმენტი, რომლის შემუშავებასაც უცხოელი რეკომენდატორები ჯერ კიდევ ათი წლის წინ ითხოვდნენ, დაუხვეწავია და წარმოდგენილი სახით მისი მიღება გაუმართლებელი იქნებოდა.<sup>28</sup>

დოკუმენტი 7 თავისაგან შედგება. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩამოყალიბებულია ქვეყნის უსაფრთხოების განვითარების ხედვა, განსაზღვრულია ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები და ინტერესები, აღწერილია ის საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც ემუქრება ან შეიძლება, მომავალში დაემუქროს ქვეყანას.

კონცეფცია ქვეყნის ძირითად ეროვნულ ღირებულებებად აცხადებს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მშვიდობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემას, მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას. აღნიშნულ ღირებულებებს ეფუძნება ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: ტერიტორიულ და ეროვნული მთლიანობას; რეგიონულ სტაბილურობას; თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცებასა და ენერჯის მოწოდების ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფას; ქვეყნის და რეგიონის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფას.

კონცეფციის პროექტის მიხედვით, საქართველოს საფრთხეებს წარმოადგენს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტები, სამხედრო ინტერვენცია, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები, კონტრაბანდა და ტერორიზმი. კონცეფციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა მცირეა, თუმცა, იქვე შენიშნავენ, რომ ქვეყანა არაერთხელ დამდგარა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის წინაშე, რაც საპაერო, სახმელეთო და საზღვაო სივრცის სისტემატურ დარღვევაში გამოიხატა.<sup>29</sup>

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებას სახელმწიფო მართვის გაძლიერება, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წესრიგის აღდგენა წარმოადგენს.<sup>30</sup> ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის მთავარ საშიშროებად მიჩნეულია დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ძირს უთხრის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას. „დარღვეულმა ტერიტორიულმა მთლიანობამ, თუ არ მოხერხდა მისი დროული და ეფექტური მოგვარება, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოს, როგორც სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს არსებობას“, — აღნიშნულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.<sup>31</sup>

როგორ ვარაუდობს კონცეფცია კონფლიქტების მოწესრიგებას? უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგების საშუალებად მიიჩნევს პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას, რომელიც სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ავტონომიის სტატუსს, გამორიცხავს ძალის გამოყენებას და ემყარება უმცირესობათა უფლებების დაცვას.

აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზად მიჩნეულია დიტერ ბოდენის ხელმძღვანელობით გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „თბილისისა და სოხუმის შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ“. მემარჯვენე ოპოზიციისათვის ბოდენის დოკუმენტი მიუღებელია, რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, დავით გამყრელიძის თქმით, „პრეზიდენტის მიერ ევროკავშირში გაჟღერებული ინიციატივა დოკუმენტის სახით არავის უნახავს“.<sup>32</sup>

როგორც უკვე ითქვა, ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს შორის მოიხსენიება რუსეთის სამხედრო ბაზებიც. დოკუმენტში ჩამოთვლილია ის პრობლემები, რაც რუსული სამხედრო ბაზების

<sup>28</sup> „ხვალინდელი დღე“, 14.V.2005

<sup>29</sup> „24 საათი“, 16.V.2005

<sup>30</sup> „ხვალინდელი დღე“, 14.V.2005

<sup>31</sup> „24 საათი“, 16.V.2005

<sup>32</sup> „ხვალინდელი დღე“, 16.V.2005

საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა ქმნის: „ბაზების უკანონო არსებობა ლახავს ქვეყნის სუვერენიტეტს, ეროვნულ უსაფრთხოებას და ხელს უშლის ეროვნული ერთიანობის მიღწევას. სამხედრო ბაზების არსებობა ძირს უთხრის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას და უარყოფითად მოქმედებს გარემოზე“.

კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდება; ევროკავშირში გაწევრიანება კი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვან გარანტიად იქცევა.

ქართულ მედიაში აღინიშნებოდა, რომ სასურველია კონცეფციის განხილვაში არა მარტო პარლამენტარებმა და პარტიებმა, არამედ აკადემიურმა წრეების და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა. ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მარტო საპარლამენტო უმრავლესობის კი არა, მთლიანად საზოგადოების თვალსაზრისს უნდა გამოხატავდეს და მასში ჩამოყალიბებული დებულებების თაობაზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი უნდა არსებობდეს.

## ○ სტრატეგიული პარტნიორობიდან პრაგმატულ თანამშრომლობამდე

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტმა, ჯერ კიდევ პარლამენტში განხილვის დროს მიიქცია საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება. კონცეფციის პროექტში, სხვა საკითხებთან ერთად, ჩამოყალიბებულია საქართველოს საგარეო პრიორიტეტები და დახასიათებულია საქართველოს თანამშრომლობის ხასიათი რიგ ქვეყნებთან. სომხურ პრესაში უკმაყოფილება გამოიქვეყნა იმის გამო, რომ უკრაინა და თურქეთი საქართველოს „სტრატეგიულ პარტნიორობად“ მოიხსენიებიან, ხოლო სომხეთთან ურთიერთობას „პრაგმატული თანამშრომლობის“ შეფასება ეძლევა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობად მიჩნეული იყო მხოლოდ სამი ქვეყანა: აშშ, უკრაინა და თურქეთი. მოკლედ იყო დახასიათებული თითოეულ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოსთვის. შემდეგ განხილული იყო „პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან“ და „პარტნიორობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან“. თუმცა, აზერბაიჯანთან ურთიერთობაზე საუბრისას მითითებული იყო, რომ „საქართველოს ურთიერთობა აზერბაიჯანთან სტრატეგიულ პარტნიორობად ჩამოყალიბდა“. სომხეთის თაობაზე კი აღნიშნულია, რომ „საქართველოს პრაგმატული თანამშრომლობა აკავშირებს სომხეთთან ორმხრივი ინტერესების ყველა სფეროში“.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის ამ დებულებას განაწყენებული გამოეხმაურა სომხური ინტერნეტგამოცემა „პანარმენიან ნეტვორკი“, რომელიც აღნიშნავდა: „რა თქმა უნდა, თანამშრომლობაში და პრაგმატიზმში ცუდი არაფერია. სხვა საკითხია, რომ ჩვენთვის მოკუთვნილი რანგი არანაირად არ უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების მიერ სომხეთისათვის გამოცხადებული საუკუნო ძმობასა და სიყვარულს“.<sup>33</sup>

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა საპასუხოდ აღნიშნავდა, რომ ამ განსაზღვრებაში საწყენი და არაკორექტული არაფერია. „არ მესმის, რატომ უნდა სწყენოდეთ ეს ფრაზა. პრაგმატულ თანამშრომლობაში საწყენი არაფერია. ასეთი თანამშრომლობა ღია, ორივე მხარის ინტერესებზე ორიენტირებულ ურთიერთობას გულისხმობს“, — აღნიშნა რურუამ.<sup>34</sup>

უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობა მართლაც განსხვავებულად იყო დახასიათებული, მაგრამ ეს იყო ასახვა არსებული მდგომარეობისა. კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს აზერბაიჯანთან აკავშირებს ერთობლივი ენერგეტიკული, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ, არამედ რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებასაც ემსახურებიან. ამ პროექტების ამოქმედების შემდეგ მოხდება ალტერნატიული ენერგორესურსების მიწოდება ევროპულ ბაზარზე. გარდა ეკონომიკური

<sup>33</sup> „რეზონანსი“, 21.V.2005

<sup>34</sup> „რეზონანსი“, 21.V.2005

პროექტებისა, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს აზერბაიჯანთან პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროებში, ასევე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში და სუამის ფარგლებში.

სომხეთის განსხვავებული საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტებისა და ყარაბაღის კონფლიქტის გამო, თბილისსა და ერევანს შორის თანამშრომლობა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში დღეს ფაქტობრივად გამორიცხულია. ამავე დროს, საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები. კონცეფციის პროექტში ხაზგასმულია, რომ „სომხეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება ორივე სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებში შედის და ხელს უწყობს ორი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ სტაბილურობას“.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში ასევე გათვალისწინებულია სომხეთის სატრანზიტო ინტერესებიც. „ორივე ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ერთობლივი ეკონომიკური, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების სიკეთე. საქართველოს მიაჩნია, რომ სომხეთმა სარგებელი უნდა ნახოს საქართველოს ტრანზიტული მდებარეობისგან სომხური პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებით“. თუმცა, აფხაზეთში არსებული კონფლიქტის გამო საქართველო ვერ ახერხებს სომხეთის „უმთავრესი სატრანზიტო ინტერესის“ დაკმაყოფილებას და აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენას. ამას ხელს უშლის არა საქართველოს პოზიცია, არამედ სომხეთის სტრატეგიული პარტნიორის — რუსეთის მოქმედება, რომელიც აგრძელებს სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის აქტიურ მხარდაჭერას.

საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნიდან გამომდინარე, გარკვეული დაძაბულობა სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებშიც ჩნდება. რუსული ბაზების საქართველოდან წასვლა აღიქმება როგორც რუსეთის პოზიციების შესუსტება სამხრეთ კავკასიაში. რუსეთი კი სომხეთის სტრატეგიული მოკავშირეა აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის პირობებში.

ცხადია, ვითარება სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად შეიცვლება, თუკი მოხერხდება წინსვლა ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში. ამის თაობაზე ცალკეა აღნიშნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტში. „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის არსებობა საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების სტაბილურობას. საქართველო მიესალმება ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიურ ჩართვას სამშვიდობო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას“, — ნათქვამია დოკუმენტში.

## ○ საფრთხეები განსაზღვრულია — ისინი ჩრდილოეთიდან გვემუქება

2005 წლის 4 ოქტომბერს პარლამენტში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტმა ჯერ კიდევ სამი თვის წინ — 8 ივლისს დაამტკიცა. კონცეფციის ტექსტი სასწრაფოდ მომზადდა და ისეთივე სისწრაფით დამტკიცდა. აღნიშნული დოკუმენტის შესახებ მოსაზრებების გამოთქმა მხოლოდ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მოასწრეს, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე კი უკვე დამტკიცებული დოკუმენტი გამოდის. პრეზენტაცია მიზნად ისახავდა ზაფხულში სასწრაფოდ მიღებული აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობის ხაზგასმას და საზოგადოებისათვის მის გაცნობას. შესაძლოა, პარლამენტში საჭიროდ მიიჩნიეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში დაფიქსირებული პრიორიტეტების კიდევ ერთხელ წარმოჩენა ქვეყნისთვის საკმაოდ რთულ პერიოდში, როდესაც უაღრესად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთან.

შევარდნაძის ხელისუფლებას უჭირდა პოზიციების მკაფიოდ დაფიქსირება, განსაკუთრებით დასავლეთისკენ სწრაფვისა, იმ მოტივით რომ რუსეთი ძალზედ გაღიზიანდებოდა. ახლა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მიღებულია და მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ საქართველო ესწრაფვის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, რომ აშშ-სა და უკრაინის სახით ჰყავს სტრატეგიული პარტნიორები, ხოლო რუსეთი ამ სტატუსის მატარებლად მიჩნეული არ არის. კონცეფციის თანახმად, რუსეთთან საჭიროა ურთიერთობის ნორმალიზება, მაგრამ ამისათვის გარკვეული ნაბიჯები, პირველ რიგში, რუსეთმა უნდა გადადგას.<sup>35</sup>

<sup>35</sup> „ახალი თაობა“, 5.X.2005

4 ოქტომბერს გამართულ პრეზენტაციაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას „ფუნდამენტური დოკუმენტი“ უწოდა, „რომელიც ქვეყნის ყველა პრიორიტეტულ მიმართულებას ეხება და ნატოსთან საქართველოს დაახლოებას ითვალისწინებს“.<sup>36</sup>

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი აღნიშნულ დოკუმენტს „ქვეყნის უსაფრთხოების განვითარების საგზაო რუკას“ ადარებს, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობას შეახსენებს, „სად იმყოფება ამჟამად და საით მიემართება საქართველო“.<sup>37</sup>

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი თეზისები პრაქტიკულად საქართველოს სამოქმედო გეგმა და სახელმწიფო პოლიტიკა. ამ დოკუმენტის შესაბამისად მოქმედება ევალუბათ საქართველოს სახელმწიფო უწყებებს. სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ და წარმოადგინონ დარგობრივი უსაფრთხოების კონცეფციები, რომელშიც უფრო კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული ქვეყნის განვითარების მიმართულება. წესით, 2005 წლის ბოლომდე უნდა მომზადდეს დოკუმენტები თავდაცვის, ენერგეტიკული, ეკონომიკური, კულტურული თუ საგარეო უსაფრთხოების შესახებ.<sup>38</sup>

ქვეყნისთვის მთავარ საფრთხედ მიჩნეულია დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც ძირს უთხრის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას. ეს საფრთხე კი მნიშვნელოვანწილად რუსეთის პოლიტიკიდან მომდინარეობს. უნდა ითქვას, რომ კონცეფციის მიღების შემდეგ გასულ მცირე დროში მნიშვნელოვანი სიახლეა ქვეყნისთვის უმთავრესი საფრთხის მასშტაბების დაფიქსირებაზე. ოფიციალური თბილისი უკვე ლაპარაკობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ანექსიის მცდელობაზე.

კონცეფცია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამის სურვილი მოსკოვს უახლოეს მომავალში არ ექნება. რიგი ექსპერტების აზრით, უფრო მოსალოდნელია ურთიერთობების გამწვავება და პროვოკაციები, რადგანაც მოსკოვს აღიზიანებს არა მარტო საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისაკენ, არამედ თავისი სამხედრო ბაზების გაყვანის გარდუვალობა და საქართველოს მიერ კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნაც.

## ○ სამხედრო სტრატეგია საფრთხეების წინააღმდეგ

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისა და მიღების შემდეგ სასწრაფოდ შემუშავდა მისგან გამომდინარე ეროვნული სამხედრო სტრატეგიის კონცეფცია, რომელსაც პრეზიდენტმა 2005 წლის ნოემბერში მოაწერა ხელი. ესაა საქართველოში მიღებული ამ სახის პირველი ოფიციალური დოკუმენტი. სტრატეგია უსაფრთხოების კონცეფციას ეფუძნება და 2010 წლამდე განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გეგმებს და საქმიანობას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ჩვენი თავდაცვის პოლიტიკა ძირითადად მიმართულია ქვეყნის აგრესიისაგან დაცვაზე და ნატოში გაწევრიანებაზე. ეროვნული სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრა ნატოში გაწევრიანებისათვის მომზადების აუცილებელი პირობაა.

მიღებული დოკუმენტის თანახმად, რეფორმების შემდეგ საქართველოს ისეთი შეიარაღებული ძალები უნდა ჰყავდეს, რომელიც თავისუფლად შეძლებს მონაწილეობა მიიღოს ნატოს ნებისმიერ ოპერაციაში. საქართველოს შეიარაღებული ძალები მაქსიმალურად პატარა, მაგრამ მობილური, მოქნილი და ეფექტური უნდა იყოს. ამისათვის კი ძალზედ ბევრი რამაა გასაკეთებელი. სტრატეგიის მიხედვით, პროფესიონალური ჯარის ჩამოყალიბება 2010 წელს უნდა დასრულდეს.

„ეს საკვებით ადეკვატური დოკუმენტია იმ საფრთხეების მიმართ, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას“, — აღნიშნავს ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე.<sup>39</sup>

სამხედრო სტრატეგიაში თავდაცვის პოლიტიკის ხუთი ძირითადი პრინციპია ჩამოყალი-

<sup>36</sup> „24 საათი“, 5.X.2005

<sup>37</sup> „24 საათი“, 5.X.2005

<sup>38</sup> „ხვალინდელი დღე“, 5.X.2005

<sup>39</sup> „ხვალინდელი დღე“, 26.XI.2005



ბებული:<sup>40</sup>

— პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება;

— ნატოსთან ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა — საფრთხეების სიმრავლე საქართველოს უბიძგებს აქტიურად ითანამშრომლოს საერთაშორისო გაერთიანებებთან და ნატოსთან. ნატოში გაწევრიანება „მოკლე ვადაში“ იგეგმება;

— სტრატეგიული ვითარების ზუსტად შეფასების უნარი — ეს აუცილებელია სწორი მოქმედებისათვის. საჭირო ინფორმაციის მისაღებად კი საჭიროა სადაზვერვო შესაძლებლობების გაუმჯობესება;

— კავკასიის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება — საქართველო აღიარებს სხვა ქვეყნების სამართლიან ინტერესებს და სურს მათთან თანამშრომლობა;

— საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა — საქართველოს მომავალი საერთაშორისო წესრიგზე და მოკიდებული და საქართველო ვალდებულია იღებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მის უზრუნველყოფაში. სტრატეგიის მიხედვით, მომავალი 5 წელი საბრძოლო ოპერაციებში ერაყში, ავღანეთსა თუ კოსოვოში ისევ იქნებიან ჩართული ქართველი სამხედროები.

ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ის საფრთხეებიც, რაც ქვეყანას დღეისათვის ემუქრება.<sup>41</sup> მთლიანობაში კი საქართველოს გარშემო არცთუ სასიამოვნო ვითარებაა შექმნილი: საქართველო გარშემორტყმულია ძლიერი და მეტი შესაძლებლობების მფობლებით, გააჩნია მრავალი პოტენციური მოწინააღმდეგე, რომელთაც ბევრი არასტანდარტული ოპერაციის ჩატარება შეუძლიათ. საქართველოს კი არ შეუძლია ყველაფერზე სათანადო რეაგირება.

ნომერ პირველ საფრთხედ ჩრდილო კავკასია და სახელმწიფო, რომელიც საშიში და არასტაბილურია, გაყინული კონფლიქტები და ახალი კრიზისული კერების წარმოშობის საშიშროებაც არსებობს. ქვეყნის ყველაზე რეალურ საფრთხედ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და გაყინული კონფლიქტები სახელდება. დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვან საფრთხედ განიხილება საქართველოში არსებულ კონფლიქტურ კერებში მოქმედი სეპარატისტული ხელისუფლებები და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზები, ისევე როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალები. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მათ გაყვანამდე მკაცრი ყურადღებაა საჭირო, რათა დახმარება არ აღმოუჩინონ სეპარატისტებს.

საფრთხეები ასევე იზრდება სამრეწველო და სტრატეგიული ინფრასტრუქტურის მიმართ, რაც შესაძლოა დივერსიული და ტერორისტული აქტების მოწყობაში გამოიხატოს. ასეთი საფრთხე შესაძლოა უფრო რეალური მას შემდეგ გახდეს, რაც საქართველო მნიშვნელოვან საერთაშორისო-ეკონომიკურ პროექტებში ჩაერთვება.

ცალკე საფრთხედ გამოყოფილია ის გარემოება, რომ საქართველო შეიძლება საერთაშორისო ტერორიზმის სამიზნე აღმოჩნდეს — საქართველო ახლო აღმოსავლეთს ესაზღვრება და თან ანტიტერორისტული კოალიციის წევრიცაა.

რუსული ბაზებისა და რუსი სამშვიდობოების საფრთხედ გამოცხადება რუსეთში გაღიზიანებას გამოიწვევს. ამიტომაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი საგანგებოდ განმარტავდა, რომ ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში რუსეთი არ განიხილება როგორც პირდაპირი საფრთხე საქართველოსთვის. საფრთხეა არა რუსეთი, არამედ რუსეთში არსებული ტენდენციები, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩნეთის კონფლიქტი, რომლის გამოც საქართველოს პრობლემები პანკისის ხეობაში შეექმნა. მინისტრის თქმით, ასეთივე სცენარი შესაძლოა დადესტანში კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაშიც განვითარდეს. ოქრუაშვილი ადასტურებს, რომ საქართველო მზად არის აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად რუსეთის მხარესთან აქტიურად ითანამშრომლოს.<sup>42</sup>

ამგვარმა განცხადებებმა საეჭვოა რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები დაამშვიდოს, მაგრამ საფრთხეების ზუსტად განსაზღვრა და მათ შესახებ ხმამაღლა განცხადება აუცილებელია ამ მუქარების გასაწივრად.

<sup>40</sup> „ალია“, 26-28.XI.2005

<sup>41</sup> საფრთხეების ჩამონათვალი მედიისათვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა. „ეროვნულ სტრატეგიაში საფრთხეების განსაზღვრის დროს, საბედნიეროდ, ავტორები არავის და არაფერს მორიდებიან“, — აღნიშნავდა გაზეთი „ალია“ (26-28.XI.2005).

<sup>42</sup> „ხვალინდელი დღე“, 26.XI.2005

## თავი IV. ვარდების რეგოლაცია და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები

ვარდების რეგოლაციის სახელით ცნობილმა 2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა არა მარტო საქართველოსთვის. ის რაც ჯერ საქართველოში და შემდეგ უკრაინაში მოხდა, მიიჩნევა მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებად, რომელიც სახეს უცვლის მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეს. მაგრამ ჩვენი სტატიის თემა უფრო ვიწროა: რა გავლენა მოახდინა ვარდების რეგოლაციამ სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებაზე. თანაც, რადგანაც სტატია თბილისშია დაწერილი, ეს იქნება „ხედი საქართველოდან“.

### ○ 2003 — სამხრეთ კავკასიის საარჩევნო წელი

2003 წელი სამხრეთ კავკასიაში არჩევნებით დახუნძლული აღმოჩნდა. ამასთანავე თავიდანვე ცხადი იყო, რომ მათ შედეგებზე ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ამ ქვეყნების შემდგომი განვითარება. სამხრეთკავკასიური საარჩევნო კალენდარი კი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სომხეთში 5 მარტს საპრეზიდენტო, ხოლო 25 მაისს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, 15 ოქტომბერს უკვე აზერბაიჯანში შედგა საპრეზიდენტო არჩევნები, სამხრეთკავკასიური საარჩევნო ციკლი კი 2 ნოემბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებმა დაასრულა, რომელსაც ვარდების რეგოლაცია მოჰყვა.

სანამ საქართველოში მომხდარი ვარდების რეგოლაციის მეზობელ ქვეყნებზე ზეგავლენის შესახებ ვისაუბრებდეთ, მართებული იქნება ორიოდ სიტყვით იმის დახასიათება, თუ რა ფონი შეუქმნეს საქართველოში განვითარებულ პროცესებს მეზობელ ქვეყნებში ჩატარებულმა არჩევნებმა და, შესაძლოა, გარკვეულწილად განსაზღვრეს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პოზიცია, რაც, საბოლოო ჯამში, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

როგორც ითქვა, „საარჩევნო საქმეებს“ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან პირველი სომხეთი მორჩა. ამ ქვეყანაში 5 მარტს გამართულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა დასავლეთელი და დსთ-ს ქვეყნების დამკვირვებელთა მხრიდან. „სომხეთის ხელისუფლებამ სანდო არჩევნებზე უარის თქმით შემდგომი დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის რიჩარდ ბაუჩერის განცხადებაში.

დასავლეთელი კოლეგებისგან განსხვავებით, დსთ-ს ქვეყნებიდან ჩასულმა დამკვირვებლებმა სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებს მაღალი შეფასება მისცეს და მას დემოკრატიული და ლეგიტიმური უწოდეს. დამკვირვებელთა მიერ ერთსა და იმავე არჩევნების ამ განსხვავებულ შეფასებებს თავისებური ახსნა მოუძებნა პრეზიდენტ ქოჩარიანის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა. მისი თქმით, „დსთ-ს დამკვირვებლები კარგად იცნობენ აქაურობას და აქაურ მენტალიტეტს. ადამიანები, რომლებსაც აქ არ უცხოვრიათ, ვერ ახსნიან აქ მიმდინარე მოვლენებს“. დასავლეთელი დამკვირვებლები კი იქ ცხოვრობენ, „სადაც დემოკრატიაზე თავისებური წარმოდგენა აქვთ“.

ეუთოსა და ევროსაბჭოს მეთვალყურეების შეფასებით, სომხეთის საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტოსთან შედარებით უკეთ ჩატარდა, მაგრამ „საერთაშორისო სტანდარტებს საკვანძო ასპექტებით მაინც არ შეესაბამებოდა“. სამაგიეროდ, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, საპარლამენტო არჩევნებს კვლავ მაღალი შეფასება მისცეს დსთ-ს დამკვირვებლებმა. მისიის ხელმძღვანელის იური იაროვის თქმით, არჩევნები „თავისუფალი და დემოკრატიული იყო“, დაფიქსირდა მხოლოდ უმნიშვნელო დარღვევები, რასაც „არსებითი გავლენა არ მოუხდენია მოქალაქეთა ნების თავისუფალ გამოხატვაზე“.

სომხეთის „უახლესი“ საარჩევნო გამოცდილებიდან საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას, რომელიც თავად ემზადებოდა არჩევნებისათვის რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეეძლო: ხელისუფლება ძველებურად ატარებს არჩევნებს და იმარჯვებს; დსთ-ს დამკვირვებლები უპირობოდ ღებულობენ არჩევნების შედეგებს; დასავლეთელი დამკვირვებლები მართალია კრიტიკულად აფასებენ პოსტსაბჭოურ არჩევნებს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ურიგდებიან ამ არჩევნების შემდეგ გამარჯვებულ ხელისუფლებას. ქართული ხელისუფლების „სომხური დასკვნები“ კიდევ

უფრო განამტკიცა აზერბაიჯანში განვითარებულმა მოვლენებმა.

საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს უშუალოდ წინ უსწრებდა 15 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში. ამ დროისათვის საქართველოში წინასაარჩევნო ძალთა განლაგება უკვე გამოკვეთილი იყო, ორივე ბანაკი — სახელისუფლოც და ოპოზიციაც თვალს ადევნებდა, თუ როგორ ჩაივლიდა არჩევნები აზერბაიჯანში. კაცმა რომ თქვას, აზერბაიჯანში ჩატარებული არჩევნები ქართულ პოლიტიკურ სპექტრს მოახლოებული 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების თვალსაზრისით აინტერესებდა, თორემ ამ არჩევნებს რომ რაიმე არსებითი ცვლილება არ მოჰყვებოდა ორი ქვეყნის პარტნიორულ ურთიერთობებში, ეს არავისთვის საეჭვო არ ყოფილა.

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში ერთხმად იმეორებდნენ, რომ მსგავსი რამ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში არ უნდა გამეორებულყო. თუმცა, თუ „რა არ უნდა გამეორებულყო“ ამის თაობაზე იმდროინდელი ხელისუფლებასა და ოპოზიციას განსხვავებული მოსაზრებები ქონდათ.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ არათუ მთლიანად მოიწონა ილჰამ ალიევის მოქმედება არჩევნების შემდეგ, არამედ აღნიშნა, რომ არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად მზადაა იგივე მოიმოქმედოს რაც მოხდა ბაქოში. „არავის ვაშინებ, მაგრამ უკან არ დავიხევ, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს“, — განაცხადა ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტმა. ამ განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვა ოპოზიციურ წრეებში. ოპოზიციის განცხადებით დაუშვებელი იყო სწორედ არჩევნების გაყალბება და ძალის გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

ოპოზიცია შიშობდა, რომ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებდა. ხელისუფლება კი ოპოზიციის ნაწილს წინასწარვე ადანაშაულებდა დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობაში, რომელსაც ეს უკანასკნელი სწორედ არჩევნების გაყალბების ლოზუნგით გეგმავდა. „ისა გამბარი თავისი მუსავატებით ძალიან ჩამოჰკავს ჩვენს მიხეილ სააკაშვილს თავისი ნაციონალებით. ეს ჩვენი ნაციონალები კი არჩევნებამდეც იყვნენ ცემა-ტყეპის ინიციატორები და არჩევნების შემდეგაც იქაღნებიან არეულობის მოწყობას“, — აღნიშნული იყო აზერბაიჯანში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სამთავრობო პოზიციის დამცველ ერთ-ერთი სტატიის<sup>43</sup>.

ოპოზიციის ნაწილი და პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც აცხადებდა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მასობრივ საპროტესტო აქციებს მიმართავდნენ. ხელისუფლებას უკვე მომზადებული ჰქონდა მათთვის „უცხო ქვეყნის აგენტების“ იარაღი, რომლებიც „ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ჩაშლას აპირებენ“. აგენტები, ცხადია, უნდა დაეჭირათ, ნავთობსადენის ხსენებას კი დასავლეთი უნდა გაეჩუმებინა, რომელსაც ამ დროს გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, „სტაბილურობა“ ურჩევნია „დემოკრატიას“.

თავის მხრივ, ოპოზიცია ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ „ბაქოს სცენარი“ თბილისში არ გამოდგებოდა, რადგანაც ხელისუფლებას ძალა არ ეყოფოდა რეპრესიებისთვის. შესაძლოა, „აზერბაიჯანული სცენარი“ მართლაც ცუდი მაგალითი აღმოჩნდა საქართველოს სამთავრობო ბლოკისათვის, რომელიც შევარდნაძის ხელმძღვანელობით 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა.

## ○ პოსტსაბჭოური არჩევნების ფენომენი

საქართველოსა და უკრაინის ხავერდოვან რევილუციებამდე დემოკრატიული არჩევნები, როგორც ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის გზა, დსთ-ს სივრცეში განწირული ჩანდა. მმართველი წრეები არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ აპირებდნენ ხელისუფლების არჩევნების გზით დათმობას და მზად იყვნენ ყველაფერი ელონათ არჩევნების „სასურველი შედეგების“ მისაღებად. გაყალბებული არჩევნების დროს დგება ორი პრობლემა: ერთი ქვეყნის შიგნით, თუ რამდენად შეურიგდება ოპოზიცია ხელისუფლების მსგავსი მეთოდებით მოპოვებულ მორიგ გამარჯვებას და მეორე ქვეყნის გარეთ, თუ რამდენად მწვავე და მოცემული რეჟიმისათვის საშიში აღმოჩნდება საერთაშორისო საზოგადოებრიობის რეაქცია არჩევნების დროს მომხდარ დარღვევებზე.

ხელისუფლებას ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში კარგად ჰქონდა ათვისებული „დეკორაციული არჩევნების“ ჩატარების პრაქტიკა. თუმცა, დემოკრატიული საფარველით შემოსილ ავტორიტარულ

<sup>43</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 18.X.2003

რეჟიმებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ არჩევნების გაყალბების დროს, რითაც პრინციპში იწყება „დეკორაციული დემოკრატია“. ამგვარი დემოკრატიის იმიტაციის დროს დემოკრატიული ინსტიტუტები და პრინციპები რეალურ შინაარსს მოკლებულია, მაგრამ თავიანთი ფორმალური ხასიათის მიუხედავად, დეკლარირებული დემოკრატია გარდუვალად ამრავლებს ადამიანებს, რომელთაც პროტესტის გრძნობა უჩნდებათ სიტყვით აღიარებულ პრინციპებსა და რეალობას შორის არსებული სხვაობის გამო. ამ მხრივ პრობლემები ყველაზე მეტად იჩენს თავს სწორედ არჩევნების დროს, როდესაც მილიონობით ადამიანის ნება უსინდისოდ და ყველას თვალწინ უნდა გაყალბდეს, რათა „დემოკრატიული ლეგიტიმურობა“ კიდევ ერთხელ შეიძინონ ქვეყნის სათავეში მდგომმა პირებმა. არჩევნების გამყალბებელი ხელისუფლებისადმი გაბოროტებას კი ისიც აძლიერებს, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და ხელისუფლება წლების მანძილზე მხოლოდ „უკეთესი მომავლის“ დაპირებებს იძლევა.

საქართველოში, პირველ რიგში, აინტერესებდათ დასავლეთის რეაქცია მეზობელ ქვეყნებში გამართულ არჩევნებზე. დეკორაციული დემოკრატიის პირობებში დიდ იმედს ამყარებენ „ნამდვილი“ დემოკრატიული ქვეყნებიდან ჩამოსულ დამკვირვებლებზე, რომლებმაც ადგილობრივი დემოკრატიის ენთუზიასტების აზრით, თავიანთი ობიექტური სიტყვა უნდა თქვან არჩევნების გაყალბების შემთხვევაში. 2003 წლის 15 ოქტომბერს აზერბაიჯანში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა დიდი ნაწილის მოქმედებამ კი ცოტა არ იყოს, ცივი წყალი გადაასხა ამგვარ მოლოდინს. აზერბაიჯანში ჩატარებულ არჩევნებში მხოლოდ „ცალკეული დარღვევების“ დანახვამ ბევრი კითხვა წარმოშვა თავად უცხოელ დამკვირვებელთა ინსტიტუტის მისამართით. „სამარცხვინო არჩევნების სამარცხვინო შეფასებები“ — ასეთი სათაური ჰქონდა ერთ-ერთ ქართულ გაზეთში ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიას. თუმცა, ეს, ცხადია, ყველა დამკვირვებელზე არ ითქმის.<sup>44</sup>

აზერბაიჯანში არჩევნებისადმი დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოში განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა. მედიაში ცდილობდნენ გაერკვიათ, „რაც შეიძლება ალიევისთვის, რატომ არ შეიძლება შევარდნაძისთვის“ და რატომაა დასავლეთი საქართველოს მიმართ „უფრო მომთხროფი“. ამ შემთხვევაში, ორი ქვეყნის შედარებისას, აღინიშნებოდა საქართველოს უფრო მეტი მზაობა დემოკრატიული არჩევნებისთვის.

## ○ გარდების რეგოლაცია საქართველოში

2003 წელი საქართველოში პოლიტიკურად უაღრესად დაძაბული იყო. შევარდნაძის 12 წლიანი მმართველობის შედეგად ჩამოყალიბებული კორუმპირებულ-კლანური სისტემა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდა. თავად შევარდნაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „კორუფციის დამარცხების“ გარეშე საქართველოში არათუ დემოკრატია ვერ დამკვიდრდებოდა, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა თავად სახელმწიფოებრივი არსებობაც. დასავლეთის დახმარებითა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით იქმნებოდა ანტიკორუფციული კომისიები და პროგრამები. მიუხედავად ამისა, კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა არ დაწყებულა. არ არსებობდა შესაბამისი პოლიტიკური ნება. სისტემა არ აპირებდა იმ ტოტის მოჭრას, რაზეც იჭდა.

შევარდნაძეს დასავლეთელი მეგობრები, პირველ რიგში აშშ-დან, დაჟინებით სთავაზობდნენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარებინა და გზა დაეთმო ახალი თაობის პოლიტიკოსებისათვის. ეს იყო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის, განახლების შანსი. მაგრამ ამ მოწოდებებს შევარდნაძემ იგნორირება გაუკეთა. ამაოდ დაშვრა აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯიმს ბეიკერი, რომელიც თავის მეგობარს ე.შევარდნაძეს ეწვია იმისათვის, რომ შეემუშავებინათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ისეთი წესი, რომელიც ოპოზიციას დააკმაყოფილებდა და არჩევნების სამართლიანად ჩატარების გარანტიებს შექმნიდა. თანდათანობით ცხადი გახდა, რომ შევარდნაძეს და მის გარემოცვას სულ სხვა არჩევანი ჰქონდათ გაკეთებული.

შევარდნაძის გარშემო სასწრაფოდ შეიქმნა ე.წ. სამთავრობო ბლოკი, რომელშიც თავი

<sup>44</sup> „24 საათი“, 18.X.2003

მოიყარეს არსებული სისტემის შენარჩუნებით დაინტერესებულმა ძალებმა. ცესკ-ის დაკომპლექტების ბეიკერის ცნობილი გეგმის უგულვებლყოფამ სერიოზული ეჭვები გააჩინა, რომ ხელისუფლება კვლავ არ აპირებდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ეს დასავლეთისგან მხარდაჭერის დაკარგვას ნიშნავდა, მაგრამ ხელისუფლებაში მყოფი კლანები მზად იყვნენ დასავლეთისგან დისტანცირებისთვისაც.

ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკა უცნაურად გადაეხლართა ერთმანეთს. არსებული სისტემის შენარჩუნება არჩევნების გაყალბებასა და რუსეთზე ორიენტაციას ნიშნავდა, რომელსაც თავად ჰქონდა სერიოზული პრობლემები დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, დემოკრატიული ფასეულობებისა და პრინციპების რეალური დამკვიდრება კი გულისხმობდა არსებული კორუმპირებულ-კლანური სისტემის დემონტაჟს, დასავლეთზე ორიენტაციას.

მოვლენათა განვითარება არჩევნების წინა თვეებში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ საქართველოს განახლებისა და დემოკრატიული არჩევნების შანსი აღარ ჰქონდა. ოპოზიცია შეთანხმებასა და გაერთიანებას ვერ ახერხებდა. სამთავრობო ბლოკი ქვეყანას სწრაფად მიაქანებდა ჩიხისაკენ, რომელსაც „არშემდგარი სახელმწიფო“ ჰქვია.

2 ნოემბრის არჩევნების გაყალბებამ საბოლოოდ გააქრო საზოგადოების მოლოდინი, რომ ქვეყანა განახლების გზას დაადგებოდა. შევარდნაძის ხელისუფლება ხალხს ურცხვად ეუბნებოდა, რომ არაფერი შეიცვლებოდა, რომ პარლამენტში ისევ ის ადამიანები იჯდებოდნენ, რომლებმაც ხელი მოითბეს ქვეყნის სავალალო მდგომარეობით, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ბედიც და მემკვიდრეს შევარდნაძე შეარჩევდა, თუ მას რალაც ფორმით არ გაუგრძელებდნენ უფლებამოსილებას.

ძნელი სათქმელია, რა დახმარებას შეპირდა რუსეთის ხელისუფლება შევარდნაძეს არჩევნების წინ და 2 ნოემბრის არჩევნების უხეიროდ ჩატარების გამო აგორებული საპროტესტო გამოსვლების შემდეგ; რა მიზანს ისახავდა რეალურად შევარდნაძის ბათუმში ჩასვლა და ასლან აბაშიძის მოგზაურობა ერევანი-ბაქო-მოსკოვის მარშრუტით. ფაქტია, შევარდნაძე ამან ვერ გადაარჩინა. მას თანამდებობის დატოვება მოუხდა და ამაში თავისი წვლილი შეიტანა მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოსულმა იგორ ივანოვმა. ფაქტობრივი მასალა, თუ რა და როგორ მოხდა, კარგადაა ცნობილი და დაინტერესებულ მკითხველს ამ ყველაფრის მონახვა ადვილად შეუძლია. ამდენად, ჩვენ 2003 წლის ნოემბერში საქართველოში განვითარებული მოვლენების აღწერას არ შევუდგებით. შევჩერდებით მხოლოდ ვარდების რევოლუციის შესახებ არსებული განსხვავებული თვალსაზრისების შესახებ.

## ○ ვარდების რევოლუციის სამი განსხვავებული ხედვა

ქართულ საზოგადოებაში დღესაც მიმდინარეობს ცხარე კამათი იმის თაობაზე თუ რა იყო 2003 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენები. პასუხი კითხვაზე „რა მოხდა“ კვლავ პოლიტიკის სიბრტყეში რჩება. არსებული ხელისუფლებისათვის იგი რევოლუციაა, რომელმაც გზა გაუხსნა ქვეყნის სვლას უკეთესი მომავლისაკენ. ვარდების რევოლუციის ოფიციალური ვერსია გვეუბნება, რომ მოვლენების რევოლუციური განვითარება შევარდნაძის ხელისუფლების მიერ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებამ გამოიწვია. არჩევნების გაყალბებამ ხალხს მოთმინების ფილა აუვსო. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და სამართლიანობისთვის მებრძოლი ოპოზიციის ხელმძღვანელობით აიძულეს შევარდნაძე გადამდგარიყო. „მიხეილ სააკაშვილი არჩევნების დასრულებისთანავე რევოლუციის მოწყობას და ხელისუფლების გადაყენებას არ აპირებდა. პირიქით, ფიქრობდა, რომ ხელისუფლებაზე პარლამენტიდან განახორციელებდა ზეწოლას“, — აღნიშნავს მაგალითად, დავით ზურაბიშვილი.<sup>45</sup>

დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი ძალების დიდი ნაწილი კი ვარდების რევოლუციას აფასებს როგორც შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას გარეშე ძალების აქტიური მონაწილეობით, ანუ ქვეყანაში რევოლუცია კი არა, გადატრიალება მოხდა. სხვები შეთქმულების მასშტაბებს კიდევ უფრო ზრდიან და მის მონაწილედ თავად შევარდნაძესაც

<sup>45</sup> „კვირა“, 30.X — 6.XI.2004

სახავენ. ანუ განხორციელდა ხელისუფლების გადაცემა სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გუნდისთვის თავად შევარდნაძის მონაწილეობითა და მხარდაჭერით. შევარდნაძის უკანასკნელი სახელისუფლო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის ირინა სარიშვილის თქმით, შევარდნაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს უცხოეთში დაწერილი სცენარით და სოროსის დაფინანსებით. შევარდნაძემ თავის გამოზრდილს ხელისუფლება ისე ოსტატურად გადააბარა, რომ ამის შესახებ ექსპრეზიდენტის თანაგუნდელებიც ვერ მიხვდნენ.<sup>46</sup> „ეს სცენარი დაწერილი იყო არა მარტო აშშ-ში, არამედ რამდენიმე ზესახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის მიერ“, — აღნიშნავს სარიშვილი. რატომ იყვნენ ისინი დაინტერესებულნი საქართველოში ასეთი ფართომასშტაბიანი შეთქმულების განხორციელებით? „მათ ინტერესებში არ შედის საქართველოში ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული ფასეულობების არსებობა“, — ასეთია ამ ვერსიის მიხედვით პასუხი შეთქმულების მიზეზებზე. თუმცა, რამდენად შეიძლება ეწოდოს შევარდნაძის ხელისუფლებას „ეროვნული ფასეულობების განსახიერება“ ეს სხვა საკითხია.

ვარდების რევოლუციის სამივე ხედავ გარკვეული ფაქტების ინტერპრეტაციაა და მრავალ კითხვაზე ვერ სცემს პასუხს. სინამდვილე გაცილებით უფრო რთულია და ზემოთაღნიშნული სცენარებიდან რომელიმეს ფარგლებში ვერ ჯდება. ვარდების რევოლუციის ოფიციალური ვერსია დუმის არჩევს კულთარულ მოლაპარაკებებზე და გარიგებებზე, რაც ნოემბრის დღეებში ხდებოდა, მათ შორის იმდროინდელი სახელისუფლო ბლოკის წარმომადგენლებთან, ასევე სოროსისაგან მიღებული თანხების შესახებ, იგივე „კმარას“ აქციების დასაფინანსებლად. სამაგიეროდ ამის თაობაზე აქტიურად საუბრობენ შეთქმულების თეორიის ავტორები. მეორე მხრივ, „შეთქმულების თეორია“ ვერ ხსნის ქუჩაში გამოსულ ათეულ ათასობით გაბოროტებულ ადამიანს, რომელთაც ყელში ჰქონდათ ამოსული შევარდნაძის მმართველობა. კიდევ უფრო გაუგებარია შეთქმულების ვერსია შევარდნაძის მონაწილეობით. თუკი მას უნდოდა ხელისუფლების გადაცემა მომავალი რევოლუციური სამეულისათვის, განა ამის გაკეთება უფრო ადვილად არ შეიძლო და რაში დასჭირდებოდათ ფართომასშტაბიანი აქციებისა და გამოსვლების ორგანიზება?

## ○ ხავერდოვანი რევოლუციები და გეოპოლიტიკა

დისკუსია ვარდების რევოლუციისა და საერთოდ, ხავერდოვან რევოლუციებში შიდა და გარე ფაქტორების თანაფარდობის შესახებ მარტო საქართველოში არაა აქტუალური. რიგი მკვლევარების აზრით, თანამედროვე პირობებში სავსებით რეალურია არჩევნების ინსტიტუტისა და საარჩევნო ტექნოლოგიების მიზანმიმართული გამოყენება გარეშე ძალების მიერ, იმისათვის რომ რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლებას ჩამოაცილონ არასასურველი პოლიტიკური ძალები და ხელი შეუწყონ თავიანთი მიზნებისათვის ხელსაყრელი ძალების მოსვლას ხელისუფლების სათავეში. ამ შემთხვევაში, არჩევნები და საარჩევნო ტექნოლოგიები წარმოდგება გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად.<sup>47</sup>

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებზე გარეშე ძალები აქტიურად ცდილობენ ზეგავლენის მოხდენას, რადგანაც ამაზე დამოკიდებულია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები. ამ მხრივ, ძირითადი „გარე მოთამაშეები“ რუსეთი და აშშ-ია. ზოგიერთები ხავერდოვან რევოლუციებში ხედავენ დასავლეთის და პირველ რიგში აშშ-ის მხრიდან მომდინარე ხრიკებს, რომელთა მიზანიც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში დასავლეთზე ორიენტირებული ძალების ხელისუფლების სათავეში მოყვანაა. მაგრამ ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი არ დაეშვა იუშენკოს გამარჯვება უკრაინაში და აქტიურად ერეოდა ამ ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში. „უკრაინულმა ნარინჯისფერმა რევოლუციამ, ალბათ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ამბიციური გეგმები ჩაშალა ახალი იმპერიის შექმნის შესახებ, ისეთი იარაღის გამოყენებით, როგორცაა გაყალბებული არჩევნები, კონტროლირებადი პრესა და საჩვენებელი დაშინება“, — აღნიშნავდა „ვაშინგტონ თაიმსი“.<sup>48</sup>

<sup>46</sup> „ახალი თაობა“, 20.X.2004

<sup>47</sup> იხ: С.П. Расторгуев. Выборы во власть как форма информационной экспансии. М., 1999, стр. 17-24; Г.Почепцов. Информация и дезинформация. Киев, 2001, стр. 208-216.

<sup>48</sup> „24 საათი“, 6.I.2004

ესპანური „ვენგარდია“ კი წერდა რუსეთის თვალსაზრისის შესახებ, რომ ეს სხვადასხვაფერი რევოლუციები დასავლეთის მოგონილია. გაზეთის თქმით, „ნახევრად აქტივისტური და ნახევრადსამარკეტინგო მოძრაობა აშშ-ის ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერით ოთხ ქვეყანაში იყო გამოყენებული“.<sup>49</sup> პირველი რევოლუცია სერბეთში წარმატებული აღმოჩნდა, შემდეგ იყო მარცხი ბელორუსიაში, რასაც მოჰყვა წარმატებული ხავერდოვანი რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში.

რა თქმა უნდა, გარეშე ძალების ზეგავლენა ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებზე დღეს ძალზედ დიდია და, ამ მხრივ, იგივე უკრაინასთან მიმართებაში რუსეთიც და დასავლეთიც აქტიურობდნენ, მაგრამ გარეშე ძალები ვერ უზრუნველყოფენ ხავერდოვანი რევოლუციის გამარჯვებას, თუკი ამისათვის პირობები ქვეყნის შიგნით არ არსებობს.

ხავერდოვან რევოლუციებში გარეშე ჩარევის გადამწყვეტი როლი უარყოფილია 2005 წლის 5 იანვარს ვ.იუშჩენკოსა და მ.საკაშვილის მიერ ხელმოწერილ „კარპატების დეკლარაციაში“. მშვიდობიანი დემოკრატიული რევოლუცია არ შეიძლება ხელოვნური გზით რაღაც ტექნოლოგიებით ან გარედან ჩარევის შედეგად გამოიწვიო. „პირიქით, უკრაინაშიც და საქართველოშიც რევოლუციები პოლიტიკური ტექნოლოგიების და გარედან ჩარევის გარეშე მოხდა“, — ნათქვამია დეკლარაციაში.<sup>50</sup> ორი რევოლუციური ქვეყნის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები ისტორიული კანონზომიერებაა და „ევროპის გათავისუფლების ახალ ტალღას წარმოადგენს, რომელიც ევროპის კონტინენტზე თავისუფლების და დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანს“. ესაა გაგრძელება იმ პროცესისა, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1989 წელს დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ხავერდოვანი რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპაში არადემოკრატიული რეჟიმების ლიბერალურ ფასეულობებზე ორიენტირებული ძალებით ჩანაცვლების მეთოდია.

## ○ რატომ გახდა ვარდების რევოლუცია შესაძლებელი საქართველოში

მათ, ვინც ხავერდოვან რევოლუციებში გარეშე ფაქტორებზე აკეთებს აქცენტს, პასუხი უნდა გასცენ კითხვას: რატომ იმუშავა, მაგალითად, ამ ფაქტორებმა საქართველოში და ვერ იმუშავა მის მეზობლად — აზერბაიჯანში ან სომხეთში. ანუ ხავერდოვანი რევოლუციების გასაგებად მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების ანალიზი.

შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემას ზოგი „დეფექტურ დემოკრაციას“ უწოდებს. მართლაც ის წარმოადგენდა დემოკრატიის ელემენტებისა და პოსტკომუნისტური კლანურობის უცნაურ ნაზავს. საქართველოში არსებული ვითარების თავისებურება ის იყო, რომ როგორც კლანური სისტემა, ისე მასთან დაპირისპირებული ძალები „რესურსების მწვავე ნაკლებობას“ განიცდიდნენ. სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ძალების სისუსტეზე თავისთავად მეტყველებდა ის გარემოება, რომ კლანური სისტემა რეალობას წარმოადგენდა. მაგრამ, ამავე დროს, სუსტი იყო კლანური სისტემის პოზიციებიც:

— შევარდნაძის ხელისუფლებას არ გააჩნდა რაიმე მნიშვნელოვანი რესურსი (მაგალითად, ნავთობის ან გაზის საბადოები), რომლის უპრობლემო მითვისებაც გაგრძელდებოდა კლანების მიერ და რომლის ნაწილიც პრობლემათა მოხსნა-შერბილებას მოხმარდებოდა;

— შევარდნაძის მმართველობას ხალხი უკვე აღარ უკავშირებდა უკეთესი მომავლის იმედს. მისი 12-წლიანი მმართველობის შედეგად მიიჩნეოდა ქვეყნის დანგრეული ეკონომიკა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება, მწირი და მაინც მუდმივად შეუსრულებელი ბიუჯეტი, როდესაც ვერ ხერხდება სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელემენტარული ხარჯების დაფინანსება.

— კორუმპირებულ-კლანურ სისტემას არ გააჩნდა იდეოლოგია, რითაც იგი მიმზიდველი იქნება მასებისათვის.

— შევარდნაძემ დაკარგა დასავლეთის მხარდაჭერა. მისი მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული კორუმპირებულ-კლანური სისტემა მიუღებელი გახდა დასავლეთისათვის და თანა-

<sup>49</sup> „ახალი ვერსია“, 7-9.I.2005

<sup>50</sup> „ხვალინდელი დღე“, 6.I.2005

მშრომლობის შემდგომი გაგრძელების პირობად ამ სისტემის დემონტაჟი სახელდება. დასავლეთი შევარდნაძის ხელისუფლებისაგან დაჟინებით მოითხოვდა კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყებას.

ჰეიდარ ალიევს და ელუარდ შევარდნაძეს დაახლოებით ერთნაირი ჰქონდათ თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. რუსეთის ზეწოლა მათ აიძულებდათ დასავლეთთან დაახლოების გზები ეძებნათ, ამ კურსის წარმატება კი კასპის ენერგოპროექტებმა განაპირობა. თუმცა, დასავლეთისკენ აღებული კურსი არ ნიშნავდა საშინაო პოლიტიკაშიც დასავლური პრინციპებისა და ფასეულობების შესაბამისად მოქმედებას. დემოკრატიული განაცხადი მნიშვნელოვანწილად მხოლოდ ფორმალური იყო. რეალურად ორივე კავკასიელი ლიდერის საყრდენს ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა წარმოადგენდა.

საქართველოშიც და აზერბაიჯანშიც აშენდა კორუფციასა და კლანებზე დამყარებული სახელმწიფოები. ოღონდ, საქართველოსგან განსხვავებით, აღნიშნულ სისტემას აზერბაიჯანში უფრო მტკიცე საფუძველი ქონდა — როგორც მმართველი კლასის ხელთ არსებული რესურსების, ისე ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური კულტურის სახითაც. საქართველოში კი გაცილებით უფრო განვითარებული აღმოჩნდა სამოქალაქო საზოგადოება, რეალურად ფეხი მოიკიდა ხელისუფლების მიერ ფორმალურად აღიარებულმა დემოკრატიულმა ფასეულობებმა და პრინციპებმა, ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მედია. სწორედ ამ სხვაობამ ორ ქვეყანას შორის განაპირობა შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის პოლიტიკური მემკვიდრეობის განსხვავებული ბედი.

## ○ ხავერდოვანი რევოლუციის სომხეთში არ შედგა

საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუცია მიმზიდველი აღმოჩნდა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის და მათ შორის სომხეთისთვისაც. 2003 წლის არჩევნებში დამარცხებული ოპოზიცია თავს არც ისე სუსტად გრძნობდა, რომ „ხავერდოვანი რევანშისათვის“ არ ეფიქრა.

ხავერდოვანი ცვლილებების მცდელობა შანსი იყო სომხეთისათვის. ამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე ყოველთვის დომინირებს ყარაბაღის ფაქტორი. სომხეთი „ყარაბაღის გამარჯვების“ მძევლად იქცა, მათ შორის ქვეყნის შიდა განვითარების თვალსაზრისითაც. ხელისუფლებას შეუძლია ოპოზიციის გამოსვლები დაბლოკოს იმ მოტივით, რომ დაპირისპირება სომხურ საზოგადოებაში კატასტროფის ტოლფასი იქნება ქვეყნისათვის. ამიტომ ოპოზიცია უნდა შეურიგდეს არჩევნების გაყალბებას, კორუფციას და ხელისუფლების სხვა ცოდვებს. მაგრამ ხავერდოვანი რევოლუცია ის ფენომენია, რომელიც საზოგადოებას ცვლილებებს დიდი შერყევების გარეშე ჰპირდება.

თუმცა სომხეთის „მიხაკების რევოლუცია“ არ შედგა. სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც და დამოუკიდებელი ანალიტიკოსებიც აღნიშნავდნენ, რომ სომხეთი საქართველოსგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სომხეთში ხელისუფლება გაცილებით ძლიერია, ვიდრე შევარდნაძის ხელისუფლება იყო საქართველოში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში პოლიციამ და არმიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, რითაც გადაწყვიტეს მოვლენათა შემდგომი განვითარება. სომხეთში კი არმიაც და პოლიციაც ცალსახად დადგა კოჩარიანის მხარეზე.

ოფიციალური თბილისის პოზიცია სომხეთში განვითარებული მოვლენებისადმი ნეიტრალური იყო. მეზობლის შიდა საქმეებში ჩაურევლობა და იქ განვითარებული პროცესის შედეგების მიღება ის ერთადერთი გონივრული გზაა, რასაც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ხელმძღვანელობა ახორციელებს.

ოფიციალური თბილისის მომლოდინე პოზიციის პირობებში, ქართულ მედიაში აქტიურად განიხილებოდა სომხეთის მშფოთვარე მოვლენათა შესაძლო ზეგავლენა საქართველოზე. ექსპერტთა საერთო აზრი იყო, რომ სომხეთში კრიზისის გაღრმავება არ შედის საქართველოს ინტერესებში და მას სტაბილურ და პროგნოზირებად მეზობელთან ურთიერთობა აწყობს. ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ საქართველოს, შესაძლოა სომხეთიდან პოლიტიკურ ლტოლვილთა ნაკადი მოაწყდეს, რომლებიც თავს ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს შეაფარებდნენ, თუმცა ამ ვერსიაც სხვები არ ეთანხმებოდნენ — ჯავახელი სომხები ორიენტირებულნი არიან ზოგადად ხელისუფლებაზე, როგორც საქართველოში, ისე სომხეთში. შესაბამისად, ისინი მხას უჭერენ ქოჩარიანს და არა მის ოპოზიციას. ოფიციალური ერევანი კი ყოველთვის ამუხრუჭებდა ჯავახეთში სეპარატიზმის



გალვივებას. შესაძლოა ეს შედიოდა ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის გეგმებში, მაგრამ არანაირად არ ჯდება სომხეთის ინტერესებში, რომელიც, საქართველოსთან დამაკავშირებელ კულტურულ და ისტორიულ ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქართველოზე გამავალ კომუნიკაციებზე.

თუმცა, ვარდების რევოლუციის შემდეგ დასავლეთისკენ სწრაფვის გაძლიერება საქართველოში, გარდუვალად ნიშნავს რუსეთის პოზიციების შესუსტებას მთლიანად სამხრეთ კავკასიაში და უნდა ვიფიქროთ, რომ სომხეთშიც გაძლიერდება დასავლური ორიენტაციის სურვილი. დღეისათვის სომხური პოლიტიკური სპექტრის თავისებურება ისაა, რომ ხელისუფლებაც და მისი ოპოზიციაც რუსეთზეა ორიენტირებული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში სცადა სომხეთის „ისტორიული შემობრუნების“ განხორციელება. ის, რაც მარცხით დამთავრდა წარსულში, შესაძლოა, სამომავლო პროგრამად იქცეს სომხეთისათვის.

## ○ ვარდების რევოლუცია და საქართველოს სუამელი პარტნიორები

შევარდნაძის მმართველობის წლებში საქართველოს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული პარტნიორული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა უკრაინასა და აზერბაიჯანთან. სწორედ ამ სამმა ქვეყანამ შეადგინა ერთ-ერთი პოსტსაბჭოური გაერთიანების — სუუამის ბირთვი, რომელშიც მოლდოვაც და უზბეკეთიც შედიოდნენ. მოსკოვში ეჭვის თვალთ შეყურებდნენ ამ გაერთიანებას, რადგანაც ის პოსტსაბჭოეთში საკუთარი გავლენის შემამცირებელ ფაქტორად მიაჩნდათ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ისე მოხდა, რომ საქართველოს ურთიერთობებს უკრაინასა და აზერბაიჯანთან გარკვეული საფრთხე დაემუქრა. ილხამ ალიევის, რომელიც ოპოზიციის გამოსვლებს გაუსწორდა და ხელისუფლება მამისგან მემკვიდრეობით მიიღო, თბილისში მომხდარი ვარდების რევოლუცია და ოპოზიციის გამარჯვება ხელისუფლებაზე დიდად არ მოეწონებოდა, როგორც შესაძლო ნიშნად აზერბაიჯანული ოპოზიციისათვის. ისიც აღინიშნებოდა, რომ ილხამ ალიევი ნოემბრის კრიზისის დღეებში მორალურ მხარდაჭერას ედუარდ შევარდნაძეს უწევდა.

მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილმა და ილჰამ ალიევმა მალევე გაარკვიეს ერთმანეთში ურთიერთობები. ორი ქვეყნის ახალი ლიდერების დამეგობრება ბაქოში ჰეიდარ ალიევის დაკრძალვის ცერემონიაზე ქართული დელეგაციის ჩასვლის დროს მოხდა. მას შემდეგ სააკაშვილი ბაქოს უკვე ოფიციალური ვიზიტით ეწვია და ორი ქვეყნის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. მაშინ სააკაშვილი ხაზს უსვამდა, რომ ილხამი ერთადერთი პრეზიდენტია, რომელსაც იგი შენობით მიმართავს.

უფრო რთულად იყო საქმე უკრაინასთან. უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმაძემ საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრილ ოპოზიციონერებს „ბანდიტების ხროვა“ უწოდა. პარალელურად გაჩნდა ცნობები სააკაშვილისა და უკრაინის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის იუშჩენკოს მჭიდრო ურთიერთობების შესახებ. უკრაინის ოპოზიციის მხარეზე სააკაშვილი საქართველოში ვარდების რევოლუციის გამარჯვებისთანავე დადგა და უკრაინაში ვიზიტიც მოაწყო. მაშინ სააკაშვილი ბევრმა გააკრიტიკა — სააკაშვილის „ჩე გევარას სინდრომი“ დაემართა და უკრაინაში რევოლუციის ექსპორტს ცდილობსო. ამ მცდელობას კი შეიძლება უკრაინასთან საქართველოს ურთიერთობები საფრთხის ქვეშ დაეყენებინა — კუჩმაძის მმართველობა მყარი ჩანდა და ერთი შეხედვით წარმოუდგენელი იყო უკრაინაში მისი მოწინააღმდეგე და დასავლეთზე ორიენტირებული ოპოზიციური ძალების გამარჯვება.

ორ ქვეყანას შორის ახალი სკანდალი მოჰყვა სააკაშვილის მიერ საქართველოს დაზვერვის მონაცემების გახშიანებას, რომლის თანახმადაც ასლან აბაშიძე ბოევიკებს უკრაინის ტერიტორიაზეც აგროვებდა. ამის უარყოფა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა. სააკაშვილი კი იძულებული გახდა ემტკიცებინა, რომ უკრაინაში აბაშიძის ემისრების მიერ ბოევიკების შეგროვებაში სრულიადაც არ იგულისხმება ამ პროცესში უკრაინის ხელისუფლების რაიმე ფორმით მონაწილეობა. სკანდალი ჩაცხრა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, ცხადია, ძველებურად თბილი არ ყოფილა.

მდგომარეობა შეცვალა სააკაშვილის უკრაინაში ვიზიტმა. ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ძველი

წყენა დაივიწყეს და კვლავ სტრატეგიულ პარტნიორობაზე ალაპარაკდნენ. როგორც აღნიშნა ლეონიდ კუჩმაშ, ვინც არ უნდა იყოს უკრაინის პრეზიდენტი, ის საქართველოს უკრაინისთვის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად მიიჩნევს. თუმცა, უკრაინაში ოპოზიციის გამოსვლების ზრდასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას არ დაუშალია თავისი მხარდაჭერა ნარინჯისფერი რევოლუციისადმი. „მოვლენების ასეთი განვითარება დიდი ხნის წინ ვივარაუდე. ამ ქვეყანას კარგად ვიცნობ. უკრაინასა და საქართველოს შორის პარალელის გავლება უადგილოაო, მიმტკიცებდნენ, მე კი ამას არ ვიზიარებდი და ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე ხაზგასმით ვამბობდი, — დემოკრატიის შეჩერება შეუძლებელია-მეთქი“, — აღნიშნა სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.<sup>51</sup>

საქართველოსა და უკრაინის რევოლუციებმა ახალი რეალობა შექმნეს პოსტსაბჭოთა სივრცეში. უკრაინის ნარინჯისფერმა რევოლუციამ დააჩქარა ცვლილებები მოლდოვაშიც, რის შედეგადაც ამ ქვეყნის კომუნისტურმა ხელისუფლებამ განაცხადი გააკეთა დასავლური ორიენტაციისა და დემოკრატიული ცვლილებების შესახებ.

## **თავი V. თავისუფლებისაკენ სწრაფვას გლობალური დემოკრატიული რევოლუციისაკენ მიყვავართ**

2005 წლის 9-10 მაისს აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის დროს საქართველოს დედაქალაქი 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში. თუ გადავხედავთ ვიზიტთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან კომენტარებს, დავინახავთ, რომ ბუშის სიტყვები თბილისში ყველამ ისე გაიგო და ის გაიგონა, რისი მოსმენაც სურდა. ზოგმა, მაგალითად, დაინახა საქართველოს მხარდაჭერა რუსეთთან რთულ ურთიერთობებში, სხვებმა, პირიქით, ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბუშმა რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა „მკაცრად“ არ მოითხოვა და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც დეტალებია და ნათქვამის სასურველი ინტერპრეტაციები. მთავარი კი, რის სათქმელადაც პრეზიდენტი ბუში თბილისში თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხის წინაშე გამოვიდა, საქართველოსა და მთელ რეგიონში თავისუფლებისაკენ სწრაფვის მხარდაჭერა იყო, რასაც, აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, გლობალური დემოკრატიული რევოლუციისაკენ მიყვავართ.

### **○ პრეზიდენტ ბუშის მარშრუტის ლოგიკა**

რიგა—მოსკოვი—თბილისი — ასეთი იყო პრეზიდენტ ბუშის მოგზაურობის მარშრუტი პოსტსაბჭოთა სივრცეში, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების მე-60 წლისთავზე. აშშ-ის პრეზიდენტის მიერ არჩეული გზა არ იყო შემთხვევითი და ასახავდა დღევანდელ მსოფლიოში შექმნილ ახალ რეალობებს.

აღმოსავლეთ ევროპის სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ რუსეთის პოლიტიკაში კვლავ ჩანს ის ელემენტები, რომლებიც ნეოიმპერიალიზმის გამოვლინებად აღიქმება. „ლატვიაში, ხოლო შემდეგ საქართველოში ბუშის ვიზიტი აჩვენებს, რომ ის ევროკავშირისაგან განსხვავებით მიხვდა, თუ რა მიმართულებით მიდის განვითარების პროცესი რუსეთში: პუტინს საბჭოთა ხელისუფლების დაბრუნება სურს“, — განუცხადა ლატვიელმა პოლიტოლოგმა ატის ნეილმამ გერმანულ „ჰანდელსბლატის“ კორესპონდენტს.<sup>52</sup> არადა, რუსეთის ანტიდემოკრატიული და ნეოიმპერიალური განვითარება ყველაზე მეტად სწორედ ევროპას დააზარალებს.

9 მაისის წინა დღეებში პრეზიდენტმა პუტინმა ფედერალური კრებისადმი თავის ყოველწლიურ

<sup>51</sup> „კვირის პალიტრა“, 3-9.I.2005

<sup>52</sup> „რეზონანსი“, 7.V.2005

მიმართვაში საბჭოთა კავშირის დაშლას „საუკუნის უმსხვილესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. ამ სიტყვებმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია დასავლეთში და რუსეთის ახლო მეზობლებშიც. პუტინის ამ განცხადებამ აშშ-ის კონგრესში რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკა გააძლიერა. „ვაშინგტონ თაიმსის“ ცნობით, რესპუბლიკელმა კონგრესმენმა კრისტოფერ კოკსმა პუტინს წერილიც მისწერა, სადაც სთავაზობს, რომ გასული საუკუნის უმსხვილეს კატასტროფად „თვითონ საბჭოთა კავშირი“ დაასახელოს.<sup>53</sup>

პუტინის სიტყვები აღქმული იქნა როგორც იმპერიული ნოსტალგია და რუსეთში არსებული საგანგაშო ანტიდემოკრატიული ტენდენციების კიდევ ერთი გამოვლინება. ასეთ პირობებში „ბუში რომ მხოლოდ მოსკოვში ჩასულიყო, კატასტროფა იქნებოდა“, — აღნიშნავდა „ვაშინგტონ პოსტში“ რუსეთისა და ევრაზიის ფონდის პროგრამა „კარნეგი საერთაშორისო მშვიდობისათვის“ დირექტორი ანდერს ასლუნდი. ეს იქნებოდა, ფაქტობრივად, არა მარტო წარსული გამარჯვებისთვის პატივის მიგება, არამედ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკის აღნიშნული მხარეების მხარდაჭერაც.

ბუშის მარშრუტი ყოფილ პოსტსაბჭოეთში კარგად იყო დაგეგმილი. მოსკოვში ვიზიტის წინ რიგაში ჩასვლით, სადაც ბალტიის სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერებს შეხვდა, ბუშმა აჩვენა, რომ 9 მაისის გამარჯვება ფაშიზმზე არ ყოფილა ევროპის საყოველთაო განთავისუფლებისა და დემოკრატიის დამკვიდრების თარიღი — ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რკინის ფარდის მიღმა აღმოჩნდნენ და კიდევ ნახევარი საუკუნე დასჭირდათ თავისუფლებისა და დემოკრატიის მისაღწევად. ბალტიის სამი ქვეყანა კი, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს და ევროკავშირის წევრები არიან, დღესაც ამოდ ელის რუსეთისაგან იმის აღიარებას, რომ ისინი ძალით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

მოსკოვში 9 მაისის აღნიშვნის შემდეგ პრეზიდენტ ბუშის თბილისში ვიზიტი კი მხარდაჭერა იყო იმ ხავერდოვანი რეგულაციებისა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები მოიცვა. სწორედ ვარდების რეგულაციის შემდეგ მთელს რეგიონში დემოკრატიულ გამოსვლებს მძლავრი იმპულსი მიეცა. „საქართველო ბუშის მეორე საპრეზიდენტო ვადის დემოკრატიის ერთ-ერთი ქვეყანა-სიმბოლო გახდა“, — აღნიშნავდა „ვაშინგტონ პოსტი“.

მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული მარშრუტი გამაღიზიანებელი აღმოჩნდა რუსეთის გარკვეული ძალებისათვის. მოსკოვის კვლევითი ორგანიზაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა სააგენტო „ინტერფაქსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბუშის ვიზიტი ლატვიასა და საქართველოში თავისებური სილის გაწვანა რუსეთისათვის.<sup>54</sup>

2005 წლის 6 მაისს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სახელზე გაგზავნილი წერილის შესახებ. გაზეთის ინფორმაციით, რუსი მინისტრის წერილში გამოთქმული იყო კატეგორიული პროტესტი ლატვიასა და საქართველოში ბუშის დაგეგმილი ვიზიტის გამო. თუმცა ამან „რაისი ვერანაირად ვერ შეაშინა“.<sup>55</sup> რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო აღნიშნული ინფორმაცია, მაგრამ ოფიციალური მოსკოვის უკმაყოფილება ამ უარყოფაშიც გამოჩნდა. კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე იაკოვენკოს განცხადებით, მინისტრს სურდა მხოლოდ მიენიშნებინა, რომ არ მოსწონთ „ის კონტექსტი, რომლითაც ხორციელდება ამერიკის პრეზიდენტის ეს მოგზაურობა“.<sup>56</sup>

ბუშის მარშრუტი არ იყო მოსკოვის წინააღმდეგ მიმართული, პირიქით, იგი მიზნად ისახავდა რუსეთისათვის დახმარებას დემოკრატიული განვითარების გზაზე მტკიცედ დადგომაში. „დანაღმულ ველზე პუტინის პირისპირ“, — ასე აფასებდა ფრანგული „ფიგარო“ პოსტსაბჭოთა სივრცეში პრეზიდენტ ბუშის მოგზაურობას და შექმნილ ვითარებას „რთული დიპლომატიური ბალეტი“ უწოდა.<sup>57</sup> ვაშინგტონმა უნდა შეინარჩუნოს რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა და, იმავდროულად, დაარწმუნოს მოსკოვი, რომ უარი თქვას ნეოიმპერიულ ამბიციებზე თავის მეზობლების მიმართ.

<sup>53</sup> „რეზონანსი“, 6.V.2005

<sup>54</sup> „რეზონანსი“, 7.V.2005

<sup>55</sup> „რეზონანსი“, 7.V.2005

<sup>56</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 8.V.2005

<sup>57</sup> „რეზონანსი“, 7.V.2005

## ○ საქართველოს დემოკრატიული მისია

პრეზიდენტი ბუშის მიერ თბილისში თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში ყველაზე ხშირად სიტყვა „თავისუფლება“ ჟღერდა. ეს სიტყვა მეორედბოდა თითქმის ყველა წინადადებაში. აშშ-ის პრეზიდენტი ლაპარაკობდა ქართველი ხალხის ბრძოლაზე თავისუფლები-სათვის და ამ ბრძოლის მნიშვნელობაზე გლობალურ დემოკრატიულ რევოლუციაში. „იცოდეთ, რომ ქართულ მიწაში ჩარგული თავისუფლების ნერგი მთელ მსოფლიოში გაიხარებს“, — ეს იყო ბუშის გამოსვლის ერთ-ერთი ძირითადი თეზისი.

ნიშანდობრივია ისიც, რომ აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვაში საერთოდ არ ყოფილა ნახსენები ნავთობი და კასპიის ენერგოპროექტები, რის გამოც პოსტსაბჭოურმა სამხრეთმა თავიდან მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება და სწორედ სატრანზიტო პროექტებითა და ენერგომატარებლების ექსპორტით დაიწყო თავისი ადგილის ძიება თანამედროვე მსოფლიოში. ამ მხრივ, წარმატებები თვალსაჩინოა. მწყობრში დგება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

ცხადია, პრეზიდენტ ბუშს კარგად ესმის ნავთობსადენის მნიშვნელობა და საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. ეს დიდი ხანია აღიარებულია და ამაში ახალი არაფერია. ბუშის თბილისში გამოსვლაში კი ხაზი გაესვა საქართველოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მან ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიძინა. კერძოდ, ესაა დემოკრატიის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა — პოლიტიკური ფუნქცია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დემოკრატიის გადატანისა.

პრეზიდენტ ბუშის თქმით, ჩვენ ვცხოვრობთ ისტორიულ ეპოქაში, „სადაც თავისუფლება წინ მიიწევს შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ — სპარსეთის ყურეშიც და უფრო შორსაც“. თავისუფლებისაკენ სწრაფვა გლობალური დემოკრატიული რევოლუციის სახეს იღებს და ამ რევოლუციურ პროცესს მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ვარდების რევოლუციამ საქართველოში. „მსოფლიო გაცელებულია იმედისმომცემი ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს ბალდადიდან ბეირუთამდე, ბეირუთიდან — ბიშკეკამდე. მაგრამ სანამ ერაყში იასამნისფერი რევოლუცია განხორციელდებოდა, ან ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, ან კედარის რევოლუცია ლიბანში, მანამდე საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა“, — აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა. ამ სიტყვებში კარგად ჩანს, რომ „პოსტსაბჭოური სივრცე“ უკვე წაშლილია და ხავერდოვანი რევოლუციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ერწყმის დემოკრატიისკენ ანალოგიურ სვლას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

როგორც ქართულ მედიაში აღინიშნება, პრეზიდენტ ბუშისათვის საქართველო მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების საკვანძო წერტილი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ესაა მისი „საავტორო პროექტი“ და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, წარმატება სწორედ მისი „პროექტის“ და პირადად მისი წარმატება იქნება. დღეისათვის საქართველოს წარმატება ძალზედ ბევრს ნიშნავს თავად შეერთებული შტატებისათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს შეიძლება იმედი ჰქონდეს აშშ-ის მხარდაჭერისა, ოღონდ ამისათვის უნდა შეძლოს ის, რაზეც ბუშმა 10 მაისს არაერთხელ აღნიშნა — საქართველომ მართლაც უნდა განავითაროს რეალური დემოკრატია, რაც მას სამაგალითოდ აქცევს სხვა ქვეყნებისათვის.<sup>58</sup>

## ○ დიდი ცვლილებების ხანა

თუკი საქართველოს 2003 წლის ნოემბრის მოვლენები მაშინ დსთ-ს სივრცეში „გამონაკლისად“ აღიქმებოდა, ახლა უკვე ცხადია, რომ ეს პროცესები მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეზე ვრცელდება. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ერთი-მეორის მიყოლებით დისტანცირდებიან რუსეთისაგან და აცხადებენ, რომ ისინი თავიანთ მომავალს ევროსტრუქტურებში ხედავენ. ხავერდოვანმა რევოლუციებმა „მოსკოვისგან მეორე ემანსიპაციის“ სახელწოდება მიიღო და მიმდინარე მოვლენებს ადარებენ „პირველ ემანსიპაციას“, როდესაც 1991 წლის ბოლოს დაიშალა საბჭოთა კავშირი.

ხავერდოვანი რევოლუციები რუსი პოლიტიკოსების დიდი ნაწილის გაღიზიანებას იწვევს და ამაში დასავლეთის „ძირგამომხრელ“ საქმიანობას ხედავენ. თუმცა, მართებული იქნებოდა

<sup>58</sup> „24 საათი“, 12.V.2005

ელემენტარული კითხვის დასმა, თუ რატომ არის დასავლეთი ასე მიმზიდველი და რატომ გაურბიან ასე დაჟინებით რუსეთს ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურად და ისტორიულად მრავალი ძაფით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი რუსეთთან.

საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, გასაგებია. ეს იყო ხელოვნური, ძალით შექმნილი გაერთიანება, რომელიც მხოლოდ სიტყვით იყო სუვერენულ რესპუბლიკათა კავშირი. მისი საფუძველი კომპარტიის ბატონობა, შიში და რეპრესიები იყო. როგორც კი გორბაჩოვი დემოკრატიზაციასა და პლურალიზმზე ალაპარაკდა, „მოკავშირე რესპუბლიკებმა“ დამოუკიდებლობა მოითხოვეს. საბედნიეროდ, საბჭოთა კავშირის შენარჩუნების სისხლიანი მცდელობები (თბილისი 1989 წლის 9 აპრილი, ბაქო 1990 წლის იანვარი, ვილნიუსი 1991 წლის იანვარი, სამხედრო გადატრიალების მცდელობა მოსკოვში 1991 წლის ზაფხული) მარცხით დამთავრდა და რუსეთი ელცინის ხელმძღვანელობით თავად აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის მომხრე.

მაგრამ რატომ ვერ მოახერხა ახალმა რუსეთმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ისეთი ურთიერთობის აგება, რომ მათ არ ეფიქრათ რუსეთისაგან დისტანცირებაზე? აქ მიზეზთა მთელი კომპლექსი მოქმედებდა. საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანილ რესპუბლიკებში კვლავ რჩებოდა შიში რუსეთის შესაძლო აგრესიისა და ისინი სასწრაფოდ ცდილობდნენ რაც შეიძლება შორს დაეჭირათ თავი მისგან და მიეღოთ უსაფრთხოების მყარი გარანტიები დასავლეთისაგან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამის გაკეთება ბალტიის სამმა სახელმწიფომ მოახერხა. ისინი დღეს ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან.

რუსეთის მხრიდან საბჭოთა კავშირის დაშლაზე თანხმობა არ ნიშნავდა მის მიერ ჰეგემონობაზე უარის თქმას. ამის დასტური იყო საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შექმნილი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“. ეს დღეს გამოთქვამს უკმაყოფილებას პრეზიდენტი პუტინი დსთ-ს მიმართ — „ცივილიზებული განქორწინების მექანიზმი“ იყო, მაგრამ თავის დროზე დსთ მოიაზრებოდა ახალ საფუძველზე პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციის დასაწყისად. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში თავგამოდებით ცდილობდნენ თავი დაედწიათ დსთ-ში შესვლისთვის, რადგანაც იგი მიიჩნეოდა „მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიად“.

რუსეთი, რომელიც „ინტეგრაციული პროცესების“ დაჩქარებას ცდილობდა, ამავე დროს ვერაფრით ხდებოდა მიმზიდველი დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საქართველოს მაგალითზე, სადაც არავინ დაგობს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გაღვივება და მათი მოწესრიგების გაჭიანურება რუსეთის ჩარევის შედეგია, ისევე როგორც თითქმის ყოველდღე მასმედიის საშუალებით შეუძლიათ მოისმინონ ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული სხვადასხვა აგრესიული განცხადებები საქართველოს მიმართ. გასაგებია, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტიების ძიება და საკუთარი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ყოველ შემთხვევაში იდეაში მაინც, ცდილობენ რეფორმების განხორციელებას, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას. ამ მიმართულებით კი თავად რუსეთს აქვს სერიოზული პრობლემები და სრულიადაც არ გამოდგება ნიმუშად სხვა ქვეყნებისათვის. პირიქით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მოსკოვი მხარს უჭერს არადემოკრატიულ რეჟიმებს და თავისი მხარდაჭერით კიდევ უფრო განამტკიცებს მათ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში გაშლილმა ხავერდოვანმა და, სამწუხაროდ, არახავერდოვანმა პროცესებმა თვალსაჩინო გახადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოები რაღაც მიჯნას მიაღწენ თავიანთ განვითარებაში. თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რეჟიმი, რომლებშიც ცუდად ვითარდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტები და საბაზრო ეკონომიკა, უაღრესად არასტაბილური აღმოჩნდა. მრავალი ანალიტიკოსის აზრით, დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ამა თუ იმ ფორმით მმართველი ელიტების ცვლა გარდუვალია.

საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ ხანებში, მოპოვებული თავისუფლებით გამოწვეული ეიფორიის პირობებში, ბევრს ეგონა, რომ კომუნისტური ტოტალიტარიზმის ადგილს ძალზედ ადვილად დაიკავებდა დასავლური ყაიდის დემოკრატია. თუმცა, სულ მალე ცხადი გახდა, რომ ბალტიის ქვეყნების გარდა დემოკრატიაზე სწრაფი გადასვლის იმედი არარეალური იყო.

ხელისუფლებაში ძირითადად რჩებოდა ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა, რომელიც ფსევდოდემოკრატიით ნიღბავდა ავტორიტარულ რეჟიმებს. დემოკრატიაზე გადასვლის ოპტიმიზმი ახლა საპირისპირო პესიმიზმმა შეცვალა — ბევრმა ჩათვალა, რომ პოსტკომუნისტური ავტორიტარული რეჟიმები მყარად და უშფოთველად იარსებებდნენ თვალსაწიერ მომავალში მაინც. მაგრამ დღეს უკვე ცხადია ამგვარი პროგნოზების მცდარობა.

აშკარა გახდა, რომ არადემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებს არ ძალუძთ შეინარჩუნონ სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა. მათი მმართველობის 15-წლიანი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რეჟიმის წინააღმდეგ დაგროვილიყო სახალხო პროტესტის უდიდესი მუხტი. ამ სახელმწიფოებში ყოფილმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში რჩებოდა, საკუთარი თავი ამოწურა. მათი მოღვაწეობის შედეგი ყოველსომოცველი კორუმპირებული სისტემა და გადატაკებული მოსახლეობა იყო, რომელსაც მძლავრი პროტესტის გრძნობა და ქვეყნის განახლების სურვილი დაუგროვდა. მასებს აღარ სურთ შეურიგდნენ სოციალურ-ეკონომიკურ უსამართლობას და ფსევდოდემოკრატიას. ამასთან, პროტესტი ორი გზით წარიმართება:

— იქ, სადაც არსებობს მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ოპოზიცია, მოვლენათა განვითარება „ხავერდოვანი რევოლუციების“ ხასიათს ღებულობს (საქართველო, უკრაინა), ანდა არსებული ხელისუფლება თანხმდება ზემოდან რეფორმების გატარებას (მოლდოვა);

— იქ, სადაც დემოკრატიული ძალები სუსტია და ეს, პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა მუსულმანურ ქვეყნებს ეხება, მასების მამოძრავებელ ძალად იქცევა არა დასავლური დემოკრატიისკენ მისწრაფება, არამედ ისლამური ლოზუნგები. ეს საზოგადოებას მწვავე შერყევებით და სისხლისღვრით ემუქრება. სწორედ ამგვარ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებენ რიგი ექსპერტები უზბეკეთს.

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც დსთ-ს სივრცეს თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, ახლა სერიოზულად შეშფოთებული უნდა იყოს. ავტორიტარული რეჟიმები, რომელსაც ის თავის საიმედო საყრდენად მიიჩნევდა, ხალხისთვის საძულველი და არამყარი აღმოჩნდა. განცხადებები „ხავერდოვანი რევოლუციების“ დასავლეთიდან დაფინანსების თაობაზე ჩქმალავს მთავარს — თვით პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიგნით მიმდინარე პროცესებს. ესაა მთავარი და არა დასავლეთის თუ ისლამისტების ხრიკები. „პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციები შიდა მიზეზებითაა განპირობებული და გარე ფაქტორები მეორადია“, — განაცხადა, მაგალითად, 17 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა სტანისლავ ბელკოვსკიმ.<sup>59</sup>

უკვე თავად რუსი ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ რუსეთმა სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს თავის უშუალო საზღვრებთან განვითარებული პროცესებიდან. „რუსეთის საგარეო-პოლიტიკურმა დოქტრინამ დსთ-ს წევრი მეზობელი ქვეყნების მიმართ, მთლიანად გვიჩვენა თავისი უსუსურობა, რა თქმა უნდა, თუ ასეთი დოქტრინა საერთოდ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, რუსეთი ჯერ აბსოლუტურად არაადეკვატურად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია პროცესისათვის, რომელიც აშკარად დაიძრა გაყინული წერტილიდან (უკრაინა და საქართველო), შემდეგ კი ხელიდან გაუშვა მომენტი, როცა ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებსაც მოედო ეს პროცესი (ყირგიზეთი, უზბეკეთი), ახლა კი იბრძვის სტატუს-კვოს შენარჩუნებისათვის, მაგალითად, ბელორუსიაში, ქვეყანაში, სადაც აშკარად იგრძნობა, რომ სულ მალე დადგება არასტაბილურობის პერიოდი და ეს, მხოლოდ „დასავლეთის სპეცსამსახურებს“ არ უნდა დავაბრალოთ“, — აღნიშნავდა გაზეთი „იზვესტია“ სარედაქციო წერილში.<sup>60</sup>

ხავერდოვანი რევოლუციების ტალღამ, ალბათ, თავად რუსეთშიც სერიოზულად უნდა დააფიქროს პოლიტიკური ელიტა და ახლებურ საფუძველზე ააგებინოს ურთიერთობა მეზობლებთან, რათა მათ გაუჩნდეთ რუსეთთან თანამშრომლობის და არა მისგან დისტანცირების სურვილი.

<sup>59</sup> „24 საათი“, 18.V.2005

<sup>60</sup> „იზვესტია“, 17.V.2005

## ○ რატომ არ ჩამოვიდნენ თბილისში სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები

რიგაში ჩასულ პრეზიდენტ ბუშს გარდა ლატვიის პრეზიდენტისა, ლიტვისა და ესტონეთის ლიდერებიც შეხვდნენ. ბალტიის სამმა ქვეყანამ მოახერხა თავისი საშინაო და საგარეოპოლიტიკური ძალისხმევების კოორდინაცია და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია. ბალტიის სამი ქვეყნისგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა რიგი მიზეზების გამო, ერთმანეთთან ამ სახის თანამშრომლობას ვერ ახერხებს და ვერც შიდა თუ გარე პოლიტიკური პრიორიტეტების თაობაზე თანხმდებიან. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რამდენად რთულია ვითარება კავკასიაში.

პრეზიდენტ ბუშის თბილისში ჩამოსვლა პირველ რიგში საქართველოს დემოკრატიისკენ სწრაფვის მხარდაჭერა იყო. ხავერდოვანი რევოლუცია საქართველოში ნიმუში გახდა რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები დემოკრატიისაკენ. მაგრამ 2003 წელს, როდესაც შევარდნაძის მიერ „ცულად ჩატარებულ“ არჩევნებს ხავერდოვანი რევოლუცია მოჰყვა საქართველოში, ბაქოსა და ერევანში ხელისუფლებამ შეძლო არჩევნებში „ძველებურად“ გამარჯვება. თუმცა, საქართველოს მაგალითმა, შემდეგ კი უკრაინის „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ ამ ქვეყნებში ოპოზიციას ახალი ენერჯია შთაბერა. აღსანიშნავია, რომ ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით თბილისში ბაქოელი სტუდენტების ჯგუფი ჩამოვიდა. როგორც „თავისუფლების ინსტიტუტში“ განაცხადეს, ქართული „კმარას“ ტიპის აზერბაიჯანული ახალგაზრდული ორგანიზაცია „იოხის“ წევრები ბუშს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საწინააღმდეგო პლაკატებით ხვდებოდნენ.<sup>61</sup>

გასაგებია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან კარგი ურთიერთობა აქვთ, ალბათ, დიდად მოსაწონი არ არის საქართველოს „ხავერდოვანი ნიმუში“. შესაბამისად, მათ თბილისში გამოჩენა პრეზიდენტ ბუშის მოსასმენად, რომელიც ხავერდოვანი რევოლუციების დემოკრატიულ ტალღაზე ლაპარაკობდა, არცთუ სასიამოვნო იქნებოდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვა საკითხებიც. რუსეთის პოლიტიკური წრეები გვარიანად გააღიზიანა ბუშის თბილისში სტუმრობამ. სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა რეგიონში. პრეზიდენტი ქოჩარიანი, რაც არ უნდა პატივს სცემდეს აშშ-ის პრეზიდენტს, თბილისში ვერ გამოჩნდებოდა. ეს იქნებოდა მოსკოვის პირდაპირი გამოწვევა.

განსხვავებით სომხეთისაგან, აზერბაიჯანი აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია და მჭიდროდ არის დაკავშირებული დასავლეთთან ენერგოპროექტებით. შესაძლოა, ილხამ ალიევის არაფრად ჩაეგდო „ხავერდოვანი საფრთხე“ და პუტინის განაწყენება, ჩამოსულიყო თბილისში, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს გარიყულად იგრძნობდა სომხეთი. ამ ქვეყნის საზოგადოებაში კიდევ უფრო გაძლიერდებოდა შიში, რომ რუსეთის გარეშე „არამეგობრულ“ გარემოცვაში არიან მოქცეულნი.

გარდა ამისა, ილჰამ ალიევი უარს ამბობდა მონაწილეობა მიეღო იმ ღონისძიებებში, რომელსაც სომხეთის პრეზიდენტი ესწრებოდა და მიუთითებდა ყარაბაღის გადაუჭრელ პრობლემაზე. ამ მოტივით იგი არ დაესწრო 8 მაისს მოსკოვში გამართულ დსთ-ს სამიტს, თუმცა ბოლომდე არ აწყენინა პრეზიდენტ პუტინს და მონაწილეობა მიიღო 9 მაისის საზეიმო ღონისძიებებში.

ქოჩარიანისა და ალიევის თბილისში გამოჩენა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი — თუკი ეს ორი ლიდერი აშშ-ის შუამავლობით გადადგავდა ქმედით ნაბიჯს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით. ამის მცდელობა 1997 წელს სომხეთის პირველ პრეზიდენტს ტერ-პეტროსიანს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. არადა, ყარაბაღის კონფლიქტის, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა კონფლიქტების არსებული სახით, „გაყინულ მდგომარეობაში“ დატოვება უკვე ანაქრონიზმია და რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ჩამოსვლაზე დემონსტრაციულად უარი თქვეს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერებმა, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების თბილისში ჩამოსვლის საკითხი არც დამდგარა, პრეზიდენტ ბუშის თბილისში ვიზიტს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მთელს რეგიონში და თავიანთთვის გარკვეულ დასკვნებს აკეთებდნენ. კარგი იქნებოდა, რომ ეს დასკვნები თბილისში პრეზიდენტ ბუშის მიერ დეკლარირებულ დემოკრატიულ პრინციპებსა და ფასეულობებს არ ეწინააღმდეგებოდეს. ამ შემთხვევაში კავკასია გაცილებით უკეთესი გახდებოდა, ვიდრე დღეს არის.

<sup>61</sup> „რეზონანსი“, 10.V.2005

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის უმთავრესი საკითხი დღეს რუსეთსა და აშშ-ს შორის თავიანთი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბება და აქედან გამომდინარე, ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრაა. 2005 წლის აპრილში სოციოლოგიური კვლევების სააგენტო „გორბის“ ინიციატივით აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. კავკასიის ქვეყნების მოსახლეობას დაესვა შეკითხვები მოსალოდნელი რევოლუციის შესახებ, ისევე როგორც აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

გამოკითხვის შედეგებმა დააფიქსირა ის, რაც პრინციპში ისედაც ცხადი იყო. სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის პრეზიდენტის მიმართ ყველაზე დადებითი განწყობა საქართველოშია, ასევე ყველაზე მაღალია უნდობლობა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. ეს გასაგებიცაა. აშშ საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას მოსახლეობა სულ უფრო მეტად უკავშირებს აშშ-ს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის 45 პროცენტი, ანუ თითქმის ნახევარი ენდობა პრეზიდენტ ბუშს. რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, აზერბაიჯანსა და სომხეთში მოსახლეობის ერთნაირი რაოდენობა — 32 პროცენტი არის ნდობით განწყობილი აშშ-ის პრეზიდენტის მიმართ.

აღსანიშნავია რუსეთის პრეზიდენტისადმი ნდობის მკვეთრი დაცემა საქართველოში. თავიდან პუტინისადმი საკმაოდ ბევრი იყო დადებითად განწყობილი საქართველოშიც, მაგრამ 2004 წლის დასაწყისიდან მისი ნდობის რეიტინგი საქართველოში სწრაფად დაეცა და პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტის დროისათვის მას საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი ენდობა.<sup>62</sup> ამაში ცხადია, აისახება ის იმედისგაცრუება, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ რუსეთის მიმართ გაჩნდა. ახალმა ხელისუფლებამ მოსკოვს „სუფთა ფურცლიდან“ შესთავაზა ურთიერთობის აგება, რასაც რუსეთის პოლიტიკაში რაიმე რეალური ცვლილებები არ მოჰყოლია.

რუსეთის პრეზიდენტისადმი გაცილებით მაღალია ნდობა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. სომხეთში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა — 87 პროცენტი ენდობა პრეზიდენტ პუტინს. სომხეთში რუსეთი მიიჩნევა უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორად და უსაფრთხოების გარანტიად იქ რუსეთი და სომხეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ სომხეთში რუსეთის პრეზიდენტს უფრო მეტად ენდობიან, ვიდრე პრეზიდენტ ქოჩარიანს. სომხეთისაგან განსხვავებით აზერბაიჯანში რუსეთის პრეზიდენტისადმი ნდობა უფრო დაბალია, მაგრამ მის მიმართ დადებით განწყობას მოსახლეობის ნახევარზე მეტი — 51% აფიქსირებს.

გამოკითხვის დროს აზერბაიჯანელ და სომეხ რესპოდენტებს დაესვათ დსთ-ს სივრცეში აქტუალური შეკითხვა ხავერდოვან რევოლუციებთან დაკავშირებით: თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია საქართველოს ან უკრაინის ტიპის რევოლუციები თქვენს ქვეყანაში? აღმოჩნდა, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ ეტაპზე არ მიესალმება ხავერდოვან რევოლუციას. უფრო სწორად, დასმული კითხვიდან გამომდინარე, რეალურად არ მიიჩნევენ ასეთი რევოლუციის პერსპექტივას. სომხეთის მოსახლეობის 56 პროცენტი და აზერბაიჯანის მოსახლეობის 55 პროცენტი არც კი უშვებს ხავერდოვანი რევოლუციის შესაძლებლობას თავის ქვეყანაში.

რაც შეეხება ხავერდოვანი რევოლუციის „მომლოდინეებს“, მათი რაოდენობა სომხეთში გაცილებით მეტია, ვიდრე აზერბაიჯანში. სომხეთში გამოკითხულთა 26 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში 17 პროცენტი შესაძლებლად მიიჩნევენ ხავერდოვან რევოლუციას თავის სამშობლოში. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი ორივე ქვეყანაში (სომხეთში 18 პროცენტი, აზერბაიჯანში 28 პროცენტი) ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ხავერდოვან რევოლუციასთან მიმართებაში და გარკვეული პასუხისაგან თავი შეიკავა.

## ○ ახალი იალტის იდეა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო აქტიურად საუბრობს სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობაზე. სააკაშვილის თქმით, საქართველო უკვე აღარ არის გეოპოლიტიკის ობიექტი, ის აქტიურად არის ჩართული თავისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემოს ფორმირებაში. ამაში იგულისხმება საქართველოს

<sup>62</sup> „მთელი კვირა“, 9.V.2005



სამეზობლოში ხავერდოვანი რევოლუციების შედეგად ახალი დემოკრატიების ჩამოყალიბება და განმტკიცება. სააკაშვილი ახალ დემოკრატიებს ამ მიმართულებით აქტიურ თანამშრომლობასაც სთავაზობს. ზოგიერთ ადგილობრივ ექსპერტს სააკაშვილის ამგვარი ინიციატივა სახიფათოდ მიაჩნია. თუმცა, ხელისუფლებას თავისი პოზიციის სასარგებლოდ უზარმაზარი არგუმენტი აქვს უკრაინის სახით.

„ნარინჯისფერი“ რევოლუციის გამარჯვებამ უკრაინაში სააკაშვილს თავისი სიმართლე დაანახა და ოპონენტების გასაგონად განაცხადა: დემოკრატიის მხარდაჭერისკენ მიმართული აქტიურობა შეიძლება სარისკო, მაგრამ გამართლებული იყო: საქართველოს გაუჩნდა მყარი პატნიორები უკრაინისა და მოლდოვას სახით, რამაც ახალი სახე შესძინა სუამს. თუკი ვარდების რევოლუციის შემდეგ დსთ-ს სამიტზე ასტანაში ჩასული საქართველოს პრეზიდენტი თავს „გარიყულად“ გრძნობდა, ახლა უკვე ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

საკაშვილი აღნიშნავს, რომ დემოკრატიის მხარდასაჭერად ბრძოლა შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს და ამ მიმართულებით სხვა სახელმწიფოებს მჭიდრო თანამშრომლობას სთავაზობს. თავისი გეგმა სააკაშვილმა დაწვრილებით გადმოსცა პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს, 10 მაისს „ვამინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. სააკაშვილის განცხადებით, აპრილში რუმინეთის პრეზიდენტ ტრაიან ბესესკუსთან და უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსთან გამართული საუბრების შემდეგ მივიდა იმ აზრამდე, რომ დადგა ახალი იალტის კონფერენციის, სამი ძირითადი მიზნით ევროპის ახალი დემოკრატიების ნებაყოფლობითი გაერთიანების დრო.<sup>63</sup>

იალტის ხსენება სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ექვსი ათეული წლის წინ იალტაში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კიდევ ნახევარი საუკუნით დატოვა თავისუფლებას მოკლებული. ახლა დროა დაფიქსირდეს ახალი რეალობა — ევროპის ამ ნაწილში აგორებული ახალი დემოკრატიების ჩამოყალიბების ტალღა. სააკაშვილი ახალი იალტის კონფერენციის მიზნებს შემდეგნაირად ხედავს:

პირველი — ერთობლივი მუშაობა „ჩვენს ქვეყნებში დემოკრატიის მხარდასაჭერად“. სააკაშვილი საქართველოს და უკრაინის მაგალითზე აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის ასაშენებლად;

მეორე — შავი ზღვის რეგიონსა და ფართო ევროპაში, მათ შორის მოლდოვასა და ბელორუსიაში თავისუფლების გავრცელება. ახალი იალტის კონფერენციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ბელორუსი ხალხისთვის დახმარება უნდა იყოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სააკაშვილი გამოდის წინადადებით, შეზღუდონ ბელორუსიის ოფიციალურ პირთა გადაადგილება და მხარი დაუჭირონ იმ ტიპის საზოგადოებრივ მოძრაობებს, რომლებმაც საქართველოსა და უკრაინაში რევოლუციები მოახდინეს. მიხეილ სააკაშვილმა ვარშავაში გამართულ ევროპის საბჭოს სამიტზე ღიად მოუწოდა ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. „ევროპამ უნდა გააკეთოს უფრო მეტი, რათა ბელორუსმა ხალხმა მოიპოვოს თავისუფლება“, — აღნიშნა სააკაშვილმა.<sup>64</sup> სააკაშვილის თქმით, ბელორუსია დარჩა ერთადერთ კუნძულად ევროპაში, სადაც დიქტატურა მეფობს. ამ თემაზე სხვა ქვეყნების ლიდერებმაც გაამახვილეს ყურადღება, სამიტმა კი სპეციალური განცხადება მიიღო, რომლითაც ბელორუს ხალხს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში თანადგომა აღუთქვა.

მესამე — ტირანიასთან ბრძოლა მთელ მსოფლიოში. თავისუფლების საზღვრები შორს უნდა გასცდეს შავი ზღვის რეგიონს. „ჩვენ არაორაზროვნად მივანიშნებთ მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს: თავისუფალი ხალხები მშვიდად ვერ ადევნებენ თვალყურს იმას, თუ როგორ ყვავის ტირანია. სწორედ ისევე, როგორც ჩვენ ვსარგებლობთ თავისუფლების კეთილდღეობით, ნაკისრი გვაქვს კიდევ პასუხისმგებლობა იმათ წინაშე, ვისაც ჯერ ამისთვის ვერ მიუღწევია“.<sup>65</sup>

„ახალი იალტის“ დოქტრინამ ცხარე დებატები გამოიწვია საქართველოში. ხელისუფლების წარმომადგენლები, ცხადია, მას იწონებენ და მხარს უჭერენ. „დღეს პრინციპულად დგას საკითხი — სამყარო უნდა იყოს დემოკრატიული, რომელმაც უნდა შეძლოს ანტიდემოკრატიული რეჟიმების, სახიფათო რეჟიმების, მოკვეთილი რეჟიმების, მოკვეთილი ქვეყნების განორმალურება. მთელ

<sup>63</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 11.V.2005

<sup>64</sup> „ხვალინდელი დღე“, 17.V.2005

<sup>65</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 11.V.2005

მსოფლიოში ყველა ადამიანი იმსახურებს თავისუფალ, დემოკრატიულ სამყაროს“, — აღნიშნავს პარლამენტარი კოტე გაბაშვილი.<sup>66</sup>

სამაგიეროდ, ამ იდეისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი ოპოზიცია. „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე პრეზიდენტს ურჩევს ვირტუალური სახელმწიფოს შენებას მოეშვას და ქვეყანაში რეალურად არსებულ პრობლემებს მიხედოს. მისი თქმით, საქართველომ უკვე გამოსცადა ერთი პრეზიდენტის მოღვაწეობის შედეგები, რომელიც „მსოფლიო დონისა და მასშტაბის“ პოლიტიკოსობას ცდილობდა, ახლა იგივე ისტორია მეორდება. „ვფიქრობ, ქვეყანას პერსპექტივას მოუსპობს და რაც უფრო დროზე მოეგება ჩვენი პრეზიდენტი გონს, მით უკეთესია. მსოფლიო პრობლემებს მის გარეშეც მიხედავენ როგორმე“, — აღნიშნავს ჩიხრაძე.<sup>67</sup>

„ახალი იალტის“ პათოსი სახიფათოდ მიაჩნიათ. „არ არის ეს ჩვენი ქვეყნის საქმე. ურთიერთდახმარება იმ ქვეყნებისა, რომლებმაც დემოკრატიისკენ გადადგეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მაგრამ რევოლუციის პათოსის შეტანა, ახალი ქვეყნებისკენ ხელის გაშვება, გარკვეულწილად მტრების გაჩენაა“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე.<sup>68</sup>

სააკაშვილის ინიციატივა, რა თქმა უნდა, ბევრს გააღიზიანებს, რომლებიც ისედაც გაღიზიანებულნი არიან ხავერდოვანი რევოლუციური პროცესებით. მაგრამ სააკაშვილის მოწოდება დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერისკენ ფაქტობრივად ემთხვევა თბილისში პრეზიდენტ ბუმის მიერ წარმოთქმული სიტყვის პათოსს. თავისუფლებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას ხომ გლობალური დემოკრატიული რევოლუციისაკენ მივყავართ.

## ○ მეტი დემოკრატიის სურვილი

პრეზიდენტ ბუმის თბილისში ვიზიტის უმთავრეს საკითხად მაინც ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შეფასება იქცა. აშშ-ის პრეზიდენტი თბილისში ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების მხარდასაჭერად ჩამოვიდა, ოპოზიცია კი სააკაშვილის ხელისუფლებას ერთსულოვნად ადანაშაულებს დემოკრატიული განვითარების გზიდან გადახვევაში, ანდა დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმების არასაკმარისობაში. „საზოგადოება უფრო მზადაა რადიკალური დემოკრატიული რეფორმებისათვის, ვიდრე ხელისუფლება“, — ნათქვამია პრეზიდენტ ბუმისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ ღია წერილში.<sup>69</sup>

მიუხედავად ოპოზიციის ამგვარი ერთსულოვანი დემოკრატიული განაცხადისა, ცხადია ისიც, რომ ოპოზიცია ერთგვაროვანი არ არის და არც დემოკრატიისადმი დამოკიდებულებაა ერთნაირი. ზოგისთვის ვარდების რევოლუციის დროს დეკლარირებული დემოკრატიული გარდაქმნების პროგრამა მართლაც მნიშვნელოვანია და აშშ-ს პრეზიდენტისაგან მოითხოვს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაზე ზემოქმედება მოახდინოს, რათა ამ უკანასკნელმა უარი თქვას ავტორიტარულ ცდუნებებზე.

ოპოზიციის მეორე ნაწილისათვის კი სააკაშვილის ხელისუფლების ავტორიტარიზმსა და დიქტატორობაში დადანაშაულება მისი დისკრედიტირებისა და დამხობისაკენ მოწოდებების გასაკეთებლად გამოიყენება. ამ მხრივ, ყველაზე მეტად ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი აქტიურობდა. 10 მაისს ბუმის ვიზიტის დროს დაგეგმილი საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით შალვა ნათელაშვილი აღნიშნავდა: „სწორედ ეს აქცია იქნება იმ მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების დასაწყისი, რომელიც საქართველოს მასშტაბით შემოდგომიდან დაიწყება და რომლის შედეგიც სააკაშვილის და მისი ხელისუფლების საქართველოდან გაქცევა იქნება“.<sup>70</sup>

ვარდების რევოლუციის შემდეგ გასულ ერთ წელიწადში შესაძლოა, მართლაც ბევრი გაკეთდა, მაგრამ საზოგადოების მოლოდინი გაცილებით უფრო მეტი იყო და ამ იმედების გაცრუება ხელისუფლებისაგან გაუცხოების ზრდას იწვევს. საზოგადოება თვლის, რომ უფრო მეტის გაკეთება შესაძლებელი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით და სწორედ ამას

<sup>66</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.V.2005

<sup>67</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.V.2005

<sup>68</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.V.2005

<sup>69</sup> „რეზონანსი“, 5.V.2005

<sup>70</sup> „ახალი თაობა“, 7.V.2005

უნდა მიაქციონ ყურადღება იმათ, ვისაც საქართველოს მხარდაჭერა უნდა.

ოპოზიციის ნაწილი, საპარლამენტო და არასაპარლამენტო პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრას ითხოვდა, რათა პირადად მისთვის ეთქვათ, რომ „ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუცია, სამწუხაროდ, ვერ გახდა მმართველობაში სისტემური გარდაქმნების საფუძველი“ და სააკაშვილის ხელისუფლებას ქვეყანა დემოკრატიისაკენ არ მიჰყავს.<sup>71</sup>

## ○ საქართველო და გლობალური დემოკრატიის პერსპექტივები

2005 წლის 18 მაისს პრეზიდენტ ბუშის მიერ ვაშინგტონში არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ წევრებთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა და „კონფლიქტებზე რეაგირების ფონდის“ შექმნა თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, რომ „ახალ დემოკრატიათა“ მხარდაჭერა აშშ-ის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს და ამ უახლოესი მომავლის სამოქმედო გეგმაში საქართველოს ერთ-ერთი საკვანძო ადგილი ეკუთვნის.

პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ დემოკრატიის გავრცელება მთელს მსოფლიოში მეორე საპრეზიდენტო ვადით მისი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახდება. პრინციპში, ამის თაობაზე ბუშმა თავის საინაუგურაციო სიტყვაშიც აღნიშნა. ჯორჯ ბუშის თქმით, აშშ-მა მისი მმართველობის პერიოდში 4 მილიარდ 600 მილიონი დოლარი დახარჯა დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამებისათვის. 2006 წელსაც 1 მილიარდ 300 მილიონი დოლარია გამოყოფილი იგივე მიზნებისათვის.<sup>72</sup>

მისი თქმით, აშშ-მ უნდა იმოქმედოს სწრაფად, დახმარება გაუწიოს იმ ქვეყნებს, რომლებიც დაადგინენ დემოკრატიული განვითარების გზას. ეს არის აშშ-სთვის სტრატეგიული კურსი და ამ მიზნით ჯორჯ ბუშმა წამოაყენა წინადადება შექმნას „კონფლიქტებზე რეაგირების ფონდი“, რომლისთვისაც 2006 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა 100 მლნ. დოლარი. გარდა ამისა, კიდევ 24 მლნ. დოლარი უნდა გადაირიცხოს ალდგენისა და სტაბილიზაციის ახალი სამმართველოს დაარსებისთვის, რომელიც შეიქმნება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან. „თუ დადგება კრიზისის ხანა და საჭირო იქნება დახმარება, ამერიკა მზად იქნება ამისთვის“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.<sup>73</sup> „დემოკრატიული დესანტი“ პოლიტიკურ კრიზისში მყოფ ქვეყნებს დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე მოკლე ვადაში გადასვლის საქმეში დაეხმარება.

ამგვარი დახმარების გარდუვალობა დემოკრატიაზე გადასვლის სიძნელეებით აიხსნება. „ისტორიაში ჯერ არც ერთ სახელმწიფოს არ მოუხერხებია ტირანიიდან თავისუფალ საზოგადოებაზე გადასვლა პირველი მარცხისა და არასწორი დასაწყისის გარეშე“, — აღნიშნავს ჯორჯ ბუში. აშშ-მაც დემოკრატიზაციისაკენ რთული გზა გაიარა. ანუ დემოკრატიის გზაზე დადგარ ქვეყნებს წლები დასჭირდებათ იმ ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც სტაბილურობისა და კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი.

ახლად მოპოვებული თავისუფლების დაცვისათვის, ბუშის თქმით, აუცილებელია ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა. მისი აზრით, ესაა ენერჯიული პრესა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, მშვიდობიანი ოპოზიცია და თავისუფალი ეკონომიკა.

პრეზიდენტ ბუშის თქმით, თავისუფლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით უპრეცედენტო პროგრესს აღწევს. „ეს უდიდესი იდეალიზმის პერიოდია, როცა მილიონობით ადამიანის ოცნება თავისუფლებაზე რეალობა ხდება“. სწორედ ამ დროს უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება რეალისტური პოლიტიკა. „იდეალისტურ მიზნებს რომ მივადწიოთ, რეალისტური პოლიტიკა გვჭირდება; პოლიტიკა რომელიც ხალხს დაეხმარება თავისუფლების დაცვაში; და პრაქტიკული სტრატეგია ახალგაზრდა დემოკრატიების დასახმარებლად, იმის შესახებ თუ როგორ მოახდინონ მიღწევების კონსოლიდირება“, — აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.<sup>74</sup>

სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს „კონფლიქტებზე რეაგირების ფონდმა“. თუმცა

<sup>71</sup> „ახალი თაობა“, 26.IV.2005

<sup>72</sup> „24 საათი“, 20.V.2005

<sup>73</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 20.V.2005

<sup>74</sup> „24 საათი“, 20.V.2005

მსოფლიოში დემოკრატიის მხარდასაჭერად სხვა უკვე არსებული ოფიციალური და არაოფიციალური სტრუქტურებიც იღვწიან. ამ მხრივ, აშშ-ის ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტია. მისი თავმჯდომარე სენატორი ჯონ მაკკეინი აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოში ცნობილია დემოკრატიის მხარდაჭერის ინიციატივებით.

რესპუბლიკური ინსტიტუტი დემოკრატიის განვითარების მიზნით სატრენინგო პროგრამებს და არჩევნებზე მონიტორინგს 60-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. ჯორჯ ბუშმა საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს მადლობა გადაუხადა საზღვარგარეთის ქვეყნებში თავისუფლების დამკვიდრებისათვის და განაცხადა, რომ დემოკრატიული რევოლუციები მთელ კავკასიასა და შუა აზიას მოიცავს. „ორი ათეული წლის მანძილზე საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი ასზე მეტ ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების წინა ხაზზე იდგა. დღეს მთელ დედამიწაზე თავისუფლების უპრეცედენტო პროგრესი შეიმჩნევა და ბოლო თვრამეტი თვის მანძილზე ჩვენ გავხდით ვარდების, ნარინჯისფერი, ალისფერი, ტიტებისა და კედრების რევოლუციების მოწმენი. ეს მხოლოდ დასაწყისია. მთელ კავკასიაში, ისევე როგორც შუა აზიაში, გარდაქმნების მოლოდინი იზრდება და ეს გარდაქმნები მალე დაიწყება“, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა.<sup>75</sup>

„რესპუბლიკურ ინსტიტუტს“ უკვე ბევრი მიიჩნევს პოსტსაბჭოთა სივრცეში რევოლუციების დაგეგმვის ცენტრად. ალბათ, პირველ რიგში, ამ ორგანოს გულისხმობდა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსი ნიკოლაი პატრუშევი, როცა უცხოურ ორგანიზაციებს დსთ-ს სივრცეზე „დივერსიულ“ მოღვაწეობაში სდებდა ბრალს. სახელმწიფო სათათბიროს წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა ბელორუსიის პრეზიდენტის ლუკაშენკოს ჩამოსაგდებად 5 მლნ დოლარი გამოყო.

როგორც ვხედავთ, ბუშმა ხაზი გაუსვა რევოლუციების ჯაჭვს, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში მოხდა და მას შემდგომი გაგრძელება „მთელ კავკასიაშიც“ უწინასწარმეტყველა. ამ გარემოებას ადგილობრივმა ექსპერტებმა მიაქციეს ყურადღება. „ბუშმა ზოგადად კავკასია იმიტომ ახსენა, რომ, პირველ რიგში, ჩრდილოკავკასიის ქვეყნები იგულისხმება“, — აღნიშნავს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არემიძე.<sup>76</sup> მისი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში უზბეკეთზე უარესი მოვლენები დატრიალდეს. ჩრდილოეთ კავკასიაში უკმაყოფილების უდიდესი მუხტია დაგროვილი, ამავე დროს დემოკრატიული ძალები რუსეთის პოლიტიკის შედეგად უაღრესად სუსტია. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ უზბეკეთის მსგავსად, ჩრდილოეთ კავკასიაშიც რევოლუციური ცვლილებების ინიციატივა დემოკრატიული ძალების ნაცვლად ისლამისტებმა აიღონ ხელში. ჩრდილოეთ კავკასიაში ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანება ხომ რელიგიური ან კლანური ნიშნით არის შეკრული.

რაც შეეხება საქართველოს სამხრეთკავკასიელ მეგობრებს, ქართველი ექსპერტები მიუთითებენ, რომ აზერბაიჯანში, სომხეთთან შედარებით ოპოზიცია სუსტია. აზერბაიჯანში ხავერდოვანი რევოლუცია, ალიევის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევა. რაც შეეხება სომხეთს, მიუხედავად ოპოზიციის სისუსტისა, აქ ბრძოლა უაღრესად მწვავე ხასიათს მიიღებს. დაპირისპირება აქ ორიენტაციის ნიადაგზე იქნება, რუსეთისათვის კი სომხეთის დაკარგვა მთელი კავკასიის დაკარგვის ტოლფასია.<sup>77</sup>

ბუშმა საქართველოს მხარდაჭერაზეც ისაუბრა. „ქართველებს აქვთ იმის ნება, რომ წარმატებას მიაღწიონ. ფანტასტიკური პატივი იყო, ჩვენი ქვეყანა ათასობით ადამიანის წინაშე წარმედგინა და თავისუფლების ჭეშმარიტი მოყვარულის, პრეზიდენტ სააკაშვილის გვერდით ვმდგარიყავი“, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა.<sup>78</sup> როგორც ადგილობრივ მედიაში აღინიშნება, საქართველო აშშ-ის ადმინისტრაციის ახალი გეოპოლიტიკური გეგმის მთავარი მოთამაშე ხდება. ამ მისიას კისრულობს მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ლუკაშენკოს წინააღმდეგ გაკეთებული მკაცრი განცხადებებით აჩვენებს, რომ გააგრძელებს სხვა ქვეყნებში ხავერდოვანი რევოლუციების მხარდაჭერის კურსს.<sup>79</sup>

ამ დროისათვის ზოგიერთი ადგილობრივი ექსპერტი პოსტსაბჭოურ სივრცეში ხავერდოვანი რევოლუციების გადამწყვეტ ფრონტად ბელორუსიას მიიჩნევდა. ლუკაშენკოს დამხობა მძლავრი

<sup>75</sup> „ახალი თაობა“, 20.V.2005

<sup>76</sup> „ახალი თაობა“, 21.V.2005

<sup>77</sup> „ახალი თაობა“, 21.V.2005

<sup>78</sup> „ახალი თაობა“, 20.V.2005

<sup>79</sup> „რეზონანსი“, 20.V.2005

დარტყმა იქნება პუტინის „ველიკოდერჟავულ“ გეგმებზე და ხელს შეუწყობს დემოკრატიზაციის პროცესს თავად რუსეთშიც. თუკი ბელორუსული რევოლუცია დაიგვიანებს, მაშინ რუსეთს საშუალება ექნება „რევოლუციის ჩახშობის ტექნოლოგიები“ მოამზადოს.<sup>80</sup>

„ახალი ევროპული დემოკრატიების“ მხარდაჭერა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი მიმართულება ხდება.

## თავი VI. ეროვნული თანხმობისაკენ მიმავალი გზა

### ○ ჯერ კიდევ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია

1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის სისხლიანი მოვლენებით იწყება მეტად მძიმე ხანა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომლის შედეგებსაც დღესაც იმკის ჩვენი ქვეყანა. ამ სამწუხარო თარიღის მორიგი წლისთავის დადგომასთან ერთად ქართულ მედიაში მრავლად ქვეყნდება ხოლმე სხვადასხვა მასალები. მიუხედავად ამისა, მრავალი არსებითი მნიშვნელობის კითხვა კვლავაც უპასუხოდ რჩება. მათზე პასუხის გაცემის გარეშე კი შეუძლებელია ობიექტური შეფასება მიეცეს მაშინ განვითარებულ მოვლენებს.

„ეს იყო ქაოსისა და განუკითხაობის წლები“, „სამოქალაქო ომი“, — აღინიშნებოდა ხელისუფლების მიერ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. „ეს იყო სამხედრო გადატრიალება“, — აცხადებდნენ შევარდნაძესთან დაპირისპირებული ზვიადისტები. ისინი მიუთითებდნენ, რომ კიტოვანი, სიგუა და ჯაბა იოსელიანი, რომლებიც გამსახურდიას იარაღით დაუპირისპირდნენ, რუსეთის ნების შემსრულებლები იყვნენ და გამსახურდიას დამხობაში აქტიურად იყო ჩართული რუსეთი, ისევე როგორც შევარდნაძე, რომელიც გამსახურდიას დამხობის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და შემდეგ 12 წელი იდგა ხელისუფლების სათავეში.

დეკემბერ-იანვრის მოვლენებზე საუბრისას შევარდნაძის მმართველობის წლებში აქცენტი კეთდებოდა გამსახურდიას მიერ დაშვებულ შეცდომებზე, მისი მმართველობის სტილზე, რამაც ოპოზიციის ნაწილის შეიარაღებული გამოსვლა გამოიწვია.

გარდების რევოლუციის შემდეგ რამდენიმე პარლამენტარმა დასვა 1991-1992 წლების მოვლენების შესწავლისა და შეფასების აუცილებლობის საკითხი. მათი განცხადებით, უნდა გამოვლინდნენ დამნაშავეები, ამასთან არ მოითხოვენ მათ დასჯას. პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა მოხდა მაშინ, შესაძლებელს გახდის შევადგასოთ იმ პროცესების მონაწილე თითოეული პიროვნების როლი. მაგალითად, ერთია შევარდნაძის როლი, თუკი იგი გამსახურდიას დამხობაში არ მონაწილეობდა და როგორც თავად აცხადებს, საქართველოში დაბრუნდა წესრიგის აღდგენაში დახმარების სურვილით, მაგრამ მისი როლი სულ სხვაგვარად წარმოჩინდება, თუკი მონაწილეობდა გამსახურდიას დამხობაში, როგორც ამას ზვიადისტები ამტკიცებენ.

დეკემბერ-იანვრის მოვლენების შესწავლამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებსაც რუსეთის როლის შესახებ სამხედრო გადატრიალებაში. დღეს ბევრი აღნიშნავს, რომ რუსი სამხედროები იარაღს აწვდიდნენ ორივე მხარეს, თანაც ისე გამოზომილად, რომ რომელიმე მხარეს სწრაფი გამარჯვება არ მოეპოვა და დაპირისპირება დიდხანს გაგრძელებულიყო.

ბუნდოვანია ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საკითხიც. შევარდნაძის ხელისუფლების დროს ოფიციალური ვერსია ამტკიცებდა, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა, თუმცა ზვიადისტები აცხადებენ, რომ გამსახურდია მოკლეს.

ერთი სიტყვით, დაგროვილია უამრავი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა ნათელს მოჰყენდა ბევრ რამეს ჩვენს უახლეს ისტორიაში, მაგრამ ისიც აღინიშნება, რომ ახალი ხელისუფლებაც დიდად დაინტერესებული არ არის ამ საკითხების გარკვევაში. ზოგადად, ჩვენი დღევანდელი

<sup>80</sup> „რეზონანსი“, 20.V.2005

პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი დეკემბერ-იანვრის მოვლენების ამა თუ იმ ფორმით მონაწილე იყო და დღეს იმდროინდელი ამბების გახსენების დიდი სურვილი არა აქვს.

მაშინ საქართველოს სახელით მოქმედ პოლიტიკოსებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციასა არ აღმოაჩნდათ სათანადო პასუხისმგებლობის გრძობა, იმისათვის, რომ დაპირისპირება სისხლისღვრამდე არ მიეყვანათ. გამსახურდიას ეადვილებოდა ოპოზიციის დამარცხება, ოპოზიციას კი შესაძლებლად მიაჩნდა ხელისუფლების იარაღით დამხობა. დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალებამ სათავე დაუდო ბევრ ნეგატიურ პროცესს, რაც დღესაც მძიმედ აისახება ქვეყნის ცხოვრებაზე. საქართველო სხვებისთვის დიდხანს იყო ნეგატიური მაგალითი იმისა, თუ რა არ უნდა გააკეთოს ქვეყანამ, რომელსაც დამოუკიდებლობა და დემოკრატია უნდა.

გადატრიალებამ ქვეყანას რამდენიმეწლიანი განუკითხაობის პერიოდი მოუტანა, როდესაც დაუსჯელად დათარეშობდნენ შეიარაღებული კრიმინალური ჯგუფები, როცა გაიძარცვა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა და ყოფილი საერთო-სახალხო ქონება ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში მოსული კლანების ხელში გადავიდა, გადატრიალებამ და შეიარაღებულმა დაპირისპირებამ უაღრესად გაზარდა რუსეთის შესაძლებლობები ჩარეულიყო საქართველოში მიმდინარე პროცესებში. გადატრიალების პირდაპირი შედეგი იყო აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები, იქ რუსეთის ხელშეწყობით სეპარატისტული რეჟიმების დამკვიდრება და კონფლიქტების დიდი ხნით „გაყინვა“.

გადატრიალების შემდგომ მძიმე წლებს ყოველ კრიტიკულ მომენტში ახსენებდა ხოლმე ხალხს შევარდნაძის ხელისუფლება. ხალხიც არჩევანს აკეთებდა შევარდნაძის მიერ მოტანილი „ცუდი“ სტაბილურობის სასარგებლოდ, რადგანაც საშინლად უფრთხოდა ახალი სამოქალაქო ომის გაჩაღებას. მაგრამ ამ ტაქტიკამ ბოლოს აღარ გაამართლა. 2003 წელს ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ოღონდ კი შევარდნაძის მმართველობა მოეშორებინა.

ვარდების რევოლუციამ, საბედნიეროდ, საქართველოში სისხლის დაუღვრელად ჩაიარა, თუმცა ამის დიდი საფრთხე არსებობდა. საქართველოს ახალ ხელისუფლებას ხალხი იმ იმედით ირჩევდა, რომ ბოლო მოედება ყველა იმ დამცირებასა და ნაკლოვანებას, რაც არსებობდა შევარდნაძის მმართველობის წლებში. ამ უდიდესი იმედების მოკლე დროში გამართლება ძნელია. სწორედ ამ სახალხო იმედებშია სააკაშვილის ხელისუფლების ძალაც და სისუსტეც.

## ○ ეროვნული შერიგების რთული გზა

პირველი, რაც გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა ინაუგურაციის შემდეგ, მივიდა რუსთაველის გამზირზე ქაშუეთის ეკლესიაში და ხელი მოაწერა ეროვნული შერიგების მანიფესტს. ხელმოწერას ესწრებოდნენ ახალი ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამით მიხეილ სააკაშვილმა აჩვენა, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება ეროვნული გაერთიანების შესახებ ცარიელი დაპირება არ არის და შეეცდება პრაქტიკული ნაბიჯებით მიაღწიოს საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებების აღმოფხვრას. თუმცა, არაერთგვაროვანი რეაქცია პრეზიდენტის მიერ გადადგმულ ამ კონკრეტულ ნაბიჯზე მოწმობს, რომ აღნიშნული გზით სიარული იოლი არ იქნება.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საზოგადოებას ხშირად აშინებდნენ სამოქალაქო ომის საფრთხით, რაც თურმე გარდუვალი იქნებოდა შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემთხვევაში. ხალხში მართლაც დიდი იყო შიში ქაოსის და განუკითხაობის დაბრუნებისა, რაც საქართველოს დაატყდა 1992 წლის იანვარში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ. თუმცა, შემდეგ შევარდნაძის მმართველობა იმდენად აუტანელი გახდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდა მისი ხელისუფლებიდან გადადგომის მოთხოვნით. აღმოჩნდა რომ შევარდნაძეს ფაქტობრივად მხარდამჭერები აღარ ჰყავს, გაერთიანება „ანტიშევარდნაძისტულ პლატფორმაზე“ მოხდა.

შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლას აქტიურად უჭერდნენ მხარს ე.წ. ზვიადისტებიც. მათ თავიანთი ანგარიში ჰქონდათ შევარდნაძესთან, რომელსაც გადატრიალების მთავარ ორგანიზატორად მიიჩნევდნენ და რომლის მმართველობის პერიოდში არაერთხელ დაატყდათ თავს რეპრესიები.

ეროვნული შერიგების შესახებ პერიოდულად შევარდნაძეც ლაპარაკობდა, მაგრამ ეს იყო

უფრო გამარჯვებული მხარის მიერ დამარცხებულების პატიება და არა მომხდარის მონანიება. სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი აქტით ციხეებიდან უნდა განთავისუფლდნენ იქ დარჩენილი უკანასკნელი ზვიადისტები, მტკვრის მარცხენა სანაპიროს უნდა ეწოდოს ზვიად გამსახურდიას სახელი, ხოლო თავად ზვიად გამსახურდია, რომელიც გროზნოშია დაკრძალული, თბილისში გადმოასვენონ.

ცნობამ გამსახურდიას დარჩენილი მომხრეების ციხიდან გათავისუფლების შესახებ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობიდან თავისუფლდება ლოთი ქობალიაძე. ეს იყო ზვიად გამსახურდიას გვარდის ხელმძღვანელი და მას პირადად ედება ბრალი ყურნალისტ დავით ბოლქვაძის დახვრეტაში. ქობალიას გათავისუფლების შემთხვევაში დაღუპული ყურნალისტის დედა და ახლობლები საპროტესტო აქციებით იმუქრებოდნენ. მედიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ არ უნდა გათავისუფლდნენ ის ადამიანები, რომელთაც მკვლელობაში ედებათ ბრალი. ლოთი ქობალიას ადვოკატები აცხადებენ, რომ ქობალია ყურნალისტის დაღუპვაში დამნაშავე არ არის და ისინი ამას დაამტკიცებენ კიდევ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ 1991-1992 წლების მოვლენებითა და მომდევნო დაპირისპირებით გამოწვეული ტკივილი ჯერ კიდევ მწვავეა და დავიწყებული არაა.

რაც მთავარია, სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი აქტის თანახმად, უნდა მოხდეს 1991-1992 წლების მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული ფურცლები მართლაც ყურადღებით შესასწავლი და შესაფასებელია. ამისათვის დღეს კარგი პირობებია იმ აზრით, რომ ხელისუფლებას ან საერთოდ პოლიტიკას ჩამოსცილდნენ ის პირები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ იმ მოვლენებში. მაგრამ ეს არ იქნება იოლი გასაკეთებელი. ადრე საპირისპირო ბანაკებში მყოფი ადამიანები დღეს ასე თუ ისე, თანამშრომლობას ახერხებენ, მაგრამ დაპირისპირება შეიძლება კვლავ განახლდეს, თუკი დადგება თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი წარსულში განვითარებულ მოვლენებზე.

ალბათ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მიუღებელია ზოგიერთი ზვიადისტის პოზიცია. მათი აზრით, უნდა გასამართლდნენ სახელმწიფო გადატრიალების მომწყობნი. ანუ ეროვნული შერიგება მათთვის თავისებური რევანშია „შევარდნაძისტებზე“, რომელთაც ბრალდებათ ზვიად გამსახურდიას დამხობა. ამ გზით სიარული ეროვნული შერიგების მაგივრად მხოლოდ დაპირისპირებას გაამწვავებს საზოგადოებაში.

მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ „გვერდითი მოვლენებია“ მთავარისა, რაც ამოძრავებდა საქართველოს ახალ პრეზიდენტს ეროვნული შერიგების აქტის ხელმოწერის დროს. ძველი დაპირისპირება დავიწყებას უნდა მიეცეს საქართველოს მომავლის სახელით და მთავარი დასკვნა, რაც უნდა გამოვიტანოთ წარსულიდან მხოლოდ ერთია — საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს მსგავსი მოვლენები. ამ დასკვნას კი დღეს იზიარებს როგორც საზოგადოება, ისე მთელი პოლიტიკური სპექტრი. ვარდების რევოლუციაც, გარკვეულწილად, სწორედ ამ ეროვნული თანხმობის შედეგია.

მაგრამ საქართველოში ეროვნული შერიგება კიდევ უფრო ფართოდ შეიძლება გავიზაროთ და მან მოიცვას დღეს გაყინული კონფლიქტები, გავრცელდეს ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზეც. ამ მიმართულებით საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ამ პროცესის ხელშეწყობა მხოლოდ ართულებს კონფლიქტების მოწესრიგების საქმეს.

## ○ გინ იტყვის სიმართლეს გადატრიალების შესახებ

მიხეილ სააკაშვილს ვარდების რევოლუციის დროს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებმაც დაუჭირეს მხარი. ზვიადისტების ხმების მოსაპოვებლად სააკაშვილი პირობას დებდა, რომ სათანადო შეფასებას მისცემდა 1991-1992 წლების მოვლენებს, ანუ ზვიად გამსახურდიას დამხობას და მის შემდეგ განვითარებულ პროცესებს. პარლამენტში უმრავლესობის მიერ მომზადებულ რეზოლუციას ზვიადისტები არ ეთანხმებოდნენ. უთანხმოებამ ამ საკითხში პრეზიდენტ სააკაშვილს ელექტორატის აღნიშნული ნაწილი შეიძლება დააკარგინოს.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მხარდაჭერის მოპოვებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შევარდნაძის მმართველობის დროსაც. მაგალითად, 1999 წლის და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს წამყვანი პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ

თავიანთ სიებში, ან პარტიულ ბლოკში მოექციათ ზვიად გამსახურდიას ყოფილი პოლიტიკური გაერთიანების ესა თუ ის წარმომადგენელი. ეს მით უფრო ადვილი იყო, რადგანაც ზვიადისტთა ბანაკი მრავალ ცალკე მიმდინარეობად არის დაქუცმაცებული.

„თავისი“ ზვიადისტები ჰყავდა ნაციონალურ მოძრაობასაც. მიხეილ სააკაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზვიადისტური ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვებას. ზვიადისტები ის ძალა იყო ქართულ პოლიტიკაში, რომლებიც თავიდანვე უპირისპირდებოდნენ შევარდნაძეს და მას უკანონო ხელისუფლების მეთაურად თვლიდნენ. ამდენად, შევარდნაძის გადაყენების ლოზუნგს, რითაც სააკაშვილი გამოდიოდა, ზვიადისტების მხრიდან უცილობელი მხარდაჭერა ჰქონდა. შემთხვევითი არ იყო, რომ სააკაშვილმა თბილისზე ლაშქრობა 2003 წლის ნოემბერში სამეგრელოდან დაიწყო, სადაც, ტრადიციულად, მრავლად იყვნენ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები.

ზვიადისტების ცნობილი მოთხოვნა 1991-1992 წლების გადატრიალების სამართლებრივი შეფასება და 1993 წლის შემოდგომაზე ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა გამოძიებაა. თუმცა, სააკაშვილის ხელისუფლებას უჭირს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა და სიფრთხილეს იჩენს.

პარლამენტში დავითაშვილი-ძიძიგური-კუკავას ჯგუფმა, რომლებიც კონსერვატორების პარტიად ჩამოყალიბდა, მოამზადა დადგენილების პროექტი. მასში აღნიშნულია, რომ 1990-1991 წლებში სახელმწიფოს სათავეში ლეგიტიმური ხელისუფლება იმყოფებოდა და სახელმწიფო გადატრიალება ანტიკონსტიტუციური მოვლენა იყო.<sup>81</sup>

კონსერვატორების მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი თავიდან ოთხგვერდიანი იყო, მაგრამ უმრავლესობასთან შეთანხმების პროცესში ბევრი რამის ამოღება მოუხდათ და საბოლოოდ ორ პუნქტზე დავიდა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობისათვის ესეც მიუღებელი აღმოჩნდა. ნაციონალური მოძრაობის წევრები თანახმანი არიან, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ლეგიტიმურად აღიარონ, მაგრამ სამხედრო გადატრიალების არაკონსტიტუციურად შეფასებას ერიდებიან. უმრავლესობის მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტში აღნიშნულია, რომ „1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა“.<sup>82</sup>

ამგვარ ფორმულირებას კონსერვატორებიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან და ზვიადისტური ორგანიზაციებიც. „1991-1992 წლების მოვლენების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვეპლთა კავშირი“ პარლამენტისგან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის ობიექტურ შეფასებას მოითხოვს, რაც იმის აღიარებას გულისხმობს, რომ 1991-1992 წლებში ანტიკონსტიტუციური გადატრიალება მოხდა. „ჩვენ არ დავუშვებთ საქართველოს უახლესი ისტორიის დამახინჯებას და უმრავლესობას მოვუწოდებთ მხარი დაუჭიროს პარლამენტარ კახა კუკავას მიერ მომზადებული დადგენილების პროექტს“, — აცხადებს კავშირის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მამაგვიშვილი.<sup>83</sup>

ისინი, ვინც 1991-1992 წლების მოვლენების სამართლებრივ შეფასებას მოითხოვენ, აცხადებენ, რომ ამას არავის დასჯა არ უნდა მოჰყვეს. აუცილებელია მხოლოდ თავისი სახელი დაერქვას იმას, რაც მაშინ საქართველოში მოხდა — კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული დამხობა, ანტიკონსტიტუციური გადატრიალება. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ 1991-1992 წლების მოვლენებში ჩაღრმავებასა და ამ პროცესისათვის სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას სიფრთხილე სჭირდება. საპარლამენტო უმრავლესობა „ფრთხილი“ და „სანახევრო“ დადგენილების პროექტის შემუშავებას სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხსნის. ზვიადისტების მომადლიერებას იმათი განაწყენება შეიძლება მოჰყვეს, ვინც თავის დროზე აქტიურად იბრძოდა გამსახურდიას წინააღმდეგ. მათი ნაწილი დღესაც პარლამენტშია. ასე რომ 1991-1992 წლების მოვლენების შეფასებას ეროვნული შერიგების სახელით ახალი გათიშვა და სხვა პიროვნებებისა და ჯგუფების განაწყენება შეიძლება მოჰყვეს.

გარდა ამისა, როგორც ამბობენ, გასათვალისწინებელია საერთაშორისო ფაქტორიც. ზვიად გამსახურდიას დამხობას მოწონებით შეხვდნენ მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც. ზვიადისტები ამტკიცებენ, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულება მოეწყო და მათ აქვთ საკმარისი დამადასტურებელი საბუთები გამსახურდიას დამხობაში რუსეთის სპეცსამსახურების და

<sup>81</sup> „რეზონანსი“, 12.I.2005

<sup>82</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2005

<sup>83</sup> „რეზონანსი“, 12.I.2005



სამხედროების მონაწილეობისა.

ამ რეზოლუციის მიღებით, ალბათ, არ დამთავრდება საუბარი 1991-1992 წლების მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ. მომხდარის ყოველმხრივი შესწავლა და მრავალ უპასუხო კითხვაზე პასუხის გაცემა კი მომავლის საქმეა.

## ○ თანხმობის ძიება წარსულის შესახებ

პარლამენტში გამართულმა დებატებმა აჩვენა, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებისთვის პოლიტიკური შეფასების მიცემა ჯერ კიდევ ადრეა. მიუხედავად რამდენიმეთვიანი წინასწარი კონსულტაციებისა, როგორც კი პარლამენტში ამის გაკეთება სცადეს, ვითარება უაღრესად დაიძაბა. საბოლოოდ, პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება მხოლოდ აღნიშნული მოვლენების სამართლებრივ შეფასებას ითვალისწინებს. დადგენილება მიზნად ისახავს საქართველოში დევნილი პოლიტიკური მოღვაწეების რეაბილიტაციას და ეროვნული თანხმობის პროცესის დასრულებას.

2005 წლის 11 მარტს პარლამენტმა 111 ხმით 2-ის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“. მის მიღებას კი წინ უსწრებდა მწვავე დებატები 14 წლის წინ საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რამაც ბევრად განსაზღვრა მოვლენათა შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყანაში.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შესაფასებლად პარლამენტარებს ორი სხვადასხვა დოკუმენტი დაურიგდათ. ოპოზიციური კონსერვატიული ფრაქციისათვის, მათივე განცხადებით, მოულოდნელი იყო საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ალტერნატიული პროექტის წამოყენება. წარმოდგენილ პროექტებს შორის ტერმინოლოგიური განსხვავება პრინციპული ხასიათის უთანხმოებას ასახავდა. კონსერვატორთა მიერ მომზადებულ პროექტში ეს მოვლენები შეფასებულია როგორც „ანტიკონსტიტუციური სამხედრო გადატრიალება“, უმრავლესობის სახელით წარმოდგენილ პროექტში, რომლის ავტორებიც იყვნენ გიგა ბოკერია, კოტე გაბაშვილი და ნიკა რურუა, აღნიშნული მოვლენები შეფასებული იყო როგორც „საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა“. უმრავლესობის პროექტის ავტორები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგი იყო.<sup>84</sup>

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული დადგენილება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კახა რურუამ წარმოადგინა. მისი თქმით, თუ პარლამენტი 1991-92 წლების მოვლენებს „სამხედრო გადატრიალებად“ შეაფასებს, საქართველოს პრობლემები შეექმნება ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისას. აღნიშნულის მაგალითად რურუამ საბერძნეთი დასახელა.<sup>85</sup> რურუას მტკიცებით გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ ქვეყანაში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ საბერძნეთის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი სერიოზულად შეაფერხა.<sup>86</sup> თუმცა, ეს არგუმენტი არასერიოზულად მიიჩნია ოპოზიციამ.

დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთს წარსულიც შეახსენეს. „დადგენილების ალტერნატიული პროექტის სამივე ავტორი სამხედრო გადატრიალების მომხრეები ბრძანდებობდნენ. კოტე გაბაშვილს შევარდნაძის ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა ეკავა, გიგა ბოკერია პუტჩისტების იდეოლოგი იყო, ნიკა რურუა კი „მხედრონის“ ლიდერს ედგა გვერდში“, — გაიხსენა ზვიად ძიძიგურმა.<sup>87</sup>

დებატების დროს აღმოჩნდა, რომ კონსერვატორების მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს მომხრეები საპარლამენტო უმრავლესობაშიც ჰყავდა. ეს როგორც ჩანს, იმითაც იყო განპირობებული, რომ თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა თბილისის ტრაგიკული მოვლენები „კრიმინალურ სამხედრო გადატრიალებად“ შეაფასა. საბოლოოდ შეთანხმებას ნაწილობრივ

<sup>84</sup> „ალია“, 12-14.III.2005

<sup>85</sup> „რეზონანსი“, 12.III.2005

<sup>86</sup> „24 საათი“, 12.III.2005

<sup>87</sup> „24 საათი“, 12.III.2005

მიალწიეს. დადგენილებაში ჩაიწერა „შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება“.<sup>88</sup>

როგორც მიღებულ დადგენილებაშია ნათქვამი, პარლამენტი მიესალმება საქართველოში ეროვნული თანხმობის პროცესს და მიიჩნევს, რომ უახლესი ისტორიის სწორი და პირუთვნელი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება აუცილებელია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. თანხმობა კი მიღწეულია შემდეგ საკითხებზე: საქართველოს პარლამენტი ითვალისწინებს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს, პირველად საბჭოთა მმართველობის პირობებში, მრავალპარტიული თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად საქართველოში შეიქმნა ეროვნული ხელისუფლება, 1990-1991 წლებში ეროვნული ხელისუფლების მიერ გადადგმულ იქნა არაერთი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, ხოლო 2003 წლის ნოემბრის „გარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში შეიქმნა საყოველთაო ეროვნული შერიგების პირობები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტი მიიჩნევს, რომ უნდა გაგრძელდეს საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 იანვრის ინიციატივა და საბოლოოდ აღმოიფხვრას 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგები. პარლამენტი კვლავაც ადასტურებს 1990 წ. 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესო საბჭოს და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, ასევე მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას და ადგენს: შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდების საფუძველი ემყარებოდა მითითებულ სახელმწიფო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას; პარლამენტმა დაგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება და რეპრესიული მოქმედებები.<sup>89</sup>

როგორც ოპოზიცია განმარტავს, მიღებული დადგენილების მიზანია აღნიშნულ პერიოდში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია, რადგან იმ პერიოდში რეპრესირებულებს ჯერ კიდევ არ მოხსნიათ ბრალდებები, რომლითაც დააპატიმრეს. ამგვარი ადამიანები, მათი განცხადებით, დღეს ხელისუფლებაშიც არიან. მას შემდეგ, რაც მოხდება პრეზიდენტ შევარდნაძის დროს ბრალდებულთა რეაბილიტაცია, მათზე გავრცელდება საბჭოთა პერიოდში რეპრესირებულ პირებისათვის გათვალისწინებული სოციალური შეღავათები.<sup>90</sup>

## ○ გზა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ

საქართველოს მთავრობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის შექმნაზე მუშაობას იწყებს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, საქართველოში ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო შეიქმნა. აღნიშნულმა საბჭომ ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია უნდა შეიმუშაოს. მის ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში ზინაიდა ბესტაევა საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედიან ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი პავლე კუბლაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე.

საბჭომ ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები მიმდინარე წლის 2005 წლის 20 სექტემბრამდე უნდა შეიმუშაოს. საქართველოს მთავრობამ კი 2007 წლის 20 თებერვლამდე საბჭოს წარდგინებითა და რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული კონცეფცია დაამტკიცოს და პარლამენტს წარუდგინოს.

გარდების რევოლუციის შემდეგ პირველ ხანებში აქტუალური იყო ეროვნული შერიგების თემა, რომელიც გულისხმობდა 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალების შედეგების დაძლევისა და ზვიადისტების პოლიტიკურ და სამართლებრივ რეაბილიტაციას. თუმცა, იმავდროულად

<sup>88</sup> „ალია“, 12-14.III.2005

<sup>89</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.III.2005

<sup>90</sup> „რეზონანსი“, 12.III.2005

აღინიშნებოდა, რომ ეროვნული შერიგება უფრო ფართოდაც უნდა იქნას გააზრებული და კონფლიქტურ რეგიონებზეც გავრცელდეს. როგორც ჩანს, ამ თემაზე ფიქრმა ხელისუფლება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის შემუშავების იდეამდე მიიყვანა.

შემწყნარებლობა და სამოქალაქო ინტეგრაცია ტოლერანტული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას და, რაც მთავარია, ეროვნული უმცირესობების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციას უნდა შეუწყოს ხელი.

2005 წლის ივლისში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დელეგაციამ გამოაქვეყნა საქართველოში ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის შესწავლის შედეგები. კვლევის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები არ იდევნებიან. თუმცა, აღიროცხება დისკრიმინაციის ცალკეული შემთხვევები. ეს, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ მათ უჭირთ სამსახურის შოვნა და ქართული ენის უცოდინარობის გამო იზოლირებულნი და გარიყულნი არიან საზოგადოებისაგან.<sup>91</sup>

არასამთავრობოთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ეთნიკურ უმცირესობებს ხელისუფლების ყველა შტოში მეტი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ და სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს მათთვის ქართული ენის შესწავლა.<sup>92</sup>

სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციაში ქართული ენის სწავლებას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, მაგრამ ამავე დროს საჭირო იქნება სხვა პროექტების განხორციელებაც, რეგიონული სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად, კონცეფციაში, ალბათ, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ჯავახეთის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს. საქართველოს ამ კუთხეში მოსახლეობის უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ადამიანების მონაწილეობა მინიმალურია. ახალქალაქში მდგომი რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის პერსპექტივა კი მათ სერიოზულად აშფოთებთ. საჭიროა დაწვრილებითი განმარტება და, რაც მთავარია, პრაქტიკული ნაბიჯებით მათი დარწმუნება იმაში, რომ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან და მათი მდგომარეობა არათუ არ გაუარესდება, არამედ სახელმწიფო სისტემატიურად იზრუნებს მის გაუმჯობესებაზე.

სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებს. საქართველოს ხელისუფლება ხაზგასმით აცხადებს, რომ კონფლიქტების მოწესრიგება მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით წარმოუდგენია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცხინვალის რეგიონს შესთავაზა ფართო ავტონომია. ეს პროექტი მოიწონეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. აფხაზეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლება ამოსავლად მიიჩნევს გაეროს ეგიდით შემუშავებულ ე.წ. ბოდენის დოკუმენტს. ამ დოკუმენტებით საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის, რაც ქართული საზოგადოების ნაწილს გაუმართლებლად მიაჩნია.

საქართველოს ხელისუფლება მზადაა ყურადღება არ მიაქციოს საზოგადოების ნაწილის მხრიდან მომდინარე წინააღმდეგობას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დოკუმენტებზე სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელების რეაქცია უარყოფითია ისინი აცხადებენ, რომ მათი მიზანი რუსეთთან ინტეგრაციაა. პრინციპში, სხვა არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სეპარატისტულ რეჟიმებს მთლიანად მოსკოვი აკონტროლებს.

გარედან აშკარა თუ ფარული ჩარევა ის მძლავრი ნეგატიური ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის სამოქალაქო ინტეგრაციის ამოცანების გადაწყვეტას. მისი ნეიტრალიზება იოლი საქმე არ იქნება და ამას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალ კონცეფციაში.

რაც მთავარია, კონცეფციის რეალიზებისათვის აუცილებელია შესაბამისი სახსრები. ამის გარეშე ნებისმიერი კარგი გეგმა ფარატიხა ქალაქად დარჩება აქედან გამომდინარე, სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ბიუჯეტისათვის.

<sup>91</sup> „ახალი თაობა“, 28.VII.2005

<sup>92</sup> „რეზონანსი“, 28.VII.2005

## ○ ეროვნული კონსენსუსის სურვილი

2005 წლის ოქტომბერში პარლამენტში მომზადდა ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტი, რომლის შექმნის ინიციატივითაც საქართველოს ხელისუფლება გამოვიდა. ამ დოკუმენტში „ასახულია ყველა ის სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი, რის გარშემოც საქართველოს სახელმწიფო უნდა აშენდეს“, — განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტის შემუშავებას ხელმძღვანელობდა.<sup>93</sup>

შევარდნაძის ხელისუფლება წლების მანძილზე ლაპარაკობდა „ეროვნული შერიგების პოლიტიკაზე“, რომელსაც პოლიტიკური დევნილების — ზვიადისტების პრობლემა უნდა გადაეჭრა. ეს საკითხი, პრინციპში, თავისთავად ამოიწურა შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა ზვიადისტების დიდმა ნაწილმაც მიიღო და ამაში ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დაინახა. „ეროვნული შერიგების“ პრობლემის ძველი სახით აღმოფხვრამ საზოგადოება ახალი ამოცანების გადაჭრის რეალური შესაძლებლობის წინაშე დააყენა. გაჩნდა ეროვნული შერიგების გაფართოებული გაგების იდეა. ამ პოლიტიკას უნდა მოეცვა არა მხოლოდ შიდა ქართული დაპირისპირება, არამედ საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებისაკენ მიმართული ძალისხმევაც.

ავგისტოში პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოითხოვა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რისთვისაც სპეციალური კომისია შეიქმნა. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება არაქართული მოსახლეობის სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფაა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმართულებაც, რომელიც ე.წ. „ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტის“ შემუშავებას გულისხმობდა. მასში უნდა ასახულიყო ის ძირითადი პრიორიტეტები და მისწრაფებები, რასაც დღევანდელი ქართული პოლიტიკა ემყარება. ამგვარი დოკუმენტის შემუშავებას ისიც აადვილებდა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ძირითადი ფასეულობანი, რასაც ქართული სახელმწიფო ემყარება. ასევე უმთავრესი მიზნები და ამოცანები.

ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტმა, პირველ რიგში, უნდა დააფიქსიროს საქართველოს დემოკრატიული არჩევანი და ქვეყნის დასავლური ორიენტაცია. თუმცა, როდესაც კონსენსუსზე საუბარი მის შემუშავებაში ყველა პოლიტიკური ძალა და საზოგადოების ფართო ფენები უნდა მონაწილეობდნენ. როგორც გავიგეთ, დოკუმენტი შემუშავებულია სახელისუფლო ფრაქციის ძალებით და მის შექმნაში საპარლამენტო ოპოზიციაც კი არ მონაწილეობდა. არადა, პარლამენტის თავმჯდომარის დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ყველა პოლიტიკური ძალა ერთსულოვანი ყოფილიყო. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ოპოზიციას ამ დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის სურვილი არ გამოუთქვამს.

ის ფაქტი, რომ ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტის შემუშავებაში საპარლამენტო ოპოზიციის ჩართვა ვერ მოხერხდა, დიდი მინუსია აღნიშნული დოკუმენტისთვის. საპარლამენტო უმრავლესობამ თუნდაც რომ დაამტკიცოს, ის ფორმალურად არ იქნება ეროვნული კონსენსუსის გამომხატველი. პრინციპში, დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, მასში ოპოზიციის სახით ის ძალები არიან წარმოდგენილნი, რომლებიც ასევე დემოკრატიული და დასავლური არჩევანის აქტიური მხარდამჭერები არიან და ხელისუფლებას ამ მიმართულებით მათი აზრით არასაკმარისი ნაბიჯების გადადგმის გამო აკრიტიკებენ. ამდენად, ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტის ერთობლივი შემუშავება ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

კარგი იქნება, თუკი ეროვნული კონსენსუსის დოკუმენტს დამტკიცებამდე საზოგადოებას გააცნობენ და მის გარშემო დისკუსიას გამართავენ. განხილვის ამგვარი ფორმატი, პრინციპში, აუცილებელიცაა დოკუმენტის სახელწოდებიდან გამომდინარე. ამგვარი განხილვა და გამოთქმული სამართლიანი შენიშვნების გათვალისწინებაც, საზოგადოებას დოკუმენტის შექმნაში თანამონაწილეობის გრძობას უქმნის და რეალურად ქმნის იმ ფენომენს, რაც დოკუმენტის სათაურშია ასახული.

<sup>93</sup> „რეზონანსი“, 8.XI.2005

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოვლისმომცველი ეროვნული კონსენსუსი წარმოუდგენელია, რადგანაც ქვეყანაში არათუ კვლავ მოქმედებენ, არამედ უფრო გააქტიურდნენ დასავლეთის მიმართ ნეგატიურად განწყობილი პოლიტიკური ძალები. ასე რომ საჯარო დისკუსია რეალურად ხელს შეუწყობდა თანხმობის განმტკიცებას საზოგადოებაში.

## თავი VII. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება

2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს 1999 წლის მოწვევის „გახანგრძლივებული“ პარლამენტის მიერ მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის საკონსტიტუციო მოწყობაში. შედეგად მივიღეთ სისტემა, რომელიც იდეალური სულაც არ არის და რომლის საჭიროებაც მხოლოდ მიმდინარე ეტაპის ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობით აიხსნება.

### ○ „ვარდების რევოლუცია“ კონსტიტუციაში

ვარდების რევოლუციის შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით უცნაური სიტუაცია შეიქმნა. დიდხანს ამ საკითხზე ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ სახელისუფლო კულუარებში ინტენსიურად მუშაობდნენ საკონსტიტუციო რეფორმაზე და ხელისუფლების სათავეში მყოფი სამეული ერთმანეთში ათანხმებდა ცენტრალურ ხელისუფლებაში ძალთა ახალ განლაგებას.

ეს ყველაფერი, როგორც უკვე ითქვა, კულისებში ხდებოდა და არათუ რიგითი მოქალაქეებისთვის, არამედ სპეციალისტთა და პოლიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის სრულიად უცნობი რჩებოდა, თუ კონკრეტულად რა ცვლილებებზე იყო ლაპარაკი. ცნობილი იყო ის, რომ საქმე ეხებოდა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღებას და რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ზურაბ ჟვანიას უნდა დაეკავებინა.

ამიტომ მედიაში გაგრძელდა ვერსია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ხორციელდებოდა ზურაბ ჟვანიას ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ვარდების რევოლუციის წინ მიღწეული შეთანხმების თანახმად, სააკაშვილი პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო, ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩებოდა, ზურაბ ჟვანია კი მიიღებდა არარსებულ პრემიერ-მინისტრის პოსტს. ამ პოსტის დაკავების სურვილი კი ჟვანიამ ჯერ კიდევ 2001 წელს გამოთქვა, თუმცა მაშინ პარლამენტმა, შეიძლება სწორედ ამიტომაც, შევარდნაძის მიერ შეტანილ შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარი თქვა.

თავის დროზე 1995 წლის კონსტიტუცია „შევარდნაძის თარგზე“ გამოიჭრა, ახლა კი რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კონსტიტუციას უკვე რევოლუციური ლიდერები ირგებდნენ ტანზე. ამგვარმა კონსტიტუციურმა ჭრა-კერვამ ახალ ხელისუფლების მისამართით ბევრ ისეთ ადამიანს და ორგანიზაციას გამოათქმევინა კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის წინააღმდეგ მათი მხარდამჭერები იყვნენ. ამ ადამიანებისთვის მიუღებელი იყო საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების კულუარული ხასიათი და მისი დაჩქარებული გატანა 1999 წლის მოწვევის უკვე „ვადაამოწურულ“ პარლამენტში, რომლის ლეგიტიმურობაც მთლად გამართული ვერ იყო.

საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე პროექტი ერთი თვით ადრე მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული. ამ წესის გვერდის ავლას კონსტიტუციის რეფორმატორებმა შემდეგნაირად გაამართლეს: საქმე ეხება სწორედ იმ ცვლილებებს, რასაც შევარდნაძე ითხოვდა პარლამენტისგან 2001 წელს შეტანილი პროექტით. ეს პროექტი კი ცნობილია საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ მაშინ ამ ცვლილებების მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ მისი დღევანდელი მხარდამჭერები.

კონსტიტუციური ცვლილებები კი უცნაურად განხორციელდა. კონსტიტუციურ რეფორმას

მხარი დაუჭირა პარლამენტმა, რომლის არცთუ მცირე ნაწილსაც ვარდების რევოლუციის მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ, ხოლო კონსტიტუციური ცვლილებების მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვარდების რევოლუციაში და შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჩამოსაცილებლად იღვწოდნენ.

„ქვეყანა დიქტატურისკენ მიდის“, „საქართველომ ფრანგული მოდელი კი არა, რაღაც საშუალო მიიღო რუსულსა და თურქმენულს შორის“, „გამარჯვებულები ალაფს ინაწილებენ“, — ასეთი შეფასებები მრავლად გაისმოდა არასამთავრობო სექტორის და მედიის მხრიდან, როდესაც ძველი მოწვევის პარლამენტი დაჩქარებული ტემპით იღებდა საკონსტიტუციო ცვლილებას.

## ○ სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი მოდელი

საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა და როგორც აღინიშნებოდა, საქართველო მმართველობის ე.წ. „ამერიკული მოდელიდან“ „ფრანგული მოდელზე“ გადავიდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ის სახე მიიღო, რაც ამ რევოლუციის ლიდერებს სურდათ. რამდენად ეფექტური აღმოჩნდება სახელისუფლო მოწყობის ახალი მოდელი ამას მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი კვლავ გრძელდება კამათი იმის თაობაზე, თუ საით მიდის საქართველო: ქვეყანაში შეიქმნა ძლიერი ქმედუნარიანი ხელისუფლება, რომელიც რეფორმებს განახორციელებს, თუ ეს იყო „ნაბიჯი დიქტატურისკენ“, როგორც ამტკიცებს ცვლილებების ზოგიერთი მოწინააღმდეგე.

განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებში გარკვევა ძნელია. იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მუშაობს ახალი სახელისუფლო მოდელი, დროა საჭირო, თანაც არცთუ მცირე — რამდენიმე წელი მაინც. გარდა ამისა, საქართველოსნაირ ქვეყანაში, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიისკენ, ბევრი რამ დამოკიდებულია არა იმაზე, თუ როგორ წერია კონსტიტუციაში, არამედ პიროვნებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ინსტიტუტთან ასოცირდებიან.

მაინც რა სახე მიიღო საქართველოს კონსტიტუციამ რევოლუციური ხელისუფლების მიერ მომზადებული ცვლილებების შეტანის შემდეგ? როგორც აღინიშნება, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაიქცა, თუმცა პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ შემთხვევაში საპრეზიდენტო რესპუბლიკებს არ ჩამოუვარდება. ქვეყანაში რჩება ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც აკონტროლებს მთავრობას და მისი დათხოვნა შეუძლია, ასევე პრეზიდენტი ღებულობს პარლამენტის დათხოვნის უფლებასაც. თუმცა ეს მოხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც არა ყოველთვის.

საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ სიახლედ პრემიერ-მინისტრის თანამდებობისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღება მიიჩნევა. სწორედ ეს იყო მთავარი მოტივი ხელისუფლების მხრიდან, როდესაც კონსტიტუციაში ცვლილებები შესახებ დაიწყო ლაპარაკი. „პრემიერ-მინისტრისა და გუნდური პრინციპით მომუშავე მთავრობის გარეშე ქვეყნის ეკონომიკას არაფერი ეშველება“, — ასეთია პოსტრევოლუციური ხელისუფლების განაცხადი.

ახალ მოდელში, რომელსაც „ფრანგულს“ უწოდებენ, დემოკრატიისთვის შექმნილი საფრთხე საკანონმდებლო ორგანოს დასუსტებაში დაინახეს. პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნის უფლება მიიღო. პრეზიდენტს ამის გაკეთება მაშინ შეუძლია, თუკი პარლამენტი გაჯიუტდება და არ დაამტკიცებს ბიუჯეტს, ან თუკი მთავრობის გადაყენებას მოითხოვს. პრეზიდენტისთვის ამ უფლების მიცემის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და მისი დათხოვნის შემთხვევაში ქვეყანა საერთოდ საკანონმდებლო ორგანოს გარეშე რჩება. გარდა ამისა, პარლამენტარები, რომელთაც არცთუ მცირე თანხების გაღება უწევთ პარლამენტში მოსახვედრად, „დათხოვის საფრთხის“ წინაშე თავს იოლად არ დაიყენებენ. ამდენად, საქართველოში საკანონმდებლო ორგანო ძალზედ „მორჩილი“ უნდა გამოვიდეს.

საქართველოს პარლამენტის დათხოვნის უფლება შევარდნაძეს არ ჰქონია. ამიტომ სააკაშვილის ხელში ამ უფლების გამოჩენა და ახალი პრეზიდენტის მომხრეების მიერ 97%-იან მხარდაჭერაზე აპელირება ექსპერტებს დემოკრატიისათვის სახიფათოდ მიაჩნიათ.

ბევრი რამ გაურკვეველია პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ურთიერთობაში. მაგალითად, ორივეს კომპეტენციაშია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა. როდესაც „დიქტატურის საფრთხეზე“ ლაპარაკობენ, დემოკრატიული სექტორი იმაზეც მიაწინებს,

რომ „ხელისუფლებაში კარგი ადამიანები არიან“ და ასეთი სურვილი არ გაუჩნდებათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყანაში არსებული ინსტიტუტების ფუნქციონირების ხასიათი პიროვნებებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

საკონსტიტუციო რეფორმის ენთუზიასტები აცხადებენ, რომ ქვეყანას ეყოლება ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი და ძლიერი მთავრობა, მაგრამ კრიტიკულ პოზიციაზე მდგარ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტისთვის პარლამენტის დათხოვნის უფლების მინიჭებით, რეალურად მკვეთრად სუსტდება პარლამენტი და იგი მორჩილ ორგანოდ იქცევა. დათხოვნის შიშით პარლამენტარები ვერ გაბედავენ მთავრობასთან და შესაბამისად პრეზიდენტთან სერიოზულ კონფლიქტზე წასვლას.

პრემიერ-მინისტრის და მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე დიდი ხანია მიდიოდა საუბარი. შესაბამისი პროექტები შევარდნაძის მმართველობის დროსაც იყო შეტანილი პარლამენტში. აღნიშნული ცვლილების საჭიროებას ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობით ხსნიან. სხვები ამას სკეპტიკურად უყურებენ და მიუთითებენ, რომ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც არსებობდა, მაგრამ ეკონომიკაში ქაოსი და განუკითხაობა მძვინვარებდა.

მთავრობის მუშაობაზე პასუხისმგებლობას პრემიერ-მინისტრი იღებს. საინტერესოა ისიც, რომ პრემიერს მინისტრების ერთი მესამედის მოხსნის უფლება ერთპიროვნულად აქვს, მაგრამ თუკი მეტი მინისტრის მოხსნა სურს, მან ეს გადაწყვეტილება პარლამენტთან უნდა შეათანხმოს. თუმცა, პრემიერს არ შეუძლია ძალოვანი მინისტრების მოხსნა. ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, იგი ყველაზე „დაზარალებულად“ მიიჩნევა რევოლუციური სამეულიდან, რადგანაც სუსტდება საკანონმდებლო ხელისუფლების პოზიციები. თავად ნინო ბურჯანაძე კონსტიტუციაში ცვლილებების მხარდაჭერასთან ერთად იმასაც გულახდილად ამბობდა, რომ ესაა „გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია“ და 5-7 წლის შემდეგ ქვეყანა, ალბათ, უფრო სრულყოფილ საკონსტიტუციო მოწყობას მიიღებს.

## ○ ვენეციის კომისია საქართველოს კონსტიტუციის სრულყოფას ურჩევს.

2004 წლის მარტის შუა რიცხვებში ე.წ. „ჩოლოქის კრიზისის“ დროს განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულწილად დარჩილა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სამუშაო ვიზიტით ყოფნა იტალიაში, სადაც ის „დემოკრატიისათვის კანონის გზით“ ევროპის კომისიის (ე.წ. ვენეციის კომისიის) პლენარული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა. სხდომაზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა საქართველოში 6 თებერვალს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები.

ვენეციის კომისია ის ავტორიტეტული ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია ხელისუფლებას კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების გადახედვა აიძულოს. თავის დროზე, ვენეციის კომისიამ დაჩქარებული წესით შეიმუშავა შენიშვნები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას ცვლილებების მიღებამდე გადმოეგზავნა. ეს შენიშვნები, პრინციპში, არ გაუთვალისწინებიათ.

ვენეციის კომისია კი უკვე ცვლილებაშეტანილ საქართველოს კონსტიტუციას უბრუნდება და აუცილებლად თვლის მიღებული შესწორებების გადასინჯვას. თუმცა, გაგებით ეკიდება კონსტიტუციაში ცვლილებების დაჩქარებულ მიღებას. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა მათეას იორშმა აღნიშნა, რომ საქართველოში კონსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში განხორციელდა, გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული ვითარებით. ამის გამო ცვლილებებს გარკვეული ხარვეზები აქვს. ვენეციის კომისია ამ ხარვეზების გამოსწორების მიზნით მზადყოფნას გამოთქვამს პარლამენტის არჩევნების შემდეგ მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფლებასთან. ისიც აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების გადასინჯვა აუცილებელია თავად საქართველოს პროგრესისათვის. საქართველოს თუკი მართლაც სურს ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია, მისი კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს ევროსტანდარტებს.

„კონსტიტუციური ცვლილებების მიღება განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული პოსტრევოლუციური ვითარებით, როდესაც ქვეყანა პრაქტიკულად არ იმართებოდა“, — აღნიშნა ვენეციის კომისიის სხდომაზე გამოსვლისას ნინო ბურჯანაძემ. საქართველოს დღეს არსებული

ძირითადი კანონი კი მიიჩნია გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციად, რომელიც უსათუოდ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას.

ცვლილებების განხილვისას განსაკუთრებით მწვავედ იდგა პრეზიდენტს, პარლამენტს და მინისტრთა კაბინეტს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების საკითხი. ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს, რიგ შემთხვევებში, გადამეტებული უფლებები ეძლევა და ეს ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. მაგალითად, კომისიის აზრით ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია, რომ ბიუჯეტი პრეზიდენტის დეკრეტით (აქტით) იყოს მიღებული. ისიც აღინიშნა, რომ ძლიერი პარლამენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის.

კომისიამ ერთმნიშვნელოვნად ურჩია საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობის გაგრძელება და კონსტიტუციის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სლოვაკეთში, ბრატისლავაში 2004 წლის 18-19 მარტს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით — „გაფართოებული ევროპისაკენ: ახალი დღის წესრიგი“ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა იმის თაობაზეც, რომ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა მომავალში შეიძლება კიდევ ერთხელ ძირეულად შეიცვალოს.

სააკაშვილის თქმით, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საქართველოს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით სჭირდება, სამომავლოდ კი საქართველოც შეიძლება ევროპულ მოდელზე გადავიდეს, როდესაც „პრეზიდენტები რეალურ ძალაუფლებას არ ფლობენ და ლიდერები პრემიერ-მინისტრები არიან. გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ საქართველო, ალბათ, ევროპულ მოდელს აირჩევს და თუ სიტუაცია დალაგდება, ჩვენს ქვეყანაშიც საპარლამენტო ხელისუფლება და ევროპაში დამკვიდრებული სისტემა ჩამოყალიბდება“, — აღნიშნავდა ბრატისლავაში საქართველოს პრეზიდენტი.

საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევის შორეული და თეორიული ვარიანტის დეკლარირება, ცხადია არაფერს ცვლის ვენეციის კომისიის პოზიციაში, რომელიც სწორედ ევროპულ კონსტიტუციურ სტანდარტებთან დაახლოების სახელით ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლად შეიტანოს ცვლილებები არსებულ კონსტიტუციაში.

## ○ პოლიტიკოსები და ინსტიტუტები

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოულოდნელმა გარდაცვალებამ კვლავ აქტუალური გახადა ქართულ პოლიტიკაში პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების და საერთოდ, აღნიშნული ინსტიტუტის საჭიროების საკითხიც კი. ეს შემთხვევითი სულაც არაა. ქართულ პოლიტიკაში ინსტიტუტები ხშირ შემთხვევაში, „პოლიტიკოსების ტანზე“ იჭრება ხოლმე, ვარდების რევოლუციის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების შესახებ კი ითქვა, რომ ეს ზურაბ ჟვანიასათვის გაკეთდა. ახლა აქტუალური ხდება საკითხი: სხვა როგორ იმუშავენ ზურაბ ჟვანიას შესაძლებლობებსა და გავლენაზე მორგებულ პოსტზე და ხომ არ არის აუცილებელი ამ პოსტის გადაკეთება პოლიტიკურ სცენაზე დარჩენილ პოლიტიკოსთა შორის ძალთა ახალი ბალანსის დასამყარებლად.

თემა, რომელსაც ვეხებით, შეიძლება, აქტუალური არ არის სახელმწიფოებში, რომელთაც დიდი ხნის გავლილი აქვთ ფორმირების სტადია და დღის წესრიგიდან უკვე მოხსნილია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პრობლემატიკა, დავა იმის თაობაზე, თუ როგორი წყობა უნდა ქონდეს მოცემულ სახელმწიფოს. ასეთ ქვეყნებში პოლიტიკოსები დიდი ხანია არსებულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს ერგებიან და აზრადაც არ მოსდით, რომ პირიქით მოქცევა სცადონ — სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს სახე უცვალონ საკუთარი სურვილისა და გემოვნების შესაბამისად.

მაგრამ საქართველოში საქმე ასე დღესაც არ არის. საქართველო იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სადაც ის პროცესი, რასაც სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას უწოდებენ, აქტიურად მიმდინარეობს. აქ პოლიტიკოსები, როგორც გავლენიანი, ისე საზოგადოებისათვის ნაკლები ავტორიტეტის მქონე, თავს მოვალედ თვლიან საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვან იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო: რესპუბლიკა თუ მონარქია, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა, უნიტარული თუ ფედერაციული, რა ტერიტორიული ერთეულებისაგან უნდა შედგებოდეს, როგორი უნდა იყოს პარლამენტი და ა.შ. ფართომასშტაბიანი და ზოგჯერ ექსტრავაგანტური პროექტების წამოყენება სოციალური ინჟინერიის სფეროდან აქ



საზოგადოების მხრიდან „ყურადღების მიქცევის“ საშუალებაა.

რა უწყობს ხელს ამგვარ ვითარებას? ერთი უმთავრესი მიზეზი ფაქტობრივად უკვე დავასახელებთ: საქართველო სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების სტადიაშია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, საქართველოს, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საშუალება მიეცა დამოუკიდებლად მოწყობილიყო როგორც სახელმწიფო. ეს გარემოება დიდი სტიმული იყო სოციალური ინჟინერიის პროექტებისათვის, მით უმეტეს, რომ საზოგადოება თავს აღწევდა კომუნისმს, რომელიც თავად იყო დიდი რევოლუციური სოციალური ინჟინერიის წარუმატებელი პროდუქტი.

მეორე უმთავრესი მიზეზი ქართულ ნიადაგზე სოციალური ინჟინერიის ამოცანების აქტუალობისა კიდევ ის იყო, რომ აქ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა მიმდინარეობდა რევოლუციისა და გადატრიალების თანხლებით. ცხადია, ისინი, ვინც წინა ხელისუფლებას ამ გზით ცვლიდნენ, სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყობას უკვე თავის გემოზე იწყებდნენ.

ამ ზოგადი განმარტებების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია კონკრეტულად ვაჩვენოთ, თუ როგორ ცვლიდნენ და აყალიბებდნენ ქართულ სინამდვილეში პოლიტიკოსები სახელმწიფო ინსტიტუტებს. ცხადია, ინსტიტუტების ფორმირების სხვადასხვა პროექტები ბევრს აქვს, მაგრამ მათი რეალობად ქცევა მხოლოდ ძლიერ და წარმატებულ პოლიტიკოსს შეუძლია. ასეთები კი ყველა ქვეყანაში ხარიზმატულ ლიდერებს წარმოადგენენ.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს სწორედ მასზე გათვლით იქნა საქართველოში შემოღებული პრეზიდენტის ინსტიტუტი. გამსახურდიას მოწინააღმდეგეები კი, იერიში არა მხოლოდ პიროვნებაზე, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტზეც მიჰქონდათ. ასე რომ გამსახურდიას დამხობის შემდეგ „პრეზიდენტის ინსტიტუტი“ საქართველოში დროებით „დიქტატურის“ სინონიმად გამოაცხადეს და საქართველოში ჩამოყვანილი შევარდნაძისათვის პრეზიდენტობა დროებით შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შევარდნაძისთვის სპეციალურად მოიგონეს და მან კენჭი იყარა ცალკე „პარლამენტის თავმჯდომარის“ პოსტზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარე.

1995 წლის კონსტიტუციაში ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა და პრეზიდენტის ინსტიტუტი „შევარდნაძის თარგზე“ გამოიჭრა. ამ პოსტმა აღნიშნული უფლებამოსილებით მხოლოდ შევარდნაძის მმართველობის დასასრულამდე გაძლო და ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ გააკეთა, ეს კონსტიტუციის გადაკეთება და პრეზიდენტის უფლებამოსილების კიდევ უფრო გაზრდაა. პრეზიდენტის ინსტიტუტი ახლა უკვე „საკავშირის თარგზე“ მოიჭრა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის თებერვალში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის პოსტი და არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ ეს გაკეთდა ზურაბ ჟვანიასათვის და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრა იმ ძალთა ბალანსით, რაც არსებობდა იმ დროს ვარდების რევოლუციის ორ თვალსაჩინო ლიდერს — სააკაშვილსა და ჟვანიას შორის.

აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება განიხილებოდა 2001 წელსაც, მაშინ პარლამენტს მისი მიღების საწინააღმდეგო ბევრი არაფერი ქონდა, მაგრამ როგორც კი შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პრემიერის პოსტზე ჟვანიას ვარაუდობდა, პარლამენტში მაშინვე დაბლოკეს საკონსტიტუციო რეფორმა. პრემიერის პოსტის დაკავების ამბიცია მაშინ ბევრს ჰქონდა, რადგანაც მისი დამკავებელი შევარდნაძის ყველაზე რეალურ მემკვიდრედ მიიჩნეოდა.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, მართლაც დიდ სიცარიელეს აჩენს ქართულ პოლიტიკაში და ამდენად, „ჰაერში გამოკიდებული“ რჩება ინსტიტუტი, რომელიც სწორედ ზურაბ ჟვანიაზე იყო მორგებული. ახლა ან ინსტიტუტმა უნდა იცვალოს სახე, ან იმ პიროვნებამ, რომელიც აღნიშნულ პოსტს დაიკავებს, უნდა შეძლოს ზურაბ ჟვანიას ძალისა და გავლენის მოპოვება. ყოველ შემთხვევაში, მას ასეთი შანსი მიეცემა.

## ○ სახელისუფლო ბალანსი ქართულ სინამდვილეში

საქართველოში დღეს სახელისუფლო ბალანსის თემა უაღრესად აქტუალურია და ფართოდ განიხილება ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ორ ასპექტში განიხილება: ერთი მოიცავს სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსის, მეორე ასპექტი კი თავად დღევანდელ სახელისუფლო გუნდში არსებული ბალანსის პრობლემატიკის განხილვას. ორივე თემა უაღრესად მწვავედ დგას და მათ გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს სამომავლო განვითარება.

სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსის თემა აქტუალური გახდა ვარდების რევოლუციის ცხელ კვალზე, 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ. მაშინ შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, პრეზიდენტმა კი პარლამენტის დათხოვნის უფლება მიიღო. ამ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოშიც, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი და ასევე უცხოეთშიც, როდესაც ვენეციის კომისიამ სერიოზული შენიშვნები გამოთქვა კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შენიშვნა კონსტიტუციაში ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დარღვევას ეხებოდა — 6 თებერვლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად დასუსტდა პარლამენტი და გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება.

ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის თემის განხილვამ კიდევ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 2004 წლის დეკემბერში ცნობილი გახდა კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების შეტანის პროექტის შესახებ. ეს ცვლილებები ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ახალ წესს შეეხებოდა. კვლავ გამოითქვა შეშფოთება, რომ ეს ცვლილებები ეჭვქვეშ აყენებდნენ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და კიდევ უფრო არღვევდნენ ბალანსს სახელისუფლო შტოებს შორის. ამის თაობაზე უარყოფითი პოზიცია ვენეციის კომისიამაც დააფიქსირა და საქართველოსთან დაკავშირებით 2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაშიც აღინიშნა.

წესით, საქართველოს ხელისუფლებამ, რომლის უმთავრესი საგარეოპოლიტიკური განაცხადი ევროკავშირში შესვლაა, უნდა გაითვალისწინოს ევროპის ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნები. სავარაუდოდ, ხელისუფლება აღარ ეცდება საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტში შეტანილი პროექტის უცვლელად გატანას. მეორეც, ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, რათა უფრო უკეთ დაბალანსდეს სახელისუფლო შტოები. განიხილება ამ დაბალანსების ორი შესაძლო ვარიანტი: პირველი ვარიანტის თანახმად, რჩება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, ამასთან პრეზიდენტის უფლებამოსილება მცირდება პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის სასარგებლოდ; მეორე ვარიანტის თანახმად, პრემიერ-მინისტრის პოსტი უქმდება და აღდგება შევარდნაძის დროს არსებული ძველი სისტემა: პრეზიდენტი შეითავსებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებს, პარლამენტი კი აღარ იქნება პრეზიდენტის მიერ დათხოვნის საფრთხის ქვეშ.

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემდეგ სახელისუფლო შტოების დაბალანსების თემას, როგორც უკვე ითქვა, დაემატა უკვე თავად ხელისუფლებაში არსებული ბალანსის თემა. ზოგი აცხადებს, რომ ჟვანიას სიკვდილმა სახელისუფლო ბლოკში, რომელიც თავისებურ „სამკუთხედს“ წარმოადგენდა და სამი გუნდისაგან (სააკაშვილის, ჟვანიას და ბურჯანაძის) შედგებოდა, ერთ-ერთი გუნდი ლიდერის გარეშე დატოვა, რომელიც, ამავე დროს, თავისი პირადი გავლენით აწონასწორებდა მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს. გაჩნდა მთელი თეორია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებაში ერთმანეთს უპირისპირდება ე.წ. „ომის პარტია“ და „მშვიდობის პარტია“. ამ უკანასკნელს ზურაბ ჟვანია ედგა სათავეში და ოქრუაშვილის „ომის პარტიას“ აბალანსებდა. ამ თეორიას ხშირად იყენებდნენ რუსულ მედიაში. საქართველოს ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ ასეთი „ბანაკების“ გამოყოფა უაზრობაა და თანმიმდევრულად ადგანან კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზას.

სახელისუფლო ბალანსის დარღვევის თეზისი ჟვანიას გუნდის დასუსტებას და მისი წევრების ოპოზიციის რიგებში გადასვლას გულისხმობს. მართალია ხავერდოვანი რევოლუციის ლიდერები, მათ შორის ზურაბ ჟვანიაც, აღნიშნავენ, რომ ცალ-ცალკე გუნდები არა ჰყავთ, მაგრამ რეალურად

გუნდების თემა კვლავ აქტიურად განიხილება. ისიც აღინიშნება, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სწორედ ზურაბ ჟვანიას გუნდელი უნდა დაინიშნოს და ეს გარკვეულწილად აღადგენს სახელისუფლო ბალანსს. სხვები კი, პირიქით, ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვენ უარი თქვას გუნდურ-პარტიულ აზროვნებაზე და ხელისუფლებაში დასანიშნი შესაძლო კადრები არა პარტიული და ახლობლური, არამედ პროფესიონალიზმის საფუძველზე შეარჩიოს, რაც არა მარტო გააუმჯობესებს ქვეყნის მართვას, არამედ გააფართოებს ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილი მოახერხებს სახელისუფლო ბალანსის შენარჩუნებას და არ ჩამოიცილებს ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელებს. ამ პრობლემისგან განსხვავებით გაცილებით რთულია სახელისუფლო შტოების დაბალანსების პრობლემა და ევროპელი მეგობრებისაგან მიღებული რჩევების გათვალისწინება. საქართველოს სჭირდება ძლიერი ქმედითი პარლამენტი და დამოუკიდებელი სასამართლო — ასეთია ევროსაბჭოს რეკომენდაცია, მაგრამ მისი რეალიზაცია მარტო საკონსტიტუციო ცვლილებებზე არ არის დამოკიდებული. ძლიერ პარლამენტს ძლიერი ოპოზიცია სჭირდება, რაც დღევანდელ პარლამენტში არ არის, დამოუკიდებელი სასამართლოს მიღწევა კი კიდევ უფრო რთულია. ამ მხრივ სააკაშვილის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი მოსამართლეები შეიძლება უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ, ვიდრე შევარდნაძის მიერ დანიშნულნი, რომლებიც, როგორც ქართულ მედიაში აღინიშნება, ახალი ხელისუფლების წყენინებასაც ისევე ერიდებიან, როგორც ძველ ხელისუფლებას ერიდებოდნენ.

## ○ ქართული პოლიტიკა ჟვანიას სიკვდილის შემდეგ უფრო ხისტი გახდა

2005 წლის 3 თებერვალს დაღუპული პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით კითხვები უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოებისათვის დამაჯერებელი პასუხები. რაც შეეხება ჟვანიას შემდეგ ქართულ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს, შეიძლება ითქვას, რომ „ჟვანიას ნიშა“ ვერაგინ დაიკავა, ხოლო მთლიანობაში ხელისუფლების პოლიტიკა უფრო ხისტი გახდა.

ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ოფიციალური ვერსია — აირით გაგუდვის თაობაზე — თითქმის არავის სჯერა. ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები კი დიდი ხანია გამოთქვამენ უკმაყოფილებას მომხდარის გამოძიებასთან დაკავშირებით. „ალარც მოველი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სიმართლე გაირკვევა“, — აღნიშნავს ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია. მისივე თქმით, თავად მოეპოვება ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით რიგი ფაქტები, რის გამჟღავნებასაც არ აპირებს, რადგან დააფიქსირა, რომ „რალაც ფაქტების გახმაურების შემდეგ გამოძიება ცდილობს მის გაყალბებას“. გიორგი ჟვანიას დასკვნა მომხდარის გამოძიებასთან დაკავშირებით მეტად მკაცრად ჟღერს: „დღეს მთელი სახელმწიფო მანქანა დანაშაულის მიჩქმალვაზეა მომართული“.<sup>94</sup>

თუკი ჟვანია მოკლულია, მაშინ ვის მიერ და რის გამო? ამის თაობაზე ქართულ მედიაში მრავალი ვერსია ტრიალებს და ეს თემა უკვე იქცა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, რომელიც მიმართულია გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ან პიროვნების კომპრომეტირებისკენ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ზურაბ ჟვანია მაშინ მიმდინარე ფართომასშტაბიან პრივატიზაციის პროცესს შეეწირა. სხვები აქცენტს პოლიტიკურ დაპირისპირებაზე თუ საგარეოპოლიტიკურ ვექტორებზეც აკეთებენ. თუმცა, რაიმე ხელშესახები და დამაჯერებელი არგუმენტი არც ერთ მათგანს არ წარმოუდგენია.

პარალელურად მიმდინარეობს ზურაბ ჟვანიას დამსახურებების შესახებ საუბარი და განსჯა იმის თაობაზე, თუ როგორ შეცვალა ჟვანიას სიკვდილმა ქართული პოლიტიკა. ამასთან, თუკი სიცოცხლეში ჟვანიას მისამართით უფრო კრიტიკა ისმოდა, სიკვდილის შემდეგ ოპონენტების ნაწილიც კი საქებად არგუმენტებს არ იშურებს და გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის იდეალიზება ხდება. კაცმა რომ თქვას, ეს დღევანდელი პოლიტიკური ინტერესებიდანაც გამომდინარეობს. გარდაცვლილი ჟვანია სახიფათო აღარ არის, სამაგიეროდ, მისი ქებით და განცხადებით — „ჟვანიას რომ ეცოცხლა ყველაფერი უკეთესად იქნებოდა“, ჩრდილი ადგება დღევანდელ ხელისუფალთ.

ცხადია, ზურაბ ჟვანია ქართულ პოლიტიკაში რიგითი ფიგურა არ ყოფილა და მისმა გაქრობამ პოლიტიკური სცენიდან ბევრი რამ შეცვალა. ზურაბ ჟვანია ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი

<sup>94</sup> „ახალი 7 დღე“, 3-10.II.2006

ლიდერი და ე.წ. „რევოლუციური ტრიუმვირატი“ წევრი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების ერთ-ერთ მიზეზად „ჟვანიას ამბიციების“ დაკმაყოფილება სახელდება. მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტის პოსტი ერგო, ნინო ბურჯანაძეს — პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიასთვის კი შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის ფარული მეტოქეობა ყოველთვის არსებობდა. ჟვანიას დალუბვამდე ცოტა ხნით ადრე სააკაშვილის გუნდის წევრი ირაკლი ოქრუაშვილი ჟვანიას გუნდის წევრებს — ხან ბარამიძეს, ხან ნოლაიდელს სხვადასხვა საკითხის გამო აშკარად ესხმოდა ხოლმე თავს. „ოქრუაშვილი საკუთარი ინიციატივით არ მოქმედებდა. ოქრუაშვილი მიმა სააკაშვილის აქტიური დასაყრდენი იყო“, — აღნიშნავს დღეს ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია.<sup>95</sup>

ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ზურაბ ნოლაიდელის დანიშვნას იმითაც ხსნიდნენ, რომ დაცული უნდა ყოფილიყო ბალანსი არსებულ პოლიტიკურ გუნდებს შორის, თუმცა, ჟვანიას დალუბვის შემდეგ „ჟვანიას პოლიტიკური გუნდი“ ფაქტობრივად გაქრა — მისმა რიგმა წევრებმა სააკაშვილის გუნდში გადაინაცვლა, ზოგიერთები ფაქტობრივად აქტიურ პოლიტიკას ჩამოსცილდნენ. შეიცვალა პრემიერ-მინისტრის როლიც — ნოლაიდელმა ვერ დაიკავა ის „პოლიტიკური ნიშა“, რაც ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ გამოთავისუფლდა. ნოლაიდელი აღიქმება პრეზიდენტის ნების აღმსრულებლად, რაც არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ზურაბ ჟვანია. „ჟვანიას გუნდი ზურაბ ჟვანიასთან ერთად გარდაიცვალა, იმის თქმა, რომ ეს გუნდი შესაფერის მომენტს ელის, სწორი არ იქნებოდა“, — აღნიშნავს გიორგი კობახიძე.<sup>96</sup>

ჟვანიას სახით ძლიერი და გავლენიანი პრემიერ-მინისტრის გაქრობის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებული პრეზიდენტის დაბალანსება არც პარლამენტის თავმჯდომარეს შეუძლია. რევოლუციურ სამეულში ნინო ბურჯანაძე ყველაზე სუსტი იყო და მას თავისი გუნდი ფაქტობრივად არ ყავდა. „ძნელი სათქმელია, ვის აწყობდა ჟვანიას სიკვდილი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამით ქართული პოლიტიკა ზედმეტად ხისტი გახდა... ჟვანიას ლავირების არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა. მას შეეძლო ბევრი ისეთი პრობლემა გადაეჭრა, რომლის მოგვარებაც შეუძლებელი ჩანდა“, — აღინიშნება ქართულ მედიაში.<sup>97</sup>

ჟვანიას შემდგომ ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკის სიხისტეზე ბევრი მიუთითებს. ამ ვერსიის თანახმად, სააკაშვილის რადიკალიზმის დამაბალანსებელი ზომიერი პოლიტიკური ფიგურა ხელისუფლების ზედა ემელონში აღარ დარჩა. „საკაშვილის — ენერგიული და ექსპრესიული ტიპაჟის — გვერდით, ზურაბ ჟვანიას პრაგმატული, გაწონასწორებული და დიჩვი პოლიტიკოსის როლი ჰქონდა... ასეთი როლის შემსრულებელი დღეს არ არსებობს“, — აღნიშნავს „მემარჯვენე“ ოპოზიციის წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე.<sup>98</sup> ამ ვერსიის მიხედვით, ზურაბ ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, შესაძლოა, ქვეყნის შიგნითაც სხვა ვითარება ყოფილიყო და რუსეთთანაც მოეხერხებინა ურთიერთობის დაბალანსება. მაგრამ ისტორიას არ უყვარს თუბითი მსჯელობა. რაც მოხდა მოხდა და ამაში ვეღარაფერს შეცვლი. ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ქართული პოლიტიკა ახლებურად ლაგდება და ჟვანიას დალუბვის გარემოებებისა და ჟვანიას „პოლიტიკური ნიშის“ თაობაზე მიმდინარე კამათიც ამ გადაჯგუფების შემადგენელი ნაწილია.

## ○ რას მოიტანს პრემიერ-მინისტრის პარლამენტის წევრობა

საკონსტიტუციო ცვლილებები კვლავ აქტიური განხილვის საგანი ხდება. ამის მიზეზი პარლამენტარ ალექსანდრე შალამბერიძის საკონსტიტუციო ინიციატივაა — პრემიერ-მინისტრს შესაძლებლობა მიეცეს იყოს პარლამენტის წევრი. ამ ინიციატივამ ექსპერტებს კიდევ ერთხელ გაახსენა, რომ ქვეყანას ცუდი კონსტიტუცია აქვს და მასში ცალკეული ცვლილებების შეტანაზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ თავად კონსტიტუციის შეცვლაზე.

პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის

<sup>95</sup> „არგუმენტი“, 2-8.II.2006

<sup>96</sup> „ახალი თაობა“, 1.II.2006

<sup>97</sup> „ახალი თაობა“, 3.II.2006

<sup>98</sup> „ახალი 7 დღე“, 3-10.II.2006

მოადგილეს შალამბერიძეს მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრის პარლამენტარობა ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების ქმედითუნარიანობას გაზრდის, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრი მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს ღიად დაუპირისპირდა. შალამბერიძის თქმით, თუკი პარლამენტში მის იდეას გაიზიარებენ, ბოლო მოეღება უმრავლესობის წევრებისა და მთავრობის დაპირისპირებას.<sup>99</sup>

რატომ მარტო პრემიერ-მინისტრი და არა მთავრობის სხვა წევრებიც? შალამბერიძე ამას პარლამენტის მცირერიცხოვნებით ხსნის. „იმის გამო, რომ 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტში ასარჩევი დეპუტატების რიცხვი 150-მდე მცირდება, მთავრობის 18 მინისტრს პარლამენტი ვერ დაიტევს. ამიტომ საკმარისია მთავრობიდან მხოლოდ პრემიერ-მინისტრის პარლამენტარობა“, — აღნიშნავს შალამბერიძე. მისივე თქმით, ეს არის კონსტიტუციის დახვეწისაკენ გადადგმული ნაბიჯი და „ამ ცვლილების შემდეგ საშუალება გვექნება საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე ვიფიქროთ“.<sup>100</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ წინადადებით შალამბერიძე ჯერ საპარლამენტო უმრავლესობას მიმართავს, ინიციატივის მოწონების შემთხვევაში კი ის ოფიციალურად გაფორმდება და პარლამენტს წარედგინება. საკონსტიტუციო ცვლილების მიღების შემთხვევაში, იგი ძალაში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შევა. თუმცა, შალამბერიძის ინიციატივას უმრავლესობაშიც არ იწონებენ. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდეშვილმა განაცხადა, რომ შალამბერიძის ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს. „არ მგონია, შალამბერიძის ინიციატივას მნიშვნელოვანი განვითარება მოჰყვეს“, — განაცხადა ნოღაიდეშვილმა.<sup>101</sup>

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილება, რის განხორციელებასაც შალამბერიძე მოითხოვს, სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართავია. საქართველო ფაქტობრივად საპრეზიდენტო სახელმწიფოა და არც ერთ საპრეზიდენტო ქვეყანაში პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წევრი არ არის. ეს მხოლოდ კლასიკური საპარლამენტო ტიპის ქვეყნებში ან კონსტიტუციურ მონარქიებშია. „არ შეიძლება ერთი სახელმწიფოს მოდელი სხვა კონცეფციაზე აგებულ სახელმწიფო მოდელს მექანიკურად მოერგოს... კონსტიტუციისადმი ასეთი მიდგომა საზიანოა“, — აცხადებს ექსპერტი ვახტანგ ხმაღალაძე.<sup>102</sup> მისივე თქმით, „ისედაც არეული მოდელის ქვეყანაში კიდევ ხელახალი საკონსტიტუციო ცვლილება სასიკეთოს არაფერს გამოიწვევს... საქართველოს მოდელი იმდენად უვარგისია, რომ მისი უარესი მოდელით შეცვლა საშინელ ქაოსს გამოიწვევს“.<sup>103</sup>

ექსპერტთა აზრით, საქართველოში არსებული მმართველობის პირობებში პრემიერ-მინისტრის „საპარლამენტო წარმომავლობა“ გავლენას მოახდენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ბალანსზე და გამოიწვევს მმართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გაუმართლებელ სინთეზს, რისი ანალოგიც ტრადიციული, განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყნებში არ მოიპოვება.<sup>104</sup>

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შალამბერიძის წინადადების მიღების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტარის უფლებამოსილების შეთავსება კიდევ უფრო დაასუსტებს პარლამენტს. „დღეს პარლამენტი ისედაც აღმასრულებელი ხელისუფლების ნოტარიუსად არის გადაქცეული და მას, ფაქტობრივად, მთავრობა მართავს“, — აღნიშნავს ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი მამუკა კაციტაძე.<sup>105</sup>

შალამბერიძის საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოსვლამ ოპოზიცია დააეჭვა. ზოგი მას გარკვეული პოლიტიკური თამაშის ნაწილად მიიჩნევს. მაგალითად, პარლამენტარმა დავით ბერძენიშვილმა ამაში „დიდი საკონსტიტუციო ცვლილებების ნაწილი“ დაინახა,<sup>106</sup> ხმაღალაძის აზრით,

<sup>99</sup> „რეზონანსი“, 12.I.2006

<sup>100</sup> „რეზონანსი“, 12.I.2006

<sup>101</sup> „რეზონანსი“, 12.I.2006

<sup>102</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2006

<sup>103</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2006

<sup>104</sup> „24 საათი“, 12.I.2006

<sup>105</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2006

<sup>106</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2006

შესაძლოა ვინც პრემიერ-მინისტრი იქნება, მას საპარლამენტო იმუნიტეტი სჭირდება.<sup>107</sup>

საკონსტიტუციო ცვლილებაზე ალაპარაკებამ ოპოზიციას თავად კონსტიტუციის ხარვეზები გაახსენა და ხელისუფლებას მისი შეცვლისაკენ მოუწოდა. „ქვეყნის კონსტიტუცია გადასახედია, მაგრამ იმ მიზნით, რომ გამოსწორდეს ის შეცდომები, რაც 2004 წელს ამ დოკუმენტში შეტანილი ცვლილებებით დავუშვიტ და რის გამოსწორებასაც ჩვენგან ევროსაბჭო მოითხოვს“, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.<sup>108</sup>

ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი დავით ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ თუკი შალამბერიძის ინიციატივა საპრეზიდენტო მოდელიდან ქვეყნის საპარლამენტო მოდელზე გადასვლას გულისხმობს, მაშინ ამას სერიოზული მსჯელობა სჭირდება.<sup>109</sup> საპარლამენტო მოდელზე გადასვლას კი, განსაკუთრებით ოპოზიციურ პარტიებში, ბევრი მომხრე ჰყავს. „თუ გვინდა ევროკავშირში შესვლა, უნდა ავიღოთ ევროპული მოდელი“, — აღნიშნავს, მაგალითად, ექსპერტი რამაზ კლიმიაშვილი.<sup>110</sup>

თუმცა, არიან სკეპტიკოსებიც, რომელთაც საქართველოს მმართველოს საპარლამენტო მოდელზე გადასვლა არცთუ მართებულად მიაჩნიათ. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მმართველობის საპარლამენტო მოდელის დამკვიდრება შესაძლებელია დემოკრატიის განვითარების მაღალი ხარისხის პირობებში, როდესაც სახეზეა განვითარებული პარტიული სისტემა და საზოგადოებაში მაღალია პოლიტიკური კულტურის დონე.<sup>111</sup>

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გაგრძელება ექნება შალამბერიძის საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივას, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის სრულყოფა რომ სჭირდება, ფაქტია.

## თავი VIII. პოსტრეგოლუციური განვითარების საკითხები

### ○ ვარდების ხელისუფლებისაგან რეგოლუციის დამთავრებას ითხოვენ

ყოველი რეგოლუცია, თუნდაც ხავერდოვანი, იმ მომენტისათვის საზოგადოებაში არსებული უდიდესი იმედების რეალიზების ლოზუნგით ხდება. შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოცილება ხალხისათვის სასწაული იყო და სააკაშვილისაგან საზოგადოება ახალ სასწაულებს ელოდა. ვარდების ხელისუფლებას სწრაფად უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის წინაშე წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები. ასლან აბაშიძის დამხობა აჭარაში სააკაშვილის მიერ მოწყობილი კიდევ ერთი სასწაული იყო, მაგრამ იგივე ტაქტიკამ ცხინვალის რეგიონში არ გაამართლა. რიგი მიზეზების გამო, კოკოითის ხელისუფლებისაგან ჩამოცილება ვერ მოხერხდა და ეს იყო ვარდების რეგოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ძალების პირველი სერიოზული მარცხი.

რეგოლუციურ რომანტიზმს სულ უფრო მეტად პროზაული რეალობა ცვლის და ხელის ადრე იქნება თუ გვიან მოუწევს იმის აღიარება, რომ რეგოლუციის პერიოდში გაცემული დაპირებების დიდი ნაწილის რეალიზება შეუძლებელია. ამას ემატება უკვე ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებიც, რაც კიდევ უფრო ამცირებს ხელისუფლების პირველი პირების რეიტინგს.

ვარდების რეგოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების სოციალური ბაზა ვიწროვდება. უკმაყოფილებას არ მალავენ ისინი, ვინც რეგოლუციის დღეებში აქტიურად გამოდიოდა შევარდნაძეს რეჟიმის წინააღმდეგ. წვრილი მოვაჭრეების, სამსახურიდან დათხოვილი პოლიციელებისა და მოხელეების, მცირე ბიზნესის წარმომადგენლების და სხვათა უკმაყოფილებას ემატება არასამთავრობოთა მიერ გამოხატული უკმაყოფილებაც, რომლებიც განგაშს ტყვენ ქვეყანაში შექმნილი მყდგომარეობის გამო.

<sup>107</sup> „რეზონანსი“, 12.I.2006

<sup>108</sup> „ხვალინდელი დღე“, 12.I.2006

<sup>109</sup> „ახალი თაობა“, 13.I.2006

<sup>110</sup> „ახალი თაობა“, 12.I.2006

<sup>111</sup> „24 საათი“, 13.I.2006

ხელისუფლება აგრძელებს რევოლუციური ლოგიკით აზროვნებასა და მოქმედებას. თუ ასე გაგრძელდა საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების პერსპექტივას სერიოზული საფრთხე ექმნება. სწორედ ამ პათოსით საგსე ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ სააკაშვილს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ჯგუფმა.<sup>112</sup> ისინი პრეზიდენტისაგან გატარებული კურსის კორექტირებას მოითხოვენ. კორექტირების არსი ნორმალურ მმართველობაზე დაბრუნებაა, რაც კონსტიტუციის მიხედვით და კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.

უკვე არაერთგზის აღინიშნა, რომ მიუხედავად ვარდების რევოლუციის მაღალი იდეალებისა, არათუ ვერ მოხერხდა სამართალდამცავთა მიერ დაპატიმრებული მოქალაქეების უფლებათა დაცვის გაუმჯობესება, არამედ, პირიქით, უფრო გაუარესდა. კვლავ მრავალია იარაღისა და ნარკოტიკების ჩადების ფაქტები, რაც დაპატიმრების მიზეზი ხდება.

ქვეყანაში აშკარად დაირღვა კონსტიტუციური ბალანსი. დღეს აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს ხელისუფლების სხვა შტოებზე. დაბალია სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი. „სასამართლო მთავრობის მითითებების საფუძველზე მოქმედებს“, – აცხადებს ქართული მედია. საკანონმდებლო ორგანოში არსებული საპარლამენტო უმრავლესობა კი პარლამენტს ხმების მიმცემ მანქანად აქცევს, რომელიც უპრობლემოდ ამტკიცებს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტებს. ამავე დროს, საპარლამენტო უმრავლესობის სიმტკიცეს ბზარები გაუჩნდა და ამ პროცესის შეჩერებას დისციპლინის განმტკიცებით ცდილობდნენ.

შემამოფოთებელია ხელისუფლების რეაგირება კრიტიკასა და განსხვავებულ აზრზე. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ჩვეულებრივ ამბად იქცა ოპონენტების დადანაშაულება „სახელმწიფო ინტერესების ღალატში“, „მეხუთე კოლონის“ როლის შესრულებაში, ოპოზიციის მიმართ შეურაცხყოფელი და დამამცირებელი განცხადებები კეთდება პრეზიდენტის მხრიდანაც. ამავე დროს ოპოზიცია სუსტია და მნიშვნელოვანი გავლენით არ სარგებლობს. შედეგად, დიდი შანსია იმისა, რომ ქვეყანა დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების მაგივრად ახალი ავტორიტარიზმის დამყარებისაკენ მიემართება.

გამოსავალი პრეზიდენტისთვის გაგზავნილი ღია წერილის ავტორებს თავად ხელისუფლების მიერ შეცდომების აღიარებაში ესახებათ. ხელისუფლება და პირველ რიგში სააკაშვილი უნდა „გონზე მოეგონ“ და დემოკრატიული მმართველობის ჩარჩოებში დაბრუნდნენ. რა თქმა უნდა, მოვლენათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა ხელისუფლების მიერ კრიტიკიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ღრმა კრიზისის პირობებში შეიძლება აღმოჩნდეს. გარდა კეთილმოსურნე კრიტიკოსებისა, გააქტიურდნენ ის ძალებიც, რომლებიც მართლაც ემზადებიან რევანშისათვის და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში უარს არ იტყვიან ვარდების ხელისუფლების ჩანაცვლებაზე.

## ○ როგორ იმართება საქართველო

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების მისამართით კრიტიკული განწყობა თანდათანობით მატულობს. მათ აკრიტიკებენ ისინი, ვინც თავიდანვე რევოლუციის ლიდერების მოწინააღმდეგენი იყვნენ და ისინიც, ვინც ერთ დროს ხელისუფლების მოკავშირეები იყვნენ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება კი ქვეყნის მართვის არსებული მდგომარეობაა. ხელისუფლებას რევოლუციური ეიფორიიდან გამოსვლას და ქვეყნის ნორმალურ მართვაზე გადასვლას სთხოვენ, თუმცა ხელისუფლება ამგვარ კრიტიკას არ ღებულობს და მიაჩნია, რომ საქართველო სწორი გზით მიჰყავს.

კრიტიკოსთა აზრით, ვარდების რევოლუცია კრიზისულ ეტაპს გადის. რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფალნი ქვეყნის ნორმალური მართვისთვის მზად არ აღმოჩნდნენ და პარტიული ნიშნით, რევოლუციური დამსახურებისათვის დანიშნული თანამდებობის პირები პროფესიონალურ კომპეტენტურობას ვერ ავლენენ. ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამენ ის ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დღეს ხელისუფლებაში მყოფებთან ერთად უპირისპირდებოდნენ შევარდნაძის მთავრობას და რევოლუციის შემდგომ პერიოდზე დიდ იმედს ამყარებდნენ.

„საჭიროა, რევოლუციის ავტორებმა რევოლუცია ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრონ და

<sup>112</sup> „24 საათი“, „რეზონანსი“, 18.X.2004

ქვეყნის მართვაზე გადავიდნენ. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის, რაც პარლამენტის სხდომაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლამ დაგვანახა. აშკარაა, რომ იგი ჯერ კიდევ ეიფორიაშია და ვარდისფერი სათვალთ უყურებს სახელმწიფოს მართვას... საქართველოს ვერა და ვერ ელირსა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე საკუთარ წარმატებაზე“, — აღნიშნავს ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი.<sup>113</sup> დღევანდელ ხელისუფალთ „არ ესმით, როგორ უნდა მოიქცნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს და რითი განსხვავდება სახელმწიფოს მართვა საარჩევნო კამპანიისაგან“, — აღნიშნავს ექსპერტი დავით უსუფაშვილი.<sup>114</sup> ასეთი გამონათქვამების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ.

ზემოთ აღნიშნული გამონათქვამების საფუძველი პრეზიდენტის პირველი ყოველწლიური მოხსენება გახდა. სააკაშვილმა და მასთან ერთად სახელისუფლო გუნდმა ჩათვალა, რომ ამ მოხსენებაში აქცენტი წარმატებებზე უნდა გაეკეთებინათ. ოპონენტებმა კი ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება მიიჩნიეს საჭიროდ. ქვეყნის მშენებლობა, მართლაც მძიმე და აუტანელი შრომაა და არ არის დაკავშირებული მუდმივ ზეიმთან. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებას სერიოზული რეფორმები აქვს გასატარებელი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში და, პირველ რიგში, სახელმწიფო მმართველობაში.

„დღეს საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა იმ კონსოლიდაციის შენარჩუნებაა, რომელმაც ვარდების რევოლუცია მოახდინა. ამისთვის ხელისუფლებამ სწორი მიმართულებით უნდა იაროს და იმ კონკრეტულ შედეგებს მიაღწიოს, რომელსაც ხალხი იგონებს. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ მთავრობა მუშაობს“, — ეს უკვე სტივენ სესტანოვიჩის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის პოზიციაა, რომელიც ამ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა.<sup>115</sup> რამდენად წარმატებულად ივლის ამ გზაზე საქართველოს ხელისუფლება ეს უკვე თავად ხელისუფალთა მიერ ქვეყანაში განვითარებული პროცესების ადექვატურ შეფასებაზეა დამოკიდებული.

## ○ ვარდების რევოლუცია ეკონომიკური პრობლემების წინაშე

ხავერდოვანი რევოლუციები ესაა გაკოტრებული რეჟიმებისაგან მშვიდობიანი გათავისუფლების ტექნოლოგია, თუმცა პოსტრევოლუციური ეიფორიის გავლის შემდეგ ისიც ცხადი ხდება, რომ ქვეყანამ მიიღო დემოკრატიული განვითარების შანსი და არა გარანტია, რომ სწორედ რევოლუციის შემდეგ პერიოდში უამრავი რამაა გასაკეთებელი, რომ არც ისე ადვილია კლანებისა და კორუფციისაგან გათავისუფლება და ა.შ.

საქართველოს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვა ქვეყნებში დემოკრატიული ცვლილებების საქმეში, თავად ესაჭიროება დიდი მოთმინება, დრო და ძალისხმევა ქვეყანაში არსებული არცთუ მცირე პრობლემების დასაძლევად. ქვეყანაში ბევრი რამაა გასაკეთებელი თავისუფალი ინსტიტუტების შესაქმნელად, ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად, კორუფციის დასამარცხებლად, უმცირესობათა უფლებების დასაცავად, ძლიერი ოპოზიციის შესაქმნელად და ა.შ. ამ მხრივ, საქართველოს შეუძლია ბევრი რამ აიღოს ბალტიის ქვეყნების გამოცდილებიდან. თუკი საქართველო მაგალითია რევოლუციური გამოცდილების თვალსაზრისით, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების შენების მაგალითად შეიძლება ბალტიისპირეთის ქვეყნები გამოდგეს.<sup>116</sup>

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხდება. რევოლუციური ეიფორიის გავლის შემდეგ ხელისუფლების რეიტინგის ვარდნა სწორედ ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილებითაა განპირობებული. გარდა ამისა, წარმატებული ხავერდოვანი რევოლუცია მიმზიდველობას კარგავს სხვებისთვისაც, თუკი მას არ მოსდევს ხელშესახები წინსვლა ხალხის ცხოვრების პირობებშიც.

სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოპოვებული პოლიტიკური წარმატებების ფონზე, რისი

<sup>113</sup> „რეზონანსი“, 14.II.2005

<sup>114</sup> „რეზონანსი“, 15.II.2005

<sup>115</sup> „24 საათი“, 15.II.2005

<sup>116</sup> „ახალი 7 დღე“, 13-19.V.2005



მკაფიო დადასტურებაც აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტი იყო, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ქვეყანაში არსებული სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მაშინ როდესაც პრეზიდენტი ბუში თავისუფლების მოედანზე სიტყვას წარმოთქამდა თავისუფლების მხარდასაჭერად, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით, რუსთაველის პროსპექტის მეორე ბოლოს, რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს ლეიბორისტული პარტია აქციას ატარებდა და მოსახლეობის მძიმე სოციალურ პირობებზე ამახვილებდა ყურადღებას. „ცუდად შეღებილი ფასადების უკან არის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შავბნელი ფერები. ეს არის უხელფასობა, ეს არის უპენსიობა, კატასტროფული სოციალური მდგომარეობა, უუფლებობა“, — აღნიშნავდა ადგილობრივ ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა.<sup>117</sup> თუმცა, მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, ხალხის უმრავლესობა მაინც ხელისუფლებისაგან მოელის მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლას. ეს მკაფიოდ ჩანდა პრეზიდენტ ბუშისა და სააკაშვილის მოსასმენად შეკრებილ ათეულ ათასობით ადამიანისა და ლეიბორისტთა მცირერიცხოვანი აქციის შედარების დროსაც.

ვაშინგტონში მდებარე საერთაშორისო კვლევების ცენტრ „ინტერმედიას“ შეკვეთით მარტში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევებისას კითხვაზე რომელი პოლიტიკური ლიდერის მიმართ ხარტ ყველაზე უფრო დადებითად და ნდობით გამსჭვალული? ყველაზე დიდი პროცენტი, თითქმის 31% მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ლეიბორისტთა ლიდერის შალვა ნათელაშვილის მიმართ კი იგივე დამოკიდებულება მხოლოდ მოსახლეობის 5,1%-მა გამოხატა. სააკაშვილის რეიტინგი მასთან შედარებით მაღალია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე ორგანიზაციის მიერ ზუსტად ერთი წლის წინ ჩატარებულ ანალოგიურ გამოკითხვისას 66% ენდობოდა სააკაშვილს.<sup>118</sup>

ცხადია, რომ თუკი ხელისუფლება სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას არ გააუმჯობესებს, არცთუ ისე დიდი დროის შემდეგ მისი პოპულარობიდან ბევრი აღარაფერი დარჩება. „საკაშვილმა გარკვეულ საკითხებში ნამდვილად მიაღწია პროგრესს... მაგრამ თუ იგი სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს სისტემურ რეფორმებს, სახალხო კონტრარეგულაციის ალბათობის გამორიცხვა შეუძლებელია. სააკაშვილმა ან „ქუჩის ხმა“ უნდა მიუგდოს ყური ან იგი შევარდნაძის ბედს გაიზიარებს, ბოლოს და ბოლოს, მან ხომ თვითონ შექმნა ამის პრეცედენტი“, — აღნიშნა ბრიტანული „გარდიანის“ კორესპონდენტთან საუბარში ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის ექსპერტმა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში პროფესორმა ჩარლზ კინგმა.<sup>119</sup>

„ქუჩის ხმა“ კი კარგად ჩანს თუნდაც იმავე „ინტერმედიას“ მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში. კითხვაზე, თქვენი ცხოვრება ვარდების რევოლუციის შემდეგ უკეთესად მიმდინარეობს თუ არა, პასუხები ასე განაწილდა: მოსახლეობის 38%-ს სჯერა, რომ საქართველოში ცხოვრება უკეთ მიდის. 34%-ს მიაჩნია, რომ არ გაუმჯობესებულა მათი ყოფა. ამავდროულად, 66% უკმაყოფილოა ეკონომიკური მდგომარეობით. შემზარავია ის ფაქტი, რომ მოსახლეობით თითქმის 40% ამბობს, რომ ოჯახს საკმარისი შემოსავალი არ გააჩნია საკვებით უზრუნველყოფისათვის. მოსახლეობის 91%-ს მიაჩნია, რომ უმუშევრობა არის ყველაზე უფრო კრიტიკული პრობლემა. მოსახლეობის 32% აცხადებს, რომ უმუშევარია. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა, მოსახლეობის 91% თვლის, რომ კორუფცია კვლავ სერიოზული პრობლემაა.<sup>120</sup>

რიგი ექსპერტების აზრით, ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკური სიტუაცია აშკარად გაუარესდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში დასმულ იგივე კითხვაზე გაცემულმა პასუხებმა აჩვენა, რომ საქართველოში უფრო მძიმე სიტუაციაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ უარყოფითი ტენდენციის დადებითისკენ შემოტრიალება მოხერხდეს. ხელისუფლებამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეკონომიკური რეფორმები უნდა გახდეს ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

ყველაზე სერიოზული ეკონომიკური დახმარება, რასაც საქართველო უახლოეს მომავალში აშშ-საგან მიიღებს, „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდება. ამ მიმართულებით საქართველოსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებები დასასრულს მიუახლოვდა და საქართველოს მიერ წარდგენილი პროექტების დაფინანსების საკითხს აშშ-ის კონგრესი სავარაუდოდ ივნისში განიხილავს. „მილენიუმის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს მთავრობა აშშ-საგან უახლოესი ორი წლის განმავლობაში 200 მლნ დოლარზე მეტის მიღებას ვარაუდობს.

<sup>117</sup> „ახალი თაობა“, 11.V.2005

<sup>118</sup> „რეზონანსი“, 10.V.2005

<sup>119</sup> „ახალი ვერსია“, 13-15.V.2005

<sup>120</sup> „რეზონანსი“, 10.V.2005

## ○ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა სჭირდება

ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა რაც საქართველოს ხელისუფლების მიმართ დასავლეთელი მეგობრების მხრიდან გაისმის, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და განმტკიცებას ეხება. აღნიშნული ამოცანის აქტუალობას 2005 წლის აგვისტოს დასაწყისში აშშ-დან დაბრუნებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც გაუსვა ხაზი. ვარდების რევოლუცია დემოკრატიის სახელით განხორციელდა, დემოკრატიის საყრდენი კი დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი გამართული ფუნქციონირებაა, რაც ასე აკლია დღევანდელ საქართველოს.

რევოლუცია, თუნდაც ხავერდოვანი, არსებული კანონიერების ფარგლებს გარეთ გამოსვლას ნიშნავს. რევოლუცია თავის შემოქმედებს კანონზე მაღლა აყენებს და უდიდეს ხელისუფლებას ანიჭებს. ხელისუფლება კი დიდი ცდუნებაა. მისი თუნდაც ნაწილის ნებით დათმობა და კანონით „თვითშეზღუდვა“ არცთუ ისე იოლი საქმეა ქვეყანაში, რომელიც შეჩვეულია ავტორიტარიზმს და ათწლეულების მანძილზე ასეთი რეჟიმის პირობებში ცხოვრების გამოცდილება აქვს.

საქართველოში იქმნება ბევრისთვის მოულოდნელი ვითარება, როდესაც დემოკრატიის სახელით მოსულ ხელისუფლებას დემოკრატიის შეზღუდვაში ადანაშაულებენ. ეს ბრალდებები მარტო ოპოზიციის მხრიდან როდი გაისმის. ეს შენიშვნები დასავლეთიდანაც სულ უფრო აქტიურად მოდის. „არავის ეგონა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ასე ხელადებით უარყოფდა რეფორმებს. ევროპულ სტრუქტურებში ძალიან ბევრი შემფოთებულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს ისეთ ფინანსურ დახმარებაზეც კი, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას ეხება“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს დასავლურ სტრუქტურებთან.<sup>121</sup>

მისივე თქმით, ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლებით აღფრთოვანებას დასავლეთში ცვლის იმედის გაცრუება. „ძალიან კრიტიკული დამოკიდებულებაა რეფორმების მიმართ. ანუ მიაჩნიათ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები გაჩერებულია. ყველა თანხმდება იმაზე, რომ საქართველოში რევოლუცია რეალურად არ მომხდარა; მოხდა რევოლუციური ფორმით ელიტის შეცვლა და დღევანდელი ხელისუფლება ქვეყანას იმავე მეთოდებით მართავს, როგორც შევარდნაძე. ანუ, თავის კლანის, ჯგუფის ძალაუფლების განმტკიცებაზე ზრუნავს. ამკარად გამოიკვეთა ოპოზიციის, პლურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“, დასავლელი ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება ავტოკრატიული მმართველობის სისტემაზე გადადის.<sup>122</sup>

საქართველოში დემოკრატიული პროცესების შეფერხების თაობაზე ამგვარ განცხადებებს ხელისუფლების წარმომადგენლები უპასუხოდ ტოვებენ ან ცილისწამებად მიიჩნევენ, მაგრამ პრობლემა დემოკრატიული ინსტიტუტების ამუშავება-განმტკიცების აუცილებლობისა არსებობს და მასზე ზრუნვა რაც უფრო გაჭიანურდება, მით უფრო მძიმე შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის.

როცა საუბარია ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების აუცილებლობაზე, პირველ რიგში, პარლამენტი იგულისხმება ხოლმე, რომლის როლიც ქვეყნის ცხოვრებაში კიდევ უფრო შემცირდა ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად. როგორც აღინიშნება, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტებას სწორედ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა დაუდო სათავე. „ამ ცვლილებებით დაირღვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობის უმთავრესი პრინციპი — ხელისუფლების დანაწილება. დარღვევა, ძირითადად, იმაში გამოიხატა, რომ შემცირდა პარლამენტის უფლებები და მკვეთრად გაიზარდა პრეზიდენტის უფლებები. რაც შეეხება მთავრობას, რომელიც შეიქმნა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ამ საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, ფაქტობრივად, აღმოჩნდა მხოლოდ პრეზიდენტის დამხმარე ორგანო და არა დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით მკვეთრად გაიზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილებები პარლამენტის უფლებამოსილებების შემცირებისა და რეალურად თუ ვიტყვით, პრეზიდენტისათვის პასუხისმგებლობის ჩამოცილების გზით“, — აღნიშნავს ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე.<sup>123</sup>

მისივე თქმით, პრეზიდენტის პასუხისმგებლობა პრემიერ-მინისტრს კი არ გადაუნაწილდა,

<sup>121</sup> „რეზონანსი“, 12.VIII.2005

<sup>122</sup> „რეზონანსი“, 12.VIII.2005

<sup>123</sup> „ახალი თაობა“, 1.VIII.2005

არამედ ამ პირობებში პრეზიდენტს საერთოდ არაფერზე აღარ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა, მთავრობა კი განტეგების ვაცის როლში გამოდის. პარლამენტის უფლებები იმდენად შეზღუდულია, რომ საკმარისია, საკანონმდებლო ორგანომ არ გაიზიაროს პრეზიდენტის ესა თუ ის პოზიცია და პრეზიდენტს შეუძლია მისი დათხოვნა. გამოდის, რომ ამ სიტუაციაში პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ინსტიტუტი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ასეთი ინსტიტუციური მოწყობა ქვეყანაში არანაირად არ უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანაში არც რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა არ არსებობს და არც ადგილობრივი თვითმმართველობა, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო ხდება.

როგორც რიგი ექსპერტები აღნიშნავენ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ამოხნდა ერთი პირის — პრეზიდენტის ხელში. მაგრამ ერთი პირი მთელ ხელისუფლებას ვერასოდეს ვერ გასწვდება და ისიც უკონტროლოდ გადადის მისი გარემოცვის ხელში, რომელსაც უკონტროლობა ძალაუფლების თვითნებური გამოყენებისაკენ უბიძგებს. ამას სიკეთე არავისთვის არ მოუტანია. ქვეყანა სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდეს ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარების გზას. დღევანდელ ვითარებაში ამის გაკეთება კი მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. ქვეყანას კიდევ ერთხელ არ უნდა დაუტკარვოთ დემოკრატიული განვითარების შანსი. ქვეყანაში კი ვითარება ისეთია, რომ ამას არც დიდხანს შეურიგდებიან და არც არავის აპატიებენ.

## ○ კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა — დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა

კანონის უზენაესობა — ეს ორი სიტყვა საქართველოს ყველა მოქალაქეს მრავალგზის გაუგონია, რადგანაც საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება მის ერთგულებაზე დებს თავს. ამასთან, თავისი ასაკიდან გამომდინარე, რაც უფრო ხშირად გაუგონია ეს სიტყვები, მით უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი მის მიმართ. არადა, კანონის უზენაესობის რეალობად ქცევა ქვეყნის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

საბჭოთა პერიოდისათვის ე.წ. ცრუკონსტიტუციონალიზმი იყო დამახასიათებელი. კონსტიტუციითა და კანონით ბევრი რამ იყო დაშვებული, მაგრამ ამავე დროს ყველამ იცოდა, რომ ამ უფლების რეალური განხორციელება შეუძლებელი იყო. მაგალითად, უფლება ჰქონდა „აზრის თავისუფლად გამოთქმისა“, მაგრამ ისიც იცოდა, რომ „ანტისაბჭოური მოქმედებისათვის“ დაისჯებოდა. „ანტისაბჭოურობის“ დადგენა კი ხელისუფლების პრეროგატივა იყო.

საბჭოთა პერიოდიდან მომდინარეობს ხელისუფლების ყოველშემძლეობის ტრადიცია. ხელისუფლება, რომელიც ხალხის მიერ მხოლოდ ფორმალურად იყო არჩეული არ გრძნობდა რეალურ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე. ადამიანები ხელისუფლების წყარო კი არა, ქვეშევრდომები იყვნენ, რომელთაც მორჩილად უნდა მიეღოთ ხელისუფლების გადაწყვეტილებები. ხელისუფლება, რეალურად, კანონზე მაღლა იდგა და ყოველთვის შეეძლო კანონის თავისთვის სასურველი ინტერპრეტირება, ანდა საერთოდ ახალი კანონის მიღება.

კანონის უზენაესობა ვერც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ათწლეულში, ანუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იქნა მიღწეული. ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, ისევ ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურა რჩებოდა, რომელიც შეჩვეული იყო „კანონზე ზევით“ დგომას. მიუხედავად დემოკრატიული განაცხადისა, სისტემა ისევ „ერთი კაცის მმართველობაზე“ იყო აგებული. მთავარი შევარდნაძე იყო, სწორედ მასზე იყო „გამოჭრილი“ 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია, მის გარშემო შეიქმნა მმართველი პარტია — მოქალაქეთა კავშირი, სწორედ მისი მომხრეებისათვის იყო უზრუნველყოფილი უმრავლესობა პარლამენტში არჩევნების „სასურველი შედეგებით“ დამთავრების გზით.

შევარდნაძე კანონზე მაღლა იდგა, ისევე როგორც „თავიანთი ხელისუფლების ფარგლებში“ კანონზე მაღლა იდგნენ მინისტრები და პარლამენტარები, რომელიმე უწყების ჩინოვნიკები თუ სოფლის გამგებლები. ცხადია, თითოეული გრძნობდა ზემდგომის უპირატესობას, ხოლო თუ „ფეხი გადაუბრუნდებოდა“ მას „კანონის მთელი სიმკაცრით“ დასჯიდნენ. ეს სისტემა მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი, ამ სისტემით მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყანა

ცხოვრობს, მაგრამ, ცხადია, ამით არანაირი „შეღავათი“ საქართველოს მოქალაქეებს არ უჩნდებათ.

კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ალბათ, პირველ რიგში, ორი რამის მიღწევას საჭირო: კანონების შემოქმედი საკანონმდებლო ორგანოს როლისა და ავტორიტეტის ამაღლება ქვეყნის ცხოვრებაში. საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა დომინირებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მკაცრად აკონტროლებდეს მიღებული კანონების შესრულებას. ასევე უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. სამწუხაროდ, ორივე ეს ამოცანა გადაწყვეტილი არაა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც.

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, რიგი ექსპერტების აზრით, მოხდა პირიქით — ვარდების რევოლუციის შემდეგ კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა კიდევ უფრო დაასუსტა პარლამენტის როლი ქვეყნის ცხოვრებაში. იმავე მიმართულებით „მუშაობს“ ხელისუფლების ხელში საპარლამენტო უმრავლესობის არსებობაც. ეს უმრავლესობა, რომლის მოხვედრაც პარლამენტში პრეზიდენტ სააკაშვილის დამსახურებაა, ცხადია, კრიტიკულად ვერ იქნება განწყობილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი „თავისიანების“ მიმართ და როგორც წესი, ღებულობს იმ გადაწყვეტილებებს, რასაც სახელმწიფო კანცელარიიდან შესთავაზებენ ხოლმე.

2005 წლის ივლისში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოაქვეყნა მონაცემები, თუ როგორ სრულდება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის თაობაზე. თითოეული საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტისათვის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენაა გათვალისწინებული. პირველი, რაც თვალშისაცემია, არის ის, რომ საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, ვიდრე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. პრეზიდენტს ანგარიშები წარუდგინა დაახლოებით 106-მა, ხოლო პარლამენტს — მხოლოდ 20-მა ადმინისტრაციულმა ორგანომ. ამასთან ისიც ნიშანდობრივია, რომ 2004 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში მოქმედი 14 სამინისტროდან მხოლოდ სამი (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) დაემორჩილა კანონის მოთხოვნებს.<sup>124</sup>

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიუთითებს, ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესრულების შესახებ ანგარიშების წარდგენის ხასიათი ქვეყანაში არსებული საგანგაშო ტენდენციების ანარეკლია. როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის წინაშე არ მიიჩნევს თავს ანგარიშვალდებულად, ხოლო საქართველოს პარლამენტი ამგვარ დამოკიდებულებას არ აპროტესტებს, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტში კარგად ჩანს პარლამენტის როლისა და ფუნქციის დაკნინების დღევანდელი ტენდენცია, რაც ინსტიტუციური რღვევის მაუწყებელია და ხელს უშლის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას.

ასევე, მიუხედავად სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე განუწყვეტელი რეფორმებისა, დღეს ვერაფერ იტყვის, რომ ქვეყანაში არსებობს ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს არა „პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით“, არამედ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, თავად კანონიც, ხშირად განიცდის ტრანსფორმირებას, ხელისუფლების ნება-სურვილიდან გამომდინარე. დღეს ხელისუფლება ქმნის კანონს, თუმცა ამ კანონის მორჩილება არცთუ იშვიათად კვლავ ავიწყდება ხოლმე.

## ○ სახელმწიფოს მშენებლობა მოხელეებისადმი ცივილიზებულ დამოკიდებულებას მოითხოვს

ნებისმიერი სახელმწიფოს მშენებლობა სამოხელეო აპარატის ფორმირებას მოითხოვს. სწორედ მოხელეებზე, მათ კვალიფიკაციასა და უნარზე ბევრად და დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, მიღწევები თუ წარუმატებლობები. საქართველოში კი სამოხელეო კორპუსის ფორმირებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი თანამდებობის პირების ხშირი ცვლა და ზოგჯერ ერთმანეთის

<sup>124</sup> „რეზონანსი“, 19.VII.2005

სავარძლებში გადანაცვლება. საკმარისია სამინისტროს ან რომელიმე უწყების პირველი პირი შეიცვალოს, რომ მის ადგილზე მისული ყველა ძველ თანამშრომელს, ლამის დამლაგებლების ჩათვლით, განცხადებებს აწერინებს განთავისუფლების შესახებ. ახალი პირის სურვილია, რომ გარშემო „პირადად ერთგული“ კადრები ჰყავდეს, თუნდაც თავის წინა სამსახურიდან გადმოყვანილი. ანგარიში არ ეწევა იმასაც, რომ ახალ თანამდებობაზე მისი ყოფნა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს და საკადრო კარუსელი ხელახლა დატრიალდეს. ახალი ხელმძღვანელობის მიერ სასურველი კადრების მიყვანის ერთ-ერთ გავრცელებულ გზად აღიქმება მოცემული უწყების თანამშრომელთა ტესტირება და გამოცდებისა თუ გასაუბრებების ორგანიზება. ცხადია, თანამშრომელთა კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის დონე შესამოწმებელია, მაგრამ არა ასეთი სიხშირით და არა არასასურველი პირების დათხოვნის მიზნით.

განახლების აუცილებლობასთან ერთად, სამოხელეო აპარატი სტაბილურობით უნდა სარგებლობდეს და კანონის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის შემთხვევაში იმის გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ მუყაითობისთვის დააწინაურებენ და კარგი მუშაობისთვის საბოლოოდ კარგი პენსიითაც იქნება უზრუნველყოფილი. მოხელეთა ამგვარი დაცულობა სახელმწიფო აპარატის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს, ისევე როგორც კორუფციის წინააღმდეგ მიმართული მნიშვნელოვანი ზომაა.

ამ საკითხზე სერიოზულ ზრუნვას საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ ახლა იწყებს. 2005 წლის შემოდგომაზე პარლამენტმა ახალ კოდექსზე — საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსზე დაიწყო მუშაობა. აქამდე საჯარო სამსახურის ფუნქციონირებას სამი დამოუკიდებელი კანონი არეგულირებდა — კანონი საჯარო სამსახურის შესახებ; კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ და შრომის კანონთა კოდექსი. საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსის მიღების შემდეგ კი ყველა ნორმა ამ კოდექსში მოიყრის თავს — დაწყებული სამსახურში მიღების წესიდან და დამთავრებული მათი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებით.

საჯარო სამსახურის კოდექსი ვერ იმუშავებს, თუ პარლამენტი არ მიიღებს კანონს თანამდებობრივი რანგირების შესახებ. კანონპროექტი მზადდება. პროექტის ავტორი პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილია. ამ კანონმა უნდა განსაზღვროს და გამიჯნოს პოლიტიკური და აპოლიტიკური თანამდებობები.<sup>125</sup> მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი საჯარო სამსახურის ეფექტური, სტაბილური მუშაობა და პროფესიონალ ჩინოვნიკთა დაცვა გაუთავებელი კარუსელებისაგან. არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლისას უნდა იცვლებოდნენ მხოლოდ პოლიტიკურ თანამდებობებზე მყოფი პირები და არ უნდა იცვლებოდნენ აპოლიტიკური თანამდებობის პირები. ამ კანონის მიღების შემდეგ ყველას გარკვევით ეცოდინება, ვინ უნდა დარჩეს და ვინ უნდა წავიდეს სამსახურიდან, როცა ახალი ხელისუფლება ან ახალი ხელმძღვანელი მოვა. თანამდებობებზე დარჩებიან პროფესიონალი მოხელეები, ხოლო თანამდებობებს დატოვებენ ისინი, ვინც ამ სამსახურში პოლიტიკას განსაზღვრავდა. კანონის მიხედვით, ზუსტად იქნება განსაზღვრული პოლიტიკური თანამდებობის პირები ხელისუფლების ყველა შტოში, ისევე როგორც მათი სახელფასო უზრუნველყოფის საკითხები.

საჯარო მოხელეები სამ კატეგორიად უნდა დაიყონ — სამოქალაქო, სამხედრო და დიპლომატიური. მათი დაყოფის მიზეზი ისაა, რომ სრულიად სხვადასხვა პირობებში უწევთ მუშაობა. შესაბამისად, მათ სულ სხვადასხვა მოთხოვნები უნდა წაეყენოთ თანამდებობებზე მიღების დროს და განსხვავებული ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ. კანონი დაწვრილებით განსაზღვრავს მათი შრომის ანაზღაურების წესსაც.

ამ პროექტთან დაკავშირებით უმრავლესობაც და ოპოზიციაც ერთი აზრის არიან და, სავარაუდოდ დიდი განხეთქილება მისი პარლამენტში განხილვის დროს არ იქნება. შესაბამისად, საჯარო სამსახურის შესახებ კოდექსის გამოჩენას არცთუ შორეულ მომავალში უნდა მოველოდეთ.

<sup>125</sup> „ალია“, 2-3.VIII.2005

## თავი IX. საქართველო და საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტები

### ○ ევროსაბჭო დემოკრატიული განვითარების გზისკენ მიგვითითებს

რამდენად სწორად და მიზანმიმართულად მიდის საქართველო დემოკრატიის დამკვიდრების გზით? ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი როდია. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად მიდის და ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო სანიშნოდ დემოკრატიული ქვეყანა ხდება, ოპოზიცია კი დიდი ხანია განგაშს ტყვს და აცხადებს, რომ საქართველო ავტორიტარიზმისკენ მიექანება. არსებულ ვითარებაში გასარკვევად ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური, ალბათ, ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციის შეფასება იქნება, როგორც ევროსაბჭოა. აღნიშნული ორგანიზაციის დამკვირვებლები კი მიღწევებზეც საუბრობენ და მრავლად არსებულ პრობლემებზეც. ისიც ცხადია, რომ შესაბამისი სახელისუფლო ნების არსებობის შემთხვევაში, დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე გაჩენილი ზოგიერთი კითხვის გადაწყვეტა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს.

2005 წლის 15 დეკემბერს ბრიუსელში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოდგენილი იყო ევროსაბჭოს დამკვირვებელთა ჯგუფის მოხსენება საქართველოზე, რომელიც მათეას იორშმა და ევგენი კირილოვმა გააკეთეს.<sup>126</sup> 17 დეკემბერს კი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის პროექტი გამოქვეყნდა, რომელიც 2006 წლის იანვარში მიიღეს. აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის პროექტის შესახებ ქართული მედიისათვის ოპოზიციაში მყოფი კონსერვატიული პარტიისაგან გახდა ცნობილი.<sup>127</sup>

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში და შესაბამისად, რეზოლუციის პროექტში აღნიშნული იყო, რომ საქართველომ გარკვეული ვალდებულებები უკვე შეასრულა, ხოლო ზოგადად ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი რეფორმები სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. მოხსენების თანახმად, საქართველოს ხელისუფლება იმის დემონსტრირებას აგრძელებს, რომ დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს აშენებას აპირებს. მოხსენების მიხედვით, საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებიდან მხოლოდ ორი შეასრულა, ერთი დროულად, მეორე კი მცირე დაგვიანებით. 22 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირება მოახდინა, ხოლო ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია მცირეოდენი დაგვიანებითაა მიღებული. „წარმატებები გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით და მათ დაახლოებაში ევროპულ სტანდარტებთან მაინც მიღწეულია“, — ნათქვამია მოხსენებაში.<sup>128</sup>

კორუფციასთან ბრძოლა და პოლიციის რეფორმა ევროსაბჭოს მოწონებას იმსახურებს. მოხსენებაში ისიც აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური გაუმჯობესება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეინიშნება. ამასთანავე გადადგმულია საკმაოდ წარმატებული ნაბიჯები სასამართლო სისტემის რაციონალიზაციაში, დაკავებულთა უფლებების დაცვაში, წამების წინააღმდეგ ბრძოლაში, პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

გარდა წარმატებების დაფიქსირებისა, ევროსაბჭო რეზოლუციის პროექტში ყურადღებას კვლავ იმ საკითხებზე ამახვილებს, რომლის გამოსწორებისკენაც საქართველოს ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია მოუწოდებს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში მოკლედია ჩამოყალიბებული ის უმთავრესი პრობლემა, რაც დღეს აფერხებს ქვეყნის დემოკრატიისაკენ წინსვლას და რამაც შეიძლება ეჭვქვეშაც დააყენოს მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების ბედი. „საქართველოს სახელისუფლო სისტემაში არ არის დაცული ბალანსი, ოპოზიცია არის ძალიან სუსტი და არ განიხილება, როგორც ხელისუფლების ალტერნატივა. რეფორმები კი ერთნაირი აზროვნების მქონე წამყვანი პოლიტიკოსების ვიწრო წრის მიერ ტარდება და არა საზოგადოების უფრო ფართო ფენების მიერ“.<sup>129</sup>

<sup>126</sup> „რეზონანსი“, 16.XII.2005

<sup>127</sup> „რეზონანსი“, 19.XII.2005

<sup>128</sup> „რეზონანსი“, 16.XII.2005

<sup>129</sup> „რეზონანსი“, 16.XII.2005

რეზოლუციის პროექტში შეუსრულებელი ვალდებულებებისა და აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯების ვრცელი ნუსხაა გამოქვეყნებული. ევროსაბჭო კვლავ მიუთითებს, რომ ძლიერი სამთავრობო სისტემა არ არის გაწონასწორებული ხელისუფლების დანაწილების მოდელით. ასე რომ, ის რეკომენდაციები, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას წინა რეზოლუციაში მიეცა, კვლავაც ძალაშია.

ევროსაბჭო ითხოვს, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გადაისინჯოს 2004 წლის თებერვლის კონსტიტუციის ცვლილებები. ამ მხრივ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვენეციის კომისიის მოსაზრებები, განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, რომელიც პრეზიდენტის ძალაუფლებას ეხება.<sup>130</sup>

საქართველოს ხელისუფლებას ევროპის საბჭო მოუწოდებს, უზრუნველყოს 2006 წლის ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების სამართლიან და თავისუფალ პირობებში ჩატარება, რაც მთავარია, მოითხოვს, რომ არჩევნები ევროპის საბჭოს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში წარიმართოს და ამისათვის წინასწარვე დაიწყოს საარჩევნო სიებზე ზრუნვა. ევროსაბჭო ითხოვს, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის დასკვნა თბილისის საკრებულოსა და მერის არჩევითობასთან დაკავშირებით.<sup>131</sup>

რაც შეეხება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, ევროსაბჭო ითხოვს საარჩევნო ბარიერის 7-დან 5 პროცენტამდე მაინც შემცირებას. აგრეთვე, ევროსაბჭოს რეკომენდაციაა ყველა დონის საარჩევნო კომისიების ფუნქციონირების პარტიული ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად უზრუნველყოფა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ავტონომიებზეც საუბრობს და ხელისუფლებას ისეთი სამართლებრივი ზომების აუცილებელ მიღებას ურჩევს, რითაც აჭარის სტატუსი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“ საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების სტიმული გახდება.

ერთ-ერთი რეკომენდაცია სასამართლო სისტემას ეხება — ევროპა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, სასამართლოში არსებული სისტემა სრულიად გამჭვირვალე და დემოკრატიული სისტემით შეცვალოს.

ევროსაბჭო თურქ-მესხებსაც არ ივიწყებს და საქართველოს ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების დაჩქარებას მოუწოდებს. აქვე ევროპის საბჭო კიდევ ერთ სამართლებრივი ბაზის შექმნაზე საუბრობს და ხელისუფლებას 1990-1994 წლების კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთათვის რესტიტუციის კანონის სასწრაფოდ მიღებას ურჩევს.

ახლა საქართველოს ხელისუფლებას და მოქალაქეებს, გაითვალისწინებს თუ არა ევროსაბჭოს მიერ უკვე მრავალჯერ გამოთქმულ რეკომენდაციებს. ვარდების რევოლუციის შემდეგ უკვე ორ წელიწადზე მეტია გასული და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტი უნდა იყოს მიღწევები. ზოგადი დაპირებები იმის თაობაზე, რომ ცვლილებები მომავალში განხორციელდება, შთამბეჭდავად უკვე აღარ გამოიყურება.

## ○ ევროპის საბჭო მეტ დემოკრატიას მოითხოვს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს საკითხს 2006 წლის 24-27 იანვრის განმავლობაში იხილავდნენ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების ერთი წლის მუშაობის შედეგები და რეზოლუციას ევროსაბჭოს 60 დებუტატიდან 56-მა დაუჭირა მხარი.

საქართველოს შესახებ მოხსენება, მომზადებულია მათეას იორშის (უნგრეთი, ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსი ევროპისათვის) და ევგენი კირილოვის (ბულგარეთი, სოციალისტთა ჯგუფი) მიერ. ორივე მათგანი საკმაოდ კარგად იცნობს საქართველოს, რადგანაც ვარდების რევოლუციამდეც აწარმოებდნენ ქვეყნის მონიტორინგს. მოხსენებებში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს ყოველთვის ხალხით იშველიებს ხოლმე ოპოზიცია. თუმცა, მიღებულ რეზოლუციებში ყოველთვის აღნიშნულია, რომ საქართველო დემოკრატიის მიმართულებით ვითარდება.

<sup>130</sup> „ახალი ვერსია“, 19-25.XII.2005

<sup>131</sup> „რეზონანსი“, 19.XII.2005

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებულ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში პოსტრევოლუციური ეიფორია პრაგმატიზმმა შეცვალა და ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი რეფორმები სწორი გზით მიმდინარეობს. „საქართველო დააღდა სწორ გზას, თუმცა, წინ კიდევ მრავალი გამოწვევაა. საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებები შეიძლება შეფასდეს, როგორც ზოგადად იმედის მომცემი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საწყისი ნაბიჯებია ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნულია მონიტორინგის კომიტეტის მიერ მიღებულ ახალ მოხსენებაში.<sup>132</sup>

ამავე დროს, ავტორთა აზრით, საქართველოსთვის დიდი გამოწვევები ჯერ კიდევ წინაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოყოფილია შემდეგი სფეროები:

- მყარი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- სასამართლო სისტემის რეფორმირება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა.

ევროპის საბჭოს კრიტიკულ პათოსს კი საქართველოს ხელისუფლების მიერ ძველი რეკომენდაციების შეუსრულებლობა განაპირობებს.<sup>133</sup> ეს რეკომენდაციები წლიდან წლამდე მეორდება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება მათ შესრულებას, როგორც ჩანს, არ აპირებს. ამ რეკომენდაციების შეუსრულებლობა ევროსაბჭოს ექსპერტებში გაკვირვებას და გაღიზიანებას იწვევს, რადგანაც რეკომენდაციები ემსახურება დემოკრატიის დამკვიდრების საქმეს, ვარდების რევოლუცია კი სწორედ დემოკრატიული იდეალების განხორციელების ლოზუნგით მოხდა. „ვარდების რევოლუციიდან ორი წლის შემდეგ, დროა, ხელისუფლებამ აღთქმული დაპირებების შესრულება დაიწყოს“, — დაახლოებით ასეთია ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული რეზოლუციის პათოსი.<sup>134</sup>

ევროპის საბჭო ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლებისაგან კი უკვე მეორე წელია ითხოვს რამდენიმე ცვლილების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა დემოკრატიის განვითარებას საქართველოში:

— ევროსაბჭოს არ მოსწონს 2004 წლის თებერვალში საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც მკვეთრად დაიბრუნა ხელისუფლების დანაწილების სისტემა („ჩექენ ბალანსი“). პრეზიდენტის ძალაუფლება გაიზარდა, ხოლო პარლამენტი დასუსტდა. ხელისუფლება არ არის დაბალანსებული ასევე ძლიერი ოპოზიციური ძალებითა და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებით. ჯერჯერობით არ იგეგმება კონსტიტუციის გადახედვა ხელისუფლების დანაწილების სისტემის გასაუმჯობესებლად.

— ოპოზიციის გაძლიერების ხელშესაწყობად, ევროპის საბჭო კვლავ იძლევა რეკომენდაციას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე 7%-იანი ბარიერი 5%-მდე მაინც შემცირდეს. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება ბარიერის შემცირებას არ აპირებს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ საკუთარი რეიტინგის ამაღლებაზე ოპოზიციამ თავად უნდა იზრუნოს და ამისათვის სახელისუფლო ძალები ვერაფერს გააკეთებენ. უფრო მეტიც, ოპოზიციას გაერთიანებისა და გაძლიერებისაკენ სწორედ მაღალმა საარჩევნო ბარიერმა უნდა უშველოს.

— უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დონის საარჩევნო კომისიების ფუნქციონირება პარტიული ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად.

— საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ მიმდინარე წელს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატაროს სამართლიან და თავისუფალ პირობებში, ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში. რეზოლუციის სამუშაო ვარიანტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის დასკვნა თბილისის საკრებულოს და მერის არჩევნებთან დაკავშირებით.

— სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს

<sup>132</sup> „რეზონანსი“, 16.I.2006

<sup>133</sup> წინა რეზოლუციის 4 რეკომენდაციიდან 2 შესრულებულია, ხოლო 2 არ შესრულებულია. ესაა საპარლამენტო არჩევნებზე 7%-იანი ბარიერის 5%-მდე დაწევა და აჭარის სტატუსის გადახედვა ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე. ევროპის საბჭომ ეს რეკომენდაციები ძალაში დატოვა, საქართველოს ხელისუფლებას კი ამ საკითხებთან დაკავშირებით მყარი პოზიციები აქვს და ევროპის საბჭოს რეკომენდაციას არ ეთანხმება.

<sup>134</sup> „რეზონანსი“, 16.I.2006



„მოსამართლეთა შეცვლის სრულიად გამჭვირვალე და დემოკრატიული სისტემა“.

ზემოთქმული და სხვა მსგავსი რეკომენდაციები მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიის გზაზე თანმიმდევრული წინსვლის უზრუნველყოფას. ყოველი შეფერხება ამ მიმართულებით უარყოფითად მოქმედებს საქართველოს იმიჯზე. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს შეუძლია გახდეს დემოკრატიის დამკვიდრების ლიდერი პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ევროსაბჭოს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება. ამისათვის კი მხოლოდ შესაბამისი პოლიტიკური ნების გამოჩენაა საჭირო.

რაც შეეხება აჭარის სტატუსს, ევროპაში ეჭვი უჩნდებათ, რომ ამ ავტონომიის უფლებების შეზღუდვა ხომ არ აშინებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და ეს ხომ არ არის დაბრკოლება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ერთი წლის უკან ასამბლეის სხდომაზე გამოთქმულ სამშვიდობო ინიციატივის მიღებასთან დაკავშირებით.

ცხადია, სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმებისათვის „აჭარის მაგალითით“ აპელირება მხოლოდ სიტყვის მასალაა და ისინი სტატუსთან დაკავშირებით სერიოზული მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებენ. საქართველოს ხელისუფლება აჭარის სტატუსის გადახედვასაც არ აპირებს, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არანაირად არ უშლის ხელს სეპარატისტული რეგიონების პრობლემის გადაწყვეტას. „საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთს სთავაზობს უფრო მაღალ ავტონომიას სწორედ იმის გამო, რომ იქ აჭარასთან შედარებით ეთნიკური განსხვავებაა. შესაბამისად, მათი ნაციონალურ-ეთნიკური დაცვის გარანტიები უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე აჭარის მოსახლეობის“, — აღნიშნავს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.<sup>135</sup>

მონიტორინგის კომიტეტის მოხსენებაში საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, რომელიც რეკომენდაციების შეუსრულებლობას ეხებოდა, არ გაიზიარეს. საქართველოს ხელისუფლება ამ რეკომენდაციების შეუსრულებლობაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და არ მიაჩნია, რომ ამას რაიმე გართულება მოჰყვება ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობაში. ოპოზიციას კი ამ საკითხზე სრულიად საპირისპირო მოსაზრება აქვს. „რეკომენდაციების გათვალისწინება აუცილებელია, რათა საქართველო სრულფასოვანი დემოკრატიული ქვეყანა გახდეს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ისინი რამდენიმე წელია მეორდება და მას საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს, სკანდალურია“, — აღნიშნავს კონსერვატორი კახა კუკავა.<sup>136</sup>

მიუხედავად კრიტიკისა, ოპოზიციის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ რეკომენდაციების შეუსრულებლობა ევროპის საბჭოში საქართველოსთვის ხმის უფლების ჩამორთმევის ან გარიცხვის საფუძველი არ გახდება, მაგრამ თვლიან რომ ამით ქვეყნის პრესტიჟს სერიოზული დარტყმა აღგება. ლევან ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს კვლავ მონიტორინგის ქვეშ დატოვებენ, ანუ არ მიიჩნევენ სრულფასოვან დემოკრატიულ ქვეყნად, ასეთ ქვეყანას კი არც ნატოში მიიღებენ და არც ევროკავშირში. „ამის მაგალითები მრავლად არსებობს, არ განიხილავენ ისეთი ქვეყნების გაწევრიანებას, რომელთა შემოწმებაც მიმდინარეობს. მაგალითად, თურქეთს ვიდრე არ მოეხსნა მონიტორინგი, ევროკავშირმა მასთან მოლაპარაკებაც კი არ დაიწყო“, — აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი.<sup>137</sup>

## ○ დემოკრატიული სტანდარტი და ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში

ადამიანის უფლებათა დაცვის თემაზე ყოველთვის ცხარე დისკუსია მიმდინარეობს საქართველოში. დამოუკიდებლობის 15 წლის მანძილზე ყოველი ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ოპოზიცია კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. წესით, ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ბოლო უნდა მოეღო ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებისათვის, მაგრამ ხელისუფლების კრიტიკა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება. ამ ცოტა ხნის წინ ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპტტ კმპრეთ ცფესრ“-მა გამოაქვეყნა ტრადიციული წლიური მოხსენება, რომელშიც

<sup>135</sup> „რეზონანსი“, 28.I.2006

<sup>136</sup> „რეზონანსი“, 28.I.2006

<sup>137</sup> „რეზონანსი“, 30.I.2006

დახასიათებულია საქართველოში არსებული მდგომარეობაც.

საქართველო, ცხადია, ბელორუსია ან თურქმენეთი არ არის და დემოკრატიის გზაზე მოპოვებულ წარმატებებზე არავინ დავობს, მაგრამ „რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-ს არ გამოორჩენია ქვეყანაში არსებული პრობლემები ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მათ ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგანაც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ასეთი შენიშვნების დაფიქსირება ზიანს აყენებს საქართველოს იმიჯს, რომელსაც ვარდების რევოლუციის შემდეგ დემოკრატიზაციის სანიმუშო მაგალითის როლის შესრულებაც უწევს. გარდა ამისა, აღნიშნული შენიშვნების დაძლევის გარეშე ძალზედ ძნელი იქნება ევროინტეგრაციის პროცესის სწრაფად განვითარებაზე ფიქრი.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისთვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებათა დაცვისადმი არათანმიმდევრული დამოკიდებულება. მაგალითად, „რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-ის მოხსენებაში საუბარია საქართველოში რელიგიური თავისუფლების რეალურად უზრუნველყოფაზე. ამავე დროს, გამოთქმულია მკაცრი შენიშვნები სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, აღსანიშნავია „რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-ის 2005 წლის ანგარიშში საქართველოში მიმდინარე რეფორმების დახასიათება, რასაც, ორგანიზაციის აზრით, მოსდევს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შენარჩუნებაც. „საქართველოს მთავრობის ამბიციური რეფორმების პაკეტს მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება. თუმცა, ხშირად რეფორმები ნაჩქარევად ხორციელდება — ფართო და ღია კონსულტაციების, ასევე დეტალური გათვლების გარეშე, რის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ, ღრმად ფესვგადგმულ პრობლემებთან ბრძოლა. სწორედ ამის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ბევრ სფეროში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დარღვევების ის პრაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების დროს იყო“, — ნათქვამია ანგარიშში.<sup>138</sup> ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკის გამო, რეფორმები ხშირად არაადეკვატურ შედეგებს იძლევა. მაგალითად ანგარიშში დასახელებულია 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც სასამართლოზე მკვეთრად გაიზარდა პრეზიდენტის ზეგავლენა. ანგარიშში მითითებულია, რომ „არ არის კარგად გამოკვეთილი ის კრიტერიუმებიც, რომელთა მიხედვით იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებენ“.

ანგარიშში სერიოზული ყურადღება მედიის შეზღუდვის ტენდენციას ეთმობა. „რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-ი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა პრესის თავისუფლების შესახებ დაიხვეწა და დარეგულირდა, თუმცა, მეოთხე ხელისუფლება ნაკლებად კრიტიკულია, ვიდრე შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. „ჟურნალ-გაზეთები ხელისუფლების წინააღმდეგ შედარებით თავისუფალნი არიან, რაც შეეხება სატელევიზიო არხებს, მათი უმრავლესობა მხოლოდ მთავრობის მამებელ ინფორმაციას ავრცელებს“, — წერს „რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-ი. ხელისუფლება გააღწიდა უშუალოდ ტელეკომპანიების ხელმძღვანელებზე ახდენს. მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოში ჟურნალისტები სამსახურის დაკარგვის შიშის გამო ვერ ბედავენ ამხილონ მთავრობის ჩარევის ფაქტები.

უცხოელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ხელისუფლება გარკვეულ პრობლემებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც უქმნის, რომლებიც სასჯელალსრულებით დაწესებულებების მონიტორინგს აწარმოებენ. მოხსენებაში ხაზგასმულია სამართლამცავ სფეროში არსებული ნაკლოვანებანი. წინადადგმული ნაბიჯების მიუხედავად (მაგალითად, წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლის შემცირება), „წამება და დაუსჯელობა 2006 წელს საქართველოსთვის სერიოზული პრობლემა იყო“, — ნათქვამია მოხსენებაში.

„რეჟიმ კმპრეთ ცფესრ“-მა აშშ იმის გამოც გააკრიტიკა, რომ სათანადოდ არ რეაგირებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ დარღვევებზე. მოხსენების თანახმად, „ამჟამად საგრძნობია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ვაშინგტონის მხარდაჭერა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ამერიკის კრიტიკის ინტენსივობას მნიშვნელოვნად ამცირებს. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოში ვიზიტისას, საქართველოს უწოდა ქვეყანა, სადაც ყვავის თავისუფალი სიტყვა, პატივს სცემენ უმცირესობათა

<sup>138</sup> „24 საათი“, 20.I.2006

უფლებებს, ახალისებენ აქტიურ ოპოზიციას. ამასთან, ჯორჯ ბუშს სიტყვაც არ დასცდენია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ პრობლემებზე“.<sup>139</sup>

აშშ „რეკტ კმპრეთ ცფესრ“-ის მოხსენებაში სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც მკაცრად გაკრიტიკებული, რასაც თეთრი სახლი არ ეთანხმება და მას „პოლიტიკურად მოტივირებულს“ უწოდებს. „მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებები იმდენად ფაქტებს არ ეყრდნობა, რამდენადაც მისი ავტორების პოლიტიკურ პოზიციას“, — აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესმდივანმა სკოტ მაკელანამა. ეს სიტყვები პირველ რიგში აშშ-სთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკას ეხება. საქართველოში დემოკრატიის გზაზე მიღწეულ წარმატებებს და ხარვეზებს კი დასაველეთში კარგად ხედავენ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2006 წლის მიზნებს შორის საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობაც დაასახელა. დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეთა მდივნის თანაშემწის, დენიელ ფრაიდის განცხადებით, „თავისუფლების ხელშეწყობა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მხოლოდ ტაქტიკა და ხერხი კი არ არის, არამედ მთავარი კონცეფცია“. როგორც ფრაიდმა განაცხადა, აშშ და ევროპა მსოფლიოში თავისუფლების განსამტკიცებლად ერთობლივად მოქმედებენ. 2006 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გეგმებში შედის საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში დემოკრატიების მხარდაჭერა. გარდა ამისა, დავიწყებული არ იქნება სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებიც. „ბელორუს ხალხს დემოკრატიის დამკვიდრებაში დავხმარებით, ხოლო აზერბაიჯანსა და ყაზახეთს კი ხელს შევუწყობთ, დემოკრატიის მიმართულებით უფრო მყარად და მიზანმიმართულად იმოძრაოს“, — აღნიშნა ფრაიდმა.<sup>140</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული ვითარების ასხნა „ობიექტური მიზეზებით“ ძალზედ ძნელია, რადგანაც ეს ყოველთვის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ამდენად, ვითარების გაუმჯობესება ამ სფეროში დემოკრატიაზე ორიენტირებული ხელისუფლებისათვის ღირსების საქმეს უნდა წარმოადგენდეს.

## ○ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში: ამერიკული შეფასება და ქართული რეაქცია

ეუთოში აშშ-ის ელჩის ჯული ფინლის განცხადებით, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება კვლავ საქართველოს გამოწვევად რჩება. მისი თქმით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მიუხედავად საქართველოს მიღწევებისა და იმ ფაქტისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა საგანმანათლებლო სისტემის და სასამართლო სისტემის, პოლიციის რეფორმირების, კორუფციის შემცირებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის კუთხით, აშშ იზიარებს საქართველოში ეუთოს მისიის წუხილს წინასწარი პატიმრობის ზედმეტად ხანგრძლივი ვადის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, უმცირესობათა სტატუსისა და მედიის თავისუფლების თვალსაზრისით. „ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, მოაგვაროს ეს საკითხები... აშშ მზად არის შეძლებისდაგვარად დახმარების აღმოსაჩინად“, — აღნიშნა ფილბიმ. თავის გამოსვლაში აშშ-ის ელჩმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა აშშ მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი.<sup>141</sup>

ქართულ მედიაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 5 აპრილს გამოქვეყნებულ „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მხარდაჭერა ყოველწლიურ ანგარიშს“, რომელიც 2005-2006 წლების მდგომარეობას ასახავს მსოფლიოს 95 ქვეყანაში.<sup>142</sup> ამ ქვეყნებს შორის საქართველოც შედის, მაგრამ ანგარიშის მიხედვით, აშშ კმაყოფილია საქართველოში განვითარებული მოვლენებით. ადგილობრივი ექსპერტებისა და სამართალდამცავების ნაწილი კი გაცილებით უფრო კრიტიკულად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, ვიდრე ეს

<sup>139</sup> „24 საათი“, 20.I.2006

<sup>140</sup> „24 საათი“, 21.I.2006

<sup>141</sup> „თავისუფალი გაზეთი“, 29.III.2006

<sup>142</sup> მოხსენებას ეპიგრაფა აქვს წამძღვარებული აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სიტყვიდან, რომელიც მეორე საინაუგურაციო ცერემონიაზე წარმოთქვა: „ყველანი, ვინც ცხოვრობთ ტირანიის ქვეშ, უიმედობაში, დარწმუნებული იყავით, რომ შეერთებული შტატები თვალს არ დახუჭავს თქვენს ჩავგრაზე და არც თქვენს მხაგრელებს აპატიებს. თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ ყოველთვის თქვენს გვერდით ვიდგებით“ („24 საათი“, 7.IV.2006).

ანგარიშშია წარმოდგენილი. პრინციპში, ეს ასეც უნდა იყოს და, შესაძლოა, ეს იმ შეფასების დასტურაც არის, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაშია აღნიშნული — რომ საქართველოში მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება.

სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური რეგიონული მოხსენებისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ეთმობა მსოფლიოში, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული მოხსენება „ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის მცდელობაზე, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას და დემოკრატიის მხოლოდ 95 ქვეყანასა და ერთეულში — იქ, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას“. პრობლემატურ ქვეყანათა ჩამონათვალში საქართველოც შედის და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზს ორი გვერდი აქვს დათმობილი. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოსთან მიმართებაში ტონი საკმაოდ რბილია.<sup>143</sup>

ადგილობრივი მედია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ანგარიში „ახალი დემოკრატიული ტალღის ქვეყნების მიმართ ოპტიმიზმით სავსე უნდა გამოსულიყო“ და „არავინ ელოდა, რომ ერთადერთი შესახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური უწყება თავისივე მხარდამჭერი „რევოლუციური“ ხელისუფლებების მკვეთრ კრიტიკას დაიწყებდა“.<sup>144</sup> თუმცა, სხვები მთლად ამგვარ შეფასებებს არ ეთანხმებიან. აშშ შეიძლება გარკვეულწილად ლოიალურად მიუდგეს მეგობრულ რეჟიმებს, ვიდრე იმათ, ვისთანაც ცივი ურთიერთობები აქვს, მაგრამ ამ ფაქტორის გადაჭარბებით შეფასება არ შეიძლება. „ამერიკელებს არაფერი გასჭირვებიათ ისეთი, რომ საქართველოს ხელისუფლების გაკრიტიკება მოერიდოთ. ამერიკისთვის სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უზბეკეთი გაცილებით მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო, იქ სამხედრო ბაზაც ჰქონდათ, მაგრამ ამერიკელებმა მაინც მძაფრად გააკრიტიკეს უზბეკეთის ხელისუფლება მისი არადემოკრატიულობის გამო და ამ უკანასკნელმაც გააძევა ამერიკის ბაზა“, — აღნიშნავს გია ნოდია.<sup>145</sup>

ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცავების ნაწილი არა მარტო ხელისუფლებას, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშსაც აკრიტიკებენ. „სახელმწიფო დეპარტამენტის ანალიზი გარკვეულწილად დაშორებულია იმ მწარე რეალობასთან, რაც დღეს საქართველოშია“, — აღნიშნავს, მაგალითად, დავით ლილუაშვილი, „დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის“ ხელმძღვანელი. მისივე განცხადებით, „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ასეთი რბილი შეფასებები არაადეკვატურია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოების შეწევნით, საქართველოში არ დამდგარა ის დრო, რომ მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ბელორუსის დონის იმიჯი გვექონდეს“.<sup>146</sup>

სხვები სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის კრიტიკისაგან თავს იკავებენ და მასში გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებზე ამახვილებენ ყურადღებას. „თუ ამ ანგარიშს დიპლომატიური ტერმინოლოგიისგან გავათავისუფლებთ, დავინახავთ, რომ აქ არის საკმაოდ სერიოზული კრიტიკაც. აღნიშნული ანგარიში მიუთითებს, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი უკუსვლებია და საჭიროებს ყურადღებას“, — აღნიშნავს, მაგალითად, უჩა ნანუაშვილი.<sup>147</sup>

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობაზე, კანონის უზენაესობაზე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე, ფუნდამენტურ თავისუფლებებზე, ადამიანის უფლებების დაცვასა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე. „საქართველო განაგრძობს ამბიციურ რეფორმებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გასაძლიერებლად, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების შესამცირებლად. შესაბამისად, ზოგიერთ სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვა გაუმჯობესდა, თუმცა სერიოზული პრობლემები კვლავ არსებობს. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ოქტომბრის შუალედური არჩევნები ზოგადად გამჭვირვალედ შეაფასეს, იმის მიუხედავად, რომ კვლავ არსებობს პრობლემები ამომრჩეველთა სიებითან დაკავშირებით, რელიგიური თავისუფლების ხარისხი უმჯობესდება. მთავრობამ პატიმართა წამების და ცუდად მოპყრობის შესამცირებლად სერიოზული ნაბიჯები გადადგა... თუმცა არსებობს სხვა პრობლემები, კერძოდ, არაჰუმანური და სიცოცხლისთვის საშიში

<sup>143</sup> „ახალი ვერსია“, 10-11.IV.2006

<sup>144</sup> „24 საათი“, 7.IV.2006

<sup>145</sup> „კვირის პალიტრა“, 10-16.IV.2006

<sup>146</sup> „რეზონანსი“, 7.IV.2006

<sup>147</sup> „რეზონანსი“, 7.IV.2006

პირობების არსებობა საპატიმროებში, სასამართლო თავისუფლების ნაკლები ხარისხი, ძალადობა და დისკრიმინაცია ქალთა მიმართ და ადამიანთა ტრეფიკინგი“, — ნათქვამია მოხსენებაში.<sup>148</sup>

ადგილობრივ მედიაში იმასაც მიაქციეს ყურადღება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში განსაკუთრებული აქცენტია გამახვილებული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა პრობლემებზე. „აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი ხელს უშლის დაახლოებით 230 ათასი იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრაციას, ხოლო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ეწინააღმდეგება 12.767 ეთნიკური ქართველის დაბრუნებას... აშშ რეგულარულად მუშაობს ქართველ დევნილებთან, იკვლევს კონფლიქტის შემცირების საკითხებს და ეხმარება საცხოვრებელი პროგრამის განხორციელებას, რომელიც შესაძლებელია, დევნილების დაბრუნების მოდელად იქცეს“, — ნათქვამია მოხსენებაში. კონფლიქტური რეგიონები საქართველოს უმწვავესი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტის რეალური გზები ჯერჯერობით არ ჩანს. არადა, მათი მოწესრიგება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს დემოკრატიის განმტკიცებას საქართველოში.<sup>149</sup>

## ○ საქართველო ამერიკელებისთვის დემოკრატიის სიმბოლოდ რჩება

„საქართველო დემოკრატიის სიმბოლოა“, — განაცხადა 12 აპრილს საქართველოში ვიზიტის დროს აშშ-ის სენატის რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერმა უილიამ (ბილ) ფრისტიმმა. ამ სიტყვებში, ალბათ, ყველაზე კარგად ჩანს აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოსადმი და დაინტერესება საქართველოს დემოკრატიული განვითარების წარმატებით. ამავე დროს, ფრისტის სიტყვებმა ქართული ოპოზიციის გაოგნება გამოიწვია. საქართველოში არსებული ვითარება მათი აზრით, შორს დგას „დემოკრატიის სიმბოლოდ“ ყოფნისაგან. საქართველოში არსებულ ვითარებას, ალბათ, ამერიკელებიც კარგად ხედავენ, მაგრამ იმასაც ხედავენ, რომ რუსეთის ზეწოლის ქვეშ მოქცეულ და რთულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას მხარდაჭერა სჭირდება.

„დემოკრატიის შუქურის“ როლი საქართველოს 2005 წლის მაისში თბილისში ჩამოსულმა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დააკისრა. თანაც ასეთი როლი გამარჯვებული ხავერდოვანი რევოლუციის ქვეყანას არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის მასშტაბითაც უნდა შეესრულებინა. ჯორჯ ბუში თავისი პრეზიდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებას მიიჩნევს. საქართველო კი აშშ-ისათვის ის ქვეყანაა, რომელიც წარმატებით ადგას დემოკრატიის გზას და, ამ თვალსაზრისით, სანიშნურობა სხვებისთვის.

იგივე დამოკიდებულება გამოხატა საქართველოსადმი და საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი აშშ-ის სენატორთა დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სენატის უმრავლესობის ლიდერი ბილ ფრისტი.<sup>150</sup> „საქართველო მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიის სიმბოლოა, სიტყვის თავისუფლებისა და არჩევნების გამჭვირვალობის თვალსაზრისით კი მსოფლიო მოდელი“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ბილ ფრისტმა.<sup>151</sup>

აშშ ცდილობს და მომავალშიც ეცდება საქართველოში მიმდინარე მოვლენები საერთაშორისო ასპარეზზე რაც შეიძლება დადებითად წარმოაჩინოს, მაგრამ ამის საფუძველი, ცხადია, საქართველომ უნდა მისცეს. თუკი რეალობა განსხვავდება იმიჯისაგან, ამის დამალვა უბრალოდ, შეუძლებელი გახდება.

საქართველოს ოპოზიციური ძალები ამერიკელი სენატორის განცხადებით უკმაყოფილონი

<sup>148</sup> „ახალი თაობა“, 7.IV.2006

<sup>149</sup> **შეგარდნადის დროს უფრო მეტი დემოკრატია იყო თუ ახლა არის?** 2006 წლის 6-10 თებერვალს სოციოლოგიურმა კვლევითმა ჯგუფმა „ემ-ჯი-ემ“-მა თბილისში 500 რესპოდენტის სატელეფონო გამოკითხვა ჩატარა. დასმული იყო კითხვა: „დემოკრატიის ხარისხი შეგარდნადის დროს უფრო მაღალი იყო თუ სააკაშვილის დროს არის?“ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 50,8% (254) თვლის, რომ დემოკრატიის ხარისხი სააკაშვილის მმართველობის დროს უფრო მეტია; 20,6% (103) ფიქრობს, რომ დემოკრატიის ხარისხი შეგარდნადის მმართველობის დროს უფრო მეტი იყო; 14,6% (70) აზრით კი დემოკრატია არც შეგარდნადის დროს იყო და არც სააკაშვილის დროს შექმნილა („ქრონიკა“, 6-12.III.2006)

<sup>150</sup> დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე სენატორები — ჯად გრეგი, რიჩარდ ბერი და სენატის მდივანი ემილ რეონოლდსი.

<sup>151</sup> „24 საათი“, 13.IV.2006

დარჩნენ და ეს არც დაუმაღავთ. „საქართველოში დემოკრატიის ხარისხი სერიოზული შეშფოთების საგანია და ამის განცხადება ვითარების არაადეკვატურად შეფასებაა. ვილაცას შეიძლება ტყუილებით თავბრუ დაახვიო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, — აცხადებს ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი დავით ზურაბიშვილი.<sup>152</sup> იგივეს აღნიშნავს ფრაქცია „მრეწველების“ წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი. მისი თქმით, „ბატონი სენატორის განცხადება სრულიად აბსურდულად გამოიყურება. რამდენად არის საქართველო დემოკრატიის შუქურა, ჩვენ უკეთ ვგრძნობთ“.<sup>153</sup>

უფრო რადიკალური აღმოჩნდა შალვა ნათელაშვილი, რომელმაც სპეციალური განცხადება გაავრცელა ამერიკელი სენატორის აღნიშნული სიტყვების გამო. „თუ ეს სიტყვები ჭეშმარიტი დემოკრატიის ფორმულაა, მაშინ ჩვენ უახლოეს ხანში მთელ მსოფლიოში უნდა ველოდოთ ერთპარტიულ ტოტალურ მმართველობას, ტერორს, ძალადობას, მოსახლეობის სოციალურ გენოციდს, მკვლევების თარეშს სახელმწიფო დაწესებულებებში, არჩევნების მასობრივ გაყალბებასა და სხვა უბედურებებს, რაც სააკაშვილის რეჟიმმა დაატეხა თავს საქართველოს“, — აღნიშნავენ ლეიბორისტები. ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ „ამგვარი ხოტბის შესხმა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის სერიოზულად სწევს დაბლა ჭეშმარიტ ამერიკულ ღირებულებათა რეიტინგს საქართველოში“.<sup>154</sup>

თუმცა, ოპოზიციას უფრო მეტად სხვა რამ აშინებს. ამერიკული შექება ხელისუფლებას კიდევ უფრო დაამორებს დემოკრატიული სტანდარტებისაგან. „ცუდი ის არის, რომ ასეთი განცხადებები ჩვენს ხელისუფლებას უფრო მეტად ათამამებს და ათამამებს არა კარგი, არამედ ცუდი გაგებით. ასეთი განცხადებები ჩვენს ხელისუფლებას ძალზე ცუდ სამსახურს უწევს. რითი მთავრდება ხოლმე გათამამებული ხელისუფლების საქციელი, კარგად ვიცით“, — აღნიშნავს გიორგი ცაგარეიშვილი.<sup>155</sup>

თუმცა, ქართულ მედიაში იმასაც აღნიშნავენ, რომ ამერიკელები, ქებასა და ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, კარგად ხედავენ საქართველოში არსებულ პრობლემებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წლევანდელ ანგარიშში მიღწევებთან ერთად, საქართველოში არსებულ პრობლემებზეცაა საუბარი. აშშ-ს საქართველოში არა ერთგული რეჟიმი, არამედ ეფექტური, დემოკრატიის გზაზე საიმედოდ მდგარი, ინსტიტუციურად მდგრადი სახელმწიფო სჭირდება. ერთ-ერთი ქართველი ჟურნალისტის შენიშვნით, „საქართველოს წარმატება, ამ მხრივ, აშშ-ს ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის წარმატება იქნება. ქართული დემოკრატია მსოფლიოსათვის წარსადგენი თვალსაჩინო მაგალითი უნდა გახდეს. სანაცვლოდ კი, საქართველო მნიშვნელოვან პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებს, თუნდაც ნატოში გაწევრიანების საკითხში ვაშინგტონის მხარდაჭერის სახით“.<sup>156</sup>

## ○ გაუმჯობესდა თუ არა დემოკრატიის ხარისხი საქართველოში

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ („Freedom House“) გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული დემოკრატიის ხარისხია გაანალიზებული. მოხსენებაში, რომლის სახელწოდებაცაა „გარდამავალ პერიოდში მყოფი ერები — 2006“ აღნიშნულია, რომ საქართველოში სიტუაცია დემოკრატიის თვალსაზრისით შედარებით გაუმჯობესებულია. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ამ დასკვნას, ცხადია, მოწონებით შეხვდება ხელისუფლება. სამაგიეროდ, „ფრიდომ ჰაუსმა“ უკვე დაიმსახურა კრიტიკა ოპოზიციისა და რიგი ექსპერტების მხრიდან, რომლებიც დემოკრატიის თვალსაზრისით საქართველოში არსებულ ვითარებას ვაცილებით უფრო კრიტიკულად აფასებენ.

აღნიშნულ კვლევაში „ფრიდომ ჰაუსმა“ ქვეყნებში არსებული დემოკრატიის ხარისხი 7-ბალიანი შკალით შეაფასა, სადაც 7 ბალი ყველაზე უარესი მაჩვენებელია, ხოლო 1 ბალი — საუკეთესო. როგორ წარმოდგება დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით სიტუაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში?

<sup>152</sup> „რეზონანსი“, 13.IV.2006

<sup>153</sup> „რეზონანსი“, 13.IV.2006

<sup>154</sup> „ხვალინდელი დღე“, 13.IV.2006

<sup>155</sup> „რეზონანსი“, 13.IV.2006

<sup>156</sup> „24 საათი“, 13.IV.2006

ანგარიშიში ნათქვამია, რომ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი ზრდიან საკუთარ პოტენციალს, რომელიც, ძირითადად, ენერგეტიკულ რესურსებს ეფუძნება. მაგრამ იქვე მითითებულია, რომ ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი ინსტიტუტები სუსტია, სახელმწიფო მმართველობის ხარისხი დაბალია. ამგვარი ვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად „ფრიდომ ჰაუსი“ ასახელებს მასობრივი ინფორმაციისა და იურიდიულ სფეროში მიმდინარე წარუმატებელ რეფორმებს ასახელებს. ასევე ხაზგასმულია, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში მაღალია კორუფციის დონე. რუსეთი კი მოხსენიებულია როგორც „ჩინოვნის ახალი ოლიგარქია“.<sup>157</sup>

„ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშის მიხედვით, პოსტსაბჭოთა სივრცეში 2005 წელს დემოკრატიის თვალსაზრისით ვითარება გაუარესდა ბელორუსში (6,71), რუსეთში (5,75), თურქმენეთში (6,96), უზბეკეთში (6,82), ყაზახეთში (6,39), ტაჯიკეთში (5,93) და აზერბაიჯანში (5,93). რაც შეეხება წინსვლას, სიტუაცია დემოკრატიის თვალსაზრისით გაუმჯობესდა მოლდავეთში (4,96), უკრაინაში (4,21), ლატვიაში (2,07), სომხეთსა (5,14) და საქართველოში (4,86).

დემოკრატიის თვალსაზრისით საქართველოში ვითარების გაუმჯობესების თაობაზე გაკეთებულმა დასკვნამ „ფრიდომ ჰაუსი“ სერიოზული კრიტიკის ქვეშ მოაქცია საქართველოში ოპოზიციისა და ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი რიგი ექსპერტების მხრიდან. „ფრიდომ ჰაუსთან“ დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს ორგანიზაცია მთლიანად კონტროლდება სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან და აშშ-ის მთავრობის მიერ ფინანსდება, რომ „ფრიდომ ჰაუსი“ აშშ-ის ხელისუფლების ერთგვარი რუპორია“, აშშ კი ცდილობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოხდა „ფერადი რევოლუციები“ არ დაფიქსირდეს წარუმატებლობა. გააკრიტიკეს საქართველოს ხელისუფლებაც, რომელიც დემოკრატიის თვალსაზრისით საქართველოში მომხდარი სასიკეთო ძვრების შესახებ საუბრობს და ამ ინფორმაციას აწვდის ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც გავლენა აქვთ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტზე.<sup>158</sup>

ცხადია, რომ საქართველოში დემოკრატიის თვალსაზრისით რომ იდეალური მდგომარეობაა არაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლას ხელს არ შეუწყობს როგორც პრობლემების მიჩქმალვა, ისე ყველაფრის მუქ ფერებში წარმოჩენა.

რევოლუცია, თუნდაც ხავერდოვანი, რომ დემოკრატიისთვის მძიმე გამოცდას წარმოადგენს, ეს საქართველოს გამოცდილებამაც აჩვენა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მკვეთრად შემცირდა მედიის, განსაკუთრებით ელექტრონული მედიის, დამოუკიდებლობის ხარისხი. ხელისუფლების მისამართით კრიტიკული პათოსის გაქრობა მაშინ „ყურნალისტა თვითცენზურას“ მიეწერა. დღეისათვის თანდათანობით აღდგა რევოლუციის შემდეგ ერთბაშად გამქრალი პოლიტიკური თოქშოუები. პირდაპირ ეთერში პოლიტიკური და საზოგადოებისთვის მწვავე თემების განხილვა კვლავ იქცა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ერთ-ერთ ძირითად არხად. მედიის მდგომარეობა საქართველოში ამკარად გაუმჯობესებულია და ეს საზოგადოების დემოკრატიულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია.

თუმცა, საქართველოში რჩება მრავალი პრობლემა დემოკრატიულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ამის თაობაზე შემფოთებას გამოხატავენ როგორც ადგილობრივი ექსპერტები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიც. კერძოდ, აშკარაა ხელისუფლების ვერტიკალის გაძლიერება, რაც დემოკრატიული მაჩვენებლის უკუპროგრესიულია. კერძოდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში მკვეთრად გაძლიერდა ადმინისტრაციული ხელისუფლება, დაირღვა ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი, მრავალი კითხვა არსებობს საარჩევნო კანონის დემოკრატიულობასთან დაკავშირებით, არ შემცირებულა საარჩევნო ბარიერი, რასაც დიდი ხანია ითხოვს ოპოზიცია და საერთაშორისო ექსპერტებიც ეთანხმებიან ამ მოთხოვნას. არასრულყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა და ადგილობრივი არჩევნების მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს პლურაზიმის დაცვას. სერიოზული პრობლემებია ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში. ესაა იმ ძირითადი ბრალდებების ჩამონათვალი, რომელთაც საქართველოს ხელისუფლებას უყენებენ და რომელთა დაძლევის შემთხვევაშიც შესაძლებლად მიაჩნიათ დემოკრატიის ხარისხის გაზრდაზე საუბარი. ეს უკვე ქართული საზოგადოების შინაგანი პრობლემებია, რომელთა დაძლევაც მხოლოდ საზოგადოების ძალისხმევითაა შესაძლებელი. „დემოკრატიის უკმარისობის“ შეგრძნება კი მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევის კარგი სტიმულია.

<sup>157</sup> „24 საათი“, 16.VI.2006

<sup>158</sup> „რეზონანსი“, 16.VI.2006

## ○ საქართველო განწირულია დემოკრატიისათვის

დემოკრატიის ხარისხი საქართველოში კვლავ რჩება მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებისა და სერიოზული განხილვის საგნად. ხელისუფლებას ძალზედ უჭირს დემოკრატიულობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების აღიარება, ოპოზიცია კი ლამის ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოს საქართველო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ცხოვრობდეს. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ რაიმეზე „თვალის დახუჭვას“ არ აპირებენ და დემოკრატიული სტანდარტების დარღვევისათვის მკაცრად მოსთხოვენ პასუხს საქართველოს ხელისუფლებას.

2006 წლის ივნისში მიმდინარე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე აზერბაიჯანის დელეგაციას მკაცრად სთხოვდნენ პასუხს გასული წლის ნოემბერში არადემოკრატიულად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების გამო. განიხილებოდა აზერბაიჯანის დელეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხიც. თუმცა, საბოლოოდ გავიდა შედარებით „რბილი“ რეზოლუცია, რომელიც აზერბაიჯანის დელეგაციისათვის უფლებამოსილების შენარჩუნებას 2007 წლის ივნისამდე ითვალისწინებს.<sup>159</sup>

აზერბაიჯანის მიმართ გამოჩენილი ლმობიერება აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის „ხათრით“ გაკეთებულად მიიჩნეის. რუსმა დეპუტატებმა კი ამის გამო ევროსაბჭო ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულეს — ერთი და იგივე დანაშაულისთვის სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად ისჯება.

ევროსაბჭოში აზერბაიჯანის თავდადასავალთან დაკავშირებით ქართველი კომენტატორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მსგავს „შელავათს“ არ გაუწევენ, რადგანაც საქართველოს არც ნავთობი აქვს და არც გაზი.<sup>160</sup> თუმცა, თუკი აღნიშნული ფაქტორი მართლაც მოქმედებს დემოკრატიის აღქმაზე, მაშინ საქართველოსთვისაც არსებობს „შელავათის“ საფუძველი — საქართველოს მართალია, არ აქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ სამაგიეროდ არის ენერგომატარებლების ტრანზიტული ქვეყანა.

თუმცა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოს არ დასჭირდება „შელავათების“ ძიება და საშემოდგომოდ მოსალოდნელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად ჩატარდება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უფრო სამართლიანად ჩატარდება, ხოლო „ევროსაბჭოს წინასაარჩევნო და საარჩევნო მონიტორინგის მისიები აქტიურ როლს შეასრულებენ პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების თვალსაზრისით“. საქართველოსთვის ყოველი არჩევნებიდან კარგად ნაცნობი მათიას იორში კი ქართველ ჟურნალისტს ხაზგასმით ეუბნება: „საქართველოს სადაზღვევო პოლისი ევროპაში და მსოფლიოში თქვენი დემოკრატიაა. თქვენ განწირულები ხართ დემოკრატიისათვის“.<sup>161</sup>

მომავალი არჩევნების ობიექტურობასა და სამართლიანობასთან დაკავშირებით კი ოპოზიციას საქართველოში სერიოზული პრეტენზიები აქვს ხელისუფლების მიმართ. პრეტენზიები მრავალფეროვანია:

— ოპოზიცია უკმაყოფილოა საარჩევნო სიების მდგომარეობით, სადაც ჯერ კიდევ ბევრია „მკვდარი სული“, ერთი და იგივე პირის რამდენჯერმე შეყვანის ფაქტები და სამაგიეროდ, სხვების გამორჩენის შემთხვევები. „საარჩევნო სიები ქართული არჩევნების აქილევსის ქუსლად რჩება, რადგან სწორედ აქაა დიადი გაყალბების პირველწყარო, ოთხმილიონიან ქვეყანაში მოსახლეობას ითვლიან, ითვლიან და... ვერ დაუთვლიათ!“, — ირონიულად შენიშნავს ერთ-ერთი ოპოზიციური გაზეთი.<sup>162</sup>

— ოპოზიციას უსამართლობად მიაჩნია პრეზიდენტისა და სხვა დიდმოხელეებისათვის საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ოფიციალურად დაკანონებას, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა უახლოეს მომავალში გააკეთებს;

— ოპოზიცია უკმაყოფილოა საარჩევნო აგიტაციის ვადის 40 დღემდე შემცირებით, რაც ასევე ხელისუფლების წისქვილზე ასხავს წყალს;

<sup>159</sup> „24 საათი“, 27.VI.2006

<sup>160</sup> „24 საათი“, 27.VI.2006

<sup>161</sup> „24 საათი“, 27.VI.2006

<sup>162</sup> „აისი“, 27.VI.2006



— სერიოზული უკმაყოფილება გამოითქმის საარჩევნო კომისიების მისამართითაც. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, საარჩევნო კომისიების ორი ზედა დონე — ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები მთლიანად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებით არის დაკომპლექტებული და შესაბამისად, ერთპარტიულია;

— ოპოზიციას არ მოსწონს ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებლების შემცირება. თუ ადრე საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 30%-ის მისვლა იყო საჭირო, ახლა 5%-იც საკმარისია.

საქართველოში 400-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა ხელისუფლებაზე ზეწოლისა და დემოკრატიული პრინციპების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულ გაერთიანებას ასევე ქვია — „სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსთვის“. არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას მძიმე ბრალდებას უყენებს — ახალმა საარჩევნო კოდექსმა პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა.<sup>163</sup>

თუმცა არჩევნები მხოლოდ ერთი თემაა, რომელიც ხელისუფლებასთან მიმდინარე „დემოკრატიისათვის“ დავაში ფიგურირებს ხოლმე. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების „დემოკრატიული აუდიტი“ მათ მეტად მძიმე სურათს წარმოუდგენს. 97%-ით არჩეულმა პრეზიდენტმა და თითქმის ერთპარტიულმა პარლამენტმა საქართველოში შექმნა არადემოკრატიული რეჟიმისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო.<sup>164</sup> შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის ხარისხის თემა არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს და ამ საკითხებზე ცხარე დებატები ჯერ კიდევ წინაა.

## ○ დემოკრატია სამხრეთ კავკასიაში

2005 წლის მაისში პრეზიდენტმა ბუშმა თბილისში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ სწრაფვას დემოკრატიისკენ. მოვლენათა განვითარებამ ისიც აჩვენა, რომ დემოკრატიის დამკვიდრება იოლი პროცესი არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, იმ არეალში, სადაც საქართველო მდებარეობს.

არასამთავრობო ორგანიზაციის „Freedom House“-ის მონაცემებით, 2005 წელს საქართველო, სომხეთი და თურქეთი „ნახევრადთავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნებიან, ხოლო ირანი და აზერბაიჯანი — „არათავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიას. 2004 წელთან შედარებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში, აგრეთვე, სამხრეთ კავკასიაში სიტუაცია სამოქალაქო უფლებების სფეროში გაუარესდა. აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და თურქმენეთმა კიდევ უფრო განიმტკიცეს „არათავისუფალი“ ქვეყნების სტატუსი. უფრო მეტიც, აშხაბადი და ტაშკენტი „ნულოვანი თავისუფლების“ მქონე ქვეყანათა შორის არიან. გარდა ამ ორი ქვეყნისა, მსოფლიოში აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება კიდევ ექვსი ქვეყანა: ჩრდილოეთ კორეა, ლიბია, კუბა, სირია, სუდანი და ბირმა.<sup>165</sup>

„Freedom House“-ის სამეცნიერო კვლევების დირექტორის არჩი პადდინგტონის აზრით, ცალკეული „სამწუხარო მაგალითების“ მიუხედავად, მსოფლიოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა მიმდინარე წელს გაუმჯობესდა. „თავისუფალ“ ქვეყნებად დღეს მიჩნეულია 98 ქვეყანა, სადაც ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. კიდევ 18% ცხოვრობს 58 „ნაწილობრივ თავისუფალ“ სახელმწიფოებში. და ბოლოს, პლანეტის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს იმ ტერიტორიებზე, სადაც „Freedom House“-ის აზრით, არანაირი წარმოდგენა არა აქვთ თავისუფლების შესახებ.

„Freedom House“-ი ქვეყნისთვის „თავისუფალის“, „ნახევრადთავისუფალის“ და „არათავისუფალის“ სტატუსის მინიჭებისას მხედველობაში იღებს 25 სხვადასხვა მაჩვენებელს, რომელიც ეხება პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მდგომარეობას ქვეყანაში. ამასთან, მიმდინარე წლის რეიტინგის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება მოვლენები, რომლებიც მოხდა 2004 წლის 1 დეკემბრიდან 2005 წლის 30 ნოემბრამდე.<sup>166</sup>

<sup>163</sup> „ხვალინდელი დღე“, 27.VI.2006

<sup>164</sup> „ხვალინდელი დღე“, 27.VI.2006

<sup>165</sup> <http://www.regnum.ru/news/563244.html>

<sup>166</sup> <http://www.regnum.ru/news/563244.html>

„Freedom House“-ის რეიტინგში სადავო შეიძლება იყოს სეპარატისტულ რეგიონებში „თავისუფლების ხარისხის“ განსაზღვრის მცდელობა. 2005 წლის რეიტინგში დნესტრისპირეთი მიკუთვნებულია „არათავისუფალ“ ქვეყნებს, ხოლო ყარაბაღი და აფხაზეთი „ნახევრადთავისუფალ“ ქვეყნებად. ჩვენ შევხებით მხოლოდ აფხაზეთის საკითხს. თავისუფლების ამგვარი „გაზომვა“, როდესაც მხედველობაში მიიღება მხოლოდ ბოლო ერთი წლის ვითარება, სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ეთნოწმენდა ჩატარდა, საქართველოს ხელისუფლება გაეროს ტრიბუნლიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის მცდელობაზე ლაპარაკობს, გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართველების საშინელი შევიწროება და ამ ყველაფრის იგნორირებით ბლადიმის რეჟიმი „ნახევრადთავისუფალ“ ქვეყნად ცხადდება!

საქართველოში დემოკრატიის განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ქვეყანაში არსებული სეპარატისტული რეჟიმებია. გარდა ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევისა, რის საფუძველზეც შეიქმნა და არსებობენ სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმები, მოუწესრიგებელი კონფლიქტების ვითარება ხელს უშლის ქვეყნის საბოლოო გადასვლას „კონსტიტუციური განვითარების“ რეჟიმში და დამთავრდება ნაწილობრივ „საომარ სიტუაციაში“ ყოფნის ვითარება. აღარ იქნება დღევანდელი უკონტროლო ტერიტორიები, სადაც ადამიანთა უფლებების დაცვა პრობლემაა.

პოსტსაბჭოთა სივრცეს თუ შევხვდებით, დემოკრატიის პერსპექტივები რეგიონში საკმაოდ რთულად გამოიყურება. საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციებით გამოწვეული ოპტიმიზმი განელდა. თავად ეს ორი ქვეყანა სერიოზულ პრობლემებს აწყდება ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. უკრაინას 2006 წელს მოელის საპარლამენტო არჩევნები, სადაც უნდა დაიცვას „ნარინჯისფერი“ რევოლუციის მონაპოვარი. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, აზერბაიჯანსა და სომხეთში „ხავერდოვანი“ რევოლუციები დღის წესრიგში აღარ დგას. ორივე ქვეყანაში დღეს არსებულმა ხელისუფლებამ მოიგერია ოპოზიციის შემოტევა. ექსპერტთა აზრით, მთავარი საშიშროება დემოკრატიისათვის რუსეთში მიმდინარე პროცესებია. ამ ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება ავტორიტარული მმართველობის ტენდენციები, რაც მსოფლიოში შემოფოთებას იწვევს.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ვითარება დამწვინების საფუძველს სრულიადაც არ იძლევა. ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ გამოთქმულა შემოფოთება სასამართლოს მდგომარეობის შესახებ, რომელიც ხელისუფლებაზე დამოკიდებულად რჩება. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კი ის ფონია, როდესაც ადვილად ირღვევა ადამიანის სხვადასხვა უფლებები.

2006 წელი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელია. მართალია თვითმმართველობის ახლახან მიღებული კანონი ოპოზიციისა და არასამთავრობოთა მხრიდან სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ თავისთავად თვითმმართველობა ის ინსტრუმენტია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეების პოლიტიკურ მონაწილეობას და მათ აქტიურობას საკუთარი უფლებების დაცვისა და უზრუნველსაყოფად.

## თავი X. პრეზიდენტის ინსტიტუტი

### o პრეზიდენტის ინსტიტუტი და ახალი საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად ქვეყანაში ჩნდება პრეზიდენტის ინსტიტუტიც. თუმცა დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე არ წყდება კამათი ამ ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე. ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების არსებობას ყავს როგორც აქტიური მომხრეები, ისე თავგამოდებული მოწინააღმდეგეები. პრეზიდენტის ინსტიტუტის მომავალი საქართველოში ბევრად იქნება დამოკიდებული ქვეყნის რიგით მე-3 პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს წარმოედგინათ როგორც 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღორძინება. ის იყო წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც გამორიცხავდა პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობას. თუმცა, იმდროინდელი არასოციალისტური პარტიები მხარს უჭერდნენ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების დამკვიდრებას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ მისი მოღვაწეების ნაწილმა შეცდომად მიიჩნია პრეზიდენტის ინსტიტუტზე უარის თქმა.

1991 წლის აპრილში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შემოღებული იქნა პრეზიდენტის თანამდებობა და ამ პოსტზე პარლამენტმა აირჩია ზვიად გამსახურდია, იმავე წლის 26 მაისს კი ჩატარდა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც გამსახურდიამ ხმათა 87% მიიღო. საქართველოს პირველ პრეზიდენტს მმართველობა დიდხანს არ დასცალდა. 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდია შეიარაღებულ ოპოზიციასთან დაპირისპირების შემდეგ იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

გამსახურდიას წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას და ქვეყანაში მომხდარ სისხლისღვრას აჯანყებულები პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობასაც აბრალებდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს თანამდებობა საქართველოში აღარ იარსებებდა. მათი აზრით, საქართველო წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ახალი ხელისუფლების მხრიდან „ანტისაპრეზიდენტო განწყობის“ გამო საქართველოში 1992 წლის მარტში ჩამოყვანილი ედუარდ შევარდნაძისთვის გამორიცხული იყო პირდაპირ პრეზიდენტის თანამდებობაზე განაცხადის გაკეთება, თუმცა მას აშკარად საპრეზიდენტო ამბიციები ჰქონდა. შექმნილ ვითარებაში გამოსავალიც მოინახა 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში პარლამენტის თავმჯდომარე ხალხმა საყოველთაო სახალხო კენჭისყრით აირჩია. როგორც აღინიშნებოდა, ამგვარი პრაქტიკა არ ახსოვს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიას.

1995 წელს მიღებული კონსტიტუციით კვლავ დაბრუნდა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. იმავე წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად შევარდნაძე პრეზიდენტი გახდა. 2000 წელს შევარდნაძე მეორე ვადითაც ხდება ქვეყნის პრეზიდენტი. ისე ჩანდა, რომ შევარდნაძე არა მარტო ბოლომდე მიიყვანდა თავის საპრეზიდენტო ვადას, არამედ მემკვიდრის დანიშვნასაც უზრუნველყოფდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა.

ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურაზე დაყრდნობით შევარდნაძის ხანგრძლივმა მმართველობამ ქვეყანა იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, ხოლო ხელისუფლების პოლიტიკა იმდენად აუტანელი გახდა, რომ შევარდნაძეს ხვეწვითი რევოლუციის შედეგად ვადაზე აღრე მოუხდა თანამდებობის დატოვება. პრეზიდენტის ინსტიტუტის ისტორია საქართველოში კიდევ ერთი ახალი გამოცდილებით შეივსო. პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს 64 დღის განმავლობაში მოუწია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებამ.

ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებასთან ერთად კვლავ გაძლიერდა საუბრები იმის შესახებ, რომ საჭიროა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა და ამის ერთ-ერთ გზად პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებაც ესახებოდათ. მაგრამ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შთამბეჭდავმა შედეგებმა, ცივი წყალი გადაასხა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის იდეურ მომხრეებსაც და პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის მომხრეებსაც.

## ○ მხსნელი ლიდერის მოლოდინი

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევა 96%-იანი მხარდაჭერით გამოაგნებელი მაჩვენებელია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ასეთი მაჩვენებელი თავის დროზე ზვიად გამსახურდიასაც კი არ ჰქონია. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ როგორ ძლიერია ხალხში „მხსნელი ლიდერის“ მოლოდინი, რომელიც სწრაფად მოაგვარებს საზოგადოების წინაშე მდგარ მწვავე პრობლემებს. ხალხის ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა, გონივრული გამოყენების შემთხვევაში, მძლავრი ბერკეტია ქვეყნის წინსვლისათვის. მაგრამ, ამავე დროს, ხალხი, იმედგაცრუების შემთხვევაში, კვლავ დაიწყებს ახალი მხსნელის ძებნას და მზად იქნება ახალი რევოლუციისათვის.

საქართველოსნაირ ქვეყნებში დიდია შანსი ე.წ. ჰარიზმატული ლიდერის გამოჩენისა. ქვეყანა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და პიროვნების კულტს შეეჩვია, სადაც ჯერ არ დამკვიდრებულა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, ამავე დროს, მოსახლეობა უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვების პირობებში ცხოვრობს, კარგი ნიადაგია ამგვარი ლიდერების გამოჩენისათვის. ადამიანები, რომლებიც კარგად ვერ ერკვევიან მიმდინარე პროცესებში, თავისით ვერ პოულობენ გამოსავალს, მზად არიან დაინახონ ლიდერი, რომელსაც გაჰყვებიან და რომელიც მათ უკეთეს ცხოვრებას მოუტანს. ასეთი ლიდერი ქვეყნის განახლების იდეის განსახიერებად იქცევა ხოლმე.

საბჭოთა რეჟიმისაგან შეწუხებული ქართველობა, რომელთაც უნდოდათ ეცხოვრათ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში თითქმის ერთსულოვნად გაჰყვა ზვიად გამსახურდიას. საპრეზიდენტო არჩევნებში მან ხმათა 87% მოაგროვა. გამსახურდიამ, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ძალის გამოყენებით მალევე დაამხეს, შეინარჩუნა მრავალი მხარდამჭერი და გასული საპარლამენტო არჩევნების დროსაც თითქმის ყველა წამყვანი პარტია ან ბლოკი ცდილობდა თავის რიგებში ჰყოლოდა „თავისი“ ზვიადისტები.

ჰარიზმატული ლიდერის სახით დაბრუნდა საქართველოში ედუარდ შევარდნაძეც. მართალია ის საქართველოში უფრო კომუნისტურ მმართველად ახსოვდათ, მაგრამ დასავლეთში იგი ცნობილი იყო თავისი დემოკრატიული იმიჯით. შევარდნაძისაგან მოელოდნენ დასავლეთთან კავშირურ-თიერთობების გაღრმავებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, დემოკრატიული საზოგადოების შექმნას. არ შევუდგებოთ იმის შეფასებას, თუ როგორ გაართვა თავი შევარდნაძემ ამ ამოცანას. დროითი დისტანციიდან ეს უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

თუმცა შევარდნაძის 12-წლიანი მმართველობის პერიოდი დამოუკიდებელ საქართველოში ხალხს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით, კორუფციის აყვავებით და სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვებით დაამახსოვრდა. შევარდნაძემ ავტორიტეტი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ დასავლეთელ მეგობრებშიც დაკარგა.

ვარდების რევოლუციის გამოაგნებელი წარმატება და შევარდნაძის მშვიდობიანი გადაყენება აიხსნება შევარდნაძის რეჟიმის სრული გაკოტრებით ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ადამიანებს მოსწონდათ არა იმდენად სააკაშვილი, რამდენადაც აღარ შეეძლოთ შევარდნაძის მმართველობის პირობებში ცხოვრება. შევარდნაძის გადაყენებამ კიდევ უფრო გაზარდა სააკაშვილის ავტორიტეტი და მხარდაჭერა. 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში 96%-იანი შედეგი ამის დასტურია.

საკაშვილს დღეს მოლოდინით შეჰყურებს საზოგადოება. მომხრეები თავიანთი იმედების გამართლებას ელიან, მოწინააღმდეგენი კი მის შეცდომებს უცდიან. თავად სააკაშვილის განცხადებით, მას კარგად ესმის, თუ რა პასუხისმგებლობას აკისრებს მას ასეთი დიდი მხარდაჭერა. სააკაშვილი საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. პრობლემები უაღრესად რთულია, მისგან კი უკვე უახლოეს მომავალში ელიან ამ პრობლემების გადაწყვეტაში რეალური შედეგების ჩვენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მაღალ რეიტინგს შემცირება ემუქრება.

საზოგადოების ამ განწყობის გამოყენებას უკვე დღეს ცდილობენ გარკვეული ძალები. მაგალითად, აქტიურობენ რუსეთში ჯერ კიდევ 1995 წელს გადახვეწილი უშიშროების ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის მომხრეები. ისინი აცხადებენ, რომ იგორი საქართველოში დაბრუნდება და მართლაც გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებს, რასაც სააკაშვილი ვერ მოახერხებს. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს შეძლებს თუ არა იგორ გიორგაძე ქართულ პოლიტიკაში ჩართვას. უფრო სავარაუდოა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებთან გაიგივებული პიროვნება ამას ვერ მოახერხებს.

გიორგაძის მომხრეების აქტიურობაზე ჩვენ იმის გამო გავამახვილეთ ყურადღება, რომ ისინი დღეს, სააკაშვილის პოლიტიკურ ზენიტში ყოფნის დროს შექმნან ახალი მხსნელის იმიჯი. საზოგადოებაში დანერგონ ახალი ქარიზმატული ლიდერის მოლოდინი.

საქართველოს ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ესაა. ქვეყანამ თავი უნდა დააღწიოს ამ მანკიერ წრეს, როდესაც ხალხი ასეთ გადაჭარბებულ იმედებს ამყარებს ლიდერზე. ბოლოს და ბოლოს ისე უნდა მოეწყოს სახელმწიფო, რომ მუშაობდნენ ინსტიტუტები და ქვეყნის პირველი პირების ცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყოს და არა რევოლუცია, თუნდაც ხავერდოვანი, რომელიც მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა. სჯობს საქართველო სულ სხვა კუთხით გაიცნოს მსოფლიომ.

## ○ პრეზიდენტი და მისი გარემოცვა

თანამედროვე საქართველო არსებობის 15 წელს ითვლის, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაა გასული. თუმცა, ამ მოკლე ისტორიულ მონაკვეთში უკვე გამოვლინდა დღევანდელი ქართული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, რაც ხარიზმატულობაზე პრეტენზიის მქონე ლიდერის აღზევებას, მის გარემოცვასთან და ოპოზიციასთან ურთიერთობას და ამასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებს ეხება.

ქართულ პოლიტიკაში წარმატებას ხარიზმატული ლიდერი აღწევს. ასეთი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული სამივე პრეზიდენტი. სააკაშვილს ხშირად ამსგავსებენ და პარალელებს ავლებენ როგორც ზვიად გამსახურდიასთან, ასევე შევარდნაძესთან. მაგალითად, ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სააკაშვილი „ახალგაზრდა და აგრესიული შევარდნაძე“, სხვები მიუთითებენ, რომ შევარდნაძე გაცილებით უფრო გაწონასწორებულ პოლიტიკას ატარებდა და ამიტომაც გასძლო დიდხანს, სააკაშვილის მმართველობა კი ძალზედ სწრაფად ემსგავსება შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდს. რაც შეეხება პარალელებს ზვიად გამსახურდიასთან, ამას კატეგორიულად უარყოფს მისი ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია. ეს უკანასკნელი აქტიურად ერთვება ქართულ პოლიტიკაში და პირველ რიგში სააკაშვილს წაართმევს ე.წ. „ზვიადისტურ“ ელექტორატს.

ხარიზმატულ ლიდერს წარმატებები სჭირდება და თუკი ამგვარი რამ აღარ არის, პრეზიდენტის რეიტინგი შემცირებას იწყებს და უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება. საქართველოს მესამე პრეზიდენტს, პირველის მსგავსად, სერიოზული პრობლემები აქვს ოპოზიციასთან ურთიერთობაში, რადგანაც, მათი სტილი აგრესიულობით გამოირჩევა და ოპოზიციასთან რაიმე რეალურ დიალოგს ფაქტობრივად გამორიცხავს.

პრეზიდენტის წინააღმდეგ უკმაყოფილო ძალების გაერთიანება ე.წ. „ნეგატიური პლატფორმის“ გარშემო ხდება პრინციპით „ყველანი მინუს ერთი“. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი ლოზუნგი იყო „საქართველო გამსახურდიას გარეშე“, შევარდნაძის მმართველობა, საბოლოო ჯამში, შეიწირა ლოზუნგმა „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. ამ გარემოებაზე დღეს უკვე სააკაშვილის ოპოზიცია ამახვილებს ყურადღებას. „სააკაშვილმა ვერ გაიაზრა ერთი რამ: ხალხი, რომელიც სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდა და აქ თბილისში შეიკრა, ერთი ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდა — „საქართველო შევარდნაძის გარეშე!“ და არა ასეთი შინაარსის ლოზუნგის ქვეშ — „საქართველო სააკაშვილთან ერთად!“. ასე იყო აჭარაშიც. იქ საკითხი ასე იდგა — „აჭარა აბაშიძის გარეშე“, — აღნიშნავს რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი. მისივე თქმით, „სააკაშვილი მაშინ ამუშავებულმა მექანიზმმა თავისი დინებით მოიყვანა ხელისუფლების სათავეში და თუ ის ხალხს იმედს გაუცრუებს, ასეთი ქმედება ისევე ხალხის მიერ არის დასჯადი“.<sup>167</sup>

წამოყენებული იქნება თუ არა ლოზუნგი „საქართველო სააკაშვილის გარეშე“? როგორც ჩანს, ოპოზიციის გაერთიანება კვლავ ნეგატიური პროგრამის გარშემო ხდება. პრინციპში, ამაში კარგი არაფერია, მაგრამ ეს რეალობაა და ჭერჯერობით, ქართული პოლიტიკის გარკვეული კანონზომიერება. „ნეგატიური პლატფორმის“ საფუძველზე გაერთიანებულ სრულიად სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და ადამიანებს, თანხმობა მხოლოდ არსებულის შეცვლასთან დაკავშირებით აქვთ მიღწეული, მაგრამ როგორი იქნება მომავალი, ამის თაობაზე ბუნდოვანი და სრულიად განსხვავებული წარმოდგენები აქვთ.

<sup>167</sup> „ალია“, 16-17.III.2006

როდესაც არსებულ პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის ურთიერთობები იძაბება, კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ოპოზიციის მხრიდან მიმართულია არა პრეზიდენტის, არამედ მისი გარემოცვის მისამართით. პრეზიდენტის მიერ დაწვევებული შეცდომები მის გარემოცვას ბრალდება. ამ თვალსაზრისის თანახმად, სწორედ გარემოცვა სარგებლობს პრეზიდენტის სახელით და თავის საქმეებს აგვარებს, გარემოცვა ბლოკავს პრეზიდენტისთვის შექმნილი ვითარების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას და პრეზიდენტის რეაქცია არაადეკვატური ხდება. ასეთი ბრალდებები სააკაშვილის მიმართ უკვე გაისმის.

პრეზიდენტს ოპოზიცია, როგორც წესი, მოუწოდებს გაემიჯნოს თავის გარემოცვას და ამით გადაიჩინოს საკუთარი თავი და ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს. ამ მიდგომის თანახმად, პრეზიდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ ის არა მარტო თავისი გარემოცვის ან მმართველი პარტიის, არამედ მთელი ქვეყნის, მათ შორის ოპოზიციური პარტიებისა და მის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების მონაწილეების პრეზიდენტიც არის.

ისიც კანონზომიერებაა, რომ პრეზიდენტს უჭირს თავისი გარემოცვის ჩამოცილება და თავისთან დაახლოებულ პირებს განსაკუთრებული მონდობით იცავს. ეს კარგად გამოჩნდა მერაბიშვილის გარშემო ატეხილი სკანდალის დროს. საბოლოო ჯამში, პრეზიდენტმა შეიძლება მოიცილოს ზოგიერთი ფიგურა, მაგრამ პარალელურად, ვითარების გამწვავებასთან ერთად, პრეზიდენტის გარემოცვაში იზრდება უთანხმოება და ურთიერთდაპირისპირება. რაც მთავარია, ეს ყველაფერი კეთდება კულისებში და საზოგადოება ნაკლებადაა ინფორმირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მთავარი დასკვნა, რაც ქართულ პოლიტიკაზე საუბრისას შეიძლება გამოვიტანოთ, ისაა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენების გამეორება, რაც ქვეყანა უკან დასწევს და კიდევ მრავალ ახალ პრობლემას შეუქმნის. სახიფათოა ასევე ახალი რევოლუციის შესახებ ინტენსიური საუბრებიც. ამგვარ ვითარებას რომ ბოლო მოეღოს, ამისათვის საჭიროა არჩევნების ინსტიტუტის რეალური ამუშავება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი უკვე შემოდგომაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს იქნება.

## ○ გვჭირდება თუ არა პრეზიდენტის ინსტიტუტი?

მიხეილ სააკაშვილს გადაწყვეტილად მიაჩნია, რომ პრეზიდენტობა მეორე ვადითაც მოუწევს და საუბრობს ხოლმე იმის თაობაზე, თუ რას გააკეთებს თავისი პრეზიდენტობის პირველ ვადაში. ზოგიერთები თვლიან, რომ მეორე ვადით პრეზიდენტობას სააკაშვილი ვეღარ მოახერხებს და ცდილობენ გამოიცილონ პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატურა. ამავე დროს, არიან ისინიც, ვისაც ქვეყანაში ზედმეტად მიაჩნია პრეზიდენტის ინსტიტუტი და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლას უჭერს მხარს.<sup>168</sup>

„ამ ქვეყანაში მიმა სააკაშვილი ბოლო პრეზიდენტია. გარწმუნებთ, მეტი პრეზიდენტი საქართველოს არ ეყოლება! ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად უნდა გარდაიქმნას“, — აღნიშნავს ტრადიციონალისტი გუბაზ სანიკიძე.<sup>169</sup> მისივე თქმით, ხალხს ეს ტერმინი აფრთხობს და ჰგონია, რომ „პარლამენტი იქნება მმართველი“. სინამდვილეში საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო ადეკვატური და მოქნილი სისტემაა. „ვინც არჩევნებში გაიმარჯვებს, კეთილს ინებებს, გახდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რეფორმებს გაატარებს, თუ წესიერად არ მოიქცევა, გადააყენებენ. ამიტომ არიან საპარლამენტო რესპუბლიკები უფრო ადეკვატური და მოქნილები“.<sup>170</sup>

იგივე აზრისაა ექსპერტი ნიკო ორველაშვილი. მისი თქმით, „თუ ჩვენი ქვეყნისთვის პერსპექტივაში სიკეთე გვინდა და ნორმალური ცხოვრება, პოლიტიკური მმართველობის სისტემა ძირეულად უნდა შეიცვალოს... დღეს პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ის მაჯლაჯუნა, რომელიც

<sup>168</sup> 2006 წლის 8-11 მაისს სოციოლოგიურმა კვლევითმა ჯგუფმა „ემ-ჯი-ემ“-მა თბილისში 500 რესპოდენტის სატელეფონო გამოკითხვა ჩატარა. დასმული იყო კითხვა: „თქვენი აზრით, გაამართლა თუ არა საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობამ?“ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: არ გაამართლა — 46,6% (ანუ ასე მიიჩნევს 233 რესპოდენტი); გაამართლა — 35% (175); პასუხისგან თავი შეიკავა — 18,4% (92) („ქრონიკა“, 15-21.V.2006).

<sup>169</sup> „ქრონიკა“, 17-23.IV.2006

<sup>170</sup> „ქრონიკა“, 17-23.IV.2006

მთელ ქართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს არ აძლევს სულის მოთქმის საშუალებას. საქართველოს ყველაზე დიდი სულთამხუთავი პრეზიდენტის ინსტიტუტია იმ სახით, რაც ამჟერად არის. როგორც ჩანს, ქართული საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ საფრთხეები დაინახოს დროულად და აიცილოს თავიდან“. საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემაზე გადასვლა შესაძლებელს გახდის „პოლიტიკური პროცესები გადავიდეს ჯანსაღი კონკურენციის რეჟიმში“. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსები „პრეზიდენტის მოწონებაზე კი არ იფიქრებენ, არამედ ხალხის განწყობაზე ექნებათ საფიქრი“.<sup>171</sup>

## თავი XI. პარლამენტი

### ○ პარლამენტის ერთი წელი

პარლამენტის ავტორიტეტი დღეს ძალზედ დაბალია და ხელისუფლების მიმართ დაგროვილი უკმაყოფილება პარლამენტის მიმართ კრიტიკულ განწყობილებაში გამოიხატება. დღევანდელი პარლამენტი უცნაურია თავისი შემადგენლობით — პარლამენტის მაჟორიტარული ნაწილი — 75 პარლამენტარი — 2003 წლის 2 ნოემბერს აირჩიეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ უკანონოდ არჩეულად მხოლოდ პარტიული სიებით არჩეულები მიიჩნიეს, მაჟორიტარებს კი უფლებამოსილება დაუდასტურეს. ბევრმა ეს მაშინვე გააკრიტიკა, უპრინციპო და არალოგიკურ გადაწყვეტილებად ჩათვალა, მაგრამ ახალი ხელისუფლება ამ ნაბიჯზე იმიტომ წავიდა, რომ არ სურდა განაწყენება გავლენიანი ადამიანებისა, რომელთაც არცთუ მცირე თანხა დაუჯდათ მაჟორიტარის სავარძლის მოპოვება. დღევანდელი პარლამენტის 150 წევრი კი 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული პროპორციული არჩევნების ნაყოფს წარმოადგენს.

გარდა ამგვარი არაორდინალური შემადგენლობისა, 28 მარტის პარლამენტს წინამორბედისგან განსხვავებულ კონსტიტუციურ რეჟიმში მოუწია მუშაობის დაწყებამ. 2004 წლის თებერვლის დასაწყისში 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა, რომლის მუშაობაც გახანგრძლივდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, მხარი დაუჭირა ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს. ამ ცვლილებების შედეგად შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, პრეზიდენტმა კი მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლება. ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების შეფასებით, საკონსტიტუციო ცვლილებებმა გამოიწვია საკანონმდებლო ორგანოს დასუსტება. მისი კონტროლის შესაძლებლობები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე შემცირდა. ევროპის საბჭო და ვენეციის კომისია საქართველოს ხელისუფლებას კონსტიტუციით სახელისუფლო შტოების უკეთ დაბალანსებას ურჩევს.

28 მარტის არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ვარდების რევოლუციის შემდეგ არსებულმა ეიფორიამ. რევოლუციის შემდეგ ძველი სახელისუფლო პარტიები — „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ ფაქტობრივად აღარ არსებობდნენ. ხალხის თვალში ყველა ის პარტია, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღეს რევოლუციაში დისკრედიტებული იყო. მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობას“ და მისგან მოელოდა მოკლე დროში თავისი პრობლემების გადაწყვეტას. 28 მარტის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა შეადგინა.

გარდა ამ უცნაური თავსებადობისა, როდესაც პარლამენტში რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდეგ არჩეული დეპუტატებია წარმოდგენილი, არსებული პარლამენტი ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ ამგვარი სახის პარლამენტი მეტი აღარ შეიკრიბება. პარლამენტარებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობა 235 წევრიდან 150 წევრამდე შემცირდება. ასევე, მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, საქართველოს მომავალი პარლამენტი ორპალატიანი იქნება და ქვედა (პროპორციული წესით) და ზედა (მაჟორიტარული წესით) პალატების არჩევნები სხვადასხვა დროს ჩატარდება. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ პრე-

<sup>171</sup> „ახალი თაობა“, 17.IV.2006

ზიდენტმა მთლიანად პარლამენტი, ანდა მისი მაჟორიტარული კორპუსი ვადაზე ადრე დაითხოვოს.

ალბათ, საკანონმდებლო ორგანოში ხელისუფლების ამგვარი მტკიცე პოზიციების გამო, გასული ერთი წელი, პარლამენტის მიერ მიღებული კანონების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ნაყოფიერი იყო ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მიღებული იქნა ბევრი მნიშვნელოვანი კანონი, მათ შორის საგადასახადო კოდექსიც. ოპოზიცია სახელისუფლო კანონ-შემოქმედებას კრიტიკულად აფასებს, მაგრამ ეს უკვე, როგორც იტყვიან, „გემოვნების საკითხია“ და დრო გვიჩვენებს, თუ ამ დავაში ვის მხარეზეა სიმართლე.

ოპოზიციის სისუსტე 28 მარტის არჩევნებისა და დღევანდელი პარლამენტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება ამყობდა თითქმის ერთსულოვანი სახალხო მხარდაჭერით, მაგრამ ამას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს და იმავე ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალისხმევით, წელს თებერვალში მიღებულ ევროპის საბჭოს რეზოლუციაში საქართველოს შესახებ შესწორება იქნა შეტანილი — „ოპოზიციის არარსებობის“ ნაცვლად „სუსტი ოპოზიციის“ არსებობა იქნა დაფიქსირებული. დასავლეთელი ექსპერტები ხელისუფლებისაგან კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას მოითხოვენ, რომლის ძალითაც საარჩევნო ბარიერი 7%-დან 5%-მდე შემცირდება. თუმცა, ამ ნაბიჯის გადადგმისაგან ხელისუფლება თავს იკავებს.

დღეს ხელისუფლების მისამართით კრიტიკა უფრო ხშირად გაისმის, ვიდრე მხარდაჭერა. ხელისუფლების შეცდომების თუ არარეალური მოლოდინების გამო მკვეთრად გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ. მაგრამ დღევანდელი ვითარების თავისებურება ისაა, რომ ხელისუფლების რეიტინგის შემცირებასთან ერთად, არ გაზრდილა ოპოზიციური გაერთიანებების რეიტინგი. როგორც აღინიშნება, ოპოზიცია ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. მართლაც, ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორია. თუმცა, ვითარება ისეთია, რომ ვერ გამოვრიცხავთ ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობასაც.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები კი იმითაც იქნება კარგი, რომ არსებული პარლამენტის შემადგენლობა უკვე აღარ შეესაბამება საზოგადოების განწყობას. რევოლუციის შემდგომმა ეიფორიამ გაიარა და საზოგადოებაში გროვდება კრიტიკისა და იმედგაცრუების მუხტი ხელისუფლების მისამართით. დროთა განმავლობაში ეს განწყობა კიდევ უფრო გაიზრდება.

თუმცა, საეჭვოა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნაზე წავიდეს, რადგანაც ამაზე უფრო „ერთგულ“ პარლამენტს ახალი არჩევნების შედეგად ვერ მიიღებს. რევოლუციური ეიფორია უკვე უკან დარჩა და ხელისუფლების მიმართ საზოგადოების კრიტიკული განწყობა თვალსაჩინოა. ამდენად, ახალი არჩევნების შემთხვევაში „ერთპარტიულ-სახელისუფლო“ პარლამენტს სააკაშვილი ვეღარ მიიღებს.

დღევანდელი პარლამენტის ფუნქციონირების დაწყებას წინ უსწრებდა წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, როდესაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა პარლამენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტმა პარლამენტის დათხოვნის უფლებაც მიიღო, რაც გამორიცხული იყო შევარდნაძის დროს.

მიუხედავად უფლებამოსილების შეკვეცისა, პარლამენტი ინარჩუნებს მთავრობის საქმიანობის კონტროლის ფუნქციას, მაგრამ პარლამენტარები ამ ფუნქციას ნაკლებად ასრულებენ. საპარლამენტო უმრავლესობა მორჩილად ასრულებს იმ მითითებებს, რასაც მთავრობისაგან ღებულობს. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო პარლამენტის მიერ სამი თვის წინ ამოქმედებულ საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანა და კერძო არბიტრაჟის გაუქმება. პარლამენტი ასევე დაემორჩილა მთავრობის მხრიდან წამოსულ სხვა მოთხოვნებს, რამაც კურონოზული სახე მიიღო. მაგალითად, „მემარჯვენეებს“ ხელში ჩაუვარდათ „შპარგალკა“, რომელშიც უმრავლესობის წევრებისთვის მითითებული იყო ის ცხრა კანდიდატურა (წარმოდგენილი 18-დან), რომლისთვისაც ხმა უნდა მიეცათ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების დროს. შედეგად, უმრავლესობის ნაწილს „შერცხვა“ და დასახელებული სიიდან მხოლოდ 6 „სასურველი“ კანდიდატის არჩევა მოხერხდა.

რას აღარ უწოდებენ დღევანდელ პარლამენტს: „ღირსებადაკარგული“ (კერძო არბიტრაჟის გაუქმების გამო), „კომუნისტური“ (მთავრობისადმი უსიტყვო მორჩილებისა და მაჟორიტართა ნაწილის წარსულის გამო), „მთავრობის ადვოკატი“ (მთავრობიდან წამოსული მითითებების შესრულების გამო) და ა.შ. თუმცა, ბევრს გადაჭარბებულად მიაჩნია პარლამენტის მიმართ არსებული



კრიტიკული პათოსი. „მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ პარლამენტის საქმიანობა ამ ერთი წლის განმავლობაში წარმატებული იყო — ჩვენ 150-ზე მეტი კანონი მივიღეთ. გარდა ამისა, პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი განცხადებები რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით, ასევე უკრაინაში და ბელორუსიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“, — აღნიშნავს პარლამენტარი გურამ ვახტანგიშვილი.<sup>172</sup>

პარლამენტის რეიტინგი მოსახლეობის თვალში საკმაოდ დაბალია. რიგითი ადამიანი ვერ გრძნობს საკანონმდებლო ორგანოს სიკეთეს. ამავე დროს პარლამენტის მუშაობა, სხვა სახელისუფლო სტრუქტურებისგან განსხვავებით, უფრო ღიაა საზოგადოების მხრიდან თვალყურის დევნებისათვის და რასაც ხედავს, არცთუ სასიკეთოდ მოქმედებს პარლამენტის ავტორიტეტის ზრდაზე. თუმცა, როგორც პარლამენტარი დავით ზურაბიშვილი აღნიშნავს, პარლამენტის დაბალი რეიტინგი აიხსნება არა მისი მეტი გახსნილობით, არამედ პირიქით, ღიაობის ნაკლებობით. „ამ პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ მისი საქმიანობის 80 პროცენტი კულუარებში, ხალხისგან დაფარულად მიმდინარეობს“, — აღნიშნავს დავით ზურაბიშვილი.<sup>173</sup> მისი თქმით, კულუარებში საპარლამენტო უმრავლესობა სულაც არ არის „მორჩილი“ და ბევრ რამეში ეკამათება მთავრობას, მაგრამ ეს „ღია“ სხდომებზე არ მყდარდება და ამიტომაც პარლამენტი „მორჩილად“ და „მთავრობის ადვოკატად“ წარმოადგება.

და მაინც, საბოლოო ჯამში, ხალხი ხელისუფლების და კონკრეტულად პარლამენტის მიღწევებზე თავისი ცხოვრების პირობების მიხედვით იმსჯელებს. თუკი, მაგალითად, განათლების კანონი ან საგადასახადო კოდექსი სათანადოდ ვერ იმუშავებს, მაშინ უკმაყოფილება სავესებით სამართლიანად საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგაც იქნება წარმართული. მაგრამ წინ პარლამენტის მუშაობის სამი წელია და ოპტიმიზმი პარლამენტის მუშაობასთან დაკავშირებით გაცილებით სჭარბობს სკეპტიციზმს

## ○ პარლამენტის ახალი პერსპექტივები

საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო შესწორება 203 ხმით ერთის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც მომავალი პარლამენტი დღევანდელი 235 წევრის ნაცვლად 150 კაცისგან იქნება შემდგარი. აქედან 100 პარტიული სიებით იქნება არჩეული, 50 კი მაჟორიტარული პრინციპით. მორიგი საპარლამენტო არჩევნები 2008 წელს უნდა შედგეს, მაჟორიტარები კი შეიძლება 2009 წელს აირჩიონ და ამით პარლამენტის ზედა პალატას — სენატს ჩაეყრება საფუძველი. თუმცა, არ გამოირიცხავენ ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობასაც.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის გადაწყვეტილებას საკუთარი რიგების სამომავლო შემცირების შესახებ ისტორიული უწოდა და ვარდების რევოლუციის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად მიიჩნია. ამ გადაწყვეტილებით პარლამენტმა შეასრულა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების დროს გამართული რეფერენდუმის შედეგებიც, სადაც თითქმის მთელმა ამომრჩეველთა კორპუსმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პარლამენტართა რაოდენობის შემცირებას.

მთავარი პრობლემა მაჟორიტართა რაოდენობის განსაზღვრა იყო. დღეს საქართველოში არსებული რაიონებიდან 85 მაჟორიტარის არჩევაა გათვალისწინებული (8 მაჟორიტარის ადგილი აფხაზეთიდან და 2 მაჟორიტარის ადგილი ცხინვალის რეგიონიდან დღევანდელ პარლამენტში თავისუფალია). სამომავლოდ მაჟორიტართა რაოდენობა 50-მდე მცირდება. ზოგიერთები საპარლამენტო რეფორმას ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის გარკვევას უკავშირებდნენ. ეს არცთუ იოლი საქმეა. მაგრამ, როგორც ახლა აღინიშნება, მაჟორიტარებს მხარეების მიხედვით, უფრო მსხვილი საარჩევნო ოლქებიდან აირჩევენ და ამისათვის მნიშვნელობა არ ექნება, დარჩება დღევანდელი 85 რაიონი, თუ მათ გაამსხვილებენ.

პარლამენტართა რაოდენობის შემცირება სხვა ცვლილებების აუცილებლობასაც განაპირობებს. მაგალითად პარლამენტარი გიგა ბოკერია ყურადღებას აქცევს შემდეგ ფაქტს: პარტია, რომელიც 7-პროცენტიან ბარიერს გადალახავს, პარლამენტში მხოლოდ 7 კაცს გაიყვანს, არსებული რეგლამენტით ფრაქციის ჩამოყალიბება 10 პარლამენტარს შეუძლია. ბოკერია საჭიროდ მიიჩნევს

<sup>172</sup> „ახალი თაობა“, 25.IV.2005

<sup>173</sup> „ახალი თაობა“, 25.IV.2005

რეგლამენტში ცვლილებების შეტანას, რომლის თანახმად 7-კაციანი ფრაქციის შექმნა იქნება შესაძლებელი.<sup>174</sup>

პარლამენტართა რაოდენობის შემცირების თაობაზე გადაწყვეტილების რეალიზება მომავალი არჩევნების დროს უნდა მოხდეს, რომელიც წესით, 2008 წელს უნდა ჩატარდეს, მაგრამ უკვე ალაპარაკდნენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლებლობაზე. რიგი ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები არ გამოირიცხავენ, რომ პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვოს. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი დაკარგავს საკონსტიტუციო უმრავლესობას, ანდა, თუკი საჭიროდ ჩათვლის „განთავისუფლდეს“ იმ ტვირთისაგან, რაც პარლამენტში ჰყავს 2 ნომბრის არჩევნებიდან შემორჩენილი მაჟორიტარებისა და ვარდების რევოლუციის დროს დამსახურებებისათვის საარჩევნო სიაში შეყვანილი მრავალი პირის სახით, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში არაფრით გამოუჩინიათ თავი.

მზადება ახალი არჩევნებისათვის უკვე დაიწყო და ეს ოპოზიციის მხრიდან 7%-იანი ბარიერის შემცირების მოთხოვნაში გამოიხატება. პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „ახალი მემარჯვენეების“ ინიციატივით დაიწყო პარლამენტართა ხელმოწერების შეგროვება, რათა დღის წესრიგში დადგეს დღეს არსებული 7-პროცენტის ბარიერის 5-პროცენტამდე შემცირება. ბარიერის დაწევა ევროსაბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაციაა. ამას ურჩევდნენ როგორც წინა ხელისუფლებას, ისე ახლანდელ ხელისუფლებასაც, მაგალითად, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების წინ ევროსაბჭოს დელეგაცია მათიას იორმის ხელმძღვანელობით, ბარიერის დაწევას კატეგორიულად ითხოვდა,<sup>175</sup> მაგრამ დღემდე ამ მოთხოვნას იგნორირებას ახდენენ.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნის წინ კონსტიტუციით გათვალისწინებული 5%-იანი ბარიერის 7%-მდე გაზრდის ინიციატივით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი. მაშინდელმა მმართველმა პარტიამ — „მოქალაქეთა კავშირმა“ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა, თუმცა იმ არჩევნების შემდეგ თავად სარიშვილის პარტია ვერ მოხვდა პარლამენტში. დღეს სარიშვილი აცხადებს, რომ ბარიერის 7%-მდე გაზრდის ინიციატორი ის არ ყოფილა, ამასთან დღესაც მხარს უჭერს 7%-იანი ბარიერის შენარჩუნებას. მაღალი ბარიერის არსებობის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ეს ხელს უწყობს პარტიების გამსხვილებას, მაგრამ რეალურად, ხდება მხოლოდ წინასაარჩევნო ბლოკების ფორმირება, რომლებიც პარლამენტში შემადგენელ ნაწილებად იშლებიან.

ბარიერის 5%-მდე დაწევის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ამით პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენლობის რაოდენობა გაიზრდება და საკანონმდებლო ორგანოში უფრო სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი. გარდა ოპოზიციური ფრაქციებისა, წინასწარი კონსულტაციების დროს, ბარიერის შემცირებას უმრავლესობის რიგმა წარმომადგენლებმაც დაუჭირეს მხარი, იდეისადმი კეთილგანწყობა კი ნინო ბურჯანაძემაც გამოხატა. დღევანდელი უმრავლესობის ნაწილის კეთილგანწყობა საარჩევნო ბარიერის შემცირებისადმი ზოგიერთმა ამ ადამიანების სამომავლო საარჩევნო ინტერესებთანაც ახსნა: უკვე გასაგებია, რომ შემცირებულ პარტიულ სიაში ბევრისთვის ადგილი აღარ მოიძებნება, ამიტომ ისღა დარჩენიათ, ან პოლიტიკიდან წავიდნენ, ანდა თავიანთი პარტიის შექმნაზე იფიქრონ, მისი წარმატების შანსი კი 5%-იანი ბარიერის შემთხვევაში უფრო მეტი იქნება.

თუმცა, საარჩევნო ბარიერის შემცირებას უმრავლესობის ცალკეული პარლამენტარების მიერ დაფიქსირებული მხარდაჭერა ვერ უშველის. პარლამენტის სხდომაზე საკითხის გატანას 118 ხმა სჭირდება, მიღებას კი 157 დეპუტატის თანხმობა. ამის გაკეთება მხოლოდ უმრავლესობის მხრიდან მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

<sup>174</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 18.II.2005

<sup>175</sup> „ხვალინდელი დღე“, 18.II.2005

## ○ საპარლამენტო რეკორდი — 453 კანონი ერთ წელიწადში

საქართველოს პარლამენტმა 2005 წელს რეკორდი დაამყარა და 453 კანონი მიიღო. წლის ბოლოს პარლამენტმა დაჩქარებული ტემპით იმუშავა და „კანონშემოქმედებაში“ დასახული გეგმა შეასრულა. პარლამენტის სესიის ბოლო დღეს, 28 დეკემბერს, 60 კანონი მიიღეს.

დაჩქარებული ტემპით და მოკლე ვადებში უამრავი კანონების მიღება საკანონმდებლო საქმიანობაში ხარვეზებსაც განაპირობებს, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, კანონების მიღების გაჭიანურებას უფრო უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა. „ის ვითარება უნდა გავითვალისწინოთ, რა ვითარებაშიც ჩვენი ქვეყანა არსებობს. ეს არის გარდამავალი პერიოდის საზოგადოება, რომელსაც სწრაფი და ოპერატიული საკანონმდებლო რეგულირება სჭირდება. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ასეთი ოპერატიულობა გამართლებულია და საზოგადოებრივად აუცილებელი მოთხოვნებიდან გამომდინარეობს“, — აღნიშნავს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი.<sup>176</sup>

2005 წელს მიღებულ კანონებს შორის ლევან ბეჟაშვილი გამოყოფს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესულ ცვლილებებს, რაც ზრდის ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს და კანონს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. ეს კანონი დაარეგულირებს ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს.

პარლამენტის აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა 2006 წელსაც გაგრძელდება. ერთ-ერთი პირველი იქნება „შრომის კანონთა კოდექსი“, რომელიც, ბეჟაშვილის თქმით, იქნება „ლიბერალურ შრომითი ურთიერთობების პრინციპებზე დამყარებული“.<sup>177</sup>

განსხვავებით საპარლამენტო უმრავლესობისაგან, ოპოზიცია პარლამენტის საქმიანობას კრიტიკულად უდგება და აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანო ვერ დგას მოწოდების სიმალლეზე, მისი როლი ქვეყანაში შემცირებულია და ვერ ახერხებს თავისი ფუნქციების სრულად განხორციელებას. „ეს უწყება ვერ ასრულებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებს, ზოგჯერ საკმაოდ ნაჩქარევად იღებს კანონებს, ყველაფერს განსაზღვრავს რამდენიმე ადამიანი. სამწუხაროა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვერ დგას მოწოდების სიმალლეზე, ვერ ასრულებს მეორე პირის ფუნქციას ქვეყანაში. პარლამენტი არ შეიძლება იყოს პრეზიდენტის ნოტარიუსი“, — აღნიშნავს „ახალი მემარჯვენების“ ერთ-ერთი ლიდერი კოკა გუნცაძე.<sup>178</sup>

## ○ საკანონმდებლო მუშაობის მიღწევები და ხარვეზები

საქართველოს პარლამენტი ძალზედ მაღალი კანონშემოქმედებითი აქტივობით გამოირჩევა. ეს გასაგებიცაა. მიმდინარეობს ახალი სახელმწიფოს მშენებლობა და რის შესაქმნელადაც სხვა ქვეყნებს მრავალი წელი დასჭირდათ, საქართველოში მოკლე დროში უნდა მოხერხდეს. „ჩვენ სტაბილურ ქვეყანას ვაშენებთ და სტაბილური საკანონმდებლო ბაზა სწრაფად უნდა ჩამოყალიბდეს. ამიტომ სიჩქარე და კანონპროექტების სიჭარბე ბუნებრივი პროცესია“, — აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.<sup>179</sup>

მიღებული კანონების რაოდენობით დღევანდელმა პარლამენტმა თავის წინამორბედებსაც შეიძლება გადაუსწროს. გასული წლის ბოლოს, წლის კანონშემოქმედებითი გეგმა რომ შესრულებულიყო, პარლამენტარებმა უაღრესად დაჩქარებული წესით, ერთბაშად რამდენიმე ათეულ კანონს უყარეს კენჭი.

ცხადია, ასეთი ტემპის პირობებში საკანონმდებლო ბაზა კი ივსება, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, ეს ხდება კანონის ხარისხისა და არასრულყოფილების ხარჯზე. ნაჩქარევად ხდება საკომიტეტო მოსმენები. პარლამენტარები არცთუ იშვიათად საკომიტეტო განხილვაზე ისე მიდიან, რომ კანონი

<sup>176</sup> „რეზონანსი“, 30.XII.2005

<sup>177</sup> „რეზონანსი“, 30.XII.2005

<sup>178</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 29.XII.2005

<sup>179</sup> „ალია“, 22-23.XII.2005

წინასწარ არ აქვთ წაკითხული. კანონშემოქმედებითი პროცესის ხარვეზებზე აქტიურად საუბრობენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ამ ხარვეზებზე ისიც მეტყველებს, რომ არცთუ იშვიათად ახალმიღებულ კანონში ცვლილებები და დამატებებია შესატანი.

ოპოზიციური „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლის კახა კუკავას თქმით, ერთდროულად და ჩქაროსნული წესით გატანილია ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი კანონები. ახალი საარჩევნო კოდექსი ერთ კვირაში იქნა მიღებული სამივე მოსმენით, რაც ორგანული კანონით აკრძალულია. ჩქაროსნული წესით მიიღეს „საქართველოს დედაქალაქის შესახებ“ კანონი, რომელიც კვეცავს საკრებულოს ფუნქციებს და ზრდის მერის უფლებებს.

სიჩქარეში და მრავალი კანონის ერთდროულად მიღების პირობებში პარლამენტარებმა ზოგჯერ არ იციან, თუ რა ვარიანტს უყრიან კენჭს. ისიც უნდა ითქვას, რომ პარლამენტართა არცთუ მცირე ნაწილი ნაკლებ ინტერესს იჩენს კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი და თავის როლს მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურით შემოფარგლავს, განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობიდან.

პარლამენტის მიერ გამოვლენილი უაღრესად მაღალი კანონშემოქმედებითი აქტივობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პარლამენტის როლი მაღალია. სწორედაც რომ პირიქით. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების დიდი ნაწილი მთავრობის მიერაა შემოტანილი. პარლამენტში მმართველ პარტიას „ნაციონალურ მოძრაობას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ მისთვის კანონის მიღება პრობლემა არ არის. რაც არ უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს ოპოზიციამ, საპარლამენტო უმრავლესობას თავისი ნების გატანა გარანტირებული აქვს. თუმცა, ეს ნება პარლამენტში, უმრავლეს შემთხვევაში, გარედანაა ნაკარნახევი. საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის ან მთავრობის სახელით შემოსულ კანონპროექტებს ღებულობს.

საპარლამენტო ოპოზიცია მმართველ პარტიას შეთანხმებული ვარიანტების თვითნებურ ჩასწორებაშიც ადანაშაულებს. თუმცა, ამ მხრივ საყვედურებს უმრავლესობის წევრებიც გამოთქვამენ. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ კანონი არის სრული პროცედურების დარღვევით მიღებული. მესამე რედაქტირებული მოსმენის შემდეგ ცვლილებები აღარ უნდა შესულიყო. მიღებული იყო სულ სხვა კანონი და სხდომაზე სულ სხვა კანონი წარმოადგინეს. 5-კილომეტრიანი სასაზღვრო ზონა, რომელიც ყველა ქვეყანას აქვს, დაიყვანეს ჯერ ნულამდე, ხოლო მერე, უცებ ნაბეჭდ ვარიანტში ჩაამატეს 500-მეტრიანი ზოლი. არ იყო პროცედურები კანონის დაცვით გავლილი“, — აღიშნავდა პარლამენტარი მიხეილ კუსიანი.<sup>180</sup>

პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობის ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგლამენტი დადგენილი პროცედურების სრული დაცვა. ამ მხრივ, პარლამენტის ხელმძღვანელობის პრინციპულობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ნინო ბურჯანაძის და ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით მოქმედი პარლამენტების შედარებისას, ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ ჟვანია გაცილებით უფრო მტკიცე იყო მთავრობასთან ურთიერთობაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჟვანიას პარლამენტში თავისი მტკიცე გუნდი ჰყავდა, ნინო ბურჯანაძეს კი ასეთი საყრდენი არ გააჩნია.

საკანონმდებლო მუშაობის ხარისხზე ასევე დადებითად იმოქმედებდა ოპოზიციური ფრაქციების პოზიციის გაძლიერება. მათ ხმებზე დამოკიდებული რომ იყოს კანონების მიღება-არმიღება, უმრავლესობის წარმომადგენლები უფრო ყურადღებით მოეკიდებოდნენ მათ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს.

ჯერჯერობით კი პარლამენტი „ჩვეულ რეჟიმში“ მოქმედებს, სწრაფი ტემპით იღებს კანონებს და შემდეგ, ასევე სასწრაფოდ შეაქვს ამ კანონებში ცვლილებები, რადგანაც ჩაითვალა, რომ ახალმიღებულმა კანონმა ვერ გაამართლა.

## ○ ორპალატიანი პარლამენტის კონტურები

პარლამენტართა რაოდენობის შემცირებასთან ერთად, გახდება თუ არა საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი? კონსტიტუციის მიხედვით, უნდა შეიქმნას ზედა პალატა — სენატი, რომელშიც შევლენ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები. მაჟორიტარები სენატის შექმნის საკითხს დღის წესრიგში აყენებენ. ამის განხორციელებას კი მნიშვნელოვანი

<sup>180</sup> „ალია“, 22-23.XII.2005

ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში.

საქართველოს მომავალი პარლამენტი 100 კაციით მცირდება და 150 წევრისგან იქნება შემდგარი. აქედან 50 წევრი მაჟორიტარი იქნება. მაჟორიტართა რაოდენობა დღევანდელთან შედარებით, 35-ით მცირდება, რაც მკვეთრად გაზრდის კონკურენციას მაჟორიტარობის მსურველთა შორის.

მაჟორიტარები საქართველოს პარლამენტში გავლენიან და მატერიალურად შეძლებული პიროვნებებისაგან შედგება. აღსანიშნავია, რომ 2003 წლის შემოდგომაზე, როდესაც არჩევნების გაყალბების გამო ვარდების რევოლუცია მოხდა, გაუქმდა მხოლოდ პროპორციული არჩევნების შედეგები, მაჟორიტარები კი ხელუხლებლნი დარჩნენ და თავიანთი ადგილები შეინარჩუნეს ახალ პარლამენტშიც.

მაჟორიტარების ნაწილმა გადაჭრით მოითხოვა, რომ მომავალი პარლამენტი ორპალატიანი იყოს და მაჟორიტარებმა ზედა პალატაში — სენატში დაიკავონ ადგილი. პარლამენტარ ვალერი გელბახიანის თქმით, მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესი მიბმული იყო გადაწყვეტილებასთან, რომლის საფუძველზეც 2008 წელს ორპალატიანი პარლამენტის არჩევა უნდა მოხდეს, მაგრამ პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მიერ შემოტანილ კანონპროექტში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.<sup>181</sup>

სენატის ფორმირების თაობაზე საუბარი იყო მაჟორიტარების პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის დროსაც იყო საუბარი, მაგრამ როგორც გაირკვა, ხელისუფლება ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობს. მაჟორიტარებთან შეხვედრაზე სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სენატის შექმნა, ვიდრე რომელიმე გაყინული კონფლიქტი არ მოგვარდება, სასურველი არ არისო. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტი მაჟორიტარებს შეპირდა, რომ 2006 წლიდან სენატს აუცილებლად დანერგავენ. სააკაშვილის თქმით, სენატი, რომელიც ფილტრაციას გაუწევს კანონების მიღებას, მისთვის განსაკუთრებულად სასურველია.<sup>182</sup>

ორპალატიანი პარლამენტის შექმნა მნიშვნელოვნად შეცვლის „თამაშის წესებს“ ქართულ პოლიტიკაში. ზედა პალატაში გადასული მაჟორიტარების „პოლიტიკური წონა“ კიდევ უფრო გაიზრდება. დღეს არსებულ პარლამენტში კი ორპალატიანი პარლამენტის შექმნას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდება. ქართულ მედიაში ისიც აღინიშნება, რომ გადაწყვეტილება ორპალატიანი პარლამენტის შექმნის თაობაზე ყველაზე მეტად პარლამენტის დღევანდელ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს „დააზარალებს“. მისი ხელისუფლება უკვე მთელ პარლამენტზე ველარ გავრცელდება. დღეს ნინო ბურჯანაძე მაჟორიტარია ქუთაისიდან. როგორც მაჟორიტარი, თუკი ზედა პალატაში დამკვიდრდება, მაშინ ზედა პალატის თავმჯდომარეობის გარანტიაც არ ექნება.

ნინო ბურჯანაძე დღევანდელი მმართველი პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ არის. ყვანიას პარტია „გაერთიანებული დემოკრატები“ ნაციონალურ მოძრაობას შეერწყა. სახელისუფლო გუნდში ცალკე რჩება ნინო ბურჯანაძე და მისი მცირერიცხოვანი გუნდი, რომელსაც მომავალ არჩევნებში მყარი ადგილის მოპოვება სჭირდება. ამიტომაც კვლავ ვრცელდება ინფორმაცია ნინო ბურჯანაძის ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე. პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარის მისაღებად მზად არიან ოპოზიციური პარტიები. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით ვერსიების დონეზე რჩება და არც ნინო ბურჯანაძე არ ჩქარობს ამგვარი ნაბიჯის გადადგმას.

სენატის შექმნას არსებული მაჟორიტარებისაგან, შესაძლოა სჯობდეს მაჟორიტარების არჩევნების დანიშვნა, რადგანაც თუკი ორპალატიანი პარლამენტის შექმნისკენ იქნება გადადგმული ნაბიჯი, პალატების არჩევნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებული წესით უნდა ტარდებოდეს.

2006 წლის შემოდგომაზე საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ტარდება. მაჟორიტარების არჩევის წესის თაობაზე კანონის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებაც. მაგრამ შედის თუ არა ხელისუფლების ინტერესებში ამის გაკეთება, ძნელი სათქმელია.

<sup>181</sup> „ალია“, 15-16.XII.2005

<sup>182</sup> „ალია“, 17-18.XII.2005

**o 50 მაჟორიტარისგან შემდგარი სენატი**

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საქართველო 50 მაჟორიტარს აირჩევს. საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის მიხედვით კონსტიტუციური ნორმა განმარტა და 50 დეპუტატის — სენატორის არჩევის წესი განსაზღვრა. საქართველოში იქმნება 19 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, რომელთაც აღნიშნული კანონპროექტი შეიმუშავებს, აცხადებენ, რომ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში მანდატების გადანაწილება ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით მოხდა.<sup>183</sup>

საქართველოს პარლამენტმა 136 ხმით 11-ის წინააღმდეგ 23 დეკემბერს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. მაჟორიტარული არჩევნები განსხვავებული პრინციპით ჩატარდება, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ რაიონს საკუთარი მაჟორიტარი აღარ ეყოლება. რაიონები გარკვეული კრიტერიუმით თითო საარჩევნო ოლქში გაერთიანდება. სულ იქნება 19 საარჩევნო ოლქი. ოლქებს კი, მასში ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, სხვადასხვა რაოდენობის მაჟორიტარის ყოლის უფლება ექნებათ.

პარლამენტმა არ გაიზიარა ფრაქცია დემოკრატიული ფრონტის ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც ზემო იმერეთისა და შიდა ქართლის ოლქისთვის თითო მანდატის დამატებას ითვალისწინებდა. დემოკრატები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ამ ოლქებისათვის მინიჭებული მანდატების რაოდენობა ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციული არ არის. თუმცა, ეს ვარიანტი პარლამენტმა არ მიიღო.<sup>184</sup>

საარჩევნო ოლქები და თითოეულზე მანდატების რაოდენობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

საარჩევნო ოლქი	ასარჩევი პარლამენტარების რაოდენობა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა: ქსოხუმი, ვაგრის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირეს და ტყვარჩელის რაიონები	5 დეპუტატი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა: ბათუმი, ქედის, ქობულეთის, შუახევის და ხელვაჩაურის რაიონები	5 დეპუტატი
ცხინვალი, ჭავჭავაძის და ლიახვის ხეობა	3 დეპუტატი
ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები	2 დეპუტატი
ქუთაისი, ვანის, წყალტუბოს, სამტრედიის, ხონის რაიონები	3 დეპუტატი
ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, საჩხერის, ტყიბულის და ჭიათურის რაიონები	2 დეპუტატი
ახმეტა, თელავი, საგარეჯო, ლაგოდეხი და ყვარელი	2 დეპუტატი
გურჯაანი, დედოფლისწყარო და სიღნაღი	2 დეპუტატი
ახალგორი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი	2 დეპუტატი
ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა და ხობი	3 დეპუტატი
ფოთი, მარტვილი და სენაკი	2 დეპუტატი
ადიგენი, ასპინძა, ახალციხე და ბორჯომი	2 დეპუტატი
ახალქალაქი და ნინოწმინდა	2 დეპუტატი
ქ. რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა	2 დეპუტატი
გარდაბანი და მარნეული	2 დეპუტატი
გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონები	2 დეპუტატი
ლენტეხისა და მესტიის რაიონები	2 დეპუტატი
ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონები	2 დეპუტატი
თბილისი	5 დეპუტატი

<sup>183</sup> „ხვალინდელი დღე“, 24.XII.2005

<sup>184</sup> „ხვალინდელი დღე“, 24.XII.2005

## ○ მაჟორიტარები კარგად მუშაობას ვერ ახერხებენ

მაჟორიტარ პარლამენტარებს თავიანთ ამომრჩევლებთან სისტემატიური კონტაქტი არ აქვთ. ამის მიზეზი როგორც თავად მაჟორიტარების მხრიდან სათანადო მონდომების არქონაა, ისე მრავალი ობიექტური მიზეზი, რაც მაჟორიტარებს ამომრჩევლებთან ურთიერთობაში ხელს უშლის. ასეთ დასკვნამდე მივიდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (შთაუვ), რომელიც საქართველოს ყველა რაიონში მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესწავლის მიზნით ყოველკვარტალურ გამოკითხვას ატარებს. გამოკითხვის პირველ რაუნდში მონაწილეობა მიიღო 58 მაჟორიტარმა, მეორეში — 53-მა მაჟორიტარმა, მესამე რაუნდი კი 15 იგნისს დაიწყო.<sup>185</sup>

საქართველოს პარლამენტში არჩეული 235 პარლამენტარიდან, ამომრჩევლებს ურთიერთობის გარკვევა, რეალურად მხოლოდ მაჟორიტარებთან შეუძლიათ, რომელთა რაოდენობაც დღეს 75-ს შეადგენს. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამომრჩევლები ვერ ახერხებენ თავიანთ მაჟორიტარებთან სისტემატიურ შეხვედრებს.

მაჟორიტარი პარლამენტარები საკუთარ ნაკლებფექტურ საქმიანობას რამდენიმე მიზეზით ხსნიან: მაჟორიტართა უკმაყოფილებას იწვევს პარლამენტის სასესიო და საკომიტეტო მუშაობის წინასწარ დაუგეგმავი სამუშაო განრიგი, რაც რაიონებში გასვლის დაგეგმვის საშუალებას ართმევთ; დიდი რაოდენობის კანონპროექტები და მათ განსახილველად სათანადო დროის უქონლობა; მაჟორიტარი დეპუტატების ადგილობრივ ბიუროებში არ არსებობს ნორმალური სამუშაო პირობები — უმეტეს შემთხვევაში — არ აქვთ კომპიუტერი, გენერატორი, ხშირად წყალი და გაზი; მაჟორიტარებს უჭირთ საჯარო დაწესებულებებიდან იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მათ ამომრჩევლების კითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარება.

სათანადო მონდომების შემთხვევაში, მაჟორიტარებს ამომრჩევლებთან გაცილებით უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარება შეუძლიათ, ვიდრე დღეს არის, მაგრამ მათ ამაში მართლაც ბევრი პრობლემა უშლის ხელს. კერძოდ, შთაუვ-ის აღმასრულებელი დირექტორი თამარ ყვანია აღნიშნავს, რომ ის 250 ლარი, რომელიც მაჟორიტართა ბიუროებისათვისაა გამოყოფილი, ბიუროს საქმიანობისთვის საკმარისი არ არის და სახელმწიფომ ამისათვის გაცილებით მეტი თანხა უნდა გამოყოფს. ყველა მაჟორიტარს უნდა ჰქონდეს დრო მოქალაქეების მისაღებად. მაჟორიტარების ამომრჩევლებთან რეგულარული ურთიერთობის ხელშესაწყობად კი აუცილებელია განხილულ იქნას პარლამენტის მუშაობის გრაფიკი.

„სამართლიანი არჩევნების“ წევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და მთლიანად, ქვეყნის ხელისუფლებას სრულად არ აქვს გაცნობიერებული მაჟორიტართა საქმიანობის მნიშვნელობა.<sup>186</sup>

## ○ რას შეცვლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები

საპარლამენტო არჩევნების ვადამდელი ჩატარების იდეა პერიოდულად ჩნდება ხოლმე რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკოსის თუ პოლიტიკური ანალიტიკოსის გამოსვლაში. ასეთი განცხადების მთავარი არგუმენტი ისაა, რომ არსებული პარლამენტი თავისი შემადგენლობით აღარ შეესაბამება საზოგადოების განწყობას, რომელიც დიდი ხანია გამოვიდა რევოლუციური ეიფორიიდან. ამდენად, პოსტრევოლუციური პარლამენტი უკვე ანაქრონიზმია და ამგვარი ვითარების შენარჩუნებამ ქვეყანა შეიძლება ახალი რევოლუციის წინაშე დააყენოს. ვადამდელი არჩევნების იდეას, ცხადია, კატეგორიულად უარყოფენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

მოულოდნელად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეა ფართო განხილვის საგანი გახდა, თანაც პრეზიდენტის საქართველოში არყოფნის დროს. საპარლამენტო კულუარებში აღნიშნული ინფორმაცია 10 აპრილს დილიდან გავრცელდა. ამ ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტი აპირებს დაითხოვოს მთავრობაც და პარლამენტიც. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა „აბსურდული“ უწოდა და უარყო ამგვარი შესაძლებლობა. თუმცა, ამას აღნიშნულ თემაზე

<sup>185</sup> „ახალი თაობა“, 18.VI.2005

<sup>186</sup> „24 საათი“, 18.VI.2005

კომენტარების გაკეთება არ შეუწყვეტია.

ოპოზიცია, ცხადია, მოწონებით შეხვდა მთავრობის გადაყენების და პარლამენტის დათხოვნის იდეასაც. მაგრამ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმის იმასთან დაკავშირებით, თუ რამ შეიძლება უბიძგოს პრეზიდენტს ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ. ერთნი ვარაუდობენ, რომ ამით პრეზიდენტს შესაძლებლობა ექნება ჩამოიცილოს ის ადამიანები, რომლებიც პარლამენტში მოხვდნენ „რევოლუციური დამსახურებების“, ანუ „დროშების ფრიალის“ გამო. მეორენი კი აცხადებენ, რომ ვადამდელ არჩევნებზე სააკაშვილი სწორედ ამ ხალხის გადასარჩენად შეიძლება წავიდეს. მორიგ არჩევნებამდე დარჩენილი ორი წლის განმავლობაში მმართველი პარტიის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა და ამიტომ არჩევნების ჩატარება დღეს ურჩევნიათ.<sup>187</sup>

აღმოჩნდა, რომ პარლამენტის დათხოვნის იდეას საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილიც იწონებს. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შალამბერიძე მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად კონსტიტუციურ უფლებას გამოიყენებს და პარლამენტსა და მთავრობას დაითხოვს, ქვეყანაში ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება „პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნა დემოკრატიული ქვეყნებისთვის ბუნებრივი პროცესია, ამით საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ მიეცემა შანსი, აირჩიოს ისეთი პარლამენტი და მთავრობა, რომელიც მას და მის მომავალს გამოადგება“<sup>188</sup>

პარლამენტარ ბესო ჯუღელის თქმით, „თუკი პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს, კარგი იქნება და მე პირადად მხარს დავუჭერ, რადგან ეს არის ქმედითუნარო ორგანო და თავის ფუნქციას ნამდვილად ვერ ასრულებს“.<sup>189</sup>

თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი პარლამენტის დათხოვნას და მით უმეტეს მასთან ერთად მთავრობის დათხოვნას აბსურდულად მიიჩნევს, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას და მასში დადგენილ წესებს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება პარლამენტის დათხოვნა ან მთავრობის გადაყენება.

ქართული მედია ამტკიცებს, რომ ხმები პარლამენტისა და მთავრობის სავარაუდო დათხოვნის შესახებ თავად ხელისუფლების მიერაა გავრცელებული და ეს ჭორები რამდენიმე მიზანს ისახავს. ჯერ ერთი, მოისინჯა საზოგადოების განწყობა, მეორეც, პრეზიდენტს სურს საზოგადოების ყურადღების ცენტრში ახალი საკითხები მოაქციოს და მესამეც, ამგვარი პერსპექტივის დასახვით შეაშინა პარლამენტი და მთავრობაც.

რუსეთთან უაღრესად გამწვავებული ურთიერთობის პირობებში, ძნელი სავარაუდოა, რომ ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე წავა. ვადამდელი არჩევნები სულაც არაა „ვითარების განმუხტვის“ საშუალება, როგორც ამას ზოგიერთი ანალიტიკოსი სახავს. არჩევნები ასეთ როლს იმ შემთხვევაში შეასრულებდა, თუკი თავად არჩევნების ინსტიტუტის ფუნქციონირება უპრობლემო იქნებოდა. საქართველოს დღევანდელ პირობებში კი ოპოზიციას არც საარჩევნო კანონი მოსწონს და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ენდობა, რომელსაც „ერთპარტიულად“ მიიჩნევს.

<sup>187</sup> „რეზონანსი“, 11.IV.2006

<sup>188</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 11.04.2006

<sup>189</sup> „რეზონანსი“, 11.IV.2006



## თავი XII. პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

### ○ 2005 წელი: ახალი პარტიები და სამოქალაქო ორგანიზაციები

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა 2005 წლის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატარა 4 პოლიტიკური პარტია, 82 მაკონტროლებელი ორგანო, 775 კავშირი და კავშირის ფილიალი, 98 ფონდი და ფონდის ფილიალი და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის 16 წარმომადგენლობა.<sup>190</sup>

სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის ინფორმაციით, 2005 წელს რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიებია: პოლიტიკური გაერთიანება „ქართული მოძრაობა“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პარტია“ და „საქართველოს დემოკრატიული ნაციონალური პარტია“.

არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში 2005 წლის მარტიდან შევიდა. მანამდე ასეთი ორგანიზაციები სასამართლოში რეგისტრირდებოდნენ. დღეისათვის საქართველოში 185 პოლიტიკური პარტია, 8355 არასამთავრობო ორგანიზაცია და 1198 ფონდი მოქმედებს.

### ○ მემარჯვენეობა მემარცხენე ლოზუნგების ქვეყანაში

საქართველოში დღეს ბიზნესმენების ორი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს: „ახალი მემარჯვენეები“ და „მრეწველები“. აღსანიშნავია, რომ ამ გაერთიანებებში წარმოდგენილი ბიზნესმენები ასაკით განსხვავდებიან ერთანეთისაგან: მრეწველთა პარტიაში შედარებით უფროსი ასაკის ადამიანები ჭარბობენ, ახალ მემარჯვენეებში კი ახალი თაობის ბიზნესმენები. ორივე გაერთიანება სათავეს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან იღებს სათავეს. მაშინ მეწარმეთა ნაწილმა, რომელთა ლიდერებიც საბჭოთა პერიოდის სამეურნეო ხელმძღვანელობის გამოცდილების მქონენი იყვნენ, შექმნეს პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ გოგი თოფაძის ხელმძღვანელობით. პარტიის შექმნა შევარდნაძესთანაც იყო შეთანხმებული და „მრეწველებს“ 7%-იანი ბარიერიც გადააღწვიანეს. პარალელურად „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო სიაში, რომელიც მაშინ მმართველი პარტია იყო, მიიზიდეს „ახალი სახეები“ ახალგაზრდა ბიზნესმენების სახით. საბიუჯეტო კრიზისის გამო მათ მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებას დაუჭირეს მხარი და საბოლოოდ, ოპოზიციაში გადავიდნენ, შექმნეს „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქცია დავით გამყრელიძისა და ლევან გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. ახალი ფრაქციის ბაზაზე 2001 წლის ივნისში ჩამოყალიბდა პარტია „ახალი მემარჯვენეები“.<sup>191</sup> 2003 წლის 28 მარტის არჩევნებში „მრეწველები“ და „ახალი მემარჯვენეები“ ერთიანი ბლოკით გამოდიოდნენ.

ბიზნესმენები გავლენიან ძალას წარმოადგენენ ქვეყანაში, მაგრამ მათ სუსტი ადგილიც აქვთ — წარმატებული ბიზნესი ქვეყანაში ხელისუფლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ოპოზიციაში გადასულ ბიზნესმენ-პოლიტიკოსებს კი ხელისუფლება ხშირად ბიზნესში არაკანონიერი გზების გამოყენებაში სდებს ბრალს. სწორედ ასე მოიქცა პრეზიდენტი სააკაშვილი, როდესაც „მემარჯვენეთა“ ლიდერს პასუხობდა პარლამენტში თავისი ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლის დროს. „ამგვარი განცხადებებით, მერწმუნეთ, ის ადგილობრივი ბიზნესის დაშინებას უწყობს ხელს. ეს ჩვენს ქვეყანას ძალიან ცუდად შემოუბრუნდება“, — აღნიშნავს მემარჯვენეთა ფრაქციის წევრი ფიქრია ჩხრაძე.<sup>192</sup>

ახალი მემარჯვენეები ცდილობენ ქვეყანაში არსებულ უმწვავეს სოციალურ პრობლემებს მემარჯვენე პოზიციიდან მოუწახონ რიგითი ადამიანებისათვის გასაგები და მისაღები გამოსავალი. ქვეყანაში არსებული უმწვავესი პრობლემა უმუშევრობაა. მის დასაძლევად ერთადერთი გზა მეწარმეობისა-

<sup>190</sup> „ახალი თაობა“, 4.I.2005

<sup>191</sup> „ახალი 7 დღე“, 18-24.II.2005

<sup>192</sup> „ახალი 7 დღე“, 18-24.II.2005

თვის ხელშეწყობაა. უმუშევრობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება სახელმწიფო სტრუქტურებიდან დათხოვნილი ადამიანების ხარჯზე. მემარჯვენეთა აზრით, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ადამიანების გადაზიდვებზე და მათთვის უნდა არსებობდეს კერძო სექტორში დასაქმების შესაძლებლობა.

## ○ კონკურენცია ევროპის სახალხო პარტიაში შესასვლელად

საქართველოს პრეზიდენტის იტალიაში ვიზიტის შემდეგ აღინიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ევროპის სახალხო პარტიის წევრი გახდა. ამ განცხადებას აპროტესტებენ „ახალი მემარჯვენეები“, რომლებიც დიდი ხანია ცდილობენ ევროპის სახალხო პარტიაში დამკვირვებელი წევრის სტატუსის მოპოვებას.

ევროპაში პოლიტიკური პარტიები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მემარცხენე-ცენტრისტული, მემარჯვენე-ცენტრისტული და ლიბერალური პარტიები. ევროკავშირში ამ პარტიებმა სამი ზენაციონალური გაერთიანება შექმნეს. მემარცხენე-ცენტრისტებმა — ევროპის სოციალისტური პარტია, ლიბერალური მიმართულების პარტიებმა — ევროპის ლიბერალური პარტია და მემარჯვენე-ცენტრისტებმა — ევროპის სახალხო პარტია. დღეისათვის ევროპის სახალხო პარტიას უმრავლესობა აქვს ევროპარლამენტში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურაში.<sup>193</sup>

„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი გიორგი მოსიძე აღნიშნავს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მათ პარტიას საკმაოდ ახლო კონტაქტი აქვთ ევროპის სახალხო პარტიასთან და იმედოვნებენ, რომ ამ პარტიაში დამკვირვებელი წევრის სტატუსს მიიღებენ. თუმცა, „მემარჯვენეებისთვის“ მოულოდნელი და გამაღიზიანებელი აღმოჩნდა იგივე განაცხადით „ნაციონალური მოძრაობის“ გამოჩენა. „ჩვენ ველოდებოდით, რომ ევროპის სახალხო პარტიის გამგეობის სხდომაზე თებერვლის ბოლოს „ახალი მემარჯვენეების“ გაწევრიანების საკითხი განიხილებოდა, მაგრამ იქ სრულიად მოულოდნელად და ჩვენთვის გასაკვირად, იანგრის ბოლოს ნაციონალურმა მოძრაობამ დამკვირვებელ წევრად მიღების შესახებ განაცხადი შეიტანა. ამან ძალიან განგვაკვივრა, რადგან ნაცმოძრაობა მემარჯვენე ცენტრისტული იდეოლოგიის პარტია არ არის. გარდა ამისა, ეს პარტია დიდი ხნის განმავლობაში ლიბერალურ სტრუქტურებთან იყო დაკავშირებული და ევროპის ლიბერალურ პარტიაში გაწევრიანებას ცდილობდა. თუმცა, ვინაიდან ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე არის ქვეყნის პრეზიდენტი, ევროპის სახალხო პარტიაში, ეტყობა, უარი ვერ უთხრეს და თებერვლის ბოლოს მათი საკითხიც დღის წესრიგში განსახილველად შეიტანეს“, — აღნიშნავს გიორგი მოსიძე.<sup>194</sup>

23 თებერვალს, ბრიუსელში, ევროპის სახალხო პარტიის გამგეობის სხდომაზე, შედგა საქართველოდან ორივე პარტიის განაცხადის განხილვა. გადაწყდა, რომ რადგან საქართველოს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ჩვენი ქვეყნიდან პარტიების მიღება ერთი წლით გადაიდოს. ევროპის სახალხო პარტია ამ საკითხს საქართველოში ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ დაუბრუნდება. ამის შემდეგ იყო ევროპის სახალხო პარტიის მე-17 კონგრესი რომში, სადაც გარდა ამ გაერთიანების წევრებისა, დაპატიჟეს ის პარტიებიც, რომლებსაც შეტანილი აქვთ განაცხადი, მაგრამ მათი საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. კონგრესზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც.

ევროპის სახალხო პარტიაში ერთი ქვეყნიდან რამდენიმე პარტიის მიღება შეიძლება. მაგალითად, იტალიიდან ოთხი პარტიაა, ესტონეთიდან ორი. მაგრამ, „მემარჯვენეები“ ძალზედ გაანაწყენა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იგივე სტატუსის ძიებამ. „ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად, შესული იყო ევროპის ლიბერალურ პარტიაში, მაგრამ წიხლი ჰკრა მას. სახალხო პარტია ევროკავშირში მმართველი პარტიაა, აქედან გამომდინარე, ეს სააკაშვილის პრაგმატული გათვლაა და არანაირი მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის ერთგულებაზე ნაცმოძრაობის მხრიდან ლაპარაკი არ შეიძლება“, — აცხადებს გიორგი მოსიძე.<sup>195</sup>

<sup>193</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.IV.2006

<sup>194</sup> პოლიტიკურ პარტიას იმ ქვეყნიდან, რომელიც ევროკავშირის წევრი არ არის, ევროპის სახალხო პარტიაში მხოლოდ დამკვირვებელი წევრის სტატუსით იღებენ.

<sup>195</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.IV.2006

## ○ საქართველოს მწვანეთა ევროპული აღიარება

საქართველოს მწვანეთა პარტია ევროპის მწვანეთა პარტიის კონგრესმა თავის უმაღლეს მმართველ ორგანოში — ევროპის მწვანეთა პარტიის კომიტეტში აირჩია. კონგრესს ესწრებოდა 500 დელეგატი ევროპის 30 ქვეყნის 33 პარტიიდან, მათ შორის ევროპის პარლამენტის წევრები მწვანეთა ფრაქციებიდან, სტუმრები ევროკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებიდან და აშშ-დან.

ევროპის მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელი ორგანო — კომიტეტი შედგება გენერალური მდივნისგან, ორი სპიკერისგან და ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებისგან. ევროპის მწვანეთა პარტიას დიდი გავლენა აქვს ევროპის პოლიტიკაზე, ჰყავს გავლენიანი წარმომადგენლები ევროპის 17 ქვეყნის ნაციონალურ პარლამენტებში, და რაც მთავარია, სიდიდით მე-4 ფრაქციაა ევროპის პარლამენტში, რომელიც გადაწყვეტილებებს მხოლოდ ევროპის მწვანეთა პარტიის კომიტეტთან შეთანხმებით იღებს.

ქართველ მწვანეთა პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, მათი პარტია აღიარებული იქნა როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული, პროფესიონალური და პერსპექტიული პოლიტიკური ორგანიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც „დიდი წვლილი აქვს შეტანილი რეგიონალური უსაფრთხოების საქმეში, მიუხედავად დევნა-შევიწროებისა და მედიაში ბლოკირებისა“.<sup>196</sup>

საქართველოს მწვანეთა პარტიაში აღნიშნავენ, რომ მათი პარტიის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარება მნიშვნელოვანია მთლიანად საქართველოსთვისაც, რადგანაც „დღეს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სპექტრიდან მწვანეთა პარტია ერთადერთია, რომელიც ასე მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან და ქვეყანაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, აქვს რეალური ტრიბუნა და ბერკეტი ამ პრობლემების მოსაგვარებლად“.

## ○ არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი იზრდება

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა და მისმა რეგიონულმა სამსახურებმა 2005 წლის მარტიდან, მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა, 920 არასამთავრობო ორგანიზაცია დაარეგისტრირეს. ამ დროისათვის საქართველოში 8501 არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული.<sup>197</sup>

2005 წლის მარტამდე არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაცია საერთო სასამართლოების ფუნქცია იყო. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა რაიონულ სასამართლოებში გაბნეული არასამთავრობო ორგანიზაციების სარეგისტრაციო დოკუმენტებს თავი მოუყარა და ერთიანი რეესტრი შექმნა. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ზუსტი აღრიცხვა და მათი მოძებნა სხვადასხვა რეკვიზიტების მიხედვით.

## ○ სალომე ზურაბიშვილის „ქართული გზა“

საქართველოში, სადაც ოფიციალურად დარეგისტრირებულია 200-მდე პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, კიდევ ერთ ახალ პარტიას ეყრება საფუძველი. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი პარტიას ქმნის და ამისათვის ადგილობრივი პრაქტიკისათვის ორიგინალურ გზას ირჩევს — 2006 წლის 7 თებერვალს სალომე ზურაბიშვილმა პარტიის პროგრამული მიზნების პრეზენტაცია მოაწყო. ახალი პარტიის დროშა აღმართულია და მის ლიდერს ისლა დარჩენია, რომ პარტიის წევრობის მსურველებს დაელოდოს.

საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა პოლიტიკურ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი. პარტიის შექმნის აუცილებლობა კი ადგილობრივი თვითმმართვე-

<sup>196</sup> „ახალი თაობა“, 9.V.2006

<sup>197</sup> „ახალი თაობა“, 16.III.2006

ლობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის სურვილია განაპირობა. „საქართველოში აუცილებელია დამყარდეს ადგილობრივი დემოკრატია. დემოკრატია არ იწყება ზემოდან და არ ჩამოდის ქვემოთ, იწყება ქვემოდან და უნდა ავიდეს ზემოთ და რადგან დღეს, დემოკრატიის მხრივ, გვაქვს საკმაოდ ცუდი სიტუაცია, აუცილებელია, რომ გაძლიერდეს ქვედა საფეხურები“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა პარტიის პროგრამული დებულებების პრეზენტაციის დროს. როგორც ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შემოდგომისთვისაა გადატანილი.

ორი ასეული პარტიის არსებობის პირობებში ძალზედ ძნელია ახალი პარტიისათვის სხვებისგან განსხვავებული და მიმზიდველი სახელწოდების პოვნა. ერთი პირობა სალომე ზურაბიშვილი აცხადებდა, რომ პარტიის სახელწოდება „სალომე ზურაბიშვილის პარტია“ იქნებოდა. ამ სახელწოდებით პარტია თავიდან აიცილებდა სახელწოდებაში „იდეოლოგიური დატვირთვის“ წარმოჩენას, მაგრამ ასეთი სახელი, პრინციპში ეწინააღმდეგება სალომე ზურაბიშვილის მეორე განაცხადს — უნდა დაირღვეს ტრადიცია, რომ პარტია ამა თუ იმ პირის ირგვლივ ყალიბდება. ამ ტრადიციის დასარღვევად მოეწყო პარტიის პროგრამის პრეზენტაცია.<sup>198</sup> ახალი პარტიის სახელწოდებად დასახელდა სლოგანი „ჩვენი გზა — ქართული გზა“.

სალომე ზურაბიშვილი სახელწოდებას აკონკრეტებს და აცხადებს, რომ ესაა იგივე წარსულის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის გზა — „დემოკრატიული, თანამედროვე და ევროპული და ქართული გზა“.<sup>199</sup>

ადგილობრივ ექსპერტთა აზრით, სალომე ზურაბიშვილის პარტიის სახით პოლიტიკურ არენაზე მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკური ძალა შემოდის. სალომე ზურაბიშვილის პარტია დაახლოებით იმ პოლიტიკურ ნიშას დაიკავებს, რომელიც ახალ მემარჯვენეებს უკავიათ, ანუ მემარჯვენე-კონსერვატიულს. აქცენტი დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკასთან ერთად ეროვნულ ღირებულებებზეც გაკეთდება. მათგან განსხვავებით რესპუბლიკური პარტია მემარჯვენე-ლიბერალური მიმართულებისაა.<sup>200</sup>

პოლიტიკური სპექტრის მემარჯვენე ფრთაზე დიდი სიმრავლეა, მაგრამ თუკი ქვეყანაში არსებულ მასობრივ ეკონომიკურ სიდუხჭირეს გავითვალისწინებთ, მემარჯვენე ელექტორატი არცთუ ისე დიდია. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს თუ მემარჯვენე ოპოზიცია გაერთიანებას ვერ მოახერხებს, მას საკმაოდ მოკრძალებული შედეგით დაკმაყოფილება მოუწევს.

თუმცა, თავად სალომე ზურაბიშვილი პარტიების იდეოლოგიური ნიშნით დაყოფას მოძველებულად მიიჩნევს. „რაც შეეხება იმას, თუ რომელ ნიშას დაიკავებს პარტია — მემარჯვენეს, მემარცხენეს თუ ცენტრისტულს, საჭიროებისდა მიხედვით, ალბათ, სამივეს, რადგან ეს ეპითეტები ცოტა მოძველებულად მეჩვენება“, — აღნიშნავს ზურაბიშვილი.<sup>201</sup> მის მიერ დეკლარირებულ პარტიული პროგრამის ძირითად დებულებებს ბევრი სხვა პარტიაც უსიტყვოდ მოაწერს ხელს — მყარი დემოკრატიული გაძლიერება, სოციალური გაჯანსაღება, ეკონომიკური აღმავლობა, ხელისუფლების სწორი განაწილება სხვადასხვა სახელისუფლო შტოებს შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და ა.შ.

საყურადღებოა სალომე ზურაბიშვილის ეკონომიკური პროგრამა. მისი თქმით, ეკონომიკას, თუნდაც ლიბერალურს, სჭირდება მართვა და პოლიტიკის ჩამოყალიბება. ნამდვილი ლიბერალიზმის და გარანტია ადამიანის თავისუფლების, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის, არის კერძო საკუთრება. თუმცა, იქვე აცხადებს, რომ კერძო საკუთრება არ ნიშნავს ყველაფრის პრივატიზაციას, რასაც ხშირად ურევენ ერთმანეთში. „პრივატიზაციის პოლიტიკა უნდა იყოს ახსნილი, გახსნილი და მიღებული საზოგადოებისაგან სრული ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე. სხვა მიდგომა ბადებს ეჭვს, უნდობლობას და საზოგადოების გაყოფას“, — აღნიშნავს ზურაბიშვილი.<sup>202</sup> თუმცა, საზოგადოებაში კერძო საკუთრების პატივისცემის დასამკვიდრებლად აუცილებელია, რომ კერძო საკუთრება ჰქონდეს ადამიანების უმრავლესობას.

ზურაბიშვილის პარტია, ცხადია, ხელისუფლების რადიკალურ ოპონირებას აპირებს. მისი ლიდერის თქმით, პარტიის მიზანია არსებული ხელისუფლების ბოლშევიკური მეთოდების

<sup>198</sup> „ხვალინდელი დღე“, 7.II.2006

<sup>199</sup> „ახალი თაობა“, 8.II.2006

<sup>200</sup> „ხვალინდელი დღე“, 7.II.2006

<sup>201</sup> „ხვალინდელი დღე“, 7.II.2006

<sup>202</sup> „ახალი თაობა“, 8.II.2006

ცივილიზებული პოლიტიკური მეთოდებით შეცვლა.<sup>203</sup> რეალობა ისაა, რომ ოპოზიციურ პარტიას წარმატებას მოუტანს ხელისუფლებასთან რადიკალური დაპირისპირება. ოპოზიციური ელექტორატი პოზიტიურ პროგრამებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას, მისთვის მთავარია არსებული ხელისუფლებისგან გათავისუფლება. აღიქვამს თუ არა ზურაბიშვილის პარტიას საზოგადოება ხელისუფლების ყველაზე რადიკალურ ოპოზიციად ამაზე იქნება დამოკიდებული ზურაბიშვილის პარტიის შემდგომი წარმატებებიც.

## ○ ანტიგლობალური იდეოლოგიის ძიება

„ანტიგლობალიზმი“ როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმართულება საქართველოში დღეს არ გაჩენილა. გლობალიზაციისაგან მომდინარე ნამდვილი თუ მოჩვენებითი საფრთხეების თაობაზე ადრეც ბევრი იწერებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ანტიგლობალური იდეოლოგიის ძიება და მისი პროპაგანდა განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება. ეს ნაკლებად იგრძნობა ელექტრონულ მედიაში, რომელსაღ ფაქტობრივად ხელისუფლება აკონტროლებს, სამაგიეროდ თვალშისაცემია პრესაში, სადაც სწორედ ბოლო პერიოდში გამოჩნდა გაზეთების მთელი დასტა, რომელთა წამყვანი თემა სწორედ ანტიგლობალისტური არგუმენტების ძიება-დასაბუთება და პროპაგანდაა.

ანტიგლობალური პროტესტი ყველა ქვეყანაში ემყარება ეროვნულ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოტივებს. ანტიგლობალიზმი გამოხატავს შეშფოთებას ამ სფეროებში მიმდინარე არასასურველ პროცესებთან დაკავშირებით, მაგრამ ქართულ ანტიგლობალიზმში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს „ორიენტაციული“ დატვირთვა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში ანტიგლობალისტური განწყობის სტიმიულირება სწორედ ორიენტაციული მოტივებით ხდება.

ანტიგლობალიზმი დღეს, ზოგადად, ანტიამერიკანიზმს ნიშნავს. სწორედ ეს მოტივია დღეს ქართულ ანტიგლობალიზმში მნიშვნელოვანი. ისინი, ვინც აქტიურად ქადაგებს ანტიგლობალიზმს, როგორც წესი, მის ალტერნატივად და „ქვეყნის გადარჩენად“ რუსეთზე ორიენტაციას მიიჩნევენ ღიად ან შეფარვით. რასაკვირველია, არიან ისეთი ანტიგლობალისტებიც, რომლებიც დასავლეთიდან მომდინარე საფრთხეს რუსეთზე ორიენტაციას არ უკავშირებენ, მაგრამ ეს შემოთაღნიშნულ კანონზომიერებას არ ცვლის.

როგორია ქართული ანტიგლობალიზმის ძირითადი ნიშნები?

პირველ რიგში ესაა ანტისოროსიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ანტიგლობალიზმის იდეოლოგიის მშენებლობის დროს აქცენტი სოროსისა და მის სახელთან დაკავშირებული საქმიანობის კრიტიკაზე კეთდება. სოროსის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სხვადასხვა ემელონშიც იმყოფებიან, ებრძვიან მართლმადიდებლობას, მეცნიერებას, კულტურას საქართველოში. სოროსზე იერიშს ის გარემოება აადვილებს, რომ თავად სოროსი სკანდალური ფიგურაა და არცთუ პოზიტიური იმიჯით სარგებლობს არა მარტო საქართველოში. გარდა ამისა, ადგილობრივი „სოროსელები“ არცთუ იშვიათად „მეტისმეტად დემოკრატიზმს“ და ეროვნული ფასეულობების მიმართ გარკვეულ ნიჰილიზმს ავლენენ. ეს კი კრიტიკის საფუძველს ქმნის.

ანტისოროსიზმი ბუნებრივად უკავშირდება „მსოფლიო მასონური შეთქმულების“ თეორიას. ისიც უნდა ითქვას, რომ მასონობის თემა საქართველოში ორიგინალურობით არ გამოირჩევა და ამ მხრივ პირდაპირ ხდება „მასონობის მამხილებელი“ რუსული ლიტერატურის გადმოტანა. მსჯელობები მასონობის წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ ივსება რიგი ქართველი პოლიტიკოსების მასონებად გამოცხადებით. ცხადია, ამ სტატუსით ის პოლიტიკოსები განიხილებიან, რომელთა მოღვაწეობაც დასავლურ ორიენტაციას უკავშირდება.

მასონურ შეთქმულებასთან მჭიდრო კავშირშია მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზაციების — მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკა, რომელთაც ბრალად ედებათ საქართველოს ეკონომიკის მიზანმიმართული განადგურება, ადგილობრივი წარმოების მოსპობა, რასაც მოსახლეობის გადატაცება, უცხოეთში მასობრივი გადახვეწა და დემოგრაფიული კატასტროფა მოსდევს.

სოროსის, მასონობის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კრიტიკა დასავლეთისაგან

<sup>203</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 8.II.2006

გაუცხოებას და ანტიამერიკული განწყობის ფორმირების საქმეს ემსახურება. რა საფრთხეს შეიცავს ევროპა საქართველოსთვის? ესაა თურქი-მესხების მასობრივი ჩამოსახლების მოთხოვნა, კანონი ეროვნული უმცირესობების და მათი ენების დაცვის შესახებ, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ანტიგლობალისტების მთავარი კრიტიკა კი აშშ-ის წინააღმდეგ არის მიმართული. „აშშ არ ითვალისწინებს საქართველოს ინტერესებს“, „საქართველო აშშ-ს კოლონიად იქცა“, „აშშ-ს ინტერესების გაყოფამ საქართველო რუსეთთან დააპირისპირა“, „აშშ-ს მიერ წამოწყებულ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობამ საქართველო შეიძლება მუსულმანური ფუნდამენტალიზმის დარტყმის ქვეშ დააყენოს“, „საქართველოში მიმდინარეობს პრიმიტიული ამერიკანიზაცია“ — აი ის ძირითადი თეზისები, რაც ქართული ანტიამერიკანიზმის ფორმირებას ისახავს მიზნად.

ანტიამერიკული განწყობის ფორმირებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტიც: ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება აღიქმება პროამერიკულად და მის შეცდომებზე პასუხისმგებლობაც, საბოლოო ჯამში, აშშ-ის ეკისრება. სააკაშვილის ხელისუფლება კი ანტიგლობალისტური ოპოზიციის მხრიდან ბრალდებულია ეროვნული ინტერესების ლალატში, ქართული თვითმყოფადობის, ქართული მეცნიერების, განათლების ნგრევაში.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ანტიგლობალისტური იდეოლოგიის ქართული ვარიანტის ფორმირება ფაქტობრივად დამთავრებულია, რაც შეეხება მის დამკვიდრებას საზოგადოებაში, ეს გაცილებით უფრო რთული საქმეა. დაანახო საზოგადოებას მტერი დასავლეთის სახით, მაშინ როდესაც ქვეყნის პრობლემათა უმეტესობა რუსეთის მიერაა შექმნილი, საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. რუსეთმა წლების მანძილზე საქართველოს მიმართ თავისი აგრესიული პოლიტიკით ფაქტობრივად საფუძველი მოუსპო მეტ-ნაკლებად გავლენიანი რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალების ფორმირებას ჩვენს ქვეყანაში.

პრიმიტიული ამერიკანიზაციის დაძლევა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, აშშ-ის ქმედითი დახმარება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, — ის ფაქტორებია, რაც ანტიგლობალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ იმუშავებს და, პირიქით, არსებული ვითარების ნეგატიური მხარეების შენარჩუნება ანტიგლობალიზმის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

## თავი XIII საქართველო ახალი საარჩევნო ციკლის წინ

2005 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა შუალედური არჩევნები 5 მაჟორიტარულ ოლქში. ამ არჩევნების შედეგები აბსოლუტურად არაფერს ცვლიდა პარლამენტში ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით, სადაც განუყოფლად დომინირებს დღევანდელი მმართველი ბლოკი და მისი მხარდამჭერები. მიუხედავად ამისა, არჩევნები მწვავე დაპირისპირების საგანი გახდა ხელისუფლება და ოპოზიციას შორის. მმართველი პარტია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს, ოპოზიციას კი სურდა ეჩვენებინა, რომ საზოგადოების კეთილგანწყობა მის სასარგებლოდ იცვლება. მაგრამ ამ არჩევნებს პასუხი უნდა გაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან კითხვაზე — როგორ მუშაობს არჩევნების ინსტიტუტი ქვეყანაში, სადაც ხვედრდევანი რევოლუცია მოხდა არჩევნების გაყალბების გამო და სადაც 2006 ახალი საარჩევნო ციკლი (2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის, 2008 წელს — საპარლამენტო და 2009 წელს — საპრეზიდენტო) იწყება.

### ○ პოსტრეფოლუციური არჩევნების თავისებურებანი

როგორ ტარდება არჩევნები ქვეყანაში მას შემდეგ, რაც ძველ ხელისუფლებას რევოლუციური გზით ცვლიან არჩევნების გაყალბების გამო? ცხადია, ხელისუფლების სათავეში მოსულ ძალებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ სამომავლოდ უზრუნველყონ

სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარება. ამავე დროს, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ამოცანის გადაწყვეტა იოლ საქმეს არ წარმოადგენს.

როცა ქვეყანაში ხავერდოვანი რევოლუცია ხდება გაყალბებული არჩევნების შემდეგ, ეს დემოკრატიული ძალების სიძლიერეზეც მეტყველებს და სისუსტეზეც. ერთი მხრივ, ქვეყანაში არჩევნების გაყალბება ისეთ მძლავრ პროტესტს იწვევს, რომ ამაში ბრალდებულ ხელისუფლებას წასვლა უხდება, მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ამ ქვეყანაში არ მუშაობს ისეთი ფუნდამენტური დემოკრატიული ინსტიტუტი, როგორც არჩევნებია.

ხავერდოვანი რევოლუცია არაა ორდინარული მოვლენა და მას ნებისმიერი გაყალბებული არჩევნების შემდეგ ვერ განახორციელებ. ხავერდოვანი რევოლუცია მაშინ ხდება, როდესაც მოსახლეობას აბსოლუტურ უმრავლესობას არსებული ხელისუფლება მობეზრებული აქვს და უკეთესი მომავლის იმედი მხოლოდ მის წასვლას უკავშირდება. ანუ „გაბრაზებული ამომრჩეველი“ ქუჩაში გამოდის არა იმდენად თავისი დემოკრატიული უფლებების დასაცავად, რამდენადაც არსებული ხელისუფლების თავიდან მოსაცილებლად. გაყალბებული არჩევნები ხავერდოვანი რევოლუციის მიზეზი კი არაა, არამედ საბაბი.

ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი უკეთესი მომავლის იმედით არის აღსავსე, პოსტრევოლუციური ეიფორია კი რაციონალური არჩევანის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. რევოლუციის ხელმძღვანელები არჩევნებში გადამწყვეტ გამარჯვებას აღწევენ. ამომრჩეველები პოლიტიკურ სპექტრში მხოლოდ რევოლუციის ტრიუმფატორებს ამჩნევენ და მხარდაჭერის სანაცვლოდ სასწაულის მოხდენას მოელიან — მათ სწრაფად უნდა შეცვალონ ცხოვრება უკეთესობისაკენ. უკრაინისგან განსხვავებით, სადაც პოსტრევოლუციური ეიფორიის პირობებში მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, საქართველოში რევოლუციური ძალების მიერ მოპოვებული უპირატესობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავია, რადგანაც აქ 2004 წლის 4 იანვარს გამართულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოუტანა მიხეილ სააკაშვილს, იმავე წლის 28 მარტს კი საპარლამენტო არჩევნებში ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვა ვარდების რევოლუციის ლიდერების ბლოკმა.

ხავერდოვანი რევოლუცია ემყარება საერთოეროვნულ კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ არსებული ხელისუფლების გარეშე გაცილებით უკეთ იცხოვრებენ. საქართველოს შემთხვევაში ეს გამოიხატებოდა ფორმულაში „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. მაგრამ თავიანთი მომავალი შევარდნაძეს გარეშე ყველას სხვადასხვანაირად წარმოედგინა და თანაც, როგორც უკვე ავლნიშნეთ, ყველა სწრაფად ვარაუდობდა რევოლუციისაგან დივიდენდების მიღებას. არცთუ ისე დიდი დროის შემდეგ ამ ადამიანების უმრავლესობა აღმოაჩინეს, რომ ცხოვრება უკეთესობისაკენ არც ისე სწრაფად იცვლება, როგორც მოელოდნენ, ხოლო რევოლუციის შემდეგ წარმოქმნილი დიდი მოლოდინების ფონზე მიღწევები შედარებით უმნიშვნელო და „თავისთავად ნაგულისხმევი“ ჩანს.

სწორედ ამიტომ ვარდების რევოლუციის მეორე წლისთავზე თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრები ერთხმად ლაპარაკობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ სწრაფად შეიცვალა ასე მოკლე დროში საქართველო უკეთესობისაკენ, ქართული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი და ოპოზიცია კი მიუთითებს ხელისუფლების მიერ ხელიდან გაშვებულ უამრავ შესაძლებლობაზე და შეცდომაზე, რომელთა თავიდან აცილებაც ქვეყნის წინსვლას მნიშვნელოვნად დააჩქარებდა.

მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტია იმაზე მაღალ შედეგს ვეღარ აჩვენებენ, რაც მიიღეს 4 იანვრის საპრეზიდენტო და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს. მაშ რა იქნება მათი მოდერნიზაციის ყველაზე დიდი წარმატება? რაც არ უნდა უცნაური იყოს — მათი ყველაზე დიდი წარმატება მათ მიერვე ორგანიზებულ სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებში დამარცხება და ხელისუფლებიდან წასვლა იქნება. ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ ქვეყანაში ამუშავდა დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტი და საქართველო როგორც დემოკრატიული ქვეყანა საბოლოოდ შედგა. ამით გადაწყვეტილი იქნება ის უმთავრესი პრობლემა, რამაც ქვეყანა ხავერდოვან რევოლუციამდე მიიყვანა.

ხავერდოვანი რევოლუცია მძლავრი სტიმულია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, მაგრამ იმავდროულად შემადფერხებელი ფაქტორიც. ხავერდოვანი რევოლუციის ტრიუმფატორები დიდხანს რჩებიან რევოლუციურ ეიფორიაში და პრობლემების რევოლუციური (ანუ კანონების გვერდის ავლით ან კანონების საკუთარ „ხედაზე“ მორგებით) გზით გადაწყვეტის ცდუნების ტყვეობაში.

როგორ უყურებს თავის პოლიტიკურ მომავალს ვარდების რევოლუციის შემდეგ

ხელისუფლების სათავეში მოსული მმართველი პოლიტიკური პარტია? პრეზიდენტი სააკაშვილი ხშირად საუბრობს იმის თაობაზე, თუ რას გააკეთებს თავის მეორე საპრეზიდენტო ვადაში, ანუ აპრიორულად იგულისხმება, რომ გაიმარჯვებს 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგებმა კი უკვე მოიშველიეს იმ ქვეყნების (მაგალითად თურქეთის) გამოცდილება, სადაც მმართველი პარტია ათწლეულების მანძილზე იმყოფება ქვეყნის სათავეში. ანუ ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება დიდხანს აპირებს ქვეყნის სათავეში დარჩენას და სრულიადაც არაა განწყობილი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ოპოზიციის გაძლიერებას. ამავე დროს პოსტრევოლუციური ეიფორიის დამთავრების შემდეგ მმართველი პარტიის რეიტინგი მნიშვნელოვნად შემცირდა. ასეთ პირობებში ბუნებრივად ჩნდება ცდუნება კვლავ ამოქმედონ ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსი“ არჩევნებში გასამარჯვებლად.

ზოგს შეიძლება ხელისუფლებაში დიდხანს დარჩენა დემოკრატიული აღმშენებლობის სახელით სურს და გატაცებულია სოციალური ინჟინერიით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვარდების რევოლუციას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა რევოლუციას, ქონების გადაწევა მოჰყვა და პოლიტიკური გამარჯვება ბევრისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფასაც დაუკავშირდა. ეს გარემოება ამ ადამიანებს სრულიადაც არ განაწყობს რაღაც „საარჩევნო პროცედურების“ გამო ხელისუფლების დასათმობად.

ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალ საარჩევნო კანონს ხელისუფლება ისევ თავის პარტიულ ინტერესებს არგებს, ისევე როგორც უკვე მოირგო პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისია. დღემდე არ არსებობს ამომრჩეველთა სრულყოფილი სია. ხელისუფლება ამას ან არ, ან ვერ უზრუნველყოფს. ამომრჩეველთა არასრული სია კი არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების კარგ ბერკეტს წარმოადგენს. როგორც ზოგიერთი ადგილობრივი ექსპერტი აღნიშნავს, თუკი ადრე ამომრჩეველთა სია მკვდარი სულებით იყო სავსე და არჩევნების შედეგების გასაყალბებლად კარუსელები და „უბატრონოდ“ დარჩენილი საარჩევნო ბიულეტენების რესურსი გამოიყენებოდა, დღეს წინასწარი რეგისტრაციის სავალდებულო პირობის შემოღებით, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის შეზღუდვების მექანიზმი ამოქმედდა.<sup>204</sup>

მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებისადმი უნდობლობის გამო, სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები ახალი რევოლუციის გარდუვალობის შესახებ. აქაც ოპოზიციისათვის და საზოგადოებისათვის ძალზედ შთამბეჭდავია ვარდების რევოლუციის გამოცდილება. ძალაუნებურად დგება მაცდური კითხვა: თუკი შეიძლებოდა მაშინ, რატომ არ შეიძლება კიდევ ერთხელ? თუმცა, ისიც ცხადია, რომ რევოლუციისაკენ მოწოდება დესტალიზაციის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს და სულაც არ მუშაობს დემოკრატიის განმტკიცების სასარგებლოდ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს საქართველოში, პირობითად რომ ვთქვათ, ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ოპოზიცია არსებობს. ვარდების ხელისუფლებისადმი ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალების ნაწილი დასავლური ორიენტაციისა და ხელისუფლებას „უფრო მეტი დემოკრატიის“ გამო ედავება. მათი მხრიდან არცთუ იშვიათად გაისმის გამაფრთხილებელი განცხადებები „რევოლუციის გარდუვალობის“ შესახებ. ოპოზიციის მეორე ნაწილი კი დასავლეთისგან დისტანცირებას ახდენს და ქვეყნის მომავალს რუსეთთან კავშირში ხედავს. საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის გამო, პრორუსული ოპოზიციის იმედი არჩევნებში გამარჯვებისა მიზერულია, ამიტომ გასაგებია, რომ აქცენტი სოციალური აფეთქების გამოწვევასა და ახალ რევოლუციაზე კეთდება.

რევოლუციით გატაცება ქვეყნისათვის საშიში ხდება. კარგი იქნება, რომ „ეროვნული კონსენსუსის“ დოკუმენტში, რომელიც სახელისუფლო უმრავლესობის ინიციატივით მზადდება პარლამენტში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტად მომავალი არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარება ჩაიწეროს, შემდეგ კი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას მისი რეალიზებისათვის.<sup>205</sup>

<sup>204</sup> „24 საათი“, 16.XI.2005

<sup>205</sup> ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელიც დაიწყო როგორც პროტესტი არჩევნების გაყალბებაზე, ერთი შეხედვით, თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს, რომ არჩევნების სამართლიანობა უზრუნველყოფილი იქნება და გაყალბებული არჩევნების თემა წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ეს ასე არ არის და არჩევნების ინსტიტუტისადმი ნდობა არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში თავიანთ უნდობლობას მომავალი არჩევნების ობიექტურობისა და სამართლიანობისადმი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები თითქმის ერთსულოვნად აფიქსირებენ.



## ○ რეგოლაციური ეფორიის შექმნა

ვარდების რეგოლაციამ ძირითად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი და ამასთან, დიდი ხნით დასტოვა თამაშარე მდგომარეობაში ყველა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც რეგოლაციაში არ მონაწილეობდა. ევროსაბჭო ქვეყანაში სუსტი ოპოზიციის არსებობას დიდ ნაკლად მიიჩნევს და ამ ვითარების დასაძლევად ხელისუფლებას ერთ-ერთ ნაბიჯად 7-პროცენტის საარჩევნო ბარიერის 5-პროცენტამდე შემცირებას სთავაზობს.

ხელისუფლება, ცხადია, არ არის დაინტერესებული ოპოზიციის გაძლიერებით და იგი ყველაფერს იღონებს იმისათვის რომ შეინარჩუნოს თავისი მაღალი რეიტინგი. „ნაციონალური მოძრაობა“ შესაძლოა სწორედ ამ რეიტინგის თავისებური მსხვერპლი აღმოჩნდეს. იგივე შედეგების გამეორება, რაც ამ პარტიამ ერთი წლის წინ ჩატარებულ არჩევნებზე აჩვენა, მომავალ არჩევნებში შეუძლებელია. უფრო ნაკლები შედეგის ჩვენება კი პარტიის დამარცხების ტოლფასად შეიძლება შეფასდეს.

ოპოზიციას დიდი ბრძოლით მოუწევს „მზის ქვეშ ადგილის“ მოპოვება. ამაში მას რეფორმების სიძნელები და ხელისუფლების შეცდომები დაეხმარება. რეფორმები ისედაც მტკივნეული სოციალური პროცესია და არცთუ ხელსაყრელი ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკოსებისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მაღალი რეიტინგის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები რიგ შემთხვევებში პირდაპირ მუშაობს მისი რეიტინგის საწინააღმდეგოდ.

სოციოლოგიური კვლევების ცენტრის „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2003 წლის აგვისტოში, ვარდების რეგოლაციის წინ გამოკითხულთა 84% აცხადებდა, რომ მოვლენები ქვეყანაში არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა. საწინააღმდეგოში მხოლოდ 5% იყო დარწმუნებული. ვარდების რეგოლაციის შემდეგ ვითარება რადიკალურად იცვლება და 2003 წლის დეკემბერში გამოკითხულთა მხოლოდ 14 პროცენტი აცხადებდა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდიოდა, 68%-ს კი სჯეროდა, რომ განვითარება სწორი მიმართულებით ხდებოდა. ასეთი განწყობა თითქმის უცვლელად შენარჩუნდა მთელი 2004 წლის განმავლობაში. 2005 წლის დამდეგიდან კი გამოიკვეთა იმათი რაოდენობის მკვეთრად შემცირების ტენდენცია, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოვლენები ქვეყანაში სწორი მიმართულებით ვითარდებოდა. ასეთივე ტემპით იზრდებოდა იმათი რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ მოვლენები არასწორი მიმართულებით ვითარდება. 2005 წლის მარტში უკვე 39% დარწმუნებულია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება და მხოლოდ 31% აცხადებს, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის.

ხალხის განწყობის ასეთი სწრაფი ცვლადობა არ შეიძლება მარტო რეფორმების განხორციელებით აიხსნას. რეფორმები, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, მაინც ისარგებლებს ხალხის მხარდაჭერით, თუკი აღამიანები დარწმუნდებიან, რომ რეფორმის შედეგად მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. ხალხის იმედგაცრუების ასეთი დიდი მაჩვენებელი უნდა აიხსნას ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებით და რეფორმების სათანადო მოუქმადებლობით, პირველ რიგში, ეკონომიკის სფეროში. საზოგადოება აღარაა განწყობილი იმისათვის, რომ ახალ ხელისუფლებას, შევარდნაძის მსგავსად, მთელი ათწლეული აცალოს.

რეგოლაციური ეფორიის გავლის შემდეგ საზოგადოებაში იზრდება იმედგაცრუება და უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ. ასეთ პირობებში ოპოზიციას გააქტიურებისა და პოლიტიკურ სცენაზე დაბრუნების შანსი ეძლევა.

ოპოზიციას ცდილობს გამოიყენოს ხელისუფლების შეცდომები და მის წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო აქციები. არის სხვადასხვა გაერთიანებების შექმნის მცდელობებიც. ოპოზიციას თავისი ძალების შემოწმების შესაძლებლობა მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს მიეცემა.

## ○ ვის ხელშია არჩევნების ბედი

ცესკოს შემადგენლობა საქართველოში ყოველთვის დიდი ინტერესის საგანი იყო, რადგანაც ამ ორგანოზეა დამოკიდებული არჩევნების ჩატარებაც და მისი შედეგების შეჯამებაც. არჩევნებისადმი

ნდობას ბევრად განაპირობებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქართველოში ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიების წარმომადგენლებისგან კომპლექტებოდა ხოლმე. პარტიები, როგორც არჩევნების ძირითადი სუბიექტები, ამ პრინციპს ეჭვქვეშ არ აყენებდნენ, მაგრამ დიდი ბრძოლა მიდიოდა ცესკოს პერსონალურ დაკომპლექტების წესზე. ხელისუფლება ცდილობდა ცესკოში უმრავლესობის უზრუნველყოფას, რასაც აღწევდა კიდეც, ოპოზიცია კი უშედეგოდ ცდილობდა ხელი შეეშალა ამისთვის.<sup>206</sup>

ახლი საარჩევნო ციკლის წინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხი კვლავ განხეთქილების მიზეზი გახდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ხელისუფლების მიერ ცესკოს დაკომპლექტების პრინციპის შეცვლამ და არაპარტიული — ე.წ. პროფესიული პრინციპით დაკომპლექტებამ ოპოზიციის ერთსულოვანი უკმაყოფილება გამოიწვია.

ცესკოს დაკომპლექტების პრინციპის შეცვლისას ხელისუფლების არგუმენტები შემდეგია: ცესკოს შემადგენლობაში პარტიების წარმომადგენლები კი არა, დამოუკიდებელი პროფესიონალები უნდა შედიოდნენ. საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდა და ეს იძლევა შანსს, რომ მომავალში არჩევნები პოლიტიკური ვაჭრობის საგანი აღარ იქნება. პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ცენტრალური საარჩევნო კომისია კი არჩევნების ობიექტურობის გარანტი იქნება. — ასეთია ხელისუფლების არგუმენტი.<sup>207</sup>

ცესკოს დაკომპლექტების ეს წესი<sup>208</sup> ოპოზიციისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა და მიაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ შემოტანილი მოდელი ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სამართლიანობას. ოპოზიციის არგუმენტები შემდეგია: ცესკოს წევრების, მათ შორის თავმჯდომარის შერჩევის უფლებამოსილება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს, რომელიც მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. პარლამენტში კი უმრავლესობა ჰყავს იმ პარტიას, რომლის თავმჯდომარეც პრეზიდენტია. ამიტომ ოპოზიცია ვარაუდობს, რომ ცესკოს ყველა წევრი ან სახელისუფლო პარტიის წევრი იქნება, ანდა მისი მხარდამჭერი. ოპოზიციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ თავიდან ცესკოს წევრობის მსურველთა შეუზღუდავი რეგისტრაცია დემოკრატიულობის ილუზიის შესაქმნელად გაკეთდა, თორემ ხელისუფლებას ცესკოს შემადგენლობა შეიძლება თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდა. ოპოზიცია ერთსულოვნად აცხადებს, რომ ქვეყანამ ერთპარტიული ცესკო მიიღო, რაც პირდაპირი განაცხადია მომავალი არჩევნების გაყალბებაზე.<sup>209</sup>

<sup>206</sup> საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორი ბრძოლა მიდიოდა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების წინ ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით. საქმეში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერიც კი ჩაერთო, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში. შევარდნაძის ხელისუფლებამ მანაც მოახერხა უზრუნველყოფა მხარდამჭერი უმრავლესობა მის შემადგენლობაში. მაშინდელი ოპოზიცია ამით უკმაყოფილო იყო, თუმცა ვარდების რევოლუციის შემდეგ ცესკოს დაკომპლექტების წესი ახალმა ხელისუფლებამაც შეინარჩუნა, უმრავლესობა ცესკოში ხომ ახლა უკვე მის ხელში გადავიდა.

<sup>207</sup> 2005 წლის 22 აპრილს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ცესკო პარტიული წესის ნაცვლად პროფესიული ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს. „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 7 კაცით უნდა დაკომპლექტდეს. ცსკ-ს თავმჯდომარეს და 6 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ცსკ-ს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურების შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით“. კანონის თანახმად, ცსკ-ს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, სარგებლობს საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით, გააჩნია არანაკლებ სამი წლის შრომითი გამოცდილებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. კანონის ეს უკანასკნელი მოთხოვნა დღეს შეუძლებელია შესრულდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შესაბამისი სერტიფიკატის გამცემი სტრუქტურა ჯერ არ არსებობს. („ახალი 7 დღე“, 3-9.VI.2005)

<sup>208</sup> ცესკოს დაკომპლექტების ახალი მექანიზმი შემდეგნაირად მუშაობს. მისი წევრობის ან თავმჯდომარეობის ყველა მსურველი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო კანცელარიას. ამ უფლებით ბევრმა ისარგებლა და საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ადგილის დაკავება 32-მა ადამიანმა მოინდომა, ხოლო ცესკოს წევრობის 6 ვაკანტურ ადგილზე 483-მა. („რეზონანსი“, 28.V.2005). სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც გივი უგულავა ხელმძღვანელობდა, პრეზიდენტს წარუდგინა 30 კანდიდატურა ცესკოს წევრების ვაკანტურ ადგილებზე და რამდენიმე კანდიდატურა ცესკოს თავმჯდომარეობაზე. 30 მათგან პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა და ცესკოს 12 წევრის კანდიდატურა წარუდგინა. როგორც წესი, ცესკოს წევრის ერთ ადგილზე მან ორი პრეტენდენტი უნდა წარადგინოს. პარლამენტმა კი ამ 12 კანდიდატიდან 6 უნდა შეარჩიოს.

<sup>209</sup> ოპოზიციამ („რესპუბლიკელებმა“, „კონსერვატორებმა“, „მრეწველები-ახლების“ გაერთიანებამ და პოლიტიკურმა გაერთიანებამ „თავისუფლებამ“) ხელისუფლებას ცესკოს დაკომპლექტების წესზე ერთობლივი შეჯერებული ხედვა და ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზა. მათი პროექტით, პროფესიული

„ობიექტურობის ილუზია აღარავის უნდა ჰქონდეს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობამ ისეთი საარჩევნო კოდექსი მიიღო, რომელიც ყოველგვარ ობიექტურობას გამორიცხავს“, — აღნიშნავს მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელი პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე.<sup>210</sup> კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ასეთი პრინციპით ცესკოს დაკომპლექტება ქვეყანაში ახალ რევოლუციას გამოიწვევს. „აბსოლუტურად ყველა არჩევნებს, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღებს მონაწილეობას, გააყალბებენ, სანამ ქვეყანაში არეულობას და დესტაბილიზაციას არ მიიღებენ“, — აღნიშნავს ძიძიგური.<sup>211</sup> „დღევანდელი ცესკოს არჩევა არის ანონსი მომავალი „ვარდების რევოლუციისა“. ამ ხელისუფლებას ეს კომისია სჭირდება იმისათვის, რომ არჩევნები გააყალბოს, რადგან ხელისუფლების რეიტინგი ძალიან დაბალია. აშკარაა, რომ მმართველი პარტია მომავალ არჩევნებს ვერ მოიგებს. ჩვენის მხრივ ვაცხადებთ, რომ ამ შევეგუებით არჩევნების გაყალბებას და ხალხს გამოვიყვანთ ქუჩაში და სააკაშვილსაც გავისტუმრებთ იქ, სადაც გავისტუმრეთ შევარდნაძე. ეს არის ზუსტად ისეთი საარჩევნო კომისია, როგორსაც ნიშნავს ლუკაშენკო ან ნიაზოვი“, — აღნიშნა, მაგალითად, კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა კახა კუკავამ.<sup>212</sup> ანალოგიური იყო ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების განცხადებებიც.

ოპოზიციის ბრალდებას ერთპარტიული საარჩევნო კომისიისა და არჩევნების სამომავლო გაყალბების თაობაზე, უმრავლესობა შემდეგი არგუმენტით პასუხობს: „ეს მოდელი პასუხისმგებლობას მთლიანად ჩვენ, ხელისუფლებას გვაკისრებს და პირობას ვდებთ, რომ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს დავამკვიდრებთ“, — აღნიშნავს სახელისუფლო უმრავლესობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი პარლამენტარი გიგა ბოკერია.<sup>213</sup> მისივე თქმით, ეს ცესკოს ის მოდელია, რომელსაც მხარს უჭერდა ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. „როგორც ჩანს, ოპოზიცია დარწმუნებულია არჩევნებში დამარცხებაში და ცდილობენ, რომ ამ ფაქტს საზოგადოება შეაგუონ“, — აღნიშნავს ბოკერია.<sup>214</sup>

2005 წლის 3 ივნისს პარლამენტმა, უფრო სწორედ კი საპარლამენტო უმრავლესობამ ცენტრალური საარჩევნო კომისია დაამტკიცა. კენჭისყრაში ოპოზიციამ მონაწილეობა არ მიიღო და სხდომათა დარბაზი დატოვა. მათ მეტად მკაცრი განცხადებები გააკეთეს ცესკოს ერთპარტიულობასა და მომავალი არჩევნების გარღვევად გაყალბების თაობაზე.

ცესკო დაკომპლექტებულია და ისღა დაგვრჩენია, რომ ვენდოთ ხელისუფლების სიტყვას, რომ არჩევნების გაყალბებას აღარ დაუშვებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ახალი წესით დაკომპლექტებული ცესკო წინამორბედთან შედარებით მეტ უნდობლობას იწვევს. ეს კი არცთუ კარგი დასაწყისია ამ ორგანოსათვის. 2005 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული რამდენიმე მაჟორიტარის არჩევნები ახალი ცესკოს პირველი გამოცდა იყო.

## ○ შუალედური არჩევნების შედეგები

2005 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნები<sup>215</sup> ხუთ მაჟორიტარულ ოლქში არაფერს ცვლიდა პარლამენტში არსებულ ძალთა თანაფარდობაში, მაგრამ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც საზოგადოებაში არსებული მხარდაჭერის დემონსტრირების თვალსაზრისით. ამიტომ წინასაარჩევნო ბრძოლას უაღრესად დაძაბული ხასიათი ქონდა. მის შედეგებს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს და სამომავლო დასკვნებიც განსხვავებული გამოაქვს.

---

კრიტიკიკების დაკმაყოფილების შემდეგ ცესკოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება, სახელისუფლო პარტიის გარდა, უნდა ჰქონოდათ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც. ასეთ პოლიტიკურ ორგანიზაციათა კონკრეტული კი წინა არჩევნების შედეგებს უნდა დაფუძნებოდა. („ახალი 7 დღე“, 3-9.VI.2005)

<sup>210</sup> „რეზონანსი“, 30.V.2005

<sup>211</sup> „რეზონანსი“, 30.V.2005

<sup>212</sup> „ხვალინდელი დღე“, 4.VI.2005

<sup>213</sup> „24 საათი“, 4.VI.2005

<sup>214</sup> „რეზონანსი“, 30.V.2005

<sup>215</sup> არჩევნებს ხუთ გამოთავისუფლებულ მაჟორიტარულ ოლქში „შუალედური არჩევნები“ ეწოდა, თუმცა უფრო ზუსტი თუ ვიქნებით, ეს იქნებოდა მისთვის დამატებითი არჩევნები.

ხუთივე მაჟორიტარულ ოლქში სახელისუფლო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს და საპარლამენტო უმრავლესობა კიდევ ხუთი წევრით გაიზარდა. მაგრამ ხელისუფლებისათვის მთავარი მაინც საკუთარი უპირატესობის ჩვენება იყო. ბათუმში მყოფმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების შედეგებში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის მხარდაჭერა დაინახა. „ჩემი აზრით, გამარჯვება იყო ძალზე დამაჯერებელი და იმედისმომცემი. იმ ხალხს, ვინც ერთი-ორი თვის წინ ამბობდა, ზაფხულში სააკაშვილის ხელისუფლება აღარ იქნებაო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ ჩვენი ხელისუფლება არათუ სუსტდება, არამედ ძლიერდება და მყარად იდგამს ფეხს ქართულ საზოგადოებაში“, — აღნიშნა სააკაშვილმა.<sup>216</sup>

სახელისუფლო პარტიის წარმატების ხაზგასმასთან ერთად პრეზიდენტმა შეშფოთება გამოხატა ოპოზიციის „კატასტროფული მარცხის“ გამო. სააკაშვილის განცხადებით, „შუალედური არჩევნები ოპოზიციურ არჩევნებად ითვლება, ამ არჩევნებში მათ უნდა მოეხერხებინათ, რომ ხუთივე ოლქში არ წაეგოთ პოზიციასთან ბრძოლა. ეს ნიშნავს, რომ დღეს საქართველოში აშკარად სახეზეა ოპოზიციის მკვეთრი სისუსტე, რაც თავისთავად არ არის კარგი“. სააკაშვილის განცხადებით, დადგა დრო, როდესაც ოპოზიცია უნდა გაძლიერდეს. პრეზიდენტმა ოპოზიციას მარცხის მიზეზებიც აუხსნა. სააკაშვილის თქმით, ოპოზიციის კრახი განაპირობა ისტერიულობამ, მათმა მცდელობამ ყველაფერში ცუდი დაინახონ. მოსახლეობას კი, სააკაშვილის თქმით, იმედი სჭირდება. ხელისუფლებამ მოსახლეობას ეს იმედი დაანახვა. სააკაშვილმა ოპოზიციას სხვანაირი მუშაობისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, ყველაზე წარმატებულ ხელისუფლებასაც კი აუცილებლად სჭირდება კონსტრუქციული, გარკვეული პოზიციისა და პასუხისმგებლობის ოპოზიცია.<sup>217</sup>

ხელისუფლების მხრიდან 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ამგვარ შეფასებას არ იზიარებს ოპოზიცია. მართალია ოპოზიციის კანდიდატები ხუთივე ოლქში დამარცხდა, მაგრამ ეს სულაც არ იყო ოპოზიციის კრახი. პირიქით, არჩევნები საზოგადოებაში ოპოზიციური განწყობის ზრდის მაჩვენებელი გახდა. „ამ არჩევნებში ოპოზიცია წამყვანი შემადგენლობით არ გამოსულა. მის ძირითად კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, 1 ოქტომბერს დადასტურდა, რომ ქვეყანაში ხელისუფლებას დაბალი რეიტინგი აქვს. ყველა გამოკითხვის მიხედვით, მისი მაჩვენებელი 25 პროცენტს არ აღემატება, მაშინ, როდესაც ოთხი წამყვანი პარტიის რეიტინგის ჯამი ამ მაჩვენებელზე მეტია“, — აღნიშნავს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი.<sup>218</sup>

ოპოზიციას მრავალი პრეტენზია აქვს არჩევნების ობიექტურობასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებითაც. მათი წარმომადგენლების განცხადებით, ხელისუფლების კანდიდატების სასარგებლოდ მობილიზებული იყო საბიუჯეტო სახსრები, მაქსიმალურად გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული რესურსი, საარჩევნო კამპანიაში უშუალოდ მონაწილეობდნენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რომელიმე ოლქში ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვების პრეცედენტი არ შექმნილიყო.

მთავარი პრეტენზია ოპოზიციას მაინც საარჩევნო სიებთან დაკავშირებით აქვს. არჩევნების დროს არ ყოფილა გამოყენებული ადრე აპრობირებული „კარუსელები“, ბიულეტენების ჩაყრა, მაგრამ გაცილებით ეფექტური იყო ამომრჩეველთა სიებიდან მრავალი ადამიანის გამოტოვება. ოპოზიციის განცხადებით, ცესკომ სიები ხელისუფლების დაკვეთით გააყალბა.<sup>219</sup> სიებში შეგნებულად არ შეიტანეს ან ამოშალეს ის ადამიანები, რომლებმაც ოპოზიციის მიერ ჩატარებულ პრაიმერში მიიღეს მონაწილეობა, ანდა ოპოზიციის სასარგებლო განწყობას აფიქსირებდნენ.<sup>220</sup>

1 ოქტომბრის არჩევნების ამგვარი შეფასების შედეგად, ოპოზიციის სამომავლო გეგმებიც შესაბამისია. თუ ხელისუფლება ოპოზიციის კრახზე და მოსახლეობის მიერ სახელისუფლო კურსის მხარდაჭერაზე ლაპარაკობს, ოპოზიცია მომავალ წელს თვითმმართველობის არჩევნებში ხელისუფლების სრულ კრახს წინასწარმეტყველებს, თუკი ეს არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. ხოლო ისინი, ვისაც ამაში ეჭვი ეპარებათ, გამოსავალს ახალ რეგულაციაში ხედავენ. „მშვიდობიანი მეთოდებით არჩევნებს ვეღარ ჩავატარებთ. ვშიშობ, ფიზიკური შეტაკებები მოხდება

<sup>216</sup> „ახალი თაობა“, 3.X.2005

<sup>217</sup> „ახალი თაობა“, 3.X.2005

<sup>218</sup> „24 საათი“, 3.X.2005

<sup>219</sup> „ხვალინდელი დღე“, 3.X.2005

<sup>220</sup> „ახალი ვერსია“, 3.X.2005

ხელისუფლებასა და იმ ამომრჩევლებს შორის, რომლებიც უბნებზე მივლენ, მაგრამ ხმას არ მიაცემინებენ. ასეთ ელექტორატს ოპოზიცია აუცილებლად დაიცავს და ვინაიდან ხელისუფლება ამას წინააღმდეგობას გაუწევს, 2003 წლის 23 ნოემბერი გამეორდება“, — ასეთი კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ კახა კუკავას პროგნოზი.<sup>221</sup>

საარჩევნო პროცესის და არჩევნების შედეგების ასეთი დიამეტრულად განსხვავებული შეფასებები შემაშფოთებელია. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი კვლავ არ არსებობს. საარჩევნო კოდექსზე და საარჩევნო სიებზე კი სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი. თუ დიდი აღმოჩნდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ეტყვიან — სიებში არ ხართო, ეს არჩევნების ლეგიტიმურობას შეუქმნის საფრთხეს და მართლაც შეიცავს კონფრონტაციის დიდ მუხტს. მომავალ არჩევნებზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება ხომ კიდევ უფრო მკაცრი იქნება ისეთი არჩევნების დროს, რომლის შედეგებიც ხელისუფლების გადასაწილებას ან შეცვლას განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და, თანაც, ხელისუფლების შეცვლის მოტივი სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა იყო, ახალი ხელისუფლებისაგან „კარგი“ არჩევნების ჩატარებას ოპოზიცია ისევ არ მოელის. ოპოზიციის წარმომადგენლები კვლავ თითქმის ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ახალი ხელისუფლებაც ისევე გააყალბებს არჩევნებს, როგორც ეს შევარდნაძის მმართველობის წლებში კეთდებოდა. 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისაგან ბევრი ოპოზიციური პარტია მხოლოდ თავიანთი ეჭვების დადასტურებას მოელოდა იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგებს აუცილებლად გააყალბებდა ამგვარ მოლოდინს საარჩევნო კომისიების ფორმირების ახალი წესიც განაპირობებდა, რომელიც ხელისუფლებამ ოპოზიციის ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად მიიღო. სამწუხაროდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ არჩევნების ინსტიტუტისადმი ნდობა ქვეყანაში არ დამკვიდრებულა და ეს ძალზედ ცუდია ქვეყნის სამომავლო განვითარების თვალსაზრისით.

## ○ რეიტინგული ბრძოლები

სამომავლო პერსპექტივების დასახვას ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თავის მაღალი რეიტინგის მოშველიებით ამართლებს. თავად ამ გამოკვლევების უმეტესობა კი საზოგადოებას თვალთ არ უნახავს. როგორც ამბობენ გამოკვლევებს ყოველი პარტია „შიდა მოხმარებისთვის“ აკეთებს. როგორც ჩანს, საკუთარი შეკვეთით ჩატარებულ გამოკვლევაში მოცემული პარტია ლიდერობს, ან შედეგით კმაყოფილია. თუმცა ყოველი პარტია სხვა პარტიების მიერ ჩატარებულ შიდა გამოკითხვებს არ ენდობა და ტენდენციურად აცხადებს.

საქართველოში რეიტინგები იყო და რჩება პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად. „ხალხის აზრი“ ოფიციალურად გამოქვეყნებულ რეიტინგებში პოლიტიკოსებს ნაკლებად აინტერესებთ. მთავარია ამ რეიტინგში დაკავებული ადგილი. შესაბამისია გამოქვეყნებული გამოკითხვისადმი დამოკიდებულებაც. თუ ადგილი დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, გამოკითხვის შედეგებს აღიარებენ, თუ არა — იგი ყალბად და „მოწინააღმდეგის დაკვეთილად“ ცხადდება. დასამალი არ არის ისიც, რომ ამგვარი „ანგაჟირებული“ რეიტინგებიც არცთუ იშვიათად ქვეყნდება. ყველაზე ქმედითი საშუალება ასეთი ცრუ გამოკითხვების ავტორთა მხილებისა სხვა ობიექტურად ჩატარებულ გამოკითხვათა მონაცემებთან შედარებაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოში სოციოლოგიური გამოკითხვებით დაკავებული ორგანიზაციები ცოტაა, გამოკითხვებიც, შესაბამისად, იშვიათად ტარდება.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით დაკავებულ ერთ-ერთი სოლიდური ორგანიზაციაა „გორბი“, რომელიც გელაპის საერთაშორისო ასოციაციის წევრია საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა სივრციდან ამ ასოციაციაში გაწევრიანება მხოლოდ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს კვლევითმა ინსტიტუტებმა მოახერხეს. ისიც უნდა ითქვას, რომ „ვარდების“ რევოლუციის პერიოდში „გორბი“ არ ჩარეულა პოლიტიკური რეიტინგების კვლევაში. „ჩემი აზრით, იმ პერიოდში ორივე მხარეს ნაკლებად აინტერესებდა რეიტინგი, ყველას თავისი მიზანი ჰქონდა:

<sup>221</sup> „24 საათი“, 3.X.2005

შეგარდნადის რეჟიმს ხელისუფლების შენარჩუნება, დღევანდელ მთავრობას — არსებულის შეცვლა და ხელისუფლებაში მოსვლა. რეიტინგები ამ შემთხვევაში ინსტრუმენტი იყო“, — აღნიშნავს „გორბის“ პრეზიდენტი მერაბ ფაჩულია.<sup>222</sup>

რეიტინგებისადმი დამოკიდებულება არც „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ შეცვლილა და პოლიტიკოსებს ნაკლებადაა აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ სოციოლოგიური კვლევა ქვეყნის ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფისათვის კეთდება.

რეიტინგების თაობაზე დავა უკვე მწვავედ მიმდინარეობს. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ ვერ გაამართლა ვარდების რევოლუციის შემდეგ საზოგადოებაში აღძრული დიდი იმედები და მისი რეიტინგი მკვეთრად დაეცა. იენისის ბოლოს გამოქვეყნდა ამერიკული რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომლის თანახმად ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 60%-მდე არის შემცირებული. მაგრამ ოპოზიციამ ეს შედეგი სანდოდ არ მიიჩნია და აცხადებენ, რომ „ხელისუფლების რეიტინგი კატასტროფულად“ დაბალია. თავის მხრივ, ხელისუფლებაც არ იშურებს „ტკბილ სიტყვებს“ ოპოზიციის მისამართით და არსებულ ოპოზიციას სრულიად გაკოტრებულად აცხადებს. მაგალითად, ხელისუფლების ერთ-ერთი სახე გიგა ბოკერია აცხადებდა, რომ რუსთაველზე „მოჭიდავეთა აქციასთან“ ოპოზიციის შეერთებამ მისი რეიტინგი სრულიად გაანადგურა.

ჯერჯერობით, რიგი ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ერთ მათი აზრით საგანგაშო ფაქტზე — ხელისუფლების რეიტინგი მცირდება, მაგრამ ანალოგიურად არ იზრდება ოპოზიციური პოლიტიკური ძალების რეიტინგი. ანუ ხელისუფლებაზე გულაცრუებული ადამიანები ოპოზიციის ვერ პოულობენ პარტიას, რომელსაც თავისი ინტერესების გამომხატველად მიიჩნევენ. ამგვარი ვითარების საშიშროებას კი ის ქმნის, რომ უკმაყოფილების გაზრდის შემთხვევაში, მისი გამოხატვის ფორმები უკონტროლო შეიძლება გახდეს და სოციალურ აფეთქებამდე მიიყვანოს ქვეყანა. რეალობა კი ისაა, რომ ხელისუფლების რეიტინგის დაცემა დიდად არ აისახება ოპოზიციის რეიტინგის ზრდაზე. ანუ რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებაზე გულაცრუებული ადამიანები ჯერ ვერ პოულობენ იმ პოლიტიკურ ფიგურებს, რომელთაც გაჰყვებიან და მხარს დაუჭერენ.

2005 წლის ივლისში ამერიკელთა დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მხოლოდ 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შემდეგ მოხვდა ქართულ პრესაში.<sup>223</sup>

პარტიების საზაფხულო რეიტინგის სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ნაციონალური მოძრაობა — 38,5%;
2. მემარჯვენე ოპოზიცია — 5,6%;
3. კონსერვატორები — 4,1%;
4. ლეიბორისტები — 3,6%;
5. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 1,8%;
6. ბლოკი „თავისუფლება“ — 1,5%;
7. რესპუბლიკელები — 1%;
8. სხვები — 1,1%.

სახელისუფლო პარტიის რეიტინგი წინა გამოკითხვებთან შედარებით, მაგალითად 2004 წლის თებერვალთან შედარებით 20 პროცენტითაა შემცირებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად აღემატება ოპოზიციური პარტიების მაჩვენებლებს, თუნდაც ერთად აღებულს. გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ საპარლამენტო არჩევნების მოცემულ მომენტში ჩატარების შემთხვევაში 7 პროცენტიან ბარიერს ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ცალკე აღებული ვერ გადალახავდა.

## ○ საქართველოში პოლიტიკოსებისა და პარტიების დეფიციტია

საქართველოში უცნაური ვითარება იქმნება: ხელისუფლების რეიტინგი სწრაფად ეცემა, ამავე დროს ხელისუფლებაზე გულაცრუებული ადამიანები კრიტიკულად არიან განწყობილნი ოპოზიციის მიმართ — არც ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მოსწონთ და არც ოპოზიციის მყოფი მრავალრიცხოვანი პარტიები. საქართველოს პოლიტიკური სცენა გადაძეცილია პოლიტიკოსებით

<sup>222</sup> „ბასტა“, 24-30.VII.2005

<sup>223</sup> „ალია“, 11-12.X.2005

და პარტიებით, ასარჩევი კი, სამწუხაროდ, ბევრი არაფერია...

სოციოლოგიური კვლევების სააგენტოს „გორბის“ მონაცემების თანახმად, სახელისუფლო პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რიცხვი ნახევარი წლის მანძილზე თითქმის ორჯერ შემცირდა და დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს მმართველ პარტიას ამომრჩეველთა მხოლოდ 34,7% დაუჭერდა მხარს. ამასთან, 7%-იანი ბარიერის გადალახვის იმედი შეიძლება ქონოდა მხოლოდ ორ პარტიას — „ლეიბორისტებსა“ (7,2%) და „ახალ მემარჯვენებს“ (4,3% საქართველოში, 6,8% თბილისში). 1-დან 2 პროცენტამდე რეიტინგი აქვთ კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის „კონსერვატორებს“, „რესპუბლიკელებს“, რომლის ხელმძღვანელადაც ცოტა ხნის წინ დავით უსუფაშვილი აირჩიეს და ჯუმბერ პატიაშვილის „ერთობას“. გამოკითხულთა 47,9% კი აცხადებს, რომ არ იცის, თუ ვის მისცეს ხმა.

პარტიების ძალა საქართველოში, როგორც წესი, მის ლიდერშია. სწორედ ლიდერია ის ლოკომოტივი, რომელსაც პარტია ხელისუფლებისაკენ მიჰყავს. ასე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში. ამგვარი ლიდერი კი ხარიზმატული თვისებების მქონე უნდა იყოს. მართალია პრეზიდენტი სააკაშვილი მხარდამჭერებს კარგავს, მაგრამ დღეს რომ საპრეზიდენტო არჩევნები გამართულიყო, მას არ გაუჭირდებოდა გამარჯვება. მას მხარს დაუჭერდა ამომრჩეველთა 38,2% (თუმცა თბილისში მხოლოდ 30%). იგი მკვეთრად უსწრებს მომდევნო ადგილებზე მყოფ ნინო ბურჯანაძეს (7,1%) და შალვა ნათელაშვილს (5,4%). „თუ ხელისუფლებას რაიმე რეიტინგი აქვს, ეს მხოლოდ პრეზიდენტის ქარიზმის გამოა... პრეზიდენტის გარდა, მთავრობა, პარლამენტი და სხვა ყველა სტრუქტურა ანტიპათიას იწვევს. თუ ხელისუფლება კიდევ დიდხანს გაძლებს, მხოლოდ პრეზიდენტის ქარიზმის გამო“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი.<sup>224</sup> რამდენ ხანს გაძლებს პრეზიდენტის ქარიზმა ძნელი სათქმელია, რადგანაც მის შესანარჩუნებლად წარმატებები საჭირო, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. პრეზიდენტი ძირითადად საგარეო არენაზე იღწვის, ქვეყნის შიგნით არსებული სიძნელები და შესაძლო წარუმატებლობები კი შეუძლია მთავრობას დააკისროს.<sup>225</sup>

თუმცა, სააკაშვილის ხელისუფლების შერყევას ზოგი არც თვალსაწიერ მომავალში ელის. ძალზე შთამბეჭდავი იყო მათი ხელისუფლებაში მოსვლა და ამისათვის მედიატექნოლოგიების გამოყენება. „არჩევნების მოახლოების დროს ახალი პიარტექნოლოგიები ჩაირთვება და, თუ იქნება ხუთი ნაბიჯი უკან და ერთი ნაბიჯი წინ, ხელისუფლება აგიტაციას ამ ერთი ნაბიჯის გარშემო გაშლის და ხალხს თვალში ნაცარს შეაყრის. ხელისუფლებას პიარის საკითხებში არაფერი ეშლება. ჩვენი პრეზიდენტი პიარში გენიოსია“, — აცხადებს პარლამენტარი გიორგი ცანავა.<sup>226</sup> მედიატექნოლოგიები, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა, მაგრამ მარტო ამის იმედად დარჩენა დიდი ვერაფერი შედეგათაა.

ოპოზიციის მთავარი სისუსტე ისაა, რომ ვერ ახერხებენ გაერთიანებას და არც ის იციან, თუ რა ლოზუნგით დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას. ოპოზიციას არც გამოკვეთილი ქარიზმატული ფიგურები ჰყავს. „ძლიერი ოპოზიციის არსებობისათვის ქარიზმატული ლიდერი მართლაც აუცილებელია“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი გია ნოდია.<sup>227</sup> ოპოზიციას კი დღეს ქარიზმატული ლიდერები ფაქტობრივად არ ჰყავს.

სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით „ლეიბორისტთა“ მაღალი რეიტინგი მისი ლიდერის შალვა ნათელაშვილის დამსახურებაა. მაგრამ როგორც ლეიბორისტები, ისე მილი ლიდერიც ძნელია საერთაშორისო ლიდერის სტატუსით გამოვიდნენ. შალვა ნათელაშვილის გამოსვლები უფასო სამედიცინო მომსახურების, სწავლის, დაბალი კომუნალური გადასახადების თაობაზე ხალხის

<sup>224</sup> „ახალი თაობა“, 1.IV.2005

<sup>225</sup> პოლიტიკოსთა შორის საქართველოს მოქალაქეები კვლავ ყველაზე მეტად ენდობიან პრეზიდენტ სააკაშვილს, თუმცა მისი ნდობის რეიტინგი შემცირებულია. ასეთი სურათი გამოვლინდა გაზეთ „კვირის პალიტრას“ მიერ ორგანიზებულ გამოკითხვის დროს. კითხვას „რომელი პერსონა იმსახურებს თქვენს ნდობას ყველაზე მეტად?“ 801 რესპოდენტმა უპასუხა. რესპოდენტებს თითოეული პოლიტიკოსისადმი ნდობა 1-დან 10-ქულამდე უნდა შეეფასებინათ. გამოირკვა, რომ პირველ ადგილზეა მიხეილ სააკაშვილი 6,63 ქულით. მეორე ადგილზე კი აღმოჩნდა ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, ამასთან რესპოდენტთა 29%-მა მას მაქსიმალური ქულა მიაკუთვნა. ივანიშვილის ქულა 6,11 აღმოჩნდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 3. სალომე ზურაბიშვილი (5,81 ქულა), 4. ბადრი პატარკაციანი (5,66 ქულა), 5. ნინო ბურჯანაძე (5,62), 6. ირაკლი ოქრუაშვილი (5,03 ქულა), 7. კობა დავითაშვილი (4,88 ქულა), 8. კონსტანტინე გამსახურდია (2,78 ქულა), 9. შალვა ნათელაშვილი (2,48 ქულა).

<sup>226</sup> „ახალი თაობა“, 1.IV.2005

<sup>227</sup> „ხვალინდელი დღე“, 1.IV.2005

ძველი კომუნისტური დროის ნოსტალგიაზეა გათვლილი და ვერასოდეს იქცევა ქვეყნის აღმშენებლობის პოზიტიური პროგრამის საფუძვლად. შალვა ნათელაშვილი „უფრო პროტესტთან ასოცირდება, იზიდავს ადამიანების ჯგუფს, რომლებიც მუდმივად რაღაცას აპროტესტებენ. ჩემი აზრით, ხალხს უჭირს ლეიბორისტების მმართველ ძალად წარმოდგენა“, — აღნიშნავს გია ნოდია.<sup>228</sup>

კიდევ უფრო საინტერესოა „ახალი მემარჯვენეების“ მდგომარეობა. საერთოდ, მემარჯვენეობა რთულ საქმეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვევით ან ცოტა ზევით იმყოფება. ასეთ პირობებში მემარჯვენეთა რეიტინგი ქვეყნის მასშტაბით 4,3%-ია, თბილისში კი 7%-ს უახლოვდება. მაგრამ ეს არაა პარტიის დღევანდელი ლიდერის დავით გამყრელიძის დამსახურება, რომელსაც დღეს საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ამომრჩეველთა 1,2% დაუჭერდა მხარს.

ჯერჯერობით ამაოდ ცდილობს ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დამკვიდრებას გიორგი მაისაშვილი, რომლის პოლიტიკური და მით უმეტეს ეკონომიკური პროგრამა საზოგადოებისათვის გაუგებარი რჩება. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორი იქნება კონსტანტინე გამსახურდიას ადგილი. მართალია მას მამისაგან მოსდევს საჭირო ქარიზმა, მაგრამ პოლიტიკაში ფაქტობრივად გამოუცდელია. მის გამოჩენას ქართულ პოლიტიკურ სცენაზე, ალბათ, მორიგი საპარლამენტო არჩევნების მოახლოების დროს უნდა ველოდოთ.

წარსულის გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე თავად ხელისუფლების შიგნით ყალიბდებოდა ხოლმე, ოპოზიციაში გადადიოდა და უპირისპირდებოდა მას. სწორედ ეს გზა გაიარა დღევანდელმა ხელისუფლებამაც. დღეს სახელისუფლო ბანაკში ყველაზე „დიდი რეზერვი“ ოპოზიციისათვის ნინო ბურჯანაძეა. პარლამენტის თავმჯდომარე ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩრდილშია გადასული. რეალური ხელისუფლება პრეზიდენტსა და მის გარემოცვას აქვს. სამაგიეროდ, პასუხისმგებლობაც მათვე ეკისრებათ. სხვა საკითხია, მოინდომებს თუ არა ბურჯანაძე თავისი დღევანდელი თანაგუნდელების ოპონირებას.

## ○ 2006 წლის მაისი: საზოგადოების საარჩევნო განწყობა

ქართული საზოგადოება განებივრებული არ არის სოციოლოგიური კვლევებით, რომელთა საშუალებითაც ანალიტიკოსებს, პოლიტიკოსებს და საერთოდ, პოლიტიკით დაინტერესებულ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ იმსჯელონ მოცემულ მომენტში საზოგადოებაში არსებული განწყობისა და პოლიტიკური ტენდენციების თაობაზე. ამგვარი გამოკვლევების შედეგები დიდი დროითი ინტერვალებით ხდება ხოლმე საზოგადოებისათვის ცნობილი და მაშინვე დგება გამოქვეყნებული მონაცემების სანდოობის საკითხი. ამგვარი ეჭვების გამოორიცხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი რამდენიმე ერთმანეთის კონკურენტი კვლევითი სამსახური იარსებებდა, რომლებიც სისტემატიურად მიაწვდიდნენ საზოგადოებას თავიანთი კვლევების შედეგებს. თუმცა, მიუხედავად სანდოობის თაობაზე უკვე გამოთქმული ეჭვებისა, გამოქვეყნებული კვლევის შედეგები გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

გამოკითხვა, რომლის შედეგებიც ქართულ მედიაში გამოქვეყნდა 2006 წლის 1-15 მაისს ჩაატარა ანალიტიკურ-საკონსულტაციო ჯგუფმა „Prime Time“-მა საქართველოს 9 ქალაქში და 3 ათასი რესპოდენტი მოიცვა. გამოკითხვის მიზანი საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის შეფასება იყო. „ჩვენ შევისწავლეთ საქართველოში არსებულ განწყობათა მთელი სპექტრი. გამოიკვეთა ქვეყანაში არსებული ძირითადი ტენდენციები და ამ ტენდენციების ფონზე უცნაურად მეჩვენება ჩვენი პოლიტიკოსების დამოკიდებულება ელექტორატთან...მათ მიერ გაკეთებული განცხადებები ხალხში არსებულ მოლოდინებსა და მოთხოვნებს საერთოდ არ ემთხვევა. პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა არ იციან რისი მზაობაა ხალხში“, — აღნიშნავს „Prime Time“-ის ჯგუფის ხელმძღვანელი თაკო ფხაკაძე.<sup>229</sup>

აღნიშნული გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პრესაში მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია გამოკვლევის დამკვეთის თაობაზე. „სკანდალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მას

<sup>228</sup> „ხვალინდელი დღე“, 1.IV.2005

<sup>229</sup> „ახალი ვერსია“, 5-6.VI.2006



ყოველთვის მოუწევს დააკონკრეტოს, ვინ დაუკვეთა და ვინ დააფინანსა კვლევა? პოლიტიკოსები უკვე ალაპარაკდნენ. მაგალითად, ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ეს ჯგუფი პატარკაციშვილის ფინანსებით შეიქმნა, ოპოზიცია უმრავლესობისკენ იშვებს თითს“, — აღნიშნავს მაგალითად გაზეთი „ქრონიკა“.<sup>230</sup> გამოკითხვის შედეგების ობიექტურობას თავად აღნიშნული გაზეთიც ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა, ამგვარი მასალის ნაკლებობისა და იმავდროულად დიდი ინტერესის გამო დაწვრილებით განიხილავს გამოკითხვის შედეგებს.

„Prime Time“-ის გამოკვლევის მიხედვით გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები კი ასეთია: საზოგადოება აღარ არის რევოლუციური ნოტაზე, ხალხი სიტუაციას რეალურად აფასებს. საზოგადოებაში გამოიკვეთა რამდენიმე ძლიერი ლიდერი. მმართველი პარტიისა და პრეზიდენტის რეიტინგმა საკმაოდ დაიწია. ოპოზიციას შანსი აქვს, რომ ერთი ლიდერის გარშემო გაერთიანდეს და წამყვანი პოზიცია დაიკავოს. გამოკითხვის თანახმად, გაერთიანებულ ოპოზიციას ხელისუფლებასთან შედარებით რესპოდენტთა უფრო დიდი ნაწილი უჭერს მხარს. აღსანიშნავია ისიც, რომ ელექტორატი კვლავ ლიდერზეა ორიენტირებული და ლიდერის გარეშე ვერ ცნობს პარტიას. ქართულ ელექტორატს არ აინტერესებს არც პარტია და არც მისი საარჩევნო პროგრამა და ისინი ლიდერს მიჰყვებიან.<sup>231</sup>

გამოკითხვის მიხედვით, ქვეყანაში არსებული სიტუაციით დღეს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი არის კმაყოფილი. გამოკითხულთა 42,6% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია გაუმჯობესდა, 7,1%-ის აზრით კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გამოკითხულთა 15%-ის აზრით სიტუაცია გაუარესდა, 18,4%-ის აზრით მნიშვნელოვნად გაუარესდა, 13,8%-ის აზრით კი იგივე დარჩა. თუკი პოლიტიკის სფეროში მოსახლეობის ნახევარი ინარჩუნებს ოპტიმიზს, საგანგაშოა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. გამოკითხულთა 2,6% ამბობს, რომ მას შემოსავალი საშუალოზე მაღალი აქვს. 49,3% აცხადებს, რომ მისი შემოსავალი საშუალოზე დაბალია, 47,2%-ის აზრით კი მას საშუალო შემოსავალი აქვს. აქ საქმე ისაა, თუ რა იგულისხმება „საშუალო“ შემოსავალში. ამაში, სავარაუდოდ, რესპოდენტები საარსებო მინიმუმზე ზევით ყოფნას და პირველი მოხმარების საგნების შეძენის შესაძლებლობას გულისხმობდნენ.<sup>232</sup>

გამოკითხულთა 41,6%-ის აზრით, საქართველოში არც ისე კარგი პირობებია ბიზნესის განვითარებისათვის, 36,6%-ის აზრით კი პირობები ცუდია და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ასეთი შეფასება ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკისადმი საზოგადოებაში არსებულ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

პოლიტიკურ ლიდერთა შორის, მართალია მნიშვნელოვნად შემცირებული რეიტინგით, მაგრამ მაინც მიხეილ სააკაშვილი ლიდერობს. ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს მიხეილ სააკაშვილს გამოკითხულთა 33,3% დაუჭერდა მხარს. მას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ოპოზიციის კანდიდატები: კობა დავითაშვილი (7,7%), სალომე ზურაბიშვილი (7,5%), შალვა ნათელაშვილი (7,3%). თუმცა, ყველაზე მაღალი რეიტინგი მიხეილ სააკაშვილის შემდეგ აქვს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს (8,9%), ასევე მაღალია ნინო ბურჯანაძის რეიტინგიც (6,8%). დღეს პოლიტიკაში აქტიურად მოქმედ დავით გამყრელიძეს მხოლოდ გამოკითხულთა 2,8% უჭერს მხარს, ხოლო იგორ გიორგაძეს 1,1%. თავიანთ ამგვარ შედეგებს, ცხადია ისინი ეჭვქვეშ დააყენებენ გამოკითხვის შედეგებს.

მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების წინ ყველაზე საინტერესოა თბილისის მერის არჩევის საკითხი. მით უმეტეს, რომ ქალაქის მერი, ბევრის მიერ პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება. გამოკითხულთა 90,2% აცხადებს, რომ თბილისის მერი ხალხის მიერ პირდაპირ უნდა იყოს არჩეული. არ გამორიცხავენ, რომ ხელისუფლება ამ საკითხში დათმობაზე წავიდეს, მით უმეტეს თუკი თავისი კანდიდატის გამარჯვების შანსი ექნება. ჯერჯერობით კი თბილისის მერის პოსტზე ყველაზე მაღალი შანსი სამ პიროვნებას აქვს: გიგი უგულავას (22,0%), სალომე ზურაბიშვილს (20,0%) და ლევან გაჩეჩილაძეს (18,4%). შემდეგ მოდის შალვა ნათელაშვილი (11,3%), დავით გამყრელიძე (4,8%) და კობა დავითაშვილი (3,2%). წესით, თუკი ოპოზიცია ერთიანი კანდიდატით გამოსვლას მოახერხებს, მათ გამარჯვების რეალური შანსი ექნებათ.

<sup>230</sup> „ქრონიკა“, 5-11.VI.2006

<sup>231</sup> „ახალი ვერსია“, 5-6.VI.2006

<sup>232</sup> „ახალი ვერსია“, 5-6.VI.2006

## თავი XIV. ხელისუფლება და ოპოზიცია

### ○ ხელისუფლება და ოპოზიცია: ურთიერთობის კონფრონტაციული მოდელი

2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს შესახებ საგანგებოდ მითითებულია ქვეყანაში ოპოზიციის სისუსტეზე. ეს მიჩნეულია სერიოზულ საფრთხედ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის პროექტში თავდაპირველად ლაპარაკი იყო ოპოზიციის არარსებობაზე, მაგრამ შემდეგ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალისხმევით ოპოზიციის „არარსებობა“ შეიცვალა „სუსტი ოპოზიციის“ არსებობის აღნიშვნით.<sup>233</sup> ანუ თავად ხელისუფლება დაინტერესებული ქვეყანაში ოპოზიციის არსებობაზე მითითებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის დემოკრატიულობას ბევრი ვერაფრით დაადასტურებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის სისუსტესთან დაკავშირებით მხრებს იჩენენ — რა ჩვენი ბრალია, ხალხმა ჩვენ დაგვიჭირა მხარიო. სააკაშვილმა განაცხადა კიდევ, რომ ხელისუფლება ოპოზიციის კლონს ვერ შექმნის. ვარდების რევოლუციამ მართლაც მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკურ არენაზე მოქმედი სუბიექტები: გაქრა ყოფილი სახელისუფლო პარტიები „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“, რომლებიც მანამდე დომინირებდნენ პოლიტიკურ არენაზე. მკვეთრად დაეცა ყველა იმ პარტიის რეიტინგი, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს ვარდების რევოლუციაში. „ახალ მემარჯვენეს“ კი იმ ფაქტს, რომ ისინი შევარდნაძის პარლამენტის ბოლო სხდომს დაესწრნენ, კიდევ ბევრჯერ წამოაძახებენ. რევოლუციური ეიფორიის პირობებში ჩატარებულმა 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებმა დამაჯერებელი გამარჯვება რევოლუციის შედეგად მოსულ ხელისუფლებას მოუტანა.

„ვარდების შოკის“ შემდეგ, როდესაც ხალხისთვის ერთბაშად გაქრა მხედველობის არეიანი ოპოზიციური სპექტრი და მთელი იმედი ხელისუფლებაში მოსულ ძალებზე დაამყარეს, ვითარება შესამჩნევად შეიცვალა. ოპოზიცია გააქტიურებას მხოლოდ ახლა იწყებს და ცდილობს ხელისუფლებას თავისი ძალა დაანახოს. ხელისუფლების დემოკრატიულობის იმიჯი კი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ააგებს ოპოზიციასთან ურთიერთობას

ოპოზიციას თავისი ძალების შემოწმების შესაძლებლობა პირველ რიგში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს მიეცემა. საქართველოში ადგილობრივ არჩევნებში, ტრადიციულად, ოპოზიცია აღწევს ხოლმე მნიშვნელოვან წარმატებებს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო შევარდნაძის მმართველობის დროს 1998 და 2002 წლებში. ამჯერადაც ხელისუფლებას გაუჭირდება 2004 წლის 28 მარტს დაფიქსირებული შედეგების გამეორება.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები დღეს მხარდამჭერების ძიებაში არიან. პარტიების ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი საქართველოში მათი მცირერიცხოვნება და რეალური ადგილობრივი ორგანიზაციების არქონაა. პარტიები ძირითადად არჩევნების პერიოდში ააქტიურებენ თავისი რეგიონული სტრუქტურების მუშაობას.

ოპოზიციის სისუსტეს ისიც განაპირობებს, რომ მათ არ იციან თუ დღეს „ვინ რას წარმოადგენს“. არ არის გარკვეული „მთავარი ოპოზიციური ძალის“ სტატუსი. ვის განიხილავს ხელისუფლების მთავარ ოპონენტად ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც „ხელისუფლების წინააღმდეგ“ დააპირებს ხმის მიცემას. ამ მხრივ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთმანეთს მკაცრ კონკურენციას გაუწევს. კონკურენტებს, პირველ რიგში, „ყალბი ოპოზიციის“ იარლიყით დაამშვენებენ. ამ დავის თავისებური შეჯამება კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები იქნება.

ოპოზიცია ჯერ ჩამოყალიბებისა და გადაჯგუფების სტადიაშია. მთავარი კი ისაა, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კვლავ ურთიერთობის კონფრონტაციული მოდელია. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ოპოზიციისადმი დამოკიდებულება, როგორც წესი, ცინიკური და დამცინავია. მაგალითად, პრეზიდენტის დახასიათებით გამყრელიძემ „ყველაზე მეტად გააჩმახა“, მემარჯვენეები „შევარდნაძის ხელისუფლების ნარჩენები“ არიან და მათ „თავის მუცელზე და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვის გარდა, არაფერზე უფიქრიათ“.<sup>234</sup> თუმცა, ხელისუფლებას

<sup>233</sup> „ახალი ვერსია“, 2-3.II.2005

<sup>234</sup> „24 საათი“, 11.II.2005

არც ოპოზიცია რჩება ვალში. თუ გამყრელიძე ცდილობდა თავისი გამოსვლისათვის პარლამენტში კრიტიკულ-კონსტრუქციული ხასიათი მიეცა, არასაპარლამენტო ოპოზიცია სააკაშვილს ვალში არ დარჩენია და დამცინავი ეპითეტები არ დაუკლია. როგორც ჩანს, ხელისუფლება და ოპოზიცია ურთიერთობას იმავე სტილში გააგრძელებს, თუმცა იმასაც ვერავენ უარყოფს, რომ ეს დიდად ვერ უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ფორმირებას და დესტაბილიზაციის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

ხელისუფლების მხრიდან დამოკიდებულება აგრესიული და ცინიკურია. ხელისუფლებას ვალში არც ოპოზიცია რჩება. ძლიერი კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობის გარეშე დემოკრატია საქართველოში ვერ შედგება. ოპოზიციის კონსტრუქციულობა ხელისუფლებაზეც არის დამოკიდებული. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის უკვე ტრადიციად ქცეული კონფრონტაციული მოდელი კი დესტაბილიზაციის საფრთხეს შეიცავს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის გარეშე ძალების ჩარევისათვის.

ექსპერტები არ გამორიცხავენ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის რიგი ოპოზიციური პარტიების ერთიან საარჩევნო ბლოკად გაერთიანებას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი არჩევნები ერთგვარი ტესტის როლს ასრულებდა ხოლმე ძლიერი და სუსტი ოპოზიციური პარტიების გამოსავლენად.<sup>235</sup> ამდენად, მათ ცალ-ცალკე შეიძლება სცადონ ადგილობრივი არჩევნების დროს არსებული 4%-იანი ბარიერის გადალახვა. თუმცა, ამ შემთხვევაში რისკი ძალზედ დიდია. არავენ იცის, რეალურად, რა რეიტინგი გააჩნიათ ოპოზიციურ პარტიებს, ისიც ძნელი სათქმელია, თუ როგორ ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები. ადგილობრივ არჩევნებში ცალ-ცალკე გამოსვლით ოპოზიციურ პარტიებს საშუალება ექნებათ შეამოწმონ თავიანთი ძალა, თუმცა დიდი შანსია იწვინონ დამარცხების სიმწარეც.

ასე რომ ხელისუფლების რეიტინგის დაცემა არ ნიშნავს ავტომატურად ოპოზიციური პარტიების რეიტინგის ზრდას. პოლიტიკურ პარტიებზე გულის აცრუება თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობის დამახასიათებელი ნიშანია. „არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის იმედი არ მაქვს. ერთიც მაიმუნია და მეორეც. არ წავალ არჩევნებზე, როდის ჰქონდა არჩევნებს აზრი“, — განუცხადა ერთ-ერთმა რესპოდენტმა ჟურნალისტს, როდესაც ეს უკანასკნელი ცდილობდა გამოერკვია, თუ რას ფიქრობენ რიგითი ადამიანები მოახლოებული შუალედური არჩევნების შესახებ.

ამ განწყობას ასახავს ადგილობრივ მედიაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად „საქართველოში პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს“ და „პოლიტიკური სპექტრი მოკვდა“, რომელიც „ხელახლაა შესაქმნელი“. თუმცა, ამგვარ მოსაზრებებს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ ეს ვერსია ხელისუფლების დაკვეთით ვრცელდება. „განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი არ არსებობს, შორს არის რეალობისგან. ხელისუფლების სურვილია, საქართველოში პოლიტიკური პარტიები არ არსებობდნენ“, — აღნიშნავს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა.<sup>236</sup>

იგივეს იმეორებს „21-ე საუკუნის“ ერთ-ერთი ლიდერი ანზორ აბრალავა. მისი თქმით, „ხელისუფლება შეგნებულად ეწევა პროპაგანდას, პოლიტიკური სპექტრი არ არისო. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის დიდი ხნით არის მოსული და ამტკიცებს, ჩვენი მმართველი პარტიის გარდა არავენ არსებობს ან, თუ არსებობს, იმას ჩვენ ვჯობივართო“. აბრალავას თქმით, ეს საშიში პროპაგანდაა და ფაქტობრივად ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ჩვენში ერი და საზოგადოება არ არსებობს. ისე, საქართველოში იყო პერიოდი, როცა ერთი პარტია არსებობდა, ის პარტია აცხადებდა, რომ ხალხის ინტერესებს სრულად გამოხატავს და სხვა პარტიები არათუ საჭირო არაა, „ხალხისა და ქვეყნის მტრებს“ წარმომადგენდნენ. ლაპარაკი იყო „შიდაპარტიულ დემოკრატიაზე“, მაგრამ შემდეგ ყოველივე ამას ტოტალიტარიზმი ეწოდა.

ოპოზიციის სისუსტეს დასავლეთელი მეგობრები საქართველოში დემოკრატიის სისუსტის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევენ. ხელისუფლება მხრებს იჩეჩავს და აცხადებს — რა ჩვენი ბრალია, თავად არიან სუსტები, ხალხს არ მოსწონსო. ისიც ცხადია, რომ ხელისუფლება არ აპირებს ოპოზიციისათვის „სასათბურე პირობების“ შექმნას. უფრო პირიქით, ოპოზიცია საუბრობს ხელისუფლების მხრიდან შევიწროების პოლიტიკაზე.

<sup>235</sup> „ახალი თაობა“, 8.VI.2005

<sup>236</sup> „ახალი თაობა“, 5.VIII.2005

პოსტრევოლუციური ეიფორიის გავლა, ხელისუფლებისადმი კრიტიკული განწყობის ზრდა, სახალხო აქციები, რომლის საფუძველი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებია, არჩევნების მოახლოება — ეს ყველაფერი ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს გააქტიურებისკენ უბიძგებს.

## ○ ხელისუფლების რეიტინგი შემცირდა, მაგრამ ოპოზიცია კონკურენციას მაინც ვერ უწევს

საქართველო განებივრებული არაა რეიტინგებით, ამიტომ საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია „გორბის“ მიერ 15 დეკემბერს გამოქვეყნებულმა პოლიტიკოსებისა და პარტიების რეიტინგმა მაშინვე მიიქცია მედიისა და პოლიტიკოსების ყურადღება და მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა. ეს გასაგებიცაა, „გორბის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მაინც მკვეთრად აღემატება სხვა პოლიტიკოსებისა და პარტიების რეიტინგს.

„გორბის“ კვლევები საქართველოს მასშტაბით (კონფლიქტური ზონების გარდა) დეკემბრის დასაწყისში ჩატარდა. გამოკითხა 1000 ზრდასრული რესპოდენტი. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 63%. ეს მაჩვენებელი მცირე არ არის და აღემატება, მაგალითად, უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტების ანალოგიურ მაჩვენებლებს თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ საქმე ისაა, რომ სააკაშვილის საქმიანობას შარშან დადებითად აფასებდა გამოკითხულთა 87%. ანუ ერთ წელიწადში მისი „დადებითი საქმიანობის რეიტინგი“ 24 %-ით შემცირდა.

საგულისხმოა ხელისუფლების სხვა პირველი პირების საქმიანობის შეფასების რეიტინგიც: პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 52%, ხოლო პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის საქმიანობას დადებითად მიიჩნევს მხოლოდ 29%, უარყოფითად კი 47%.<sup>237</sup> ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე პასუხისმგებელი ხალხის თვალში პრემიერ-მინისტრია. მართლდება ვარაუდი იმის თაობაზე, რომ პრემიერ-მინისტრი თავისებური „მეხამრიდის“ როლს შეასრულებს პრეზიდენტისთვის და თავის თავზე მიიღებს უკმაყოფილებას სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

„გორბის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს, სააკაშვილი კვლავ უალტერნატივოა. გამოკითხულთა 60% ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილს მისცემს ხმას. პრეზიდენტობის სხვა სავარაუდო კანდიდატები მას შორის ჰყავს ჩამოტოვებული: კობა დავითაშვილს გამოკითხულთა 5% მისცემდა ხმას, 4-4 პროცენტი მხარს დაუჭერდა მხარს, პარლამენტის თავმჯდომარის „საპრეზიდენტო“ რეიტინგი მხოლოდ 3%-ს შეადგენს. შემდეგ კი მოდის 1%-იანი მხარდაჭერის მქონე პრეზიდენტობის კანდიდატები: ჯუმბერ პატიაშვილი, იგორ გიორგაძე, კონსტანტინე გამსახურდია და დავით გამყრელიძე. გამოკითხულთა 5% სხვა კანდიდატების მხარდაჭერას ამჯობინებს, ხოლო 15 პროცენტი არც ერთ პოლიტიკოსს არ მისცემდა ხმას.

საინტერესოა პოლიტიკური პარტიების რეიტინგიც. კვლავ ლიდერობს „ნაციონალური მოძრაობა“. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს მასში გამოკითხულთა 75% მიიღებდა მონაწილეობას, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ მათგან 48% მისცემდა ხმას. სხვა პარტიები კი არსებულ 7%-იან ბარიერს ვერ გადალახავდნენ: ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს კონსერვატიულ პარტიას, რომელსაც გამოკითხულთა 6%-მა დაუჭირა მხარი, შემდეგ მოდის ლეიბორისტული პარტია (5%), რესპუბლიკური პარტია (4%), ახალი მემარჯვენეები (3%), ბლოკი „გაერთიანებული დემოკრატიები“ (3%) და „მრეწველობა გადაარჩინოს საქართველოს“ (2%). არის ასევე 1%-იანი მხარდაჭერის მქონე პარტიები: „თავისუფლება“, „სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა“ და „დემოკრატიული ფრონტი“. სამაგიეროდ ამომრჩეველთა 26% არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ მისცემდა ხმას.

გამოკვლევა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ 7%-იანი ბარიერი ძალზედ მაღალია და ერთპარტიული პარლამენტის მიღების ძალზედ დიდ რისკს შეიცავს. აღნიშნული საფრთხის შესამცირებლად ან პარტიებმა უნდა მოახერხონ გაერთიანება (რაც საქართველოს პირობებში იოლ

<sup>237</sup> „რეზონანსი“, 23.XII.2005

საქმეს არ წარმოადგენს), ან უნდა შემციროდეს ბარიერი 5%-მდე, რაც თავიდან გათვალისწინებული იყო 1995 წლის კონსტიტუციით. თუმცა, სავსებით შესაძლებელია 4%-იანი ბარიერის არსებობაც. ევროსაბჭო დიდი ხანია ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას ბარიერის შემცირებას, მაგრამ ჯერჯერობით ამას შედეგი არ მოჰყოლია.

„გორბის“ შესანიშნავ შედეგულში შედიან ის ადამიანები, რომლებიც, გამოკითხულთა აზრით, შეძლებენ კორუფციასთან ბრძოლას და რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ შედეგულში სააკაშვილის პროცენტულმა მაჩვენებელმა 2004 წელთან შედარებით საგრძნობლად დაიწია, მაგრამ შედეგულის სათავეში რჩება. გამოკითხულთა 42% ფიქრობს, რომ პრეზიდენტს შეუძლია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და რეფორმების გატარება. დანარჩენი სია კი ასე გამოიყურება: ირაკლი ოქრუაშვილი (20%), ნინო ბურჯანაძე (19%), კობა დავითაშვილი (13%), სალომე ზურაბიშვილი (11%), ლევან ბერძენიშვილი (6%). შედეგულში მოხვდა, ასევე ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი (7%).<sup>238</sup>

„გორბის“ გამოკითხვა აჩვენებს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილისა და მისი პარტიის მიერ მოპოვებული დომინირებული მდგომარეობა ქართულ პოლიტიკაში დღესაც შენარჩუნებულია და ოპოზიციას არ შეუძლია არც ცალკეული პოლიტიკოსებისა და არც პარტიების დონეზე მასთან კონკურენცია. თეზისი „სუსტი ოპოზიციის“ შესახებ გამოკითხვით კვლავ დასტურდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად „გორბის“ გამოკითხვას არ ენდობიან ოპოზიციური პარტიები. ამ მხრივ, ტრადიციულად, ყველაზე ხმამაღალ განცხადებებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აკეთებს.

შალვა ნათელაშვილი სოციოლოგიური კვლევების ცენტრ „გორბის“ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების რეიტინგების გაყალბებაში ადანაშაულებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ნათელაშვილმა განცხადებით მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს მიმართა. ნათელაშვილი ამტკიცებს, რომ „გორბის“ გაყალბებული რეიტინგების გამოქვეყნება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაუკვეთა. ამის მიზეზი დეკემბრის დასაწყისში დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევის ჯგუფის მიერ გავრცელებული შედეგები გახდა, რომლის თანახმადაც სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის რეიტინგი 16%-ს არ აღემატებოდა.<sup>239</sup> ნათელაშვილის განცხადებით, ყალბი გამოკითხვის ჩასსატარებლად “50-50 ათასი აშშ დოლარი გადაიხადეს კახა ბენდუქიძემ, ძმებმა ბეჟუაშვილებმა, ნინო ბურჯანაძემ და ხელისუფლების სხვა ფავორიტებმა”.<sup>240</sup>

კარგი იქნება, რომ ქვეყანაში მსგავსი კვლევების შედეგები უფრო ხშირად ხდებოდეს ცნობილი საზოგადოებისთვის და იყოს რამდენიმე ერთმანეთის კონკურენტი კვლევითი ცენტრი, რაც შედეგების გადამოწმებას გახდის შესაძლებელს და გამოქვეყნებული რეიტინგების მიმართ ნდობასაც აამაღლებს.

## ○ ოპოზიცია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია

პენსიებთან დაკავშირებით პარლამენტში გამართულმა დებატებმა და პენსიონერთა აქციებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ოპოზიცია კვლავ სუსტი და დაქსაქსულია. რევოლუციური ეიფორიის გავლისა და ხელისუფლების რეიტინგის დაცემის მიუხედავად ოპოზიციამ ვერ მოახერხა ე.წ. საპროტესტო ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვება. ხელისუფლებით იმედგაცრუებული ადამიანების უმრავლესობა ახალი ხარიზმატული ლიდერისა და ახალი პოლიტიკური გაერთიანების გამოჩენას ელის. ამგვარი მოთხოვნილება განსაკუთრებით მკაფიო მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ გახდება.

საქართველოში ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის სისუსტეზე დიდი ხანია მიდის საუბარი. მართალია რევოლუციურმა ეიფორიამ გაიარა და ხელისუფლების რეიტინგიც დაღმავალ გზას დაადგა, მაგრამ ოპოზიციას სერიოზული პრობლემები აქვს გადასალახი.

პირველ რიგში, ოპოზიცია კვლავ დაქსაქსულია და გაერთიანებას ვერ ახერხებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ერთმანეთთან იდეურად და პოლიტიკურად ახლო მდგომი ჯგუფების

<sup>238</sup> „რეზონანსი“, 23.XII.2005

<sup>239</sup> „რეზონანსი“, 23.XII.2005

<sup>240</sup> „ახალი თაობა“, 23.XII.2005

შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა. მაგალითად, სახელისუფლო „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თანამებრძოლები — „რესპუბლიკელები“ და „კონსერვატორები“ ერთიანი პოზიციით გამოსვლას ვერ ახერხებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ იდეურად მათთან ახლო მდგომ „ახალ მემარჯვენეებზე“. უფრო მეტიც, ამ რამდენიმე ხნის წინ „მრეწველებმა“ უარი თქვეს „მემარჯვენეებთან“ გაერთიანებაზე და დამოუკიდებელი პარტიული სტრუქტურები აღადგინეს.

გარდა დაქსაქსულობის ჩვეული სენისა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებით, დღევანდელ ოპოზიციას არ ყავს მოკავშირე ხელისუფლებაში. მაშინ ოპოზიციაში გადასულ ყვანიასა და სააკაშვილის გუნდებს მრავლად ჰყავდა ფარული თუ აშკარა მხარდამჭერები სახელისუფლო გუნდში. ამან ხელი შეუწყო ვარდების რევოლუციის გამარჯვებასაც. დღეს სააკაშვილის ხელისუფლება უფრო მონოლითურია და ოპოზიციასთან თანამშრომლობას არავის აპატიებს.

გარდა ამისა, დღევანდელი ხელისუფლება უფრო „მკაცრად“ ადევნებს თვალს ბიზნესმენებს და მათი მხრიდან ოპოზიციის დაფინანსებას არ შეურიგდება. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები უჩივიან, ის ბიზნესმენები, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ, პრობლემებს აწყდებიან საგადასახადო სამსახურის მხრიდან. გარდა ამისა, „ფინანსურმა კონტრიბუციებმა“ სერიოზულად შეარყია, ან საერთოდ ქვეყნიდან გააქცია ძველი ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთაც თავიანთი ფული ოპოზიციის დასაფინანსებლად შეიძლება გამოეყენათ.

დღევანდელ ოპოზიციას ნაკლებად მიუწვდება ხელი ტელევიზიაზე. წამყვანი ტელეარხები ან პირდაპირ კონტროლდება ხელისუფლების მიერ, ანდა მისდამი ლოიალურად არის განწყობილი. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა როლი შეასრულა ვარდების რევოლუციაში „რუსთავი-2“-მა. დღევანდელ ოპოზიციას ამგვარ სატელევიზიო მხარდაჭერაზე ოცნებაც კი არ შეუძლია.<sup>241</sup>

„შეძლებულ“ ოპოზიციურ პარტიებს — „მრეწველებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ სწორედ იმის გამო, რომ იქ ბიზნესმენები არიან გაერთიანებულნი, სწორედ თავისი ბიზნესის გამო უხდებათ ანგარიში გაუწიონ ხელისუფლებას და მასთან „რადიკალურად დაპირისპირებულნი“ ვერ იქნებიან.

ოპოზიციური პარტიების სერიოზულ ნაკლად ისიც მიიჩნევა, რომ მათ ძლიერი პარტიული ორგანიზაციები არ გააჩნიათ და აქტიურდებიან მხოლოდ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ანდა კრიზისულ სიტუაციებში. ანუ ოპოზიციურ პარტიებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგია და იმედს ხელისუფლების შეცდომებზე ამყარებენ.

არსებული ოპოზიციური პარტიების წარმატების შანსს ისიც ამცირებს, რომ ელექტორატი მათ კარგად იცნობს და მათ მიმართ პოზიტიური განწყობის სწრაფი ზრდა მოსალოდნელი არ არის. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელისუფლო პარტიის რეიტინგის დაცემის პარალელურად, არ შეინიშნება ოპოზიციური პარტიების რეიტინგის შესაბამისი ზრდა. ხელისუფლებაზე გულაცრუებული „პროტესტული ელექტორატი“ ახალი ხარიზმატული ლიდერისა და ახალი პოლიტიკური პარტიის გამოჩენას უცდის. ეს კარგად გამოჩნდა სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციაში გადასვლის პირველ ხანებში. შეძლებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი ახალი საერთაოეროვნული ქარიზმატული ლიდერის როლის შესრულებას, ეს უკვე სხვა საკითხია.

ოპოზიციაზე საუბრის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ორი, ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული ოპოზიციური დაჯგუფება. ოპოზიციის ნაწილი დასავლეთისკენ იყურება და ხელისუფლებას უფრო თანმიმდევრული პროდასავლური კურსისა და რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდებს. ოპოზიციის მეორე ნაწილი კი პრორუსული ორიენტაციისა და რეალურად, ქვეყნის დასავლეთისაგან დისტანცირებას ცდილობს. ამ მხრივ ყველაზე რადიკალურად პრორუსულია იგორ გიორგაძის „სამართლიანობა“, რომელშიც ჯემალ გოგიტიძის გამოჩენასთან ერთად, ასლან აბაშიძის გარემოცვაც მოიაზრება. ამ გაერთიანებას არანაირი „საარჩევნო პერსპექტივა“ არა აქვს, ამიტომ გათვლა პირდაპირ კეთდება ახალი რევოლუციის მოწყობაზე, ამჯერად უკვე რუსეთიდან წამოსული მხარდაჭერითა და ფინანსებით.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების მორიგი რაუნდი უკვე 2006 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაა მოსალოდნელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ოპოზიცია თავის რიგებს „წესრიგში მოიყვანს“ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადება.

<sup>241</sup> „ახალი თაობა“, 8.XII.2005

## ○ ოპოზიციის მემორანდუმი

ოპოზიცია ხელს აწერს საგანგებო მემორანდუმს, რომელიც დასავლეთის ყველა საელჩოს და საერთაშორისო ორგანიზაციის სათავე ოფისს დაეგზავნება. „ოპოზიციური კონსენსუსი“ იმ საფრთხის აღწერის თაობაზე შეიქმნა, რაც ქვეყანაში დემოკრატიის მიღწევებს ხელისუფლების მხრიდან ემუქრება. „საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას მივაპყრობთ იმ უაღრესად შემაშფოთებელ ვითარებას, რაც ქვეყანაში შეიქმნა“, — ნათქვამია მემორანდუმში.<sup>242</sup> როგორც ქართულ მედიაში აღინიშნება. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა კომენტარები „დიპლომატიური“ იყო. ისინი აცხადებენ, რომ საქართველომ დემოკრატიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, თუმცა არის გარკვეული პრობლემები, რომლებიც, იმედია, მალე მოგვარდება.<sup>243</sup>

24 მარტს მემორანდუმს ხუთმა პარტიამ — ლეიბორისტებმა, რესპუბლიკელებმა, კონსერვატორებმა, მემარჯვენე ოპოზიციამ და „თავისუფლებამ“ მოაწერა ხელი.<sup>244</sup> „ჩვენ ამ მემორანდუმით დიპლომატებს და საერთაშორისო თანამეგობრობას ვუთხარით, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, — აცხადებს შალვა ნათელაშვილი.<sup>245</sup> მემორანდუმს შეუერთდნენ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. „ეს პირველი შემთხვევაა, როცა ძირითადი მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა და ადამიანის უფლებათა-დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ დოკუმენტზე თანხმდებიან“, — აღნიშნავს ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე.<sup>246</sup>

„მემორანდუმი“ გამოხატავს არა მთელი ოპოზიციის, არამედ ძირითადად მისი პროდასავლური ნაწილის პოზიციას. ისიც ნაწილობრივ, რადგანაც მემორანდუმის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა სალომე ზურაბიშვილმა მას პროტესტის ნიშნად ხელი არ მოაწერა. დემოკრატიული ოპოზიციის აზრით, „საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება აყალიბებს უსამართლო, საკუთარი მოსახლეობის მოძულე და თავისი მოქალაქეებისადმი ყოველგვარ ტოლერანტობას მოკლებულ რეჟიმს, რაც მოსახლეობაში იმედგაცრუებასა და უსამართლობის განცდას ბადებს“. შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავალი კი სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრის, კერძო სექტორის, მასმედიის, ოპოზიციური პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების „ერთიანი, კოორდინირებული მოქმედება ხელისუფლების უკანონო და რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ“. ეს მოქმედება უნდა გამოიხატოს „საერთო-სახალხო თანადგომასა და სოლიდარობაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა საჭირობოროტო საკითხზე“.

გარდა ამისა, დემოკრატიული ოპოზიციის აზრით, შექმნილ სიტუაციაში „უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოებრივი ძალისხმევა საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების დაცვისა და განმტკიცების საქმეში, რაც შესაძლებელს გახდის არასასურველი პოლიტიკური პროცესების თავიდან აცილებას და ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულ სტაბილურ ქვეყნად“.<sup>247</sup>

სწორედ ამიტომ ოპოზიციამ მემორანდუმი საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლებს გააცნო. მაგრამ ოპოზიციის გადაწყვეტილებით დახურულ შეხვედრაზე მიწვეული არ იყო დსთ-ს ქვეყნების ელჩები, აშშ-ის ელჩი ამ დროს აჭარაში იმყოფებოდა, ასე რომ ოპოზიცია მხოლოდ ევროპელ დიპლომატებს შეხვდა.<sup>248</sup> ეს ხომ ძირითადად, ის ძალებია, რომლებიც ვარდების რევოლუციის დროს ხელისუფლების გვერდით იდგნენ. როგორია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ოპოზიციური ხედვა და შეფასება?

პირველ რიგში ოპოზიცია ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალ ფაქტზე: სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობა, დაკავებულთა წამება და ფიზიკური შეურაცხყოფა, პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა რეპრესიები,

<sup>242</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 25.III.2006

<sup>243</sup> „24 საათი“, 25.III.2006

<sup>244</sup> „რეზონანსი“, 25.III.2006

<sup>245</sup> „ახალი თაობა“, 25.III.2006

<sup>246</sup> „ახალი თაობა“, 25.III.2006

<sup>247</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 25.III.2006

<sup>248</sup> „ალია“, 25-27.III.2006

მასმედიის საშუალებებისა და ჟურნალისტების შევიწროება, მოქალაქეთა კერძო საკუთრების უფლებათა ხელყოფა, მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი პირობების შექმნა.

„მემორანდუმში“ უარყოფითადაა შეფასებული 2005 წელს განხორციელებული უშიშროების სამინისტროს შერწყმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რითაც მიიღო გაუმართლებლად გაზრდილი და პრაქტიკულად უკონტროლო უფლებამოსილება. ოპოზიციისთვის შემაშფოთებელია ისიც, რომ აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა არაერთხელ მოუწოდეს სამართალდამცავებს საეჭვო პირთა ადგილზე ლიკვიდაციისაკენ. უდანაშაულობის პრეზუმფციის, კონსტიტუციური უფლების უგულვებელყოფით დაინერგა ე.წ. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პროცედურა

ადამიანის უფლებათა მრავალრიცხოვანი დარღვევებიდან განსაკუთრებით გამოყოფილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ სანდრო გვირგვლიანის მკვლელობა და უცნობი შეიარაღებული ფორმირების მიერ პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ცემა, რაც მის მიერ პრეზიდენტის მიმართ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებს მოჰყვა.

„მემორანდუმში“ აღნიშნულია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ქონების უკანონო გზით დაგროვების ტენდენციისაზეც. კერძოდ, მრავალრიცხოვანია შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირების მიერ იძულებით შანტაჟის გზით ხორციელდება საწარმოებიდან მეწარმეთა კუთვნილი წილის გადაფორმება და მისაკუთრება. ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის პროცესი გამჭვირვალედ არ მიმდინარეობს, ხდება საეჭვო რეპუტაციის კომპანიების ლობირება, რაც იწვევს არაჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნას, ბაზრის მონოპოლიზაციას, ფასების ხელოვნურ ზრდას და უმუშევრობას. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

მემორანდუმში „ამკარად რეაქციულ ნაბიჯად“ არის მიჩნეული ხელისუფლების მიერ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რითაც დაირღვა ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი, ხოლო სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით მნიშვნელოვნად იქნა იგნორირებული სასამართლო პროცესებზე მხარეთა თანასწორობა და შევიწროებადობა.

დემოკრატიული ოპოზიციის განცხადებით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს მთლიანად შეითავსოს სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება და ფუნქციები, რაც გამოიხატება სასამართლო ხელისუფლებაზე აშკარა და პირდაპირ ზეწოლაში, ხელისუფლების მიერ დაკვეთილი პოლიტიკური და სასამართლო პროცესების წარმართვაში, კვალიფიციურ მოსამართლეთა სასამართლო სისტემიდან განდევნასა და შევიწროებაში, სასამართლოთა ფუნქციონირების პარალიზებაში.

საკანონმდებლო ორგანოში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისათვის და მათთან დაახლოებული საფინანსო ჯგუფებისათვის სასურველი კანონების მიღება, რაც ასევე ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებას.

ოპოზიცია საგანგაშოდ მიიჩნევს მასმედიის საშუალებათა შევიწროების, გამოგონილი მიზეზებით ჟურნალისტთა დაპატიმრებისა და ცემის ფაქტებს, რამაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ორ ათეულს გადააჭარბა, საზოგადოებრივი ტელევიზიიდან და მასმედიის სხვა საშუალებებიდან კი ჟურნალისტთა უკანონო დათხოვნის შემთხვევებმა რამდენიმე ასეულს მიაღწია.

მემორანდუმში განსაკუთრებული შემოფოთებაა გამოთქმული არჩევნების ინსტიტუტის გარშემო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა და პრაქტიკულად გამორიცხა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობაც კი. მიუხედავად ევროსაბჭოს არაერთი რეკომენდაციისა, ხელისუფლება ჯიუტად ამბობს უარს საპარლამენტო არჩევნებში დღეისათვის არსებული 7%-იანი ბარიერის დაწევაზე, პარიტეტული საარჩევნო კომისიის შექმნაზე, ამომრჩეველთა გამჭვირვალე სიის შედგენაზე, პრეზიდენტისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის დაუმეგობლობაზე და ა.შ.

საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს რიგით მოქალაქეს საერთოდ წაერთვა საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი კანდიდატურის წამოყენების კონსტიტუციური უფლება და ეს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების პრეროგატივად იქცა.

უცხოელ დიპლომატებთან 24 მარტს გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციის წარმომადგენლებმა საარჩევნო კანონმდებლობის კრიტიკასთან ერთად ისიც განაცხადეს, რომ ნაციონალები იმდენად



ყველაფერს აკონტროლებენ, რომ არჩევნებს შესაძლოა აზრიც დაეკარგოსო. ოპოზიცია რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. ბოიკოტის გარდა, განიხილება მოქმედების სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, არჩევნებში მხოლოდ დედაქალაქში მონაწილეობა.<sup>249</sup>

ოპოზიცია „მემორანდუმში“ ცალკე გამოყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის მდგომარეობას. კერძოდ, პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად იქნა შეზღუდული ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლისა და თემის გამგეობათა უფლებამოსილებანი. დამობილია ისიც, რომ ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგია ქალაქების მერების პირდაპირი წესით არჩევისა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად ამ სახის არჩევნების მომხრეა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

## ○ სად მიგვიყვანს დაპირისპირების ესკალაცია

საქართველოში პოლიტიკური ვითარება სულ უფრო იძაბება. პოლიტიკური ლექსიკონიდან გაქრა ცნებები „დიპლომატი“, „კონსენსუსი“, „კომპრომისი“. სამაგიეროდ სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ძალის დემონსტრირება. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთმანეთისგან მტრის ხატს ქმნიან და თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულები არიან. ეს არის სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ერთ-ერთი მხარის განადგურებით უნდა დამთავრდეს. არადა, საქმე ქვეყნის ბედს ეხება. ასე ქართველმა პოლიტიკოსებმა 15 წლის წინ ერთხელ უკვე ითამაშეს. შედეგები კატასტროფული იყო ქვეყნისთვის.

ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებენ და მასთან ურთიერთობის გარკვევა მხოლოდ ქუჩის აქციებით, მასობრივი საპროტესტო ტალღის მობილიზებით მიაჩნიათ შესაძლებლად. კვლავ გადამწყვეტი ხდება „ხალხის ფაქტორი“ — რამდენი ათასი ადამიანი გამოვა ქუჩაში. პოლიტიკოსები და ქართული მედია ზოგჯერ ითვლიან იმ „კრიტიკულ მასას“, რაც ხელისუფლების დათმობებზე წასასვლელად ან ხელისუფლების შესაცვლელად არის საჭირო. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ უხდებათ. 2001 წლის საპროტესტო ტალღას მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის გადადგომა მოჰყვა, რომელიც თავს „რკინის კაცს“ უწოდებდა და თავის სიმტკიცეზე მიუთითებდა. 2003 წელს კი ქუჩაში გამოსული ადამიანები „ვარდების რევოლუციის“ წინაპირობად იქცნენ.

დღეს ზოგიერთი ოპოზიციური პარტია აქტიურად საუბრობს ახალი რევოლუციის გარდუვალობაზე, ოღონდ ვერ შეთანხმებულან, ეს რევოლუცია კვლავ დასავლური ყაიდის იქნება, თუ ჩრდილოური ელფერის მატარებელი. სხვები კი აღნიშნავენ, რომ ახალი რევოლუცია დამლუბველი იქნება ქვეყნისათვის, მით უმეტეს, რომ შესაძლოა, იგი უკვე უსისხლო აღარ იყოს.

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია საპროტესტო აქციებზე მიდის და მიაჩნია, რომ ესაა ერთადერთი გზა, რაც ხელისუფლებამ დატოვა. 30 მარტის საპროტესტო აქციისათვის ოპოზიცია საგანგებოდ ემზადებოდა. მის ორგანიზატორად ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო გამოდის, რომელშიც პარტია თავისუფლება, ლეიბორისტები, კონსერვატორები, ახალი მემარჯვენეები და რესპუბლიკელები არიან გაერთიანებულნი. თუკი რესპუბლიკელები თავიდან მერყეობდნენ შეერთებოდნენ თუ არა ამ აქციას, შემდეგ ციხეში მომხდარი დარბევის შემდეგ ისინი აქციის მონაწილეთა შორის არიან. „ამ აქციას ძალადობის ესკალაციით აღშფოთებული მოსახლეობა შეუერთდება. მართალია, ხელისუფლება მინიკრიზისით გადაფაროს აქციის განრიგი და ოპოზიციას ამით ჩირქი მოსცხოს, აქცია მაინც გაიმართება“, — აღნიშნავს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი.<sup>250</sup> ხელისუფლებას კი მიმდინარე მოვლენების სხვა ვერსია აქვს გამზადებული. ოპოზიციაში კრიმინალების მოკავშირეები და უცხო ქვეყნის ინტერესებისათვის მომუშავენი არიან — დაახლოებით ასე ჟღერს სახელისუფლო ვერსია.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ვერსიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს 27 მარტს ციხეებში განვითარებული მოვლენების შეფასებას. ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ხელისუფლებამ განგებ არ აღკვეთა ციხეებში მოვლენათა ტრაგიკული განვითარება, რათა საზოგადოების ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანა. „ხელისუფლება სწორედ რომ

<sup>249</sup> „ალია“, 25-27.III.2006

<sup>250</sup> „ხვალინდელი დღე“, 28.III.2006

კრიზისშია. ეს უკვე არაერთი ფაქტით დასტურდება. ასეთ სიტუაციაში ოპოზიციის გონიერ ნაბიჯებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ჩანს, ხელისუფლება აპირებს დღესვე გამოიწვიოს არეულობები, სანამ ვთვლით, რომ ის ძლიერია. ხელისუფლება ხედავს, რომ სხვაგვარად მოვლენებს ვერ უმკლავდება“, — აღნიშნავს დავით ბერძენიშვილი.<sup>251</sup>

„ციხის ამბოხება“ კი ხელისუფლებისათვის ოპოზიციის კრიმინალებთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტის როლში გამოდის. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა 28 მარტს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოპოზიციის პოლიტიკური მოთხოვნები ბუნტის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე მიუთითებს. მისი თქმით, ზოგადად ოპოზიციის როლი დღემდე გაურკვეველი რჩება ქვეყანაში, თუმცა, ბოლო პერიოდში ოპოზიცია კრიმინალური სამყაროს დამცველად გვევლინება. „ოპოზიციას საკუთარი როლი გათავისებული აქვს, როგორც პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ციხეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით“, — აღნიშნა ბეჟაშვილმა.<sup>252</sup>

27 მარტს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ორგანიზებულ დანაშაულს და კანონიერ ქურდებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. „ბოლო 15 წლის განმავლობაში ქვეყანას შევარდნაძე კი არა, კანონიერი ქურდებაც აკონტროლებდნენ. ისინი აკონტროლებდნენ ეკონომიკას, ჩვენს ქუჩებსა და ეზოებს“, — აღნიშნა სააკაშვილმა. მისი სიტყვებით, კრიმინალების გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ მათ ხელისუფლებაში დასაყრდენი აღარ ჰქონდათ. სწორედ ამ მიზეზით მოხდა მე-5 საპარტიო პატიმართა ამბოხება. „თუმცა მათ აქვთ გარკვეული მხარდაჭერა ტელეეკრანიდან და პარლამენტის ტრიბუნიდან. როგორც ჩანს, მათ იფიქრეს, რომ დადგა დრო, როდესაც აქტიურ ქმედებებზე უნდა გადასულიყვნენ, ამით ხელისუფლების დაშინებას ცდილობდნენ“, — აღნიშნავს სააკაშვილი.<sup>253</sup>

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლება უკომპრომისო იქნება კრიმინალებისა და მათ მხარდამჭერებთან ბრძოლაში. ოპოზიციის წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ პატიმრების ამბოხების სასტიკი ჩახშობით, ხელისუფლება ოპოზიციისა და საზოგადოების დაშინებას ცდილობს. „პოლიტიკური ტემპერატურა“ სწრაფად მატულობს. დაპირისპირების ესკალაცია შესაჩერებელია. აუცილებელია, თუნდაც ხელისუფლების დიალოგი ოპოზიციის იმ ნაწილთან, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ „ეროვნული კონსენსუსის“ დოკუმენტის ხელმოწერას სთავაზობდა.

## ○ დიალოგის მოთხოვნა დაპირისპირების გზით

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებამ პარლამენტში პიკს მიაღწია ვალერი გელაშვილისათვის საპარლამენტო იმუნიტეტის ჩამორთმევის შემდეგ. უმრავლესობის მიერ გადადმულ ამ ნაბიჯს ოპოზიციამ დარბაზის დატოვებითა და ბოიკოტის გამოცხადებით უპასუხა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს დიალოგის სურვილის არქონაში აღანაშაულებენ. საპარლამენტო კრიზისი კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას ქვეყანაში. საგრძნობი ხდება შემოდგომისთვის დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოება. შემაშფოთებელი მხოლოდ ისაა, რომ ხელისუფლების მიერ დაწესებულ პოლიტიკურ „თამაშის წესებს“ ოპოზიცია მიუღებლად მიიჩნევს და, შესაბამისად, დიდია ახალი რევოლუციური ცვლილებების განხორციელების ცდუნება.

ხელისუფლებას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ყავს და ოპოზიციასთან თანამშრომლობა გარკვეული კანონების მიღების თვალსაზრისით, მას არ სჭირდება. დღევანდელ პარლამენტში ოპოზიციის ერთადერთი დანიშნულება დემოკრატიულობის იმიჯის შექმნაა. პარლამენტის მუშაობის ბოიკოტით ოპოზიცია სწორედ ამ მიმართულებით აპირებს ხელისუფლებისათვის პრობლემების შექმნას და ამით გარკვეულ დათმობებზე წასვლას. „ჩვენ გვინდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას და დემოკრატიულ ქვეყნებს ვაჩვენოთ, რომ საქართველოში არის ერთპარტიული პარლამენტი. ამ პარლამენტში არად დაგიდევინ რეგლამენტს,

<sup>251</sup> „ახალი თაობა“, 28.III.2006

<sup>252</sup> „ახალი თაობა“, 28.III.2006

<sup>253</sup> „რეზონანსი“, 28.III.2006

არად დაგიდევინ წესებს, სამართალს“, — აღნიშნავს აღნიშნავს ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილე ზვიად ძიძიგური.<sup>254</sup>

ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს არ ამართლებენ. „ეს მართებული ქმედება არ გახლავთ, რადგან ამომრჩეველმა ხმა იმიტომ მისცა, რომ აქტიურად ჩაბმულიყვნენ საკანონმდებლო პროცესებში“, — აღნიშნავს პარლამენტარი ნინო კალანდაძე.<sup>255</sup> მისი კოლეგა, ასევე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ელენე თევდორაძე იხსენებს ადრინდელ გამოცდილებას, როდესაც „აღორძინება“ თითქმის ორი წლის განმავლობაში არ ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ევროსაბჭოში კი „აღორძინება“ გაამტყუნეს — როგორ შეიძლება პარლამენტს გამოუცხადო ბოიკოტიო.<sup>256</sup>

ოპოზიციისათვის პარლამენტში ყოფნა საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენება და ამ გზით „ამომრჩეველებზე მუშაობაა“. მოახლოებული არჩევნების წინ საპარლამენტო ტრიბუნის დაკარგვა რეიტინგის ამაღლების მნიშვნელოვან არხზე უარის თქმას ნიშნავს, მაგრამ გამოცხადებული ბოიკოტი მედიისა და საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა, რაც ასევე ოპოზიციისათვის ცუდი სააგატიცაო საშუალება არაა.

ოპოზიცია ბოიკოტის ერთ-ერთ მიზეზად პარლამენტის ბუტაფორიულობას ასახელებს. კრიტიკული და პირდაპირ შეურაცხმყოფელი განცხადებები გაკეთდა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მისამართითაც. „პარლამენტს, ფაქტობრივად, პრეზიდენტი თავმჯდომარეობს, ნინო ბურჯანაძე კი მხოლოდ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის თითის დაქნევაზე რეაგირებს“, — აღნიშნავს ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილე ზვიად ძიძიგური.<sup>257</sup>

გალერი გელაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ბოიკოტი პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა. ოპოზიციური ფრაქციები მემორანდუმს ამზადებენ, სადაც ხელისუფლების მიმართ მოთხოვნებია ჩამოყალიბებული.

მოთხოვნები ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულიც. მაგალითად, ოპოზიცია მოითხოვს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, მერების არჩევითობას, შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებას და ა.შ. თუმცა, ზოგიერთი მოთხოვნა რომ ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელია, ეს ოპოზიციისაც კარგად ესმის და მზადაა უარი თქვას, მაგალითად, მერაბიშვილის გადადგომაზე. ასეთი მზადყოფნა აუცილებელია დიალოგის გამართვა.

თუ ხელისუფლების სტილს გავითვალისწინებთ, საეჭვოა, რომ ოპოზიციის ულტიმატუმი ვინმემ გაითვალისწინოს. „პრეზიდენტს ურჩევნია უცხოურმა მედიამ მისი არადემოკრატიულობის კიდევ ერთი ნიშანი დააფიქსიროს, ვიდრე ქართულმა პრესამ განაცხადოს — პრეზიდენტი ოპოზიციის ულტიმატუმს დაემორჩილა და დათმობაზე წავიდაო. ამას სააკაშვილი არ დაუშვებს, ყველაზე მეტად საკუთარი სისუსტის გამოჩენა არ სურს“, — აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ქართული გაზეთი.<sup>258</sup>

რაც შეეხება ოპოზიციის მოთხოვნებს, საზოგადოებაში ეს მოთხოვნები პოპულარობითა და მხარდაჭერით სარგებლობს. ხელისუფლების მიერ მათი კიდევ ერთხელ იგნორირება ისევ ოპოზიციის წისქვილზე დაასხავს წყალს.

სადამდე გაგრძელდება ოპოზიციის მხრიდან საპარლამენტო მუშაობის ბოიკოტი? ამ საკითხში ოპოზიცია ერთიანი არ არის და ეს ოპოზიციის სერიოზულ სისუსტეზე მეტყველებს. კერძოდ, „მრეწველებს“ მიუღებლად მიაჩნიათ საპარლამენტო მუშაობის დიდი ხნით ბოიკოტირება. ექსპერტთა აზრით, სწორედ ოპოზიციაში არსებული აზრთა სხვადასხვაობას გამოიყენებს ხელისუფლება და სხვადასხვა დაპირებებით ოპოზიციის ნაწილს მაინც პარლამენტში დააბრუნებს. ამის შემდეგ დანარჩენი ოპოზიციის მხრიდან ბოიკოტის გაგრძელებას აზრი ეკარგება.

<sup>254</sup> „ახალი თაობა“, 5.IV.2006

<sup>255</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 5.IV.2006

<sup>256</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 5.IV.2006

<sup>257</sup> „24 საათი“, 5.IV.2006

<sup>258</sup> „ახალი თაობა“, 5.IV.2006

## თავი XV. მედია და საზოგადოებრივი აზრი

### ○ თავისუფალი მედია — დემოკრატიის უმთავრესი მონაბოგარი, რომელსაც დაცვა სჭირდება

სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი მედია თავისებური სასინჯი ქვაა, რომლითაც შეიძლება შევამოწმოთ, თუ რამდენად წაიწია დემოკრატიის გზაზე ამა თუ იმ ქვეყანამ. დემოკრატიაზე და ხალხის მმართველობაზე დღეს ყველაზე ავტორიტარული რეჟიმებიც კი საუბრობენ, მაგრამ როდესაც საქმე ეხება მედიის დამოუკიდებლობის საკითხს, აქ მაშინვე ყველაფერი ცხადი ხდება და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, თუ რასთან გვაქვს საქმე.

ელდუარდ შევარდნაძეს თავისი ხანგრძლივი 12-წლიანი მმართველობის დროს პოსტსაბჭოთა პერიოდში, ყოველთვის უყვარდა საუბარი დემოკრატიული აღმშენებლობის შესახებ და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად დემოკრატიის ზრდისა თავისუფალი მედია სახელდებოდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელიც დემოკრატიის სახელით მოხდა, წესით, კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო მედიის თავისუფლება, მაგრამ მოხდა პირიქით, საქართველომ პოზიციები დათმო. ეს კარგად ჩანს იმ ორგანიზაციების მონაცემებიდან, რომლებიც მედიის თავისუფლების ხარისხს იკვლევენ. მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის საქართველო სიტყვის თავისუფლების ხარისხით 118-ე ადგილზე აღმოჩნდა. ასეთია ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევის შედეგები. ანალოგიური კვლევის შედეგები ცოტა ხნის წინ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა. საქართველოს 167 ქვეყანას შორის სიტყვის თავისუფლების ხარისხით 99-ე ადგილი ერგო. ეს 2005 წელთან შედარებით მთელი 26 პუნქტით უკან დახვევას ნიშნავს.

„ფრიდომ ჰაუსის“ კვლევის შედეგად<sup>259</sup> აღმოჩნდა, რომ 194 ქვეყნიდან 73 ქვეყანაში მედია თავისუფალია, 54 ქვეყანაში — ნაწილობრივ თავისუფალი და 67 ქვეყანაში კი არათავისუფალი. პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 17% ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც პრესა აბსოლუტურად თავისუფალია, მოსახლეობის 45% ცხოვრობს „ნაწილობრივ თავისუფალი მედიის“ მქონე ქვეყნებში, ხოლო 43% მოკლებულია სიტყვის თავისუფლებას.<sup>260</sup> კვლევაში ნათქვამია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში 7-დან 10-მდე გაიზარდა იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების რიცხვი, სადაც პრესა თავისუფალი არ არის. საქართველო მოხვდა „ნაწილობრივ თავისუფალი“ პრესის მქონე ქვეყნების რიცხვში.<sup>261</sup>

ვარდების რევოლუციის შემდეგ მედიის თავისუფლებისათვის შექმნილ პრობლემებზე დიდი ხანია ლაპარაკობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი მიუთითებენ ხელისუფლების აშკარა ტენდენციაზე, გააკონტროლონ მედიასაშუალებები, პირველ რიგში კი ელექტრონული. მედიაზე ცენზურის დაწესება ხდება ან უშუალოდ ჟურნალისტებთან ურთიერთობის, ან მოცემული მედიასაშუალებების დამფუძნებელზე ზემოქმედების გზით. გაჩნდა ისეთი ფენომენი, როგორიცაა თვითცენზურა, როდესაც ჟურნალისტები თავად ამბობენ უარს გარკვეულ თემებზე და შეფასებებზე, რომელთა საჯარო წარმოდგენაც ხელისუფლებას გაანაწყენებს.

თუმცა, ბოლო დროს, უნდა ითქვას, რომ მედიაში ხელისუფლების მიმართ კრიტიკულობა გაიზარდა. ეს ითქმის, პირველ რიგში, პრესაზე, მაგრამ წამყვან ტელეარხებზე დაბრუნდა პირდაპირი ეთერი და პოლიტიკური მოუბები, რომელზედაც დიდი მოთხოვნაა. ცნობილი

<sup>259</sup> რეიტინგის შედგენის დროს კვლევის ავტორები შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ: გამოსაკვლევი ქვეყნებში მედიის შესახებ არსებული კანონმდებლობით (მაგალითად, რამდენად ხელმისაწვდომია ახალი გაზეთის გამოშვება ან ტელეკომპანიის დაფუძნება, როგორ იხილავენ მოსამართლეები მედიაორგანიზაციების საჩივრებს), პოლიტიკური ფაქტორებით (სახელმწიფოს მხრიდან მედიაზე კონტროლის ხარისხით, ცენზურის არსებობით და ა.შ.) და მედიის ეკონომიკური მდგომარეობით (მაგალითად, კორუფციის დონით ჟურნალისტებს შორის, საინფორმაციო საშუალებების ეკონომიკური დამოკიდებულების დონით ხელისუფლებაზე ან პოლიტიკურ პარტიებზე).

<sup>260</sup> „ფრიდომ ჰაუსის“ სარეიტინგო პირველ ათეულში ფინეთი, ისლანდია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ლიხტენშტეინი და ახალი ზელანდია შედიან. აშშ, გერმანიასა და ესტონეთთან ერთად მე-17 ადგილზე აღმოჩნდა, 26-ე ადგილი გაიყვეს ლიტვამ და კანადამ, ხოლო ლატვიამ 31-ე ადგილი დაიკავა, თურქეთი 103-ე ადგილზე აღმოჩნდა. ჩვენი მეზობლები % სომხეთი 137-ე, აზერბაიჯანი კი 161-ე აღმოჩნდა. ბელორუსი 185-ეა, თურქმენეთი კი 190-ე. სიტყვის თავისუფლების მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა თურქმენეთში, ბირმაში, კუბაში, ლიბიასა და ჩრდილოეთ კორეაშია.

<sup>261</sup> „რეზონანსი“, 2.V.2006

ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი მისი კუთვნილი ტელეკომპანია „იმედი“ გაცილებით უფრო კრიტიკული გახდება ხელისუფლების მიმართ.

მედიის კრიტიკულობის ზრდაზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო სიტყვის თავისუფლებით შექმნილი შესაძლებლობები, არამედ ქვეყანაში არსებული ვითარება და დაგროვილი პრობლემები. იყო დრო, როდესაც ბევრი ჟურნალისტი ფიქრობდა, რომ ხელისუფლებისთვის უნდა ეცლია. ახლა, ამგვარი განწყობა უკვე გამქრალია და ადგილობრივი თვითმმართველობის მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკური დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. ცხადია, ეს ასახვას პოვებს ქართულ მედიაშიც.

მნიშვნელოვანია იმის გაგებაც, რომ სიტყვის თავისუფლება სულაც არ ნიშნავს კონფრონტაციულობას. ოპონენტებთან ურთიერთობის ეს სტილი დამახასიათებელია ქართული პოლიტიკისათვის და მკვიდრდება მედიაშიც. ამგვარი მედია სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის დემოკრატიისკენ წინსვლას.

მედიის თავისუფლება მრავალი მაჩვენებლით იზომება და „ფრიდომ ჰაუსის“ რეიტინგში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სერიოზული ძალისხმევაა საჭირო მრავალი მიმართულებით.

## ○ სახალხო დამცველი ქართული მედიის პრობლემების შესახებ

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აღნიშნავს ხელისუფლების მიმართ ქართული მედიის კრიტიკულობის დონის ზრდას. ამის შესახებ ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში „2005 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, რომლის ერთ-ერთი თავი ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას ეხება. როგორც ცნობილია, ვარდების რევოლუციის შემდეგ ქართული მედიის და განსაკუთრებით ტელევიზიების კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი მკვეთრად შერბილდა. „2005 წლის მეორე ნახევარში ელექტრონული მედია გაცილებით კრიტიკული გახდა ხელისუფლების მიმართ და ლოიალურობის კვალი ფაქტობრივად არ შეინიშნება, გაზეთების ლოიალურობაზე კი საუბარი ზედმეტია“, — აღნიშნავს სოზარ სუბარი.<sup>262</sup>

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კვლავ აქტუალურია მედიაში სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი. „ჟურნალისტებისა და რედაქტორების დამოუკიდებლობა მედიამფლობელებისაგან, ფაქტობრივად ნულამდეა დასული, თუმცა, ჟურნალისტები იშვიათად საუბრობენ ამაზე ხმამაღლა“. სუბარი გამოყოფს მედიაში შრომითი კონტრაქტების პრობლემას, რომელიც „ან არ არსებობს ან არასრულყოფილია“. შრომითი კონტრაქტი კი, სახალხო დამცველის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, რომელიც მედიამფლობელისაგან დაიცავს ჟურნალისტსაც და დაქირავებულ რედაქტორსაც.

სუბარის აზრით, კონტრაქტების სისტემის ამოქმედება უკავშირდება მეორე არსებით პრობლემას — მედიასივრცის სრულ ლეგალიზებას, ანუ ყველა მედიასაშუალებაში უნდა დაფიქსირდეს რეალური ხელფასები, გაუქმდეს შავი ბუღალტერია და მფლობელებმა გადაიხადონ კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

ანგარიშში ისიც აღნიშნულია, რომ მედიასივრცის სრული ლეგალიზება აუცილებლად გამოიწვევს მედიასაშუალებების გარკვეული ნაწილის დახურვას და დარჩენილი ნაწილის გამსხვილებას, ეს კი დაკავშირებულია მედიასივრცეში სამუშაო ადგილების მკვეთრ შემცირებასთან. ამ პროცესს კი „გაუძლებენ მხოლოდ კონკურენტუნარიანი ჟურნალისტები და მედიასაშუალებები“.<sup>263</sup> სუბარი იმასაც აღნიშნავს, რომ ვინმემ ამ საკითხის წამოწევაში შესაძლოა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დაინახოს.

<sup>262</sup> „რეზონანსი“, 8.IV.2006

<sup>263</sup> „რეზონანსი“, 8.IV.2006

## თავი XVI. ადგილობრივი თვითმმართველობა

### o საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ აქტუალურია

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამოცანის დღის წესრიგში დაყენება უაღრესად აქტუალურს ხდის ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხს, რომელიც შევარდნაძის 13-წლიანი მმართველობის პერიოდში საერთოდ „ღიად“ იყო დატოვებული. 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში, რომელიც დღესაც მოქმედებს, საერთოდ გამოტოვებულია თავი, რომელშიც ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. მაშინ გარდამავალ დებულებებში აღინიშნა, რომ ეს საკითხი ორი წლის ვადაში გაირკვეოდა, როდისაც სეპარატისტებთან მოლაპარაკებების შედეგად განისაზღვრებოდა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის სტატუსი. მას შემდეგ მრავალი ორი წელი გავიდა, მოლაპარაკებები სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელებთან ჩიხშია შესული, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი კი გაურკვეველი.

1995 წელს აღნიშნული საკითხის ღიად დატოვება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ე.წ. „ფედერალისტებსა“ და „უნიტარისტებს“ შორის გაშლილი ბრძოლა. ერთნი ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას სეპარატიზმის პრობლემის გადაწყვეტას უკავშირებდნენ, მეორენი კი პირიქით, ქვეყნის ფედერალიზაციას სახელმწიფოს ტერიტორიული დაშლის დასაწყისად მიიჩნევდნენ.

ვარდების რევოლუციის გავრძელებამ აჭარაში და ასლან აბაშიძის რეჟიმის მშვიდობიანმა დემონტაჟმა თავისთავად დააყენა საქართველოს ამ კუთხის სტატუსის განსაზღვრის საკითხი. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონი ოპოზიციის მიერ გაკრიტიკებული იქნა. ზოგი აღნიშნავდა, რომ აჭარამ მიიღო „არასრულფასოვანი ავტონომია“ და ეს ოსებსა და აფხაზებს დააფრთხობს, სხვები პირიქით, უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ საერთოდ არ გაუქმდა აჭარის ავტონომია.

აჭარის ავტონომიის სტატუსის განმსაზღვრელი კანონის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის იმ პრინციპის შესახებ, რომელსაც დაეყრდნობა ახალი ხელისუფლება. ალბათ, ეს არ იქნება კლასიკური ფედერალიზმი და საქართველო დაადგება რეგიონალიზმის გზას, როგორც ეს წყდება ესპანეთში ან იტალიაში. საქართველოს ზოგიერთ კუთხეებს აჭარის მსგავსად ექნებათ გარკვეული ავტონომიური სტატუსი, გაზრდილი უფლებამოსილებებით. ცხადია, ყველაზე აქტუალურია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის სტატუსის განსაზღვრა.

ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისაკენ გადადგმულ სხვა ნაბიჯებთან ერთად პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე განცხადება გააკეთა ამ რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით. ჯერ ერთი სააკაშვილი ინტენსიურად ხმარობს ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“, მეორეც განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში იქნება იმაზე მეტი, რაც გააჩნია ჩრდილოეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

სააკაშვილის ამ პოზიციაში რიგი ანალიტიკოსები თუ მისი მხარდამჭერი პოლიტიკოსები ხედავენ პრაგმატულ ნაბიჯს. მთავარია ამ რეგიონზე აღდგეს საქართველოს იურისდიქცია, მისი სახელწოდება და უფლებამოსილება უკვე მეორეხარისხოვანია. თანაც ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერიოდში და იგივე პრობლემა უკვე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

სააკაშვილის მოწოდებებს კოკოითის რეჟიმი არ გამოხმაურებია. ისინი კვლავ რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე ლაპარაკობენ. თუმცა სააკაშვილის განცხადებები სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ კრიტიკულ დამოკიდებულებას წააწყდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრისა და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან. მათთვის სულერთი არ არის, თუ რა ერქმევა აღნიშნულ რეგიონს. სააკაშვილის კრიტიკოსთა ნაწილი წინააღმდეგი არაა ავტონომიის აღდგენისა, მაგრამ მას პოლიტიკურად ნეიტრალური სახელი, ვთქვათ, „ცხინვალის რეგიონი“ უნდა ეწოდებოდეს, სხვები მიუღებლად მიიჩნევენ რაიმე პოლიტიკური ავტონომიის აღდგენას ამ რეგიონში.

გაურკვეველი რჩება აფხაზეთის სტატუსის საკითხიც. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში გაეროს ეგიდით შემუშავებული იქნა ე.წ. „ბოდენის დოკუმენტი“, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში „სუვერენული აფხაზეთის“ არსებობას ითვალისწინებს. დოკუმენტი ძალიან ზოგადია, თუმცა მის დეტალიზებამდე საქმე არც მისულა, რადგანაც არძინბას რეჟიმმა

კატეგორიულად გამოიციხა ბოდენის დოკუმენტის მიღება მოლაპარაკებების საფუძვლად.

ამასობაში ქართულ მედიაში გამოქვეყნდა ბოდენის დოკუმენტის სულისკვეთებით შედგენილი აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც სასტიკად იქნა გაკრიტიკებული ოპონენტების მიერ და მიუღებლად იქნა მიჩნეული. დოკუმენტი მართლაც ბევრ შეკითხვას ბადებს, უბრალოდ დემოკრატიული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ. მაგალითად, აფხაზეთისათვის გათვალისწინებული არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობა აფხაზეთის სახელისუფლო სტრუქტურებში, ისევე როგორც იზღუდება ქართველების დასახლების შესაძლებლობა აფხაზეთში.

ცხადია, გამოქვეყნებული პროექტის კრიტიკასთან ერთად, ჩნდება ალტერნატიული დოკუმენტების შემუშავების იდეაც. თუმცა, თავად ვარაუდი იმისა, რომ მოსკოვიდან მართული სეპარატისტული რეჟიმი დათანხმდება რაიმე „განსაკუთრებით ფართო უფლებების“ მქონე სტატუსზე საკმაოდ უტოპიურად გამოიყურება.

## ○ „ფედერალიზაციის“ ანუ საქართველოს კონტროლისა და დანაწევრების გეგმა

ოქტომბრის ბოლოს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ რამდენიმე ქართულ გაზეთში გამოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთში ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიმუშავა და პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციას წარუდგინა საქართველოს ფედერალური მოწყობის გეგმა, რომლის განხორციელების გარანტიც რუსეთი უნდა იყოს, ხოლო პროექტი მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც პუტინი მას გაეცნობა. ადრინდელისგან განსხვავებით ამ ინფორმაციას ქართულ მედიასა და პოლიტიკურ წრეებში აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. თუმცა, გაკეთებული კომენტარების თანახმად, „საქართველოს ფედერალიზაციის“ რუსული გეგმის განხილვას შემთხვევითი არ უნდა იყოს და იგი საქართველოსადმი რუსული პოლიტიკური წრეების დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა შეიმუშავა რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის საბჭომ, რომლის გენერალური დირექტორი სტანისლავ ბელკოვსკია. აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე თვის წინ იგი თბილისში იმყოფებოდა აქ გამართულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სემინარზე. ძნელი სათქმელია საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა მას სემინარამდე უტრიალებდა თავში: თუ მის შემდეგ გაუჩნდა, მაგრამ გეგმის შემუშავებას არა მარტო რუსეთის ინტერესებით („საქართველოს პრობლემა რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია“), არამედ საქართველოს დახმარების სურვილითაც ხსნის.<sup>264</sup>

ბელკოვსკის გეგმა არსებითად საქართველოზე რუსეთის გავლენის დამყარებას და საერთაშორისო არენაზე მის იურიდიულ დაფიქსირებას ისახავს მიზნად. ბელკოვსკი კვლავ მოუწოდებს დასავლეთს და პირველ რიგში აშშ-ს სამხრეთ კავკასია „წესრიგის დასამყარებლად“ რუსეთს დაუთმოს. ბელკოვსკი აცხადებს, რომ ავღანეთისა და ერაყის მოვლენების შემდეგ მხოლოდ აშშ-ზე დაყრდნობა დაუშვებელია, რადგან ამ მოვლენებმა აჩვენეს, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია გარკვეული ტერიტორიების, მათ შორის კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამიტომ, ბელკოვსკის ვარაუდით, აშშ იძულებული იქნება, თავისი უფლებამოსილება სტრატეგიულ მოკავშირეს — რუსეთს გადასცეს.

ბელკოვსკის გეგმის თანახმად, საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა 7 სუბიექტისგან იქნება შემდგარი — იმერეთი, კახეთი, ქართლი, თბილისი (როგორც დედაქალაქი), აფხაზეთი, ოსეთი, აჭარა. ამ გეგმის თანახმად, რუსეთი შეიძლება საქართველოს ფედერალიზაციის გარანტი გახდეს.

ბელკოვსკის საქართველოს ფედერალიზაციის გეგმა ქართული სახელმწიფოს ხანგრძლივ ტრანსფორმაციას ითვალისწინებს. რუსი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ გეგმის რეალიზების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პოლიტიკურ თაობათა შეცვლა, როგორც საქართველოში მთლიანად და აფხაზეთში, ისე რუსეთში, რაც შესაძლოა მხოლოდ 2005 წლის შემდეგ დაიწყოს, როდესაც საქართველოში ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ბელკოვსკის განცხადებით, საქართველოში 2010 წლისათვის, სახელმწიფო მექანიზმის ტრანსფორმაციის ფარგლებში საპრეზიდენტო რესპუბლიკა საპარლამენტო უნდა გახდეს, რაც „ფედერალური მოწყობისთვის უფრო

<sup>264</sup> „ახალი თაობა“, 27.X.2003

შესაფერისია“. ფედერალიზაციის გეგმით, საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, სპეცსამსახურები ცენტრისადმი დაქვემდებარებული, მაშინ როდესაც ეკონომიკური საკითხები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ასევე ბუნებრივი რესურსების გამოყენება — სუბიექტების კომპეტენციაა.<sup>265</sup>

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის „რუსული გარანტიები“ მეტად საეჭვო რამეს წარმოადგენს. რუსეთი დღესაც აღიარებს ამას, მაგრამ იმავდროულად ყოველნაირად აღვივებს სეპარატიზმს საქართველოს რეგიონებში, ხოლო სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებს ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის ნაწილად განიხილავს. საქართველოში არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობენ, რომ მოსკოვს იგივე სურს გააკეთოს აჭარის და ჯავახეთის მიმართაც, თუკი, რა თქმა უნდა, ეს გამოუვა. სუვერენული სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნისათვის ზოგადად, კონკრეტულად კი რუსეთისათვის თავის ტერიტორიული მოწყობის მინდობა, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა.

ბელკოვსკის გეგმასთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების საბჭომ გააკეთა განცხადება, რომ ეს კერძო ჯგუფის პოზიციაა და არ ასახავს ოფიციალური მოსკოვის პოზიციას, ამდენად მასზე რეაგირებაც არაა საჭირო. მაგრამ ამის პარალელურად ქართულ მედიაში გამოითქვა ეჭვი, რომ ეს ყოველივე ხომ არაა წინასწარი გახმავანება რაიმე ფარული შეთანხმებისა, რაზეც შევარდნაძე პუტინთან რომელიმე შეხვედრის დროს წავიდა. „ბოლო დროს ენერგეტიკაში მომხდარი ფაქტი, როცა ხელისუფლება „რაო ეეს“-თან ყოველგვარ კავშირს უარყოფდა და, სინამდვილეში, ყველაფერი დაუმტკიცდა, ყველანაირ ეჭვს გზას უხსნის“, — აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით „დილის გაზეთი“.<sup>266</sup>

ხელისუფლება, ცხადია, ამგვარი ფარული მოლაპარაკებების შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ასეთი განცხადებები, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელისუფლებისადმი ზემოთ აღნიშნულ ეჭვებს ვერ აქრობს, რაც თავისთავად, ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხზე მეტყველებს.

ქვეყნის ფედერაციული მოწყობის საკითხი საქართველოშიც განიხილება. მისი მომხრეები ფედერალიზაციაში სეპარატიზმის პრობლემის გადაწყვეტას ხედავენ, მოწინააღმდეგენი კი ფედერალიზაციას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის უდიდეს საფრთხედ მიიჩნევენ. ბელკოვსკის გეგმა მოწმობს, რომ ფედერალიზაციას ქვეყნის გარეთ გარკვეული ძალები მართლაც განიხილავენ საქართველოს დაქუცმაცების და მისი ნაწილ-ნაწილ გაკონტროლების გზად.

## ○ როდის იქნება სრულფასოვანი თვითმმართველობა

არავინ დავობს იმაზე, რომ დემოკრატია თვითმმართველობის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა საქართველოში ჯერჯერობით სრულფასოვანი თვითმმართველობა არ არსებობს და ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება სწორედ თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობა ხდება. თემის აქტუალურობას ისიც განაპირობებს, რომ საქართველოში მომავალ წელს თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს.

პარლამენტმა პირველი კანონი თვითმმართველობის შესახებ 1997 წელს მიიღო. თუმცა, კანონში ყველა მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო განსაზღვრული და საგანგებოდ აღინიშნა, რომ კანონის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში მისი სრულყოფა მოხდებოდა. მაგრამ მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და სრულყოფილი კანონი თვითმმართველობის შესახებ ჯერაც არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭო დაჟინებით მოითხოვს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. როგორც ოპოზიცია აღნიშნავს, ევროპის საბჭო საქართველოს ხელისუფლებას უკვე კატეგორიულად მოსთხოვს სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

ახალ ხელისუფლებას თავისი მმართველობის წელიწადნახევრის შემდეგ ევროსაბჭოში წარსადგენად ჯერჯერობით თავის ფართო გეგმები და კეთილი სურვილები აქვს. მოხდა თვითმმართველობის ევროპული ქარტიის რატიფიცირება, შეიქმნა თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია, პარლამენტმა მიიღო კანონი თვითმმართველი ერთეული ქონების გამიჯვნის შესახებ და

<sup>265</sup> „ახალი თაობა“, 27.X.2003

<sup>266</sup> „დილის გაზეთი“, 28.X.2003



მიმდინარეობის მუშაობა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კანონპროექტზე. შეიქმნა ეფექტიანი მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფო კომისია, რომელიც ხელისუფლების დეცენტრალიზაციასა და თვითმმართველობის რეფორმირებაზე იმუშავებს.<sup>267</sup>

ჯერჯერობით უცნობია თუ როგორი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა. ახალი ხელისუფლება, ალბათ, სავსებით მართებულადაც, სრულიადაც არ იზიარებს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ენთუზიაზმს ქვეყნის სრულ ფედერალიზაციასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ საკითხში გარკვეულობის შეტანა აუცილებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ახლოვდება, არ არსებობს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ“. ამ კანონს, პრინციპში, ვერ იღებენ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის გარეშე. მაგალითად, პარლამენტში მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც თბილისის მერისა და რაიონის გამგებლების არაპირდაპირ არჩევნებს ითვალისწინებს (მისი ავტორი პარლამენტარი ბოკერიაა), მაგრამ რა აზრი აქვს რაიონის გამგებლების არჩევითობაზე საუბარს, თუკი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის შედეგად რაიონები გამსხვილდება და ახალი ტერიტორიული ერთეულები ჩამოყალიბდება.

ცალკე დავის საგანია თბილისის მერის არჩევითობის საკითხი. თუკი შევარდნაძის მმართველობის დროს დღეს ხელისუფლებაში მყოფი ძალები ერთხმად უჭერდნენ მხარს თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოზიცია შეიცვალეს და მერი მხოლოდ საკრებულოს მიერ ასარჩევად ესახება. სამაგიეროდ, დღევანდელი ოპოზიცია ლამის ერთსულოვნად მოითხოვს თბილისის მერის ხალხის მიერ არჩევას.

რეალურ თვითმმართველობაზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება, თუკი თვითმმართველი ერთეულების ხელში ქონება და თავისი ბიუჯეტი არ იქნება. ამ ცოტა ხნის წინ დიდი ხმაური მოჰყვა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას, პრომლის ძალითაც 2006 წლიდან მოგების გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტის ნაცვლად, მთლიანად სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩაირიცხება. „ცვლილების აუცილებლობა იმან განაპირობა, რომ ბევრი კომპანიის რეგისტრაციისა და საქმიანობის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა. ხშირ შემთხვევაში, ესა თუ ის კომპანია ერთ რაიონშია რეგისტრირებული, საქმიანობას კი მეორე რაიონში ახორციელებს“, — აღნიშნა ამასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ.<sup>268</sup>

დღეს მოგების გადასახადის 40% ადგილობრივ ბიუჯეტში რჩება, 60% კი ცენტრალურ ბიუჯეტში მიემართება. შედეგად, 2006 წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტებს სავარაუდოდ 245 მილიონი ლარი დააკლდება.<sup>269</sup> ამ კანონპროექტს პარლამენტში უმრავლესობის მხრიდანაც შეხვედა წინააღმდეგობა. „ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მოგების გადასახადის წართმევა თვითმმართველობებს სიცოცხლის ნიშანწყალს გაუქრობს“, — აცხადებს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე.<sup>270</sup> მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას თვითმმართველობის განვითარების კონსტიტუციური ვალდებულება აკისრია. ეს კი ძლიერი ადგილობრივი ბიუჯეტების გარეშე წარმოუდგენელია.

პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მოგების გადასახადის მთლიანად ჩამორთმევის შემთხვევაში რეგიონს გარკვეული კომპენსაცია უნდა მიეცეს, მაგალითად პროგრამული დაფინანსების სახით. დღეს რეგიონები შეიძლება ითქვას, კატასტროფის პირას არიან მისულნი და ცენტრალური ბიუჯეტის თითოეულ ტრანსფერს იმედის თვალით შეჰყურებენ. მათი ბედი სწორედ ცენტრიდან მიღებულ თანხებზეა დამოკიდებული.

ძნელი სათქმელია, მომავალ ადგილობრივ არჩევნებამდე მოახერხებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებას და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში გარკვეულობის შეტანას. თუმცა, ის კი აშკარაა, რომ თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობას აშკარად დაჩქარება სჭირდება.

<sup>267</sup> „ხვალინდელი დღე“, 26.V.2005

<sup>268</sup> „24 საათი“, 26.V.2005

<sup>269</sup> „რეზონანსი“, 25.V.2005

<sup>270</sup> „ხვალინდელი დღე“, 25.V.2005

## ○ გზა ეფექტური თვითმმართველობისაკენ

2006 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებია დაგეგმილი. ბუნებრივია, მანამდე უნდა გადაწყდეს მრავალი ის საკითხი, რაც დღეს გაურკვეველია და ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებას უკავშირდება. ოპოზიცია ხელისუფლებას ბრალს სდებს, რომ მიზანმიმართულად ფერხდება ქვეყანაში თვითმმართველობის განვითარება და ეს არჩევნებში გამარჯვების უზრუნველსაყოფად კეთდება. ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით კი თვითმმართველობის თაობაზე ძირითად კანონებს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე მიიღებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზის უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტში მომზადდა სამი კანონპროექტი: „ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ სამართლებრივი ბაზის ამოქმედება უზრუნველყოფს რეალური თვითმმართველობის განხორციელებას. ასევე მომზადებულია კონცეფცია ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ.

ხელისუფლება გეგმავს ზაფხულის განმავლობაში აღნიშნული დოკუმენტების პრეზენტაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოაწყოს. მაგრამ პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის გასვლითი სხდომა ქუთაისში ხმაურიანი პროტესტის ფონზე გაიმართა. პროტესტი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. „უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფცია, რომლითაც დღეს ქვეყანაში არსებული 900-მდე თვითმმართველი ერთეულის ნაცვლად რჩება 100 ერთეული, პრაქტიკულად, ირიცხება სოფელი, დაბა და თემი. ამასთან, არაფერი არ იცვლება მხარესთან დაკავშირებით: კვლავაც რჩება გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი და აქ არანაირი თვითმმართველობა არ შემოდის. ამ კონცეფციის განხილვის ნაცვლად, ამ კომიტეტის წევრებმა წარმოადგინეს კანონპროექტები, რომლებიც ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს და რეალურად გამოიწვევს თვითმმართველობის კვლასა და დეცენტრალიზაციის შეჩერებას“, — აღნიშნა ასოციაციის წარმომადგენელმა.<sup>271</sup>

ზემოთნათქვამი კარგი ილუსტაციაა იმისა, თუ რა მწვავე განხილვის საგანია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები და როგორია ოპოზიციის და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის დამოკიდებულება ამ სფეროში ხელისუფლების გეგმებისადმი. დაპირისპირების მიზეზი არასამთავრობოებთან ის გახდა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაიწუნა და საერთოდ უარი განაცხადა განეხილა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მომზადებული „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ხელისუფლების დონეებს შორის ადმინისტრაციული, ფინანსური, ქონებრივი და სამართლებრივი უფლებამოსილების გამიჯვნის“ ალტერნატიული პროექტი. რეგიონალური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კობა ხაბაზის განცხადებით, არასამთავრობოების კანონპროექტში დადებითი ტენდენციები ჩანს, თუმცა უარყოფითი იმდენად ბევრია, რომ მისი განხილვა საჭიროდ არ მიიჩნეის.<sup>272</sup>

სამაგიეროდ თავის მხრივ არასამთავრობოებს არ მოსწონთ პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის მიერ მომზადებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონცეფცია. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ კონცეფციის მიხედვით თვითმმართველობა ხელისუფლების მეურვეობიდან ვერ გათავისუფლდება. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლებას საკუთარ გადაწყვეტილებებზე მორგებული თვითმმართველობის სისტემის შექმნა სურს. პარლამენტარ ვანო ხუბუნაიშვილის თქმით კი, რომელიც ამ კონცეფციის ერთ-ერთი ინიციატორია, არასამთავრობოები, უბრალოდ, ადმინისტრაციის მიერ მათი კანონპროექტის დაწუნებამ გააღიზიანა.

თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს პოლიტიკური პარტიების მიერ წინა რიგშია წამოწეული გამგებლებისა და მერების არჩევითობის საკითხი. მაგრამ იმ პირობებში, როცა მერებსა და გამგებლებს არ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილებები, კომპეტენციები, ქონება და ფინანსები, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს მათ არჩევითობას. მთავარი

<sup>271</sup> „24 საათი“, 29.VII.2005

<sup>272</sup> „რეზონანსი“, 28.VII.2005

თვითმმართველობისათვის — ფინანსური ბაზის უზრუნველყოფაა.

საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო მძიმეა თბილისთან შედარებით, ცხოვრების დონე დაბალი. ამიტომ ხალხი თბილისისაკენ ისწრაფვის. ამგვარი მდგომარეობის მიზეზი, ექსპერტთა განცხადებით, თვითმმართველობის არარსებობაა. უფრო სწორად თვითმმართველობა რაღაც დონეზე არსებობს, ზოგჯერ ფართო უფლებებიც აქვთ მიცემული, მაგრამ ამ ფუნქციების რეალიზებისათვის ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ. არსებობს შემთხვევებიც, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს დავალებას აძლევს, მაგრამ მის განსახორციელებლად ტრანსფერის სახით ფინანსურ სახსრებს არ აძლევს.<sup>273</sup>

ექსპერტთა განცხადებით, თვითმმართველობის ერთეულები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თითოეულ მათგანს მის კომპეტენციაში არსებული საკითხების გადაწყვეტა საკუთარი ბიუჯეტიდან შეეძლოს. თვითმმართველობის ერთეულმა ხელი უნდა შეუწყოს თავის ტერიტორიაზე ეკონომიკისა და შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ეს არის მთავარი სტრატეგიული მიზანი, რომლისთვისაც ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს და რომლის დროსაც ლოზუნგი „ძლიერი თვითმმართველობა, — ძლიერი საქართველო“ რეალობად იქცევა.

## ○ პირდაპირი არჩევნები — ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა

მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ოპოზიციური პარტიები მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევნების შემოღებას ითხოვენ. ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია და თვითმმართველობების პირველ პირებს საკრებულოები აირჩევენ. ოპოზიციისთვის კი საზოგადოებაში პოპულარული პირდაპირი არჩევნების მოთხოვნა საკუთარი რეიტინგის ამაღლებისა და გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს.

მერებისა და გამგებლების არჩევნების ჩატარებას შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მაშინ ოპოზიციაში მყოფი დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მოითხოვდნენ. განსაკუთრებული აქცენტი თბილისის მერის არჩევითობაზე კეთდებოდა. მოსახლეობის განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდია შანსი იმისა, რომ თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების შემთხვევაში ამ თანამდებობაზე სწორედ ოპოზიციის წარმომადგენელი აღმოჩნდება. თბილისის პირდაპირი გზით არჩეული მერი კი ძალზედ „მძიმეწონიანი“ და ანგარიშგასაწევი ფიგურა იქნება ხელისუფლებისათვის. საკრებულოს მიერ მერის არჩევნების შემთხვევაში ძალზედ მცირეა ალბათობა იმისა, რომ მერი მმართველი პოლიტიკური ელიტის გარედან მოვა.

ამიტომ დღეს ხელისუფლებაში მყოფ „ნაციონალურ მოძრაობასაც“ უხდება მერებისა და გამგებლების არჩევნების საკითხს სახელისუფლო ინტერესებიდან შეხედოს. რაც შეეხება დემოკრატიულობასა და დაპირებას, ეს საკითხი საკრებულოების მიერ თვითმმართველობის პირველი პირების არჩევნების შემოღებაზე გადასვლით წყდება. ამგვარი მოდელი ევროპელ ექსპერტებსაც აკმაყოფილებთ და აცხადებენ, რომ ეს დემოკრატიულ სტანდარტებს შეესაბამება, რაც შეეხება დაპირებას არჩევითობის შესახებ, ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ესეც შესრულებულია, რადგანაც მერებსა და გამგებლებს ხალხის მიერ არჩეული საკრებულოები აირჩევენ. 1 ივლისს პარლამენტმა ოპოზიციის წინააღმდეგობის ფონზე მიიღო კანონი „დედაქალაქის — თბილისის შესახებ“, რომელიც თბილისის მერის საკრებულოს მიერ, არაპირდაპირი გზით არჩევას ითვალისწინებს.<sup>274</sup>

ხელისუფლების ამგვარი განცხადება ოპოზიციას არ აკმაყოფილებს და მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევნებს ითხოვს. ერთი იერიში ცესკომ უკვე მოიგერია, როდესაც უარი ითქვა ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივაზე. ამჯერად ოპოზიცია ხელმოწერების შეგროვებას იწყებს, რათა საკითხის საპარლამენტო სხდომაზე განხილვას მიაღწიონ. ამ მიზნით 12 დეკემბერს შეიქმნა პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია, რომელშიც შევიდნენ აკაკი ასათიანი ინიციატივით შექმნილი „სახალხო ფორუმი“, რესპუბლიკური პარტია, მრეწველები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ხოლო ლეიბორისტებმა ამ მოძრაობას

<sup>273</sup> „რეზონანსი“, 28.VII.2005

<sup>274</sup> „ხვალინდელი დღე“, 13.XII.2005

სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. „ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არის საზოგადოების დაკვეთა, ყველა ქალაქს უნდა ჰყავდეს არჩეული მერი“, — აღნიშნავს მრეწველი ზურაბ ტყემალაძე.<sup>275</sup>

კოალიციის საინიციატივო ჯგუფმა, თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევნებისა და შესაბამის კანონში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტს 12 დეკემბერსვე მიმართა. გარდა ამისა, იწყება იმავე მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება იწყება. პარლამენტში საკითხის განხილვის მიღწევისათვის საჭირო 30 ათასი ხელმოწერის შეგროვება, წესით, პრობლემა არ უნდა იყოს.

საკითხის გარშემო კვლავ ახალი ძალით გაიშალა დებატები. „სააკაშვილმა ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა და ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას ცდილობს. მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა არის ეფექტიანი გზა, რომელიც პრეზიდენტის ხელში მთელი ძალაუფლების კონცენტრაციას ხელს შეუშლის და დააბალანსებს“, — აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი.<sup>276</sup>

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ საქართველოში დღეს, ფოთისა და თბილისის გარდა, ყველა ქალაქში არჩეული მერია და ამით ბევრი არაფერი კეთდება. „დღეს რომ თვითმმართველობა არ ვარგა, ამას არ შევლის არჩეული მერი, ამას სჭირდება სისტემა, რომელიც არის გარანტია, რომ არ შეიქმნება პოლიტიკური ჩიხი, როცა ვერ დაუპირისპირდება ვერაფრით ერთმანეთს პირველი პირი ანუ საკრებულოდან არჩეული მერი და უმრავლესობა... ჩვენი მოდელი არის ევროპული თვითმმართველობის ქარტიისა, რომლის რატიფიკაციაც მოახდინა პარლამენტმა“, — განმარტავს მაჭავარიანი.<sup>277</sup>

ოპოზიცია პარლამენტში საკითხის განხილვას თუ მიაღწევს, ეს სავაზაფხულო სესიაზე მოხდება, ანუ როდესაც უკვე კარს იქნება მომდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. ცხადია, ეს გარემოება კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მისცემს დებატებს. ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები უფრო ტელემეყურებლისათვის გაკეთდება. „თუ ხელისუფლება მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევაზე უარს იტყვის, ის 2005 წელს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გაკოტრებული შეხვდება“, — აღნიშნავს რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი.<sup>278</sup>

ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისათვის არანაკლებ აქტიურად ემზადება. მის ხელთაა მის მიერვე მიღებული საარჩევნო კანონი და ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსი“, რამაც „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება უნდა უზრუნველყოს. თუმცა, მთავარი მაინც არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის თვალსაზრისით ქვეყანაში იმ დროისათვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი იქნება.

## ○ თვითმმართველობის მოლოდინი

მომავალი 2006 წელი საქართველოში თვითმმართველობის წლად შეიძლება გამოცხადდეს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შემოდგომაზე თვითმმართველობის არჩევნებია დაგეგმილი, მეორეც იმიტომ, რომ მიღებულია თვითმმართველობის ახალი კანონი, რომელსაც მნიშვნელოვანი სიახლეები შეაქვს თვითმმართველობის ორგანიზებაში. ამავე დროს, სოციოლოგიური გამოკითხვა იმასაც აჩვენებს, რომ მოსახლეობა მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის არჩევნებში, თვითმმართველობისგან მოელის თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას, თუმცა უმრავლესობას არსებული თვითმმართველობის ორგანოებისათვის საერთოდ არ მიუმართავს არასოდეს და არც თვითმმართველობასთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებების საქმის კურსში არ არის. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების და „გობის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა, რომლის შედეგებიც ამ ცოტა ხნის წინ გააცნეს საზოგადოებლას.

<sup>275</sup> „ალია“, 13-14.XII.2005

<sup>276</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, 13.XII.2005

<sup>277</sup> „ალია“, 13-14.XII.2005

<sup>278</sup> „რეზონანსი“, 13.XII.2005

თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები საქართველოში, ტრადიციულად, მოსახლეობის მაღალი აქტივობით გამოირჩევა. გამოკითხულთა 72 %-მა განაცხადა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში, ხოლო 79 % აპირებს მონაწილეობა მიიღოს 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში. 11 %-ს კი ჯერაც არა აქვს გადაწყვეტილი, არჩევნებში მიიღებს თუ არა მონაწილეობას.<sup>279</sup>

არჩევნებში მაღალი აქტივობის გამოჩენასთან ერთად, მოსახლეობა მაღალ მოთხოვნებს უყენებს თვითმმართველობას. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობას სურს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა იყოს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი, დასაქმებაზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, პირდაპირი გზით არჩეული.

ესაა იდეალი, დღეს რეალურად არსებულ თვითმმართველობის ორგანოებს კი მოსახლეობა საკმაოდ კრიტიკულად უყურებს და მას აფასებს, როგორც „გარკვეულწილად, დახურულს, ასევე არასაკმარისად ეფექტურს“. მოსახლეობის 40 %-ს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა არ მიაჩნია გამჭვირვალედ, ან მიაჩნია „არც ისე გამჭვირვალედ“. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა ადგილობრივი თვითმმართველობის არაეფექტურობის სამ მთავარ მიზეზს გამოყოფს: ფინანსების უქონლობა (84 % საკრებულოებისათვის, 56 % გამგებებისთვის და მერებისთვის), არაკვალიფიციური პერსონალი (33 % საკრებულოებისათვის, 21% გამგებებისათვის, მერიისთვის) და კორუფცია (20 % საკრებულოებისთვის, 12 % გამგებებისთვის, მერიისთვის). გაირკვა ისიც, რომ გამოკითხულთა 76 %-ს არასოდეს არ მიუმართავს თვითმმართველობის ორგანოსათვის რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად, 23%-ს კი მიუმართავს. მიმართვის მიზეზი, ძირითადად, ჯანდაცვის პრობლემა იყო, შემდეგ კი — დასაქმების საკითხი.<sup>280</sup>

გამოკითხვამ გამოავლინა არსებული ვითარების კიდევ ერთი პარადოქსი. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით არის განწყობილი თვითმმართველობისადმი, გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 64 % ინფორმირებული არ არის „თვითმმართველობის სფეროში შემოთავაზებულ ცვლილებების თაობაზე“. ამავე დროს, მოსახლეობის წარმოდგენები თვითმმართველობის შესახებ რიგ პრინციპულ საკითხებში მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რაც 2006 წლის 16 დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებულ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონშია დაფიქსირებული. კერძოდ, მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის ორგანოებში არსებული სტრუქტურის შეცვლა არ გააუმჯობესებს მათ ეფექტურობას. გამოკითხულთა 67% ეწინააღმდეგება რაიონების, ხოლო 55% სოფლების გაერთიანებას ერთ ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებად. გამოკითხულთა უმეტესობის — 89%-ის აზრით, მერები და გამგებლები პირდაპირი გზით უნდა აირჩინონ. ასევე მათი აზრით, საკრებულოებისა და გამგებლების თუ მერების არჩევა უნდა ხდებოდეს როგორც სოფლების, თემის, ქალაქის, ასევე რაიონის დონეზე.

მოსახლეობის განწყობას თუ გავითვალისწინებთ, კარგი იქნებოდა, თუ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე, კანონში ისეთ ცვლილებებს შეიტანდნენ, რაც მომავალი თვითმმართველობის ორგანოებს მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებების შესაბამისად ჩამოაყალიბებს და არა ისე, როგორც გარკვეულ პარტიას ან კანონმდებელთა ჯგუფს სურს.

თვითმმართველობის ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად პირველ რიგში ფინანსებია საჭირო. ამ მხრივ კი, მომავალი თვითმმართველობა საკმაოდ სუსტი იქნება. მოგების გადასახადი, რომელიც აქამდე ადგილობრივ ბიუჯეტში შედიოდა, ახლა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილება გახდა. ამიტომ ზოგიერთი ექსპერტი მოითხოვს მოგების გადასახადის ნაწილი მაინც დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტში. რამდენად მოხერხდება ეს, სხვა საკითხია. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის ნახევარი თანახმაა თვითმმართველობის ეფექტური მუშაობისთვის დამატებითი ფინანსები გაიღოს საკუთარი ჯიბიდან. გამოკითხულთა 44% თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება, გამოკითხულთა 47% კი თანახმაა გადაიხადოს ეს გადასახადები, თუკი იგი რაიონს თუ სოფლებს მოხმარდება.<sup>281</sup>

თვითმმართველობის რეფორმა დღეს პრიორიტეტად არის აღიარებული საქართველოში.

<sup>279</sup> „ახალი თაობა“, 20.XII.2005

<sup>280</sup> „რეზონანსი“, 20.XII.2005

<sup>281</sup> „რეზონანსი“, 20.XII.2005

თვითმმართველობის განვითარებას მოსახლეობის აქტივობაც შეუწყობს ხელს. ახლა უკვე მთავარია ისეთი სტრუქტურებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც რეალურად აამუშავებს თვითმმართველობას, რაც ყოველთვის დემოკრატიის ქვაკუთხედად წარმოდგება ხოლმე.

## ○ თბილისის მერის არჩევა — ოპოზიციის ტრადიციული სამიზნე

თბილისის მერის არჩევის საკითხი ცენტრალური ხდება ქართული პოლიტიკისათვის. ოპოზიცია ერთიანდება და ხელისუფლებისაგან მერის პირდაპირი არჩევნების გზით არჩევას მოითხოვს. მიუხედავად ოპოზიციის ერთსულოვანი პროტესტისა, ხელისუფლებამ პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე მიიღო თბილისის კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც თბილისის მერი ქალაქის საკრებულომ უნდა აირჩიოს, საკრებულოს არჩევნებში კი უმრავლესობა პირველ ადგილზე გასულ პარტიას ექნება. ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ უკვე სრულად წარმოაჩინა საკუთარი თავი, უკვე ცხადია, რომ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარდება და შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი არჩევნების ბოიკოტია.

დემოკრატია უმრავლესობის მმართველობას არ ნიშნავს, დემოკრატია პირველ რიგში უმცირესობის უფლებების დაცულობაა, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგშიც ვლინდება. პრინციპში, ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგად იცინა დღეს ხელისუფლებაში მყოფმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლები იმედი რჩება, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონსტრუქციული ურთიერთობები დამყარდება.

ოპოზიციური პარტიები — ტრადიციონალისტები, რესპუბლიკელები და კონსერვატორები გამოვიდნენ ერთობლივი ინიციატივით ჩატარდეს რეფერენდუმი მერებისა და გამგებლების არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. მათ განზრახული აქვთ მოაგროვონ 200 ათასი ხელმოწერა, რის შემდეგაც პრეზიდენტმა რეფერენდუმი უნდა დანიშნოს. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გეგმის რეალიზებას. ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი, — ნებისმიერ შემთხვევაში ოპოზიციის ხელში მომგებიანი თემა ხელისუფლების გასაკრიტიკებლად.

ოპოზიციური პარტიების მიერ მოთხოვნილ რეფერენდუმზე, თუკი შედგება, მოქალაქეებმა პასუხი უნდა გასცენ ერთადერთ კითხვას: „თანახმა ხარ თუ არა, რომ ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, თემისა და სოფლის) მერი (გამგებელი) აირჩეს პირდაპირი კენჭისყრით ამ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ?“<sup>282</sup> რეფერენდუმის ჩატარების ინიციატორები დარწმუნებულნი არიან, რომ მოსახლეობა ამ კითხვას დადებით პასუხს გასცემს. „ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვით მოსახლეობის 98%-ს მიაჩნია, რომ მერი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული“, — აცხადებს ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი.<sup>283</sup>

მერებისა და გამგებლების მოსახლეობის მიერ არჩევას დღევანდელი ხელისუფალნიც უჭერდნენ მხარს, როდესაც ისინი ოპოზიციაში იყვნენ და შევარდნაძეს არადემოკრატიულობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის იგნორირებისათვის აკრიტიკებდნენ. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობენ. თვითმმართველობის განვითარების აუცილებლობის თაობაზე საქართველოს ახალმა ხელისუფლებამაც მიიღო ევროსაბჭოსაგან შენიშვნა. იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები უნდა ჩატარდეს, თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები სულ უფრო აქტუალური გახდება.

თვითმმართველობის განვითარების წინააღმდეგ, ვარდების ხელისუფლება, ცხადია არ წავა. თუმცა მერებისა და გამგებლების პირდაპირ არჩევნებს მაინც არ ემხრობა. მათ სავსებით დემოკრატიულად და ამასთან მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ მერი და გამგებელი საკრებულომ აირჩიოს. „ე.წ. ირიბი არჩევნები აბსოლუტურად დემოკრატიული ინსტიტუტია და ქალაქის მართვას ბევრად გააადვილებს. აქ საჭიროა არა პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ქვეყანაში ცალკე პოლიტიკას გაატარებს, არამედ ადამიანი, რომელიც ქალაქს მიხედავს. ამიტომ უმჯობესი იქნება,

<sup>282</sup> „ახალი თაობა“, 6.VI.2005

<sup>283</sup> „რეზონანსი“, 6.VI.2005

მერი საკრებულოს მიერ იყოს არჩეული“, — აღნიშნავს პარლამენტარი კოტე გაბაშვილი.<sup>284</sup>

შეიძლება საქმისთვის მართლაც საკრებულოს მიერ არჩეული მერი სჯობს, რომელიც სამეურნეო საქმეებით იქნება დაკავებული, მაგრამ ჩვენს პირობებში „პოლიტიკურად ნეიტრალური“ მერები და გამგებლები, ჯერჯერობით, ძნელი წარმოსადგენია.

ოპოზიციისათვის, ტრადიციულად, მთავარი სამიზნე თბილისის მერის სავარძელია. აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი ვარდების რევოლუციის წინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ იყო არჩეული, მაგრამ იქცეოდა როგორც მერი. საკრებულოში ყოფნა და თბილისის საქმეებზე მუშაობა კი ფაქტობრივად განიხილებოდა როგორც ტრამპლინი ქვეყნის ხელისუფლებაში მოსასვლელად. თუ გავითვალისწინებთ დედაქალაქის მნიშვნელობას საქართველოსთვის, სადაც თავმოყრილია ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი, თბილისის არჩეული მერი ლამის ვიცე-პრეზიდენტად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ამასთან ხელისუფლების მხრიდან სრულიად უკონტროლო იქნება.

ხალხის მიერ არჩეული თბილისის მერი, თუნდაც რომ ოპოზიციონერი არ იყოს, მაინც არასასურველად მიიჩნევა პრეზიდენტისათვის, რადგანაც იქმნება მეტად „მძიმეწონიანი“ პოლიტიკური ფიგურა. „პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ფიგურა, რომელიც ხალხის მიერ იქნება არჩეული, საპრეზიდენტო კამპანიის დროს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. პრეზიდენტი ყველაფერს ამჭრილში უყურებს, რაც დემოკრატიული არანაირად არ არის“, — აღნიშნავს რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი.<sup>285</sup>

200 ათასი ხელმოწერის მოგროვებას ოპოზიცია, ალბათ, მოახერხებს. მაგრამ დანიშნავს თუ არა პრეზიდენტი რეფერენდუმს? ისე, კანონის თანახმად, რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს. მაგრამ სახეზეა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების დროს ჩატარებული რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დაეთანხმა იმ აზრს, რომ პარლამენტში 150 წევრზე მეტი არ უნდა იყოს. ამ რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალი პარლამენტი ამ ახალი სტანდარტით იქნება არჩეული.

რაც შეეხება, მერებისა და გამგებლების არჩევითობას, ხელისუფლება, ალბათ, თავის იდეას მომავალშიც დაიცავს, რომ დასახლებული თანამდებობის პირები საკრებულომ აირჩიოს და არა უშუალოდ მოსახლეობამ. ამ შემთხვევაში ლავირებისა და კონტროლის უფრო მეტი შესაძლებლობები არსებობს. თუმცა, რიგითი თბილისელისათვის გაუგებარი დარჩება, თუ რატომ არ ანდობენ ქალაქის მერის არჩევას.

## ○ ვინ აირჩევს თბილისის მერს

თბილისის მერი რომ არჩევითი გახდება ამაზე არავინ დავობს, მაგრამ უთანხმოება ხელი-სუფლებასა და ოპოზიციას შორის მერის არჩევის წესთან დაკავშირებით იწყება: ხელისუფლება მხარს უჭერს მერის არჩევას საკრებულოს მიერ, ოპოზიცია კი ხალხის მიერ მერის პირდაპირ არჩევას მოითხოვს. დავა ამ საკითხთან დაკავშირებით გადამწყვეტ ფაზაში შედის, რადგანაც პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. „კონსერვატორები“ მერის არჩევითობასთან დაკავშირებით პლემბისციტის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

საქართველოს პარლამენტში „თბილისის კანონში“ ცვლილებების რამდენიმე პროექტი მომზადდა. საპარლამენტო უმრავლესობის პროექტით თბილისის მერი ქალაქის საკრებულომ უნდა აირჩიოს, ხოლო „მემარჯვენე ოპოზიციის“ პროექტი თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებს ითვალისწინებს. ასეთივე პოზიცია აქვს „საქართველოს კონსერვატიულ პარტიასაც“, რომლის წევრებიც ამასთან დაკავშირებით თბილისის მოსახლეობის პლემბისციტის ჩატარების მიღწევას ეცდებიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთივეა თბილისის მოსახლეობის პოზიციაც.<sup>286</sup>

გამოქვეყნდა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ 1-7 მარტს ჩატარებული თბილისელთა გამოკითხვის შედეგები. კითხვაზე: თქვენი აზრით: ვინ უნდა აირჩიოს თბილისის მერი — საკრებულომ თუ უშუალოდ თბილისელებმა, 1000 რესპოდენტთან 75,4% თვლის, რომ მერი მოსახლეობამ უნდა

<sup>284</sup> „რეზონანსი“, 6.VI.2005

<sup>285</sup> „რეზონანსი“, 6.VI.2005

<sup>286</sup> „ხვალინდელი დღე“, 6.IV.2005

აირჩიოს, საკრებულოდან მერის არჩევას კი მხოლოდ 4,2% ემხრობა, პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა 20,4%-მა.<sup>287</sup>

კონსერვატორებმა თუნდაც რომ მოაგროვონ პლებისციტისათვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა, პრეზიდენტის თანხმობას საეჭვოა რომ მიაღწიონ. სახელისუფლო უმრავლესობას ამ საკითხში სავსებით ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. მათი აზრით, საყოველთაო კენჭისყრით არჩეული თბილისის მერი „პოლიტიკურად საშიში“ შეიძლება აღმოჩნდეს. „თბილისი მარტო დედაქალაქი კი არ არის, არამედ ეს არის ქალაქი, სადაც თავმოყრილია ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურა. თბილისის არჩეული მერი, პრაქტიკულად, მეორე პრეზიდენტია, რაც, პრაქტიკულად, ორხელისუფლებიანობას ნიშნავს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სააკაშვილია პრეზიდენტი თუ სხვა პირი. თბილისის მერის გავლენა პირდაპირი არჩევნებისას ძალიან დიდი იქნება, მას ვერ მოხსნი“, — აღნიშნავს პარლამენტარი დავით ზურაბიშვილი.<sup>288</sup>

უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მერის არჩევა საკრებულოს მიერ სავსებით ჯდება დემოკრატიულ სტანდარტში და ამ თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ არსებობს. „დემოკრატია არც ერთი მისხალით არ იზღუდება, მითუმეტეს, რომ ახალი პროექტით რამდენიმე მნიშვნელოვანი გარანტია შემოდის: მათ შორის მერისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი. ჩვენ არ ვდგებით იმ რისკის წინაშე, რომ არჩეული იქნება ძალიან პოპულარული და არაქმედუნარიანი ფიგურა. დღემდე არ მომისმენია რაციონალური არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მერი აუცილებლად პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული“, — აცხადებს იურიდიული კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია.<sup>289</sup>

ზოგიერთი პარლამენტარი, მაგალითად, ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ არჩევითობის წესი (პირდაპირი თუ ირიბი) თვითმმართველობის მთავარი პრინციპი სულაც არ არის. მისი აზრით, მთავარია ფინანსური, ქონებრივი საკითხების გადაწყვეტა, კომპეტენციების გამიჯვნა და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და არჩეული პირებისთვის რეალური უფლებების მინიჭება.<sup>290</sup>

პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი სკეპტიკურადაა განწყობილი თბილისის მერის არჩევითობისადმი. „თბილისს ცუდი მერი ეყოლება, გინდა პირდაპირ აირჩიე და გინდა ირიბად. თბილისი ცუდი ქალაქია, ცუდი ქვეყანაა, იმიტომ, რომ ასეთ ფაზაში ვართ და ამას ვიმსახურებთ“, — აღნიშნავს იგი. ბერძენიშვილის პროგნოზით, თბილისის მერად რომელიმე მილიონერი, მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი იქნება არჩეული. ლევან ბერძენიშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ ხალხის მიერ არჩეული თბილისის მერი სერიოზული კონკურენტი შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის პრეზიდენტისათვის. „ხელისუფლებას ფიგურების ნაკლებობა აქვს და მოუწევთ ხალხიდან სიმპათიური ადამიანის პოვნა... ჩვენს პრეზიდენტს ღამე არ ძინავს იმის გამო, რომ მერად მაღალი, ახოვანი პიროვნება არ დანიშნოს, რომელიც პოპულარობაში შეეჯიბრება. ეს ძალიან სერიოზული არგუმენტია. ხალხის მიერ არჩეული მერი იქნება საქართველოს № 2 პრეზიდენტი“, — აღნიშნავს ბერძენიშვილი.<sup>291</sup>

თბილისის მერი კარგი მენეჯერი უნდა იყოს, ქალაქის პრობლემებით დაკავებული. ხალხის მიერ არჩეული მერი კი, თუკი ის ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება, ამ თანამდებობას მხოლოდ ტრამპლინად მიიჩნევს პოლიტიკურ კარიერაში. ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლები მართალნი არიან. თავად სააკაშვილი, თბილისის საკრებულოს რომ ხელმძღვანელობდა, თბილისის სახლების სახურავებზე და საბავშვო მოედნებზე რემონტს იმიტომ ატარებდა, რომ უფრო დიდი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა.<sup>292</sup>

<sup>287</sup> „ახალი თაობა“, 6.IV.2005

<sup>288</sup> „ახალი თაობა“, 6.IV.2005

<sup>289</sup> „რეზონანსი“, 6.IV.2005

<sup>290</sup> „ახალი თაობა“, 6.IV.2005

<sup>291</sup> „რეზონანსი“, 6.IV.2005

<sup>292</sup> გაზეთ „კვირის პალიტრის“ გამოკითხვაში 665 რესპოდენტმა პასუხი გასცა კითხვას თუ „ვინ იქნებოდა თბილისის საუკეთესო მერი“. მკითხველთა 27%-ს მიაჩნია, რომ ქალაქს საუკეთესო თავკაცობას ბადრი პატარკაციშვილი გაუწევდა. 6,61 ქულით ბიზნესმენტა ფედერაციის თავმჯდომარე პირველ ადგილზეა. მეორე ადგილზეა სალომე ზურაბიშვილი, რნომელსაც რესპოდენტმა 18%-მა მაქსიმალური 9 ქულა დააგროვა, მისი საშუალო ქულა კი 6,48 აღმოჩნდა. შემდეგ ადგილებზე გავიდან: 3. კობა დავითაშვილი — 6,24 ქულა; 4. გოგი თოფაძე — 5,97 ქულა; 5. გიგი უგულავა — 5,15 ქულა; 6. ლევან გაჩეჩილაძე — 4,30 ქულა; 7. დავით გამყრელიძე — 3,62 ქულა; 8. შალვა ნათელაშვილი — 3,34 ქულა; 9. დავით ბერძენიშვილი — 3,30 ქულა („კვირის პალიტრა“, 12-18.VI.2006)



# THE GEORGIAN POLITICS: GOVERNMENT AND POLITICAL PROCESSES

## THE PLAN OF THE SEMINAR

### Introduction

#### Topic 1. Europeazation of Georgian Political Thinking

- Main stages of Europeazation of the Georgian Political Thinking
- Volterianizm in Georgia
- The Idea of United Georgian-Armenian State

